გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

GORI STATE TEACHING UNIVERSITY

სამეცნიერო შრომების კრებული

COLLECTION OF SCIENTIFIC WORKS

№9

2015

UDC (უაკ) 378 (479.22)(066)
გ-716

წინამდებარე სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს 2015 წლის 17 თებერვალს ჩატარებულ სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებს.

შენიშვნის სახით დავძენთ, რომ აღნიშნულ კონფერენციაზე ისტორიის სექციაზე წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომები იბეჭდება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის მიერ მომზადებულ შრომების კრებულში.

The Collection consists with the scientific works presented by the academic staff at the Scientific Conference on February 17, 2015 at LEPL-Gori State Teaching University.

Herewith, we note that the works presented at the history section are published in the collection by Gori State Teaching University History and Archaeology Centre.

სარედაქციო კოლეგია:

გიორგი სოსიაშვილი
გიორგი ხორბალაძე
ალექსანდრე მღებრიშვილი
ნუგზარ აბრამიშვილი
ვიანორ ახალაია
ივანე ბალახაშვილი
ქეთევან ბარბაქაძე
თამარ გოგოლაძე
ციური დურული
კლარა ელჩიბეგაშვილი
ზურაბ ზერაკიძე
ხათუნა კაკაურიძე
მარიამ კობერიძე
მალხაზ ლომსაძე
ელდარ მამისთვალიშვილი
ლევან მიდოდაშვილი
ზურაბ ტიელიძე
ჯემალ ქირია
პაატა ქურდაძე
მარიკა შერაზადიშვილი
დავით ჩოჩიშვილი
ზურაბ ჩხიკვაძე
ნელი ჭამპურიძე
თეა ხორგუაშვილი
გიორგი ყაზიშვილი

Editorial Board:

Giorgi Sosiashvili
Giorgi Khorbaladze
Aleksandre Mghebrishvili
Nugzar Abramishvili
Vianor Akhalaia
Ivane Balakhashvili
Ketevan Barbakadze
Tamar Gogoladze
Tsiuri Duruli
Klara Elchibegashvili
Zurab Zerakidze
Khatuna Kakauridze
Mariam Koberidze
Malkhaz Lomsadze
Eldar Mamistvalishvili
Levan Midodashvili
Zurab Tielidze
Jemal Kiria
Paata Kurdadze
Marika Sherazadishvili
David Chochishvili
Zurab Chkhikvadze
Neli Champuridze
Tea Khorguashvili
Giorgi Kazishvili

ISSN 2233-3193

შ ი ნ ა ა რ ს ი

ფ ი ლ ო ლ ო გ ი ა

ვიანორ ახალაია - *მიხეილ ჯავახიშვილის პროზის ერთი სინტაქსურ-სტილური თავისებურება – 7*
თამარ გოგოლაძე - *სხვადასხვა ეპოქისა და მიმართულების „ლოცვა“ პოეტურ კონტექსტში – 9*
ანა დათუაშვილი - *მომავლის მითები ანუ კომუნისტური მითქმნადობა ერთი საბჭოთა რომანის მაგალითზე – 13*
ვახტანგ ინაური - *სტუმრობის რიტუალი და ვენდეტა ვაჟა-ფშაველას პოემაში „სტუმარ-მასპინძელი“ ფრანგული კონტექსტით – 18*
მარიამ კობერიძე - *მართლკითხვისა და მართლწერის საკითხები გაიოზ რექტორის „ქართულ ღრამმატიკაში" – 25*
ნიკოლოზ ოთინაშვილი - *1407-1410 წლების „დაწერილი ქუცნა ამირეჯიბისა ულუმბის ღვთისმშობლისადმი“ ზოგიერთი ენობრივი თავისებურება – 30*
ნანა ფაცაცია - *ფრაზეოლოგიური ერთეულები კომპონენტთან „ღმერთი“ თანამედროვე რუსულ ენაში* (რუსულ ენაზე) *– 33*
მარინე ცერცვაძე - *შალვა ამირეჯიბის პუბლიცისტიკის რამდენიმე საკითხი – 36*

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

ციური ბაქრაძე - *მოზარდთა ასოციალური ქცევის წარმოქმნის ფაქტორები და მათი კორექცია – 40*
მზია გოგიაშვილი - *მათემატიკის განვითარება სკოლამდელ ასაკში – 44*
მანანა სეხნიაშვილი - *დისლექცია მოსწავლეებში – 46*
ნელი ჭამპურიძე - *ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების ძირითადი ასპექტები – 49*

ზ უ ს ტ ი დ ა ს ა ბ უ ნ ე ბ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ო მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ე ბ ი

ნელი გოგინაშვილი - *ფოსფორისა და კალიუმის როლი მცენარის კვებაში და მათი ეკოლოგიური შემდგომქმედება – 52*
გია ედიშერაშვილი - *შიდა ქართლის მოზამთრე ფრინველები – 55*
ზურაბ ზერაკიძე, მალხაზ მუმლაძე - *გაუსის შემთხვევით სიდიდეთა დაყვანა დამოუკიდებელ შემთხვევით სიდიდეთა სისტემამდე – 59*
ალექსანდრე იაშვილი - *საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნების სახელოვანი იუბილე – 61*
გიორგი მძინარაშვილი, მარიამ უბირია - *მოქნილობის განვითარებისა და სრულყოფის თავისებურებები თავისუფალი სტილის მოჭიდავეებში – 63*
გიმზერ საათაშვილი - *მარტივ რიცხვთა სიმეტრიის შესახებ – 65*
ზურაბ ტიელიძე - *საქართველოს ენერგოუსაფრთხოების გეოგრაფიული ასპექტები ქარის ენერგიის გამოყენების მაგალითზე – 68*
მარიამ უბირია, გიორგი მძინარაშვილი - *მოზარდი გოგონების ფიზიკური დატვირთვით განპირობებული გულ-სისხლძარღვთა სისტემის რეაქციები* (რუსულ ენაზე) *– 73*

ბ ი ზ ნ ე ს ი დ ა მ ა რ თ ვ ა

მაია აზმაიფარაშვილი - *ეკოტურიზმი - მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი ქვეყანაში – 76*
ხათუნა ბებნაძე - *მცირე ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები და ტენდენციები საქართველოში – 79*
ლია ბიბილაშვილი - *ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სტრატეგიული როლი გლობალურ ბიზნესში – 86*

დავით ბიძინაშვილი - *ლარის კურსის გრძელვადიანი სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით კონკრეტული ღონისძიებებია გასატარებელი – 88*
გიული გიგუაშვილი, მანანა ჯაფიაშვილი, მალხაზ ელიაური - *ელექტრონული ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში – 92*
ლალი ოსაძე, მაკა სოსანიძე - *ბიზნესის ეთიკა და წარმატების საიდუმლო ბიზნესში – 96*
სოფიო ცეცხლაძე, ლალი ოსაძე - *ინტერნეტ-მარკეტინგი საქართველოში – 100*
თინა ჯოლბორდი - *დანახარჯთა მენეჯმენტის კონცეფცია ბუღალტრულ აღრიცხვაში – 104*

სოციალური მეცნიერებანი და სამართალი

ივანე ბალახაშვილი - *მემკვიდრეობის გადასვლა ანდერძით – 108*
იოსებ გაბარაევი - *გაუპატიურების ობიექტი – 113*
მალხაზ ლომსაძე - *ქურდობის კვალიფიკაციური შემადგენლობა – 117*
ალექსანდრე მღებრიშვილი - *ჟურნალისტიკის საინფორმაციო ბუნება – 121*
მარიკა შერაზადიშვილი, იოსებ გაბარაევი - *სამართლებრივი მართლწერის პრინციპები – 128*
იოსებ ჭუმბურიძე - *პუბლიცისტიკის ჟანრობრივი კლასიფიკაციის საკითხისათვის – 132*

CONTENTS

Philology

Vianor Akhalaia - *ONE OF SYNTAX-STYLISTIC PECULIARITIES FROM MIKHEIL JAVAKHISHVILI'S PROSE – 7*
Tamar Gogoladze - *"PRAYERS" OF DIFFERENT EPOCH AND LITERARY SCHOOL IN POETIC CONTEXT – 9*
Ana Datuashvili - *FUTURE MYTHS OR COMMUNIST MYTH-CREATION ON THE EXAMPLE OF ONE SOVIET NOVEL – 13*
Vakhtang Inauri - *VISITING RITUAL AND VENDETTA IN VAZHA-PSHAVELA'S POEM "THE GUEST AND THE HOST" WITH FRENCH CONTEXT – 18*
Mariam Koberidze - *QUESTIONS OF READING AND SPELLING IN GEORGIAN GRAMMAR OF GAIOZ RECTOR – 25*
Nikoloz Otinashvili - *SOME LANGUAGE PECULIARITIES WRITTEN BY KUTSNA AMIREJIBI TO ULUMBI ST. MARY MONASTERY IN 1407-1410 – 30*
Nana Patsatsia - *PHRASEOLOGICAL UNITS WITH COMPONENT "GOD" IN MODERN RUSSIAN LANGUAGE* (in Russian) – *33*
Marine Tsertsvadze - *SOME QUESTIONS OF SHALVA AMIREJIBI PUBLICATIONS – 36*

Education

Tsiuri Bakradze - *SOCIAL UPBRINGING FACTS OF TEENAGERS BEHAVIOR AND THEIR CORRECTION – 40*
Mzia Gogiashvili - *MATHEMATICS DEVELOPMENT IN CHILDREN UNDER SCHOOL AGE – 44*
Manana Sekhniashvili - *DYSLEXIA IN PUPILS – 46*
Neli Champuridze - *EFFECTIVE TEACHING STRATEGIES IN MULTILINGUAL EDUCATION – 49*

Exact and Natural Sciences

Neli Goginashvili - *THE ROLE OF PHOSPHORUS AND POTASSIUM IN FEEDING PLANTS AND THEIR FUTURE ECOLOGICAL AFFECT – 52*
Gia Edisherashvili - *SHIDA KARTLI WINTERING BIRDS – 55*
Zurab Zerakidze, Malkhaz Mumladze - *THE ADDUCTION OF GAUSSIAN SYSTEM RANDOM VALUES TO INDEPENDENT GAUSSIAN SYSTEM RANDOM VALUES – 59*
Aleksandre Iashvili - *THE BIRTHDAY OF GEORGIAN NATIONAL OLYMPIC COMMITTEE – 61*
Giorgi Mdzinarashvili, Mariam Ubiria - *THE PROBLEMS TO PLAN TEACHING-TRAINING PROCESS AND SPECIAL METHODS FOR BEGINNER SPORTSMEN IN FREE WRESTLING – 63*
Gimzer Saatashvili - *ABOUT SYMMETRY OF SIMPLE NUMBERS – 65*
Zurab Tielidze - *GEOGRAPHICAL ASPECTS OF ENERGY SECURITY IN GEORGIA USING WIND ENERGY AS AN EXAMPLE – 68*
Mariam Ubiria, Giorgi Mdzinarashvili - *REACTIONS OF CARDIOVASCULAR SYSTEM TO LOADING AT GIRLS – TEENAGERS* (in Russian) – *73*

Business and Management

Maia Azmaiparashvili - *ECOLOGICAL TOURISM – THE HELPING FACTOR OF THE SUSTAINABLE DEVELOPMENT – 76*
Khatuna Bebnadze - *OPPORTUNITIES AND TRENDS OF DEVELOPMENT OF SMALL BUSINESS IN GEORGIA – 79*
Lia Bibilashvili - *STRATEGIC ROLE OF HUMAN RESOURCE MANAGEMENT IN GLOBAL BUSINESS – 86*
Davit Bidzinashvili - *SPECIFIC MEASURES SHALL BE TAKEN IN ORDER TO MAINTAIN LONG-TERM STABILITY IN THE EXCHANGE RATE – 88*
Giuli Giguashvili, **Manana Japiashvili**, **Malkhaz Eliauri** - *PROSPECTS OF ELECTRONIC BUSINESS DEVELOPMENT IN GEORGIA – 92*

Lali Osadze, **Maka Sosanidze** - *BUSINESS ETHICS AND BUSINESS SUCCESS – 96*
Sophio Tsetskhladze, **Lali Osadze** - *INTERNET MARKETING IN GEORGIA – 100*
Tina Jolbordi - *CONCEPT OF EXPENDITURE MANAGEMENT IN ACCOUNTING – 104*

Social Sciences and Law

Ivane Balakhashvili - *TESTAMENTARY SUCCESSION – 108*
Ioseb Gabaraevi - *RAPE OBJECT – 113*
Malkhaz Lomsadze - *QUALIFIED COMPOSITION OF THEFT – 117*
Aleksandre Mghebrishvili - *THE NATURE OF INFORMATION IN JOURNALISM – 121*
Marika Sherazadishvili, Ioseb Gabaraevi - *PRINCIPLES OF LEGAL WRITING – 128*
Ioseb Chumburidze - *ON GENRE CLASSIFICATION OF PUBLICISM – 132*

ფილოლოგია
Philology

მიხეილ ჯავახიშვილის პროზის ერთი სინტაქსურ-სტილური თავისებურება

ვიანორ ახალაია, პროფესორი

ზ. სარჯველაძე სავსებით სამართლიანად მიიჩნევს, რომ ,,მიხეილ ჯავახიშვილის ენის შესწავლა, მისი დამსახურების შეფასება ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა და სრულყოფის საქმეში თანამედროვე ქართული ენათმეცნიერების ერთ-ერთი საპატიო ამოცანათაგანია“ (1,3). მწერლის ენობრივი სტილი ლექსიკურ თავისებურებებთან ერთად გარკვეულწილად გამოიხატება წინადადების აღნაგობის, წინადადების წევრთა რიგისა თუ მათი მეტ-ნაკლები ინტენსივობით გამოყენებისას, რაც ესეოდენ ხელშესახებად მჟღავნდება მის მხატვრულ ნაწარმოებებში. ამ მხრივ უაღრესად საყურადღებოა მიხეილ ჯავახიშვილის თეორიული შეხედულებანი ქართული ენის საჭირბოროტო საკითხებზე, კერძოდ, სინტაქსის შესახებ: ,,საქმე სინტაქსია მეთქი და სასაუბრო, სათხრობელი ენის შექმნა, გამჭირვალობა, მუდმივობა, მკაფიობა, უბრალოება და სინათლე - აი სალიტერატურო ენის ძარღვიც და სიცოცხლეც, ასეთ ენას კი უმთავრესად ლიტერატორი ჰქმნის“ (2, 367)

წინადადებათა და მათ შიგნით სიტყვათა მიმდევრობის გარკვეულ რიგს თავისი ფუნქცია აქვს: იგი ქმნის რიტმს ან, პირიქით, არღვევს მას. წინადადებათა გარკვეულ თანმიმდევრობაში გამოიყოფა რიტმული ერთეული. ეს ის ერთეულია, რომელიც გადადის თხრობის ერთიდან მეორე მონაკვეთში და რომლის უცვლელობა განაპირობებს მყარი რიტმის შექმნას. ფრაზაში ეს შეიძლება იყოს მთელი წინადადება, რომელიც შედგება ორი ან სამწევრიანი რიტმული ერთეულებისგან, წინადადებაში - სინტაგმა (სახელურიან ზმნური). ამ გარკვეული სტრუქტურული ერთეულის არსებობა განაპირობებს იმას, რომ ეს წინადადებები თუ ფრაზები შევისწავლოთ როგორც სტრუქტურები, რომ დავადგინოთ, რა მექანიზმი უდევს საფუძვლად მათ: ჰარმონიულობის, რიტმულობის განმაპირობებელი თუ დისონანსური პოტენციის მქონე. როგორც ვხედავთ, სტრუქტურას და სტრუქტურულ ერთეულს დიდი მნიშვნელობა ენიჭება წინადადებისა და ფრაზის აგებაში. ფორმისა და შინაარსის შერწყმა გვაძლევს ერთიან მთელს და, როცა ფრაზის თუ წინადადების, ერთი აზრობრივი მთელის, რაობას ვარკვევთ, მისი შემადგენელი ნაწილებიდან ერთერთის უარყოფა ან მეორისთვის უპირატესობის მიცემა ამ მოვლენის არსის გარკვევის საშუალებას არ მოგვცემს, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ჩვენ მეტყველების ნაკადის გარკვეული მონაკვეთი გვაინტერესებს აგების პრინციპის თვალსაზრისით, ანუ წმინდა ფორმობრივი თვალსაზრისით, ამ მონაკვეთებს განვიხილავთ როგორც გარკვეულ სტრუქტურებს, რათა განვსაზღვროთ, რა ერთეულები ქმნის მის შინაგან რიტმს და რა სტილური ღირებულება აქვს თვით ამ რიტმწარმომქნელ ერთეულს. შეიძლება თუ არა სტილური ღირებულება ჰქონდეს რაიმე ფორმალურ ელემენტს, თუნდაც მას ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქცია გააჩნდეს, როგორც რიტმის წარმოქმნაა? მით უმეტეს, თუ სტილს განვიხილავთ არა როგორც ხერხებისა და საშუალებების ერთიანობას, არამედ როგორც გარემომცველი სამყაროს თავისებური, ორიგინალური ხატვის შედეგს, როგორც სინამდვილის სახეობრივ ხატვასა და სახეობრივ აზროვნებას? დიახ, შეიძლება რომელიმე ფორმისეულ ელემენტს ჰქონდეს ამგვარი ღირებულება. ,,სინტაქსური კონსტრუქციები იღებენ სტილურ ფუნქციებს, რამდენადაც ისინი სათქმელის ლაკონურობით ან, პირიქით, სიფართოვით, ან სხვა ნიშნებით დაკავშირებული არიან აზროვნების აგებულებასთან, რაც ასახულია ნაწარმოებში, აღქმის სახესთან, რომლისგანაც ხდება თხრობა'' (3, 227)

ფრაზისა თუ წინადადების კონსტრუქცია შეიძლება სტილური ღირებულებისა იყოს იმდენად, რამდენადაც მასში გამჟღავნებულია მწერლის მიერ სამყაროს თავისებური აღქმის, მისი აზროვნების და მოვლენათა მიმართ დამოკიდებულების რთული პროცესები: ფრაზაში წინადადებები და წინადადებებში სინტაქსური წყვილები ერთმანეთს უკავშირდებიან სინტაქსური კავშირებით. ეს კავშირები, როგორ ი. არნოლდი აღნიშნავს, ორი სახისაა: 1) კავშირი აშკარად გამოხატული გრამატიკული და ლექსიკური საშუალებებით. 2) აზრობრივი ანუ მიზეზობრივი კავშირი. კავშირის ეს ტიპი ამოდის შინაარსის ერთიანობიდან და გამოიხატება ინტონაციითა და რიგით, წყობით.'' (3, 216) ტექსტში ინტონაცია შეიძლება სინტაქსურ-აზრობრივი კავშირის ფუნქციით იქნეს გამოყენებული, მაგრამ ეს მაინც მეორეული იქნება, ხოლო იმ სინტაქსურ ანუ წინადადებათა კავშირს, რომელსაც ქმნის მათი რიგი, მკვეთრად გამოხატული ფუნქცია აქვს. მიხ.ჯავახიშვილთან მას სტილური ღირებულება გააჩნია, რადგან იგი არის

მეტყველების ნაკადში რიტმის შექმნის პროდუქტიული საშუალება. რიტმს ქმნის მთელი წინადადება ან მისი ერთი, სინტაქსური აგებულებით მყარი ნაწილის რეგულარული ფუნქციონირება.

ამდენად, მნიშვნელობა ეძლევა წინადადების სახესაც - რთულია იგი თუ მარტივი და რა სახის რთულია თანწყობილი თუ ქვეწყობილი, გავრცობილი თუ გაუვრცობელი. განვიხილოთ წინადადებები შინაგანი აღნაგობის მიხედვით.

მარტივი გაუვრცობეული ფრაზა შედგება ურთიერთმიმდევრობაში მყოფი მარტივი გაუვრცობელი წინადადებებისაგან, რომელთაც ახასიათებს არა მარტო ერთნაირი აგებულება, არამედ წევრთა რიგიც კი უცვლელად გადადის. ეს სრული ფორმობრივი შესაბამისობა იწვევს რიტმის იგივეობას, რის გამოც ფრაზა ხდება მუსიკალური და ადვილად აღსაქმელი.

,,აბაზს აბაზი ედება, მანეთს მანეთი მოსდევს,
თუმანი თუმნისკენ მიილტვის, სიცოცხლე კი მიდის.“ (III, 370).

ყოველი წინადადება სამსიტყვიანია. სტრუქტურული ერთეულის სინტაქსური შემადგენლობა ასეთია: დამატება, ქვემდებარე, შემასმენელი. ჩვეულებრივ, ტრადიციული წყობა კი ასეთია: ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება. ინვერსია წინადადების წევრთა შორის მათი როლის უკეთ წარმოჩენისთვისაა. ავტორს სურს მკითხველის ყურადღება გაამახვილოს შემასმენელზე - მოქმედზე. ამიტომ იგი ექცევა წინადადების ბოლოს, რადგან, როგორც ცნობილია, ქართული ინტონაცია აღმავალია. შემდეგ ორ წინადადებაში წევრთა პოტენციური შესაძლებლობების ამგვარი განაწილება დარღვეულია - ქვემდებარეა პირველ ადგილზე. ეს, ალბათ, იმითაა გამოწვეული, რომ ბოლო წინადადებაში ერთი წევრი ჩაგდებულია.

ნათელია, რომ მარტივი წინადადების გარეგანი რიტმი აგებულია სამწევრიანი სტრუქტურული ერთეულის რეგულარული მონაცვლეობით.

მარტივი გავრცობილი. როგორც შინაარსითაა მარტივი გავრცობილი მარტივ გაუვრცობელზე რთული, ასევე განსხვავებულია მათი სტრუქტურებიც: აქ გამოიყოფა როგორც სამეულთა წყვილები, ასევე ორწევრიანი სინტაგმები - როგორც სახელები, ისე ზმნური. სამწევრიანი მარტივი გავრცობილის სტანდარტული ნიმუში ასეთია:

,,წელში უაღრესად მოიხარა, ფეხები ძლივს აითრია
და ფეხდათათხულ ძაღლივით გამოტრიალდა“. (I, 308)

- დაცულია როგორც რიტმი, ასევე რიტმული ერთეულების ზომა, ყოველი მათგანი სამსიტყვიანია.

ასევე ზუსტი რიტმულობა ახასიათებს უფრო მრავალწევრიან წინადადებასაც:

,,გაყინული მარგო თეიმურაზს მიუჯდება, დაღლილ თავს მხარზე
მიადებს, გადაქლეტილ ხელ-ფეხს ცეცხლს მიუშვერს,
თვითონაც ტკბილად ატირდება და თეიმურაზსაც აატირებს“. (I, 402)

,,თეიმურაზმა მიბლეტილი თვალები ძლივს გაახილა,
შეკრული კრიჭა ძლივს გაიხსნა და მილეული გული
ძლივს მოიბრუნა.“ (325, I)

პირველ ნიმუშში საწყისი წინადადება მთლიანადაა რიტმული ერთეული, რომელიც ზომით თანხვედრია მომდევნო წინადადებების რიტმული ერთეულებისა. ბოლო წინადადება შეიძლება ამ ზომის დარღვევად მიგვეჩნია, რადგან წინადადება ხუთი წევრისგან შედგება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მეხუთე წევრი შემასმენელია, რომელიც წინა შემასმენლის ფუძეს იმეორებს (‘ატირდება-აატირებს’), იგი რიტმის ზომაში დისონანსს ვერ შეიტანს, მით უფრო, რომ იგი ავტორს ამ მიზნით კი არ შემოუტანია, არამედ სხვა სტილური თავისებურებების შესაქმნელად: ,,თვითონაც ტკბილად ატირდება და თეიმურაზსაც აატირებს“ ,,თანაგანცდის ფაქტორის’’ ნიმუშია.

მეორე ნიმუშში შეიძლება გვეფიქრა, რომ სიტყვა ‘ძლივს’, რომელიც ყველა წინადადებაში მეორდება, ქმნის რიტმულ ერთეულს. მაგრამ ამ ფრაზაში ისეთი ძლიერი სარიტმო სტრუქტურა მოქმედებს, რომელთან შედარებით ერთი სიტყვის გადანაცვლებადობაც კი არ ჩანს დიდი ეფექტის მქონედ. ეს სარიტმო ერთეული ოთხი სიტყვისგან შედგება და მოიცავს თავის შიგნით ამ მოძრავ ელემენტსაც, რის გამოც, ჯერ ერთი, იგი ექვემდებარება მთელ სტრუქტურულ რგოლს, მეორეც, სწორედ ამის წყალობით ეს სტრუქტურული რგოლი მეტ მოქნილობას და შინაგან დინამიზმს იძენს.

შეიძლება მარტივი წინადადების ზომა დარღვეული იყოს, მაგრამ რამდენადაც სტრუქტურული მექანიზმი ერთი და იგივეა, წინადადებებს ერთნაირი რიტმული წყობა აქვთ.

,,ამ დროს ქვემოდან ზარის რეკვა მოისმა. თეიმურაზი
ციხის კედლიდან ჩამოცურდა და ნელის ნაბიჯით
თავქვე დაეშვა“. (I, 335).

პირველი წინადადების ზომა განსხავებულია შემდეგი წინადადებებისგან - მასში ექვსი სიტყვაა ნაცვლად ოთხისა მაგრამ 'ამ დროს' შინაარსობრივად მთელ ფრაზას ეკუთვნის - ყველა დასახელებული მოქმედება 'ამ დროში' მოხდა, ხოლო სტრუქტურული ერთეული ერთია სამივე წინადადებაში - იგი ოთხწევრიანია და მოიცავს: შემასმენელს, ქვემდებარეს, ადგილის გარემოებას და განსაზღვრებას. ამიტომ ზომის დარღვევა ხელს არ შეუშლის ამ წინადადებებს ერთნაირი რიტმი შექმნან თხრობაში - მეტყველება მდორე და თანაბარია. სტრუქტურის თვალსაზრისით მარტივისგან რთული თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადების სინტაქსურ-სტილურ განსხვავებას მიხეილ ჯავახიშვილის პროზის მიხედვით ვეცდებით შემდეგში წარმოვიდგინოთ.

ლიტერატურა:
1. ზ. სარჯველაძე, მიხეილ ჯავახიშვილი და ქართული სალიტერატურო ენის საკითხები, თბ., 1984.
2. მ. ჯავახიშვილი, ლიტერატურული განცხადება, რჩეული თხზულებანი ექვს ტომად, ტ. VI, გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო", თბ., 1964.
3. И. Арнольд, Стилистика современного английского язика, Л., 1973.
4. მ. ჯავახიშვილი, რჩეული თხზულებანი ექვს ტომად, ტ. I, თბ., 1977, ტ. III, თბ., 1973, ტ. V, თბ., 1977.

რეზიუმე

ფრაზისა და წინადადების კონსტრუქციას მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებებში მკვეთრად გამოხატული სტილური ფუნქცია აქვს. იგი არის რიტმის შექმნის საშუალება.

ONE OF SYNTAX-STYLISTIC PECULIARITIES FROM MIKHEIL JAVAKHISHVILI'S PROSE

Vianor Akhalaia, Professor

RESUME

Phrase and sentence construction in the works of Mikheil Javakhishvili has clearly expressed stylistic function. It is a way of creating rhythm.

სხვადასხვა ეპოქისა და მიმართულების „ლოცვა" პოეტურ კონტექსტში

თამარ გოგოლაძე, პროფესორი

1840, 1858, 1921 წლებში იწერება სხვადასხვა ლიტერატურული მიმართულების (რომანტიზმი, კრიტიკული რეალიზმი, სიმბოლიზმი) ქართველი მწერლის ლოცვითი ხასიათის ლექსი (როგორც სათაურიდან, ისე ლექსის შინაარსიდან გამომდინარე) „ჩემი ლოცვა" (ნიკოლოზ ბარათაშვილი), „ლოცვა" (ილია ჭავჭავაძე), „ლოცვა" (ვალერიან გაფრინდაშვილი). სამივე ლექსის ავტორი აღადგენს ლოცვას უზენაესისადმი და, თუ I და III უფრო მონანიებაა ცოდვილი სულისა, II ა) ბ) - აშკარად თხოვნაა, ხვეწნა-ვედრება. „ლოცვა" (რელიგიური მნიშვნელობით) არის მიმართვა ღვთისადმი თხოვნით, მადლობით, დიდებით" („საღვთო სჯული" 1916:3) და, ძირითადად, კანონიზირებული ფორმულებითაა მიღებული. მაგრამ აი, მხატვრულ ტექსტებში გვხვდება სამი ასეთი ლოცვა, რომლებიც სხვადასხვა დროის პოეტთა სულისკვეთების გამომხატველია. ალბათ, ამიტომაც მიიქცია ჩვენი ყურადღება, თუმცა ცალ-ცალკე, ისინი არაერთგზის გამხდარა მკვლევართა შესწავლა-განხილვის ობიექტი.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა (1817-1845), ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნისას, დაიწყო წერა. სამეფო გვარის ჩამომავლისათვის დიდ ტკივილად დარჩა 1832 წლის შეთქმულების დამარცხება, პირადი

განცდები და ხორცშეუსხმელი სიყვარული. მისთვის, როგორც რომანტიკოსი პოეტისათვის, წარსულისაკენ ხედვა, აწმყოს ამაოების მსოფლგანცდა წინააღმდეგობათა ჭიდილშია ქრისტიანულ მორჩილებასა და მოთმინებასთან. გიმნაზიის დასრულებისთანავე სამოხელეო სამსახურში გამწესებამა და ოჯახის რჩენის ტვირთმაც თავისი დაღი დაასვა ჭაბუკს. ამას ადასტურებს ჯერ კიდევ 1837 წელს ბარათაშვილის ბიძისადმი (გრ. ორბელიანისადმი) გაგზავნილი წერილიდან ამონარიდიც: „...ჭეშმარიტად არა, ზარმაცად არა ვარ, მერე რა ვქნა, რა გაეწყობა სოფლის ბრუნვას... მახლას!...“ (ბარათაშვილი 1968:170).

1840 წლამდე იქმნება შედევრები: „შემოღამება მთაწმინდაზე“, „ფიქრნი მტკვრის პირზედ“, „საყურე“ და სხვ. თუმცა ეჭვი, უიმედობა, ოცნება და ცხოვრებაზე ხელისჩაქნევა ჟონავს სხვადასხვა ლექსების სტრიქონებიდან:

„გულის - თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს;
ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს იქ ამაოება...“
. . . . . .
„ნუთუ ხმა ესე არს ხმა დევნისა
შეუწყალისა სინიდისისა?...
მაგრამ მე ჩემში ვერ ვჰპოვებ ავსა,
მისს საშფოთველოს და საქენჯნავსა“
. . . . . .
„ვინ არის იგი, ვისთვის გული ერთხელ აღევსოს
და, რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?“
„მე შენგან მესმის მოკლულის გულის ოდენ ჩივილი“,
. . . . . .
„ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი“
. . . . . .
ძნელი არის მარტოობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა“.
. . . . . .
„გულამოსკვნით ვიგონებ მე
დღეთა ჩემთა ბედნიერთა“.
„რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!“
. . . . . .
„მაგრამ, რადგანაც კაცნი გვქვიან შვილნი სოფლისა,
უნდა კიდევაც მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა“.

ამ გაორებასა და სინათლე-სიბნელის შუა წრიალში მყოფ პოეტზე დაწერს შემდგომ ილია ჭავჭავაძე: „განა ერთობ მოუსვენარი ცხოვრება ადამიანისა, რომლის ეჭვით გალესილი ჭკუა დღედაღამ ტაძარს აშენებს რწმენისას და ისევ თავის ხელითვე აქცევს, იმავე სადგურს მყუდროებისას არ ითხოვს, რასაც ჩვენი პოეტი? განა ამ ქცევა-შენებით დაღალული გულით კაცობრიობისა, ქვეყნის დაწყებიდამ დღევანდლამდე არ ეძიებს მოსვენებისათვის სადგურს და მაგრამ სადგურის პოვნა განა საყოველთაო წყურვილი არ არის ზოგად-კაცობრიული? განა ვაება კაცობრიობისა ის არ არის, რომ მიზეზი აქვს ძებნისა, ეძებს და ვერ უპოვია? აი, სად არის სათავე ადამიანის სასოცარკვეთილებისა, თავგანწირულებისა ჭკუა-გონების არევისა, ყოვლისფრის უარყოფისა, თავგანწირულებისა, რომელიც ზოგჯერ ხან-და-ხანა, ასე დაიპყრობს ხოლმე მთელს მოაზრე კაციობრიობასა და შავად მღელვარე ფიქრებით ავსებს ადამიანის ცხოვრებას. ბაირონი და მთელი მის მიერ დაპყრობილი ხანა ევროპის სულიერ ცხოვრებისა. განა ამის მაგალითი არ არის? ჰამლეტის „ვიყო თუ არ ვიყო“ განა სულის უბინაობისაგან არ არის ამოკვნესილი?

. . . . . .

განა იმას არ ჰმოწმობს, რომ დღევანდლამდე ყოფილს ბინას ადამიანის მყუდროებისას ფუძე დაენძრა და თვით თაღიც მთელის შენობისა გაირღვა და ჭლამობს გადმოქცევას? განა ყოველივე ეს იმის მაგალითები არ არის, რომ დღესაც მოუსვენარი გონება ადამიანის ხან რას ეჭიდება, ხან რას, რომ სადგური რამ მყუდროებისა სადმე და რაშიმე უპოვარს უბინაო სულსა, რომელიც დღეს ნაცორცეტუტასავით ჰდუღს?“ (ჭავჭავაძე, III 195-196).

მკვლევარი ზ. აბზიანიძე, „სული ობოლიდან“ და მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილიდან გამომდინარე, წერს: „ტატო, განწირულ ფარვანასავით, ისევ და ისევ იმ დამდაგველი ალისაკენ მიილტვის და რაღაც ხანს, მის ცხოვრებას კიდევ ერთი ილუზია აფერადებს, ხოლო მისი ლექსების რვეულს კიდევ

ერთი ლექსი ემატება. ასე იყო „ჩემი ლოცვის“ დაწერამდეც და მის შემდეგაც“ (ქართული რომანტიზმი 2012:312).

ლექსი „ჩემი ლოცვა“ 1840 წლითაა დათარიღებული და შესულია ეკატერინე ჭავჭავაძისათვის მირთმეულ I (1833-1841 წლებში შექმნილ, 1841 წელს გადაწერილ) და II (1843 წლის აგვისტო-სექტემბერში გადაწერილ) ლექსების კრებულებში.

„ეკატერინეს ეს კრებული თან ჰქონდა წაღებული რუსეთში, როდესაც იგი, 1857 წლიდან მოკიდებული, დიდი ხნით გადასახლდა პეტერბურგში (მთავრობის იძულებით, ეს იყო საპატიო გადასახლება).

აღვნიშნავთ, რომ 1858 წელს, ზაფხულში, ეკატერინეს ოჯახში, ამ ხელნაწერებიდან გაეცნო ნიკოლოზ ბარათაშვილის დიდ პოეზიას ახალგაზრდა ჭავჭავაძე, მემკვიდრე ბარათაშვილისა.

კრებული ამჟამად დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში („ლექსნი S-2516; „ბედი ქართლისა“ S-2517) - წერს პავლე ინგოროყვა ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ავტოგრაფული კრებულის 1968 წლის გამოცემის შესავალში (ნ. ბარათაშვილი 1968:8).

ლექსი „ჩემი ლოცვა“ ოთხსტროფიანია და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უფრო მონანიებაა ამ წუთისოფლის ვნებათაგან „ბოროტღელვილი“ პოეტისა, რომელიც მამაღმერთს, როგორც შემცოდე შვილი, მიმართავს, რათა შეახსენოს, რომ პირველმა ადამმაც სცოდა და „უმსხვერპლა წადილს სამოთხისა მშვენიერება“. მონანიებას იგი ვნებათაგან დაცვასა და მყუდროების აღქმას სთხოვს. პოეტური განცდა იმდენად ღრმაა, რომ სიტყვიერი აღსარების ნაცვლად დუმილსაც შესთხოვს ლოცვად ჩაუთვალოს. აქ პოეტი თითქოს სავსებით მარტოა შემოქმედის წინაშე და დუმილის აღქმით სანეტარო სიმშვიდის მოპოვებაში დახმარებას შესთხოვს ზენაარს.

აშკარაა ცოდვა პოეტისათვის ის ბორგვნილი სულის დაუდგრომლობაა, რომელიც ცდილობს რომანტიკული უსასოობა ჭეშმარიტად ცოდვად, დანაშაულად მიიჩნიოს და აქ უკვე ქრისტიანი პოეტი განიცდის განცდილი ცოდვის სიმძიმეს.

გაზეთ „Новое обозрение“-ს 1893 წლის №3207-ში სწორედ ამ ლექსის ლ. ყიფიანისეული თარგმანია დაბეჭდილი. იური ბოგომოლოვი მის თარგმანს მიიჩნევს კარგად, მაგრამ აქვე მიანიშნებს, „რომ თარგმანში დაკარგულია დინამიკურობა, მოქნილობა, ბარათაშვილის მხატვრულ-გამომსახველობითი პალიტრის განუმეორებელი სილამაზე“ (ნ. ბარათაშვილი ს.კ. 1968:180).

„ჩემი ლოცვა“ მანამდე ილია ჭავჭავაძეს წაუკითხავს პეტერბურგში (ცარსკოე სელოში) ეკატერინე ჭავჭავაძე - დადიანის ოჯახში, მეორე ავტოგრაფულ კრებულში, და სხვა ლექსებთან ერთად 21 წლის ჭაბუკზე იგი ახდენს განუმეორებელ შთაბეჭდილებას:

„როს წავიკითხე მისი ლექსები,
ვერა რა ვთქვი რა განცვიფრებულმა!
ვით ქარიშხალით ატეხილ ბუქმა
ცას განუბნიოს შავი ღრუბლები,
ისე იდარა ჩემ მწუხარ შუბლმა“.

(ი. გორგაძე, ნ. გურგენიძე 1987:17-18).

ეს 1858 წლის ზაფხულამდე. როგორია ილიას, როგორც ახალგაზრდა პოეტის, შემოქმედება მანამდე გამოუქვეყნებელი, ყრმობისდროინდელი ლექსები, ნაწილობრივ ტრადიციულის გავლენა, თემატიკა ჩამოუყალიბებელი და აი, მოულოდნელად „ყვარლის მთებს“, „ჩიტი“, „გუთნისდედა“.

ნ. ბარათაშვილი უცნაურ მღელვარებას ბადებს ილიაში:

„აწმყო კეთილს არას ამბობს
და წარსულიც მას სთანხმობს.
შორს მომავლის ვარსკვლავი
თუმც არის უხილავი,
და მოულოდნელი
წინასწარმეტყველება
მაგრამ, ვგრძნობ, შეხვალ დიდ ზღვას
და იქ ჩაჰღუპავ ჩემს ნავს,
და მარდად შენი წყალი
წაშლის ჩემს ურგებს კვალსა...“ („სიმღერა“)

(ი. ჭავჭავაძე I 1987:48).

და აი. იკვეთება პოეტის შემოქმედების ძირითადი არსი: „ილია ჭავჭავაძემ თავის ლირიკაში ინტერესები შიგნიდან, ღრმად პიროვნულის დახასიათებიდან, ინტიმურიდან, გარეთკენ,

საზოგადოებრივისაკენ შემოაბრუნა; მან საზოგადოებრივი აქცია ლირიკის ძირითად საგნად“. - სამართლიანად განსაზღვრავს ილიას ლირიკის სპეფიციკას მკვლევარი ლადო მინაშვილი (მინაშვილი 1995:100).

არის თუ არა ილიას „ლოცვამდე“ დაწერილ ლექსებში ეს ხაზი გამოკვეთილი? არის, ოღონდ გაურკვევლად, ნაკლებად გაცნობიერებულად. და აი, იბადება ორი „ლოცვა“, ერთი დათარიღებული 1858 წლის 17 ივლისით, მეორე - 28 აგვისტოთი, როდესაც ილია ტოვებს ტიარლევოს.

პირველი „ლოცვა“ თხოვნაა შემოქმედისადმი, „მამაო ჩვენოთი“ დაწყებული, მაგრამ მუხლმოდრეკილი პოეტის ერთადერთი სურვილია შერჩეს ამ მსხვრევად, აღრეულ წუთისოფელში მიტევების გრძნობა. აქ არ იგრძნობა ბარათაშვილისეული სინანული, აქ მხოლოდ თხოვნაა:

„რომ მტერთათვისაც, რომელ თუნდა გულს ლახვარი მკრან,
ვთხოვდე: „შეუნდე, - არ იციან, ღმერთო, რასა იქმან!“
(„ლოცვა“) (ი. ჭავჭავაძე, I 1997:57).

მისგან განსხვავებით ბარათაშვილისეული მერყეობა ბოროტ სულსა (დემონსა) და ღვთიურს შორის მეორე „ლოცვაში“ იჩენს თავს, აქაც პოეტი მორჩილდება მას და, თუ ეს გამოცდა იქნება (ურწმუნოების, უკუთქმისა და მაცდუროების საწამლავით სავსე თასის შესმისას), დაე

„მაგრამ, თუ ღმერთო, შენ ღვთაებას სურს,
რათა გამოცდა მით ჰქონდეს ჩემს სულს,
განჰქრნენ შენ ხმასთან სურვილნი ჩემნი
და იყავნ ნება, უფალო, შენი!“
(„ლოცვა“) (ი. ჭავჭავაძე, I 1987:62).

აშკარაა, მომავალი რეალისტი პოეტისათვის, რომელსაც მიზნად აქვს დასახული „მოყვარეს პირში უძრახოს“, მაგრამ შეინარჩუნოს მისადმი დიდი ღვთიური სიყვარული, მომტევებლობა, შინაგანი რყევისა, ღვთაებრივი ნებით გამოცდისათვის მზადყოფნაა წარმოდგენილი, რაც გრძელდება კიდეც ილიას მთელი ცხოვრების მანძილზე.

ვალერიან გაფრინდაშვილისათვის (1889-1941), რომელიც „ლოცვის“ დაწერის დროს (1921 წ.) უკვე სერიოზული შემოქმედებითი აღმავლობის პროცესშია (თითქმის 6 წელია გასული „ცისფერყანწელთა“ ორდენის დაარსებიდან). მეტად უცნაურია ის სინანული, რასაც იგი პოეტურ მიმართვაში გამოთქვამს ზენაარისადმი.

უკვე პოეტად თვითაღიარებული, საზოგადოების მიერ შემოქმედად, თანაც ახალი მიმართულების, მოდერნიზმის ერთ-ერთი მოთავეთაგანი, განიცდის უმიზნო ყოფას, დიდებისაკენ სწრაფვასა და თავის მოწონებას. აქ მოუვლის სურვილი ყველაფერს თავი დაანებოს და უზენაესს მიეახლოს თხოვნით:

„ვიყავი უკმეხი, როგორც რაძივილი,
და ახლა ვათავებ ისევ მონანიებით -
მიიღე, უფალო, ჩემი ლოცვის ტკივილი
გამაბედნიერე შენივე ზმანებით“.
(ვ. გაფრინდაშვილი 1990: 117)

არის კი ეს მონანიე პოეტის განცდა, კარგად ესმის „ლოცვის“ ავტორს და, ალბათ, ამიტომ ცდილობს, დაუბრუნდეს წმინდა ცხოვრებას. ეს კი, ალბათ, შეუძლებელია. ამიტომ მოდის „ბოჰემის მონოლოგი“, „ჩემი ოთახი გათენების წინ“:

„საჭირო არის ცხოვრებაში რამე ნიღაბი
და მე ვარჩიე, რომ დროებით ვიყო პოეტი“.
(ვ. გაფრინდაშვილი 1990:129).

და ის სინანული თითქოს წამიერად რჩება, რადგან სხვაა ბოჰემისაკენ სწრაფვა და სარკის ფუღუროდან აჩრდილი ვიწრო ყელსახვევით. ჭეშმარიტი სიმბოლისტის, 13 „ცისფერყანწელის“ ერთობის წევრის, განცდა. ბარათაშვილის, ილიასა და ვალერიან გაფრინდაშვილის „ლოცვები“ მათი სულისკვეთების გამომხატველია შემოქმედების დასაწყისსა თუ ზენიტში. ჩვენი აზრით, ეს არაა შემთხვევითი მოვლენა. მიზნები და სწრაფვა დიდებისაკენ პოეტის თანამდევია, მისი ეჭვისა და გაორების გამომხატველი. ასეთი შეჯერება კი მხოლოდ ექსპერიმენტული განმზერაა რომანტიკოს, რეალისტ და მოდერნისტ პოეტთა ლაბორატორიისა.

ლიტერატურა:

1. არქიმანდრიტი ნესტორი (ყუბანეიშვილი) „საღვთო სჯული“, ქუთაისი, 1916;
2. ბარათაშვილი ნ., თხზულებანი, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1968;

3. ბარათაშვილი ნ., „ლექსები, „ბედი ქართლისა“ (ავტოგრაფები), „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1968;
4. ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, ტ. I, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1987;
5. გორგაძე ი., გურგენიძე ნ., „ილია ჭავჭავაძე - ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე“, „მეცნიერება“, თბილისი, 1987;
6. ჭავჭავაძე ი., რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. III, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986;
7. მინაშვილი ლ., „ილია ჭავჭავაძე, თსუ, 1995;
8. გაფრინდაშვილი ვ., ლექსები, პოემა, თარგმანები, ესსეები, წერილები, მწერლის არქივიდან, „მერანი“, თბილისი, 1990;
9. ბარათაშვილი ნ., „საიუბილეო კრებული“, „მეცნიერება“, თბილისი, 1968;
10. ქართული რომანტიზმი - ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები, თბილისი, 2012.

რეზიუმე

1840, 1858, 1921 წლებში სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა მიმართულების (რომანტიზმი, რეალიზმი, მოდერნიზმი) პოეტებმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა, ილია ჭავჭავაძემ და ვალერიან გაფრინდაშვილმა შექმნეს ნაწარმოებები („ჩემი ლოცვა“, „ლოცვა“), რომლებშიც ზოგან კანონიზირებული დასაწყისით ზოგან ზენაარისადმი აღვლენილი, უბრალოდ პოეტური ტექსტით გამოხატეს მონანიება და ნატვრა ჩავლილი წინა ცხოვრებისა და სიკეთე-ბოროტების ჭიდილში მიმტევებლობის, მორჩილების შენარჩუნებისათვის.

მათი შეჯერების, ანალიზის ცდა საშუალებას მოგვცემს გავერკვეთ პოეტის სულიერი განწყობილებასა და შემოქმედებითი პროცესებში, რაც, ეპოქალური თუ მიმართულებითი განსხვავების მიუხედავად, ემსგავსება ერთმანეთს.

“PRAYERS” OF DIFFERENT EPOCH AND LITERARY SCHOOL IN POETIC CONTEXT

Tamar Gogoladze, Professor

RESUME

In 1840, 1858, 1921 the poets of different epochs and literary schools (Romantism, Realism, Modernism) Nikoloz Baratashvili, Ilia Chavchavadze and Valerian Gaprindashvili created the works (“My Prayers”, “Prayers”)and in some of them they dedicated their works to the God with canonized beginning and with simple poetic texts and they expressed their repentance for the previous life and wishes for preserving forgiveness and obedience in fighting kindness and evil.

The comparison and analysis of these creative works will enable us to understand the poets spiritual mood and creative work which in spite of epochal and literary school difference somehow resemble each other.

მომავლის მითები ანუ კომუნისტური მითქმნადობა ერთი საბჭოთა რომანის მაგალითზე

ანა დათუაშვილი, მოწვეული სპეციალისტი

რენე უორენისა და ოსტინ უოლეკის ,,ლიტერატურის თეორიის“ მიხედვით, მითოლოგია არის არა მარტო წარსულის, არამედ მომავლისაც, ანუ არსებობს მითები, რომლებიც მომავალში გვპირდება არარსებულს, არარეალურს, თუმცა კაცობრიობისათვის სასურველ ამბავს: ,,სორელი აცხადებს, რომ მთელი მსოფლიოს მუშათა გაფიცვა არის მითი; ასეთი იდეალი არასოდეს იქცევა ისტორიულ ფაქტად, მაგრამ ის წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც სამომავლო მოვლენა; მხოლოდ ამ გზით ჰპოვებენ მუშები აუცილებელ ძალებსა და რწმენას; მითი არის პროგრამა.“ (უორენი უოლეკი, 2010 გვ. 278)

მეოცე საუკუნის 30-იანი წლებიდან ანუ სტალინური რეჟიმის პერიოდში აქტუალური გახდა ახალი, მარქსისტული მითოლოგია, რომელსაც უნდა ჩაენაცვლებინა როგორც ფილოსოფია, ასევე რელიგია და უნდა შეექმნა ახალი რელიგია, რომელსაც საკუთარი მითოლოგია ესაჭიროებოდა. ამიტომ კომუნისტური პარტიის შეკვეთით ლიტერატურა აქტიურად ჩაერთო ახალი ტიპის მითოლოგიის ჩამოყალიბებაში. მეოცე საუკუნე არ გახლდათ თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქა, ამ საუკუნეში ერთადერთი საშუალება პროპაგანდისათვის გახლდათ გაზეთი და რადიო, რომლებიც ვერ შესძლებდნენ ხატოვნად გადმოეცათ, უბრალო ადამიანების გულებამდე ბოლომდე მიეტანათ და შთაენერგათ ახალი რელიგიის პატივისცემა და სიყვარული... ამიტომ მითები, როგორც წერა-კითხვის არქონის ხანაში, ზეპირად იქმნებოდა და ხალხში ასევე ზეპირად ვრცელდებოდა (მაგალითად ლენინზე რომელსაც არსოდეს ეძინა მუშებზე ზრუნვის გამო, ან ლენინი შაქარს ჩაიში არ იყრიდა, რომ საბჭოთა ბავშვებს არ მოკლებოდათ, სტალინს ერთადერთი კიტელი და ბოტები ჰქონდა და ა.შ.). ზეპირად გავრცელებული მითები უფრო დამაჯერებელი რომ გამხდარიყო, ამისათვის საჭირო იყო შესაფერისი მხატვრული ლიტერატურის შექმნა და ეს ტვირთი აიღო კიდევაც თავისთავზე სტალინური ეპოქის ლიტერატურამ.

ჯერ კიდევ 1905 წელს ვლადიმერ ილიას ძე ლენინი თავის წერილში ,,პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ წერდა: ,,სოციალისტური პროლეტარიატისათვის ლიტერატურული საქმე არ შეიძლება პირთა თუ ჯგუფთა მოგების საქმე იყოს, იგი საზოგადოდ არ შეიძლება იყოს ინდივიდუალური საქმე, საერთო პროლეტარული საქმისაგან დამოუკიდებელი. ძირს უპარტიო ლიტერატორები! ძირს ზეკაცნი ლიტერატორები! ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს საერთო პროლეტარული საქმის ნაწილი, ,,პატარა ბორბალი და ხრახნი“ ერთი მთლიანი, დიდი სოციალ-დემოკრატიული მექანიზმისა, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს მთელი მუშათა კლასის მთელ შეგნებულ ავანგარდს. ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს შემადგენელი ნაწილი ორგანიზებული, გეგმაშეწონილი, გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული პარტიული მუშაობისა.“ (ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, 1947: 4)

ამავე წერილში ლენინი ამტკიცებდა რომ ის ლიტერატორები, რომლებიც თავისუფალ აზროვნებაზე და შემოქმედების თავისუფლებაზე ჰგოდებდნენ, იყვნენ ისტერიული ადამიანები, რომლებიც არაპროგრესულად აზროვნებდნენ და კაცობრიობა მიჰყავდათ გადაგვარებამდე.

სტალინმა ეს იდეები ახალ სიმაღლეზე აიყვანა. მან მწერლებს „ადამიანის სულის ინჟინრები“ უწოდა და დაავალა პირდაპირი გაგებით აეშენებინათ ახალი საბჭოთა ადამიანის სული.

1925 წელს რ.კ.პ.(ბ) ც.კ-ის რეზოლუციაში ,,პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრული ლიტერატურის დარგში“ ,,თანამგზავრებად“ მოხსენიებულნი არიან ის მწერლები რომლებიც არ იყვნენ პარტიის წევრები და ამიტომ მათ მიმართ განსაკუთრებით უნდა გამახვილებულიყო ყურადღება, ხოლო პროლეტმწერლებისათვის განსაკუთრებით უნდა შეეწყოთ ხელი, რათა თავიდან აეცილებინათ ანტირევოლუციური ელემენტები და ეგრეთ წოდებული „კომყოყოჩობა“.

საბჭოთა მწერლების სრულიად საკავშირო პირველ ყრილობაზე ა. ა. ჟდანოვმა განაცხადა, რომ მთავარი ამოცანა მწერლობისა იყო მშრომელი ადამიანის იდეურად გარდაქმნა და აღზრდა.

თუმცა იდეურ აღზრდაში მთავარი პრობლემა არა ბურჟუაზია, არამედ რელიგია აღმოჩნდა, რელიგიურ ადამიანს, როგორც აკაკი ბაქრაძე ამბობს, აქვს იდეა და ყავს იდეალი ღმერთის სახით, მაგრამ საბჭოთა ადამიანს არ ყავს ღმერთი, არ ყავს იდეალი, ამიტომ ღმერთი ღმერთკაცმა უნდა ჩაანაცვლოს და საბჭოთა ადამიანისათვის ასეთ ღმერთკაცად იქცა ლენინი, ხოლო სტალინი გახდა მისი მოციქული. „ლენინი ცოცხლობდა, ლენინი ცოცხლობს, ლენინი იცოცხლებს“ – ასეთი დევიზით არარელიგიურმა კომუნისტებმა დაიწყეს ახალი კომუნისტური რელიგიის შექმნა.

საჭირო იყო რელიგია წართმეულ ხალხს მტკივნეულად არ მიეღო რელიგიის დაკარგვა, ამიტომ კომუნისტურ იდეოლოგიას მათთვის უნდა შეეთავაზებინა ალტერნატიული სამოთხე, რომელიც სრულიად დააკმაყოფილებდა კაცობრიობის მარადიულ სურვილებსა და ოცნებებს.

ამ მხრივ საინტერესოა ივანე ყიფიანის რომანი „ამონი ანუ ათასი წლის შემდეგ“ ნაწარმოები, რომელშიც სრულად არის გადმოცემული ადამიანების წარმოდგენა კომუნიზმის მწვერვალზე, სადაც საყოველთაო თანასწორობის იდეა პიკშია და პასუხობს კაცობრიობის ქვეცნობიერ სურვილს ადამიანთა თანასწორობის ერთიანობისა და უკვდავების შესახებ. ნაწარმოები დაწერილია 40-იან წლებში და ამართლებს იმ წლების შავბნელ ტირანიას, რომელსაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა ის სამოთხე, როგორიცაა სახელმწიფო – ამონი. უკვე სათაური ნაწარმოებისა მიგვითითებს, რომ იგი მისტიური და მითოლოგიურია თავისი არსით, რატომ მაინცა და მაინც ამონი?

ამონი ძველეგვიპტურ მითოლოგიაში გახლდათ მზის ღმერთი, რომელიც ეხნატონმა დაამკვიდრა და რომლის შემოღებითაც ერთღმერთიანობის კულტის დამკვიდრება სცადა, ეგვიპტის პანთეონის

ათასობით ღმერთის მაგივრად ეხნატონმა ერთიანი ღმერთის სახე შექმნა და მას ამონ-რა უწოდა. ამით ეხნატონმა ეგვიპტეში რელიგიური რევოლუცია მოახდინა და პროგრესული ნაბიჯი გადადგა როგორც ეგვიპტის, ისე საზოგადოდ მსოფლიოს პროგრესულ განვითარებაში, ანუ იგი პოლითეიზმიდან მონოთეიზმისაკენ გადაიხარა.

შემთხვევითი არაა ნაწარმოების სათაურად და ახალი ტიპის სახელმწიფოს სახელწოდებად სწორედ ამონის შერჩევა, რადგან რომანში აღწერილია მრავალი სახელმწიფოს მაგივრად ერთი სახელმწიფოს შექმნის ამბავი, მწერალი თვლის, რომ ეს ისეთივე პროგრესულია, როგორც ამონის კულტის შექმნა, რომელმაც შესძლო და გააერთიანა მაშინდელი ეგვიპტე.

ნაწარმოების მთავარი გმირი გიორგი მოგელი 1000 წლის შემდეგ თავისივე გამოგონილი დაბალზამების მეთოდის წყალობით იღვიძებს ახალ ზესახელმწიფოში, რომელსაც „ამონი“ ეწოდება. ახალ სახელმწიფოში მხოლოდ ერთი ენა არსებობს, კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობა მხოლოდ მუზეუმებშია დაცული და არც საჭმელია საჭირო, მხოლოდ რაღაცა ფერადი ქვები, რომლებიც კვების საჭიროებას უარყოფენ: „გიორგიმ ბეჭედი შუათითზე გაიკეთა. არ გასულა ერთი წუთი რომ მის სხეულში სიამოვნება შეეპარა. რაც ხანი გადიოდა, ეს სიამე იზრდებოდა, ორგანიზმს თანდათან ღონე ემატებოდა, მან თითქოს გაიხსენა პირველი სიმთვრალე, პირველი ახალგაზრდობა, პირველი სიყვარული და ნეტარება. მისი აღფრთოვანება მწვერვალებს ასცდა; თითქოს ფრთები გამოესხა და ვარსკვლავების უსაზღვრო სივრცისაკენ მიჰქროდა“. სამზარეულოს „სიმფონია“ ეწოდება, რადგან ამ სახელმწიფოში ყველაფერი ადამიანის ესთეტიური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლადაა შექმნილი, სოციალური პრობლემები კი დიდი ხნის წინ გადაიჭრა. ამონში მსოფლიოს ყველა სიკეთე ერთადაა თავმოყრილი ახალი და ხელოვნურიც ბევრია, მაგალითად წყალი, დააყენებ ონკანს იმ რიცხვზე რომელი წყალიც გინდა და წამოვა, თუნდაც, ქართული ბორჯომი, მათთვის კი, ვისაც ნოსტალგია არ ტანჯავს, არსებობს ახალი, ხელოვნური წყალი, რომელიც ერთგვარი ნარკოტიკის როლს ასრულებს: „გადაჰკრა და უეცრად იგრძნო, რომ სადღაც გაფრინდა, ამ სასმელმა იმდენი საოცარი გრძნობა გამოიწვია, რომ გიორგის მოეჩვენა, თითქოს მისი სხეული ასწიეს და სადღაც გააქროლეს“. გიორგი მოგელი იგებს, რომ ყველა ერი გაერთიანდა და აღარც ქართველები არსებობენ, ხოლო საქართველო მხოლოდ ამონის ერთ ლამაზ კუთხეს წარმოადგენს: ,,დღეს აღარ არსებობს განსხვავება კაცობრიობაში და მაშასადამე აღარ არიან ქართველები, ისევე როგორც რუსები, ფრანგები, გერმანელები, ინგლისელები, იაპონელები, ჩინელები და ათასი სხვა ერი.“ (ყიფიანი) – ეუბნება კარიოზი გიორგის, რომელიც აუტანელ ტკივილს გრძნობს ამის გაგონებაზე. კომუნისტური ოცნებაც სწორედ ესაა, მოსპოს ეროვნებებს შორის განსხვავება და მთელი დედამიწა იყოს მხოლოდ კომუნისტებით დასახლებული, რომელნიც ერთ ენაზე ილაპარაკებენ: ,,ეროვნებათა გაერთიანების პროცესი, - ჩამოართვა სიტყვა კარიოზმა, - საერთო ენის შემოღებამაც გამოიწვია... ჩვენ გვგონია, რომ ძველი ეროვნება იყო კედელი, იგი სხვადასხვა ხალხს უშლიდა ერთმანეთთან დაახლოებას, ერთმანეთის გაგებასა და სათანადო დაფასებას, ძველად ეროვნება იყო არა ყვავილი, არამედ ეკალი“ (ყიფიანი) სიცოცხლე ძალიან დიდხანს შეიძლება, ის კი არა, ამონის მცხოვრებთ შეუძლიათ დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი ადამიანების დანახვა და ხმის გაგონებაც კი. ეს არის სახელმწიფო, სადაც არასოდეს ღამდება, სულ მზეა. სახელმწიფოში არ არსებობს ფული. გიორგის კითხვაზე, თუ რითი ანაზღაურდება ადამიანის შრომა, კარიოზი პასუხობს: ,,ჩვენთვის გაუგებარია რაიმე ჯილდოს აღება ყოველდღიური შრომისათვის. ჩვენი შრომა ჩვენივე მოთხოვნილებაა. ჩვენ ჯილდოს ვღებულობთ დიდი რაიმე ნაშრომისათვის, დიდი რაიმე აღმოჩენისათვის, დიდი გამოგონებისათვის ცხოვრებისა და მეცნიერების ამა თუ იმ დარგში.

- როგორი სახის ჯილდოს? - დაინტერესდა გიორგი

- ეს ჯილდო გამოიხატება საერთო დაფასებაში, საერთო ყურადღებაში.“ (ივანე ყიფიანი ,,ამონი“ გვ. 282).

საინტერესოა თავად ამონის წარმოშობის ამბავი, რომელსაც კარიოზი უყვება გიორგის, ეს ამბავი ძალიან მოგვაგონებს აპოკალიფსის სცენას, როდესაც ძველი სამყარო საშინელმა ტაიფუნმა შთანთქა, დედამიწის გული გასკდა, ვულკანებმა გაიღვიძეს დედამიწის ყველა ქანი ერთმანეთში აირია და ახალი, სრულიად განსხვავებული სივრცე წარმოიშვა, რომელსაც შემდეგ უწოდეს ამონი. ყველა მდინარე ერთ მდინარედ იქცა, ყველა ზღვა ერთ ზღვად. ,,და აიღო ანგელოზმა სასაკმევლე და აავსო იგი საკურთხევლის ცეცხლით, და გადმოათხია იგი მიწას და იქმნა გრგვინვა და გრიალი, და ელვა და მიწისძვრა.“ (ბიბლია 1989: 1202)

ადამიანებს ღმერთი სულის უკვდავებისათვის ჭირდებათ, მაგრამ რა მოხდება თუ ადამიანები უკვდავნი გახდებიან? ან იცოცხლებენ ძალიან დიდხანს თითქმის უკვდავებამდე? ,,დიდი ხანია ჩვენთვის სიკვდილი საფრთხეს აღარ წარმოადგენს. საერთოდ მკვლელობა ჩვენში არ არსებობს, მაგრამ

მკვლელობაც რომ იყოს, დანა ხანჯალი და ტყვია ჩვენთვის უშიშარი იარაღი იქნებოდა. ჩვენთვის დახრჩობაც არ არის საშიში, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი.გვაფრთხობდა მხოლოდ ცეცხლში დაწვა. ორგანიზმის ქიმიურად შეცვლა, მასთან ბრძოლა ჩვენს ძალას აღემატებოდა, თორემ თუ ორგანიზმი კიდევ არსებობდა მთლად დაუშლელი, მისი აღდგენის გარანტია ჩვენს ხელთ იყო და არის, მაგრამ ახლა ორგანიზმის ქიმიურად დაშლასაც შევებრძოლეთ.“ (ყიფიანი 1987: 316). ამის შემდეგ კარიოზი უამბობს გიორგის, თუ როგორ შექმნეს ფენიქსის შესახებ ეგვიპტური ლეგენდის მითზე დაყრდნობით ახალი მეცნიერება – ფენიქსოლოგია. საბჭოთა ახალი ადამიანი მთლიანად უნდა იყოს მოწყვეტილი თავის წარსულს და რომანტიკას. სწორედ ამიტომ ამონის ქვეყანაში ადამიანები იბადებიან ინკუბატორში, მათ ყავთ ბიოლოგიური მშობლები, რომელნიც მათს დაბადებამდე დიდი ხნით ადრე გარდაიცვალნენ. ამიტომ მათ მშობლიური სიყვარულის არაფერი გაეგებათ, აქვე გიორგის სიტყვები, რომ დედამიწაზე მხოლოდ ქრისტე დაიბადა უმამოდ და ისიც არავის სჯეროდა, სწორედაც რომ არაა შემთხვევითი. რელიგიაწართმეულმა საბჭოთა ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ კომუნისტური სამოთხის მითი ქრისტიანობაზე შორს წავიდა და ადამიანის უმშობლოდ დაბადება ჩვეულებრივ ამბად და ტექნიკურ მიღწევად ჩათვალა, ანუ ქრისტეს აჯობა. ამონში შესაძლებელია ადამიანის გაყინვა, ანუ მისი სიკვდილის რამდენიმე საუკუნით გადავადება, „რელიგია იცნობს სამოთხის ცნებას. მარქსიზმ-ლენინიზმი სამოთხეს კომუნიზმით ცვლის. როგორც სამოთხეში, ისე კომუნიზმში სუფევს სრული ჰარმონია, აღკვეთილია ბოროტი და მხოლოდ კეთილი დღესასწაულობს. თუ სამოთხის კარი მხოლოდ მართლმორწმუნეთათვის არის ღია, კომუნიზმში უყოყმანოდ შევა ის, ვისაც უყოყმანოდ სჯერა მარქსის, ლენინის და სკკპ ცკ ცოცხალი გენერალური მდივნის....

სამოთხესა და კომუნიზმს შორის განსხვავება ის არის, რომ სამოთხეში გარდაცვალების შემდეგ შეიძლება მოხვდეს მართლმორწმუნე, კომუნიზმში კი ცოცხალი ადამიანები შევლენ, ოღონდ როდის, ეს ჯერ დაზუსტებული არ არის.“ (აკაკი ბაქრაძე 1991: 95)

და ბოლოს უკანასკნელი თავი ამონელთა წყობილება მთლიანად განვითარებული კომუნიზმის მეორე ხანას, ანუ კომუნისტურ სამოთხეს ეძღვნება, სადაც ლაპარაკია როგორი იქნება კომუნისტური წყობილება მისი განხორციელების ზენიტში: „დღევანდელი ეპოქა ხასიათდება პატიოსანი და დიდი სახელისათვის ზრუნვით“. გიორგი დადუმდა. იგი მადლობით იხსენებდა დიდ კომუნისტთა სახელებს და მათ უანგარო მოღვაწეობას კაცობრიობის საკეთილდღეოდ“. (ყიფიანი 1987: 365)

მაშ რატომაც არა კომუნისტური სამოთხისაკენ ლტოლვამ უნდა შექმნას სამართლიანობის განცდა უსამართლო ქვეყანაში. ხალხის და კომუნისტური სამოთხის მტრები უნდა დაისაჯონ ყველა, ვინც ასეთი სამოთხის შექნას ხელს უშლის, ანუ მტერია სიკეთის, ბოროტია, დასანდობი არ არის, ისევე, როგორც ჯვაროსნები ქრისტეს საფლავის სახელით სჩადიოდნენ უამრავ ბოროტებას და რელიგიური მოსაზრებებით ამართლებდნენ საკუთარ საქციელს, ასევე კომუნისტური რეჟიმის სისასტიკეს ამართლებდა ნათელი მიზანი, რომელიც კომუნისტურ სამოთხეში ცხოვრებას პირდებოდა გადარჩენილებს, ისევე როგორც ბიბლია პირდება მართალთ გადარჩენას, აპოკალიფსისას ასე პირდებოდა გადარჩენას პატიოსან ადამიანებს კომუნისტური მითოლოგია, ადამიანის ფსიქოლოგია ისეა მოწყობილი, რომ იშვიათად ჰგონია თავი არამართალთა შორის. სწორედ ამიტომ ადამიანთა უმეტესობა თვლიდა, რომ წითელი ტერორი მას არ ემუქრებოდა ამიტომ მშვიდად ელოდა დაპირებულ, მაგრამ არარსებულ სამოთხეს. „კომუნისტებისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ამა თუ იმ იდეის ამოჩემება-აკვიატება. ერთ მშვენიერ დღეს ნათელი გახდება, რომ აკვიატებული იდეის განხორციელება შეუძლებელია ან ხელსაყრელი არ არის. იმის მაგიერ, რომ უარჰყონ ამგვარი იდეა, იწყებენ მის ,,განხორციელებას“ ძალით, დაჭერა-გადასახლებით, ტოტალური შიშის დანერგვით. არ აკრთობთ არც ტანჯვა, არც სისხლი, არც მსხვერპლი, ოღონდ აკვიატებული იდეა „საქმედ აქციონ“. მიუხედავად ამისა ბოლოს და ბოლოს, მაინც არაფერი გამოდის, რამეთუ ყოველივე ანტიბუნებრივი უდღეური და მკვდრადშობილია.“ (ბაქრაძე 1991: 13)

რომანში გრძელდება ბოლშევიკური სიძულვილი კაპიტალისტური სამყაროს მიმართ, კარიოზი უხსნის გიორგი მოგელს, რომ ამონის ქვეყანაში არ არსებობს ფული და არც საქონელი, არავითარი მაღაზია და კოოპერატივი, არსებობს მხოლოდ ნივთები, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ფაბრიკები აწვდიან მსურველს, ქვეყანაში არსებობს ერთადერთი მარტივი საზომი და მას „სურვილი“ ეწოდება. მართლაც რა უნდა ინატროს მოკვდავმა ადამიანმა, თუ არა ასეთი სამოთხე, რომელიც აქვე სიცოცხლის მანძილზეა შესაძლებელი.

ამონში ავადმყოფობა არ არსებობს, ადამიანები 300 წლამდე ცოცხლობენ და სიცოცხლის მანძილზე ინარჩუნებენ ახალგაზრდულ იერსა და ჯანმრთელობას, არ აწუხებთ სასმელ-საჭმელზე ზრუნვა, არც შოვნაზე არიან დამოკიდებული, ამიტომ დანაშაულიც არ არსებობს, სახელმწიფოში არ არის

კრიმინალი, არც ციხეა საჭირო, ადამიანები თავისი ცხოვრების ძირითად ნაწილს უთმობენ მეცნიერებას და ხელოვნებას. აქ ადამიანებს თანაბრად აქვთ ყველანაირი სიკეთის მიღების საშუალება და მიტომ არავის არავისი არ შურს, ,,სადა იგი არა არს ჭირი მწუხარება, არცა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხორებაი იგი დაუსრულებელი. (ლოცვანი 2007: 233)

რომანს ლოგიკურად ასრულებს გიორგი მოგელის გარდაცვალება, სინდისის ქენჯნის შედეგად, ის ძველი ადამიანია და ამონში მისი ადგილი არ არის, მას აწუხებს ისეთი ძველმოდური აზრები, როგორიცაა ღალატი და ნათესაური კავშირი, ანუ მას აწუხებს წარსული, რომელიც ჭეშმარიტ კომუნისტს - ახალ ადამიანს - არც უნდა ჰქონდეს, აირასათვის სასაცილოა ღალატის გიორგისეული თეორია, ამიტომ ვერ ჭვრეტს მოახლოებულ უბედურებას, გრძნობების რომანტიკა სასაცილოა ამონის ქვეყანაში, არავის არაფერი აქვს დამალული, უნებლიედ გახსენდება ლენინის ცნობილი დეკრეტი „ქალთა ნაციონალიზაციის შესახებ“, რომელშიც ის ამბობდა, რომ ქალი საზოგადოების საკუთრებაა და ამიტომ მასზე კერძო მფლობელობის უფლება არავის აქვს.

ყველაზე მთავარი მტერი „ახალი ადამიანისათვის“ სინდისი აღმოჩნდა, სინდისი, რომელიც ადამიანში ღმერთის შეცნობის სიმბოლოა, ღვთის ნაწილი. ახალ ქვეყანაში ,,მე“ არ არსებობს, აქ მხოლოდ „ჩვენაა“ და გიორგი მოგელმაც, რომელიც ჯერ კიდევ არის სინდისის ტყვეობაში, სრულიად ლოგიკურად და უკვე სამუდამოდ დატოვა მიწიერი სამოთხე.

ლიტერატურა:

1. აბაშელი ალექსანდრე, ყიფიანი ივანე, „ქალი სარკეში“, „ამონი ანუ 1000 წლის შემდეგ“, „მერანი“, თბილისი, 1987, 399 გვ.
2. კოსიდოვსკი ზენონ, „ბიბლიური თქმულებები“, „ნაკადული“, 1976, 463 გვ.
3. რენე უორენი, ოსტინ უოლეკი, „ლიტერატურის თეორია“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2010, 531 გვ.
4. „ლოცვანი“, გამომცემლობა „გორგასალი“, 2007, გვ. 287
5. „ბიბლია“, 1989.
6. ბაქრაძე აკაკი, „მწერლობის მოთვინიერება“, 1991
7. „ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“, 1947.

რეზიუმე

კომუნისტური სახელმწიფოს შემქმნელები ებრძოდნენ რა რელიგიას გრძნობდნენ ახალი მითოლოგიის შექმნის აუცილებლობას. რაც საბჭოთა ადამიანებს მომავლის რწმენას და აწმყოსადმი მორჩილებას შთაუნერგავდა. მიუხედავად რელიგიის უარყოფისა კომუნისტური მითოლოგიის პირველწყარო და ამოსავალი მაინც „ბიბლია“ გახდა, თუმცა ისინი ამას არ აღიარებდნენ. მომავლის მითოლოგიის შექმნით კომუნისტურ რეჟიმს ორი ამოცანა უნდა გადაეჭრა: შთაენერგა საბჭოთა მოქალაქეებისათვის მომავლის რწმენა და გაემართლებინა რეჟიმის სისასტიკე. მეოცე საუკუნის 30-40 იანი წლების ქართული ლიტერატურა იყო კომუნისტური მითოლოგიის ძირითადი შემქმნელი, ამ ეპოქაში შექმნილი ლიტერატურა დანარჩენი პერიოდის მითოლოგიური ხაზის ლიტერატურისაგან, რომელიც არქაულ მითოლოგიას მიმართავს, განსხვავდება იმით რომ ის სრულ სიყალბეზეა დაფუძნებული. სწორედ ერთ-ერთი ასეთი ნაწარმოებია ივანე ყიფიანის „ამონი ანუ ათასი წლის შემდეგ“. ამ ნაწარმოებში მთლიანად ჩამოყალიბებულია ის იდეოლოგიური მითოლოგია, რომელსაც საბჭოთა მთავრობა ადამიანებში ავრცელებდა.

რათა ღირსეული კონკურენცია გაეწიათ რელიგიისათვის ისინი საბჭოთა მოქალაქეებს დედამიწაზე პირდებოდნენ სამოთხის შექმნას და ითავსებდნენ ყველა იმ შესაძლებლობას რაც მხოლოდ რელიგიას შეეძლო ხალხისათვის მიეცა. სტალინური რეჟიმი მითოლოგიის შექმნაში დიდ როლს ანიჭებდა ლიტერატურას, ხოლო მწერლებს ადამიანის სულის ინჟინრებს უწოდებდა. სწორედ ამიტომ 30-40 წლების ლიტერატურა ქმნიდა ახალი ადამიანის სულის მოდელს, რომელიც სრულიად ახალ საბჭოთა მითოლოგიაზე უნდა აღზრდილიყო.

FUTURE MYTHS OR COMMUNIST MYTH-CREATION ON THE EXAMPLE OF ONE SOVIET NOVEL

Ana Datuashvili, Specialist by Contract

RESUME

The creators of the communist state fought against religion and they feel the inevitability to create a new mythology. It will instill Soviet people future faith and obedience to the present. The origin of the Communist mythology was “Bible”, however they did not recognize it. The Communist regime wants to solve two tasks by creating Mythology of future: instill future faith and justify the regime's brutality. The Georgian Literature of 30-40 years of the twentieth century was the main developer of the Communist mythology, the Mythological literature were made in this period on full falsification. Such work is “Amon or after a thousand years” by Ivane Kipiani. This work develops a mythological ideology, that Soviet Government spreading among Soviet people.

To compete with religion The Soviet Government promised Soviet citizens to create the paradise on the Earth and they combined all possibilities that only the religion could give to people. The literature had main role to create new mythology within Stalin`s regime period. The writers were called as Soul Engineers in this period. The Literature of 30-40 years period created new model of a human soul and their subsistence was the new Soviet mythology.

სტუმრობის რიტუალი და ვენდეტა ვაჟა-ფშაველას პოემაში „სტუმარ-მასპინძელი“ ფრანგული კონტექსტით

ვახტანგ ინაური, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

ვაჟა-ფშაველას პოემის, “სტუმარ-მასპინძლის” პრობლემატიკა, სტუმარმასპინძლობის ფონზეა ასახული. ეს ათასწლეულებით ხალხის სულიერ და მატერიალურ ცხოვრებაში განმტკიცებული ტრადიცია ნათლად წარმოაჩენს ერის, ოჯახისა და პიროვნების კულტურას, ზნეობას, სიკეთის ქმნის უნარს, უფლისადმი სიყვარულსა და კაცთმოყვარეობას. პოემის მიხედვით სტუმარმასპინძლობის წესი არამარტო ქართველთა ტრადიციაა, არამედ კავკასიის ხალხთა საყოველთაო ჩვეულებაა და ამ წესის დაცვა საღვთო მოვალეობადაა მიჩნეული. სწორედ ამ საღვთო წესის აღსრულების გამო იქმნება “სტუმარ-მასპინძელში” კონფლიქტი, რომელიც დიდი ტრაგედიის მიზეზი გახდა.

ძნელია მოიძებნოს “სტუმარ-მასპინძლისთანა” ტრაგიზმითა და დრამატიზმით აღსავსე ნაწარმოები, ასეთი მძაფრი სიუჟეტური კონტრასტებით დატვირთული დრამა. აქ ერთმანეთს უპირისპირდება ჯოყოლას მაღალი ადამიანური იდეალები და ჯარეგას თემის მხეცური, ვერაგული და სულმდაბალი ქცევა.

ერთ მხარეს დგას ქისტი ჯოყოლა, მაჰმადიანი კაცი და მისი სტუმარი ხევსური ზვიადაური, ხოლო მეორე მხარეს – სოფელ ჯარეგას თემი. ვიზუალური და შინაგანი დაძაბულობის მხატვრული ექსპრესია პოემის დასაწყისშივე იგრძნობა. ავისმომასწავებელი ბუნების გარინდება და “გულამღვრეული მდინარე” ძმისმკვლელის სისხლმოწყურებული კაცის გამოჩენა ვიწრო ბილიკზე, სადაც “ფეხს ძლივს აცილებს ფეხზედა” და “სოფლის თავს სძინავს შავს ნისლსა” – სიმბოლურად მიგვანიშნებს ავტორის ჩანაფიქრს, რომ იმ კაცისთვის ვისაც სისხლი სწყურია ცხოვრება მძიმეა. გზა ცხოვრებისა ვიწროა და ძნელად სავალი.

ამდენად, მოსალოდნელია მისი ბედის ტრაგიკული განვითარება.

მთაში ღამის კოშმარი ბუნებრივად უძღვის წინ სტუმარმასპინძლობის ტრადიციის აღსრულების ტრიუმფს. ასეთ უსაშველო ღამეში კაცი გარეთ არ უნდა დარჩეს, იმ ღამეულ სიბნელეში ჯოყოლასა და ზვიადაურის შეხვედრა მხატვრული ფონია და ძალზედ დამაჯერებელი არგუმენტი, რომ ჯოყოლამ თავის სოფელთან შემხვედრი კაცი სტუმრად მიიწვიოს სახლში. ეს ძმისმკვლელის სისხლმოწყურებული კაცი სტუმრად იღებს ძმის

მკვლელს, მთელი დღის ამაოდ ნახეტიალებსა და ნადირობაში ცუდი ტაროსის გამო ხელმოცარულ ზვიადაურს.

ეს ფაქტი გასაგებია და ჯოყოლას მოქმედება ტრადიციულია ნებისმიერი კავკასიელისთვის, მაგრამ ერთმანეთისადმი ნდობის ფაქტი და ჯოყოლას ეჭვს ("მტერი არ იყოს ტიალი") გაფანტვა განპირობებულია ვაჟკაცის "კაი ყმის" "კაი ყმასთან" შეხვედრითა და მათ მიერ ერთმანეთში კაცურკაცობის შეცნობით. თუმცა ეს მნიშვნელოვანი პროცესი მეორადია და პირველადი სტუმარ-მასპინძლობის წესიდან გამომდინარეობს, რაც თავისთავად მეორადით – გმირთა კაცური ბუნებით საზრდოობს.

ჯოყოლასა და ზვიადაურის საუბარი, მათი ყოველი სიტყვა სიმამაცისა და სიკეთის დემონსტრირებაა. მათ ერთმანეთთან მშვიდობიან შეხვედრას ღამეც ხელს უწყობს, მათი წესით, ღამე იარაღის ხმარება ტაბუდადებულია. ამდენად, ერთმანეთისადმი თავდაპირველივე მშვიდობიანი საუბარი მათ მამაცობასთან ერთად ღამის სიბნელითაც არის ნაკარნახევი.

ღამით იარაღის ხმარება ვაჟკაცისთვის შეუფერებელია. იარაღს ღამით ყაჩაღი და ვერაგი კაცი იყენებს. დაღამებისას ნებისმიერი ბრძოლა წყდება. როგორი გააფთრებული, სისხლისმღვრელი შეტაკებაც არ უნდა იყოს, დაღამებისას ომი უნდა შეჩერდეს. ასეა გრიგოლ ორბელიანის "სადღეგრძელოში". ასეა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემაში "ბედი ქართლისა", ასეა ვაჟა-ფშაველას "ბახტრიონში" და სხვა.

ჯოყოლაც და ზვიადაურიც კარგი ვაჟკაცები და უშიშარი, მებრძოლი სულის ადამიანები არიან. ამდენად, ლოგიკურია, ისინი ღამით საბრძოლველად არ განეწყობოდნენ, მაგრამ სიფრთხილეს არ კარგავენ. ამიტომ მოიმარჯვებს ჯოყოლა სიათას, "მტერი არ იყოს ტიალიო,"–გაიფიქრებს იგი. მტერში, ამ შემთხვევაში, პირველყოვლისა, ბოროტი, ვერაგი კაცი მოიაზრება და არა პირადი მტერი.

უცნობ ადამიანთა შეხვედრისას განუზომელი მნიშვნელობა აქ სიტყვას, პირველ რიგში მათ ერთურთის სიტყვა უნდა მოეწონოთ, რომ მიენდნონ ერთმანეთს. წესიერი და მამაცი კაცი ამ ბნელ ღამეში ტყეში სიტყვამიგებით არკვევს მომხდურის ვინაობას და განზრახვას, ხოლო ავაზაკისთვის სიბნელე და უკაცრიელი ადგილი საუკეთესო ხელსაყრელი პირობაა თავდასხმისა და გაძარცვისათვის.

ჯოყოლა და ზვიადაურიც, როგორც წესიერი და მამაცი ადამიანები, სიტყვით ამყარებენ ურთიერთკავშირს. მათ ერთმანეთის მოძრაობა არ გამოჰპარვიათ და მიახლოებისთანავე დააფიქრეს ერთმანეთი. თითქოს ქვიშიან დაღმართზე ტყეში ძნელად სავალზე ორკაპი ჯოხით მომავალ ზვიადაურს უნდა გამორჩენოდა ბილიკზე მომავალი კაცის სიახლოვე, მაგრამ, არა, ის ფხიზელია, მისი მეომრული სმენა და ხედვა გზის სიძნელის მიუხედავად სწრაფად აფიქრებს ჯოყოლასთან მიახლოებას და პირველ სიტყვასაც ის ეუბნება შემხვედრს:

"ვინ ხარ, რა სულიერი ხარ,
რას იარები ამ დროსა?"

სიტყვა არის მკაცრი და ბევრისმთქმელი, რაც თავის თავში შეიცავს ეჭვს – ადამიანია ამ ღამით მოხეტიალი კაცი თუ ავი სული.

ასევე მკვეთრი, იჭვნეული და მტკიცეა ჯოყოლას პასუხი:

"ვინ გინდა? მონადირე ვარ,
კაცს შენ ვერ გხედავ სანდოსა."

მისი ეჭვი, გარკვეულწილად საფუძვლიანია: ზვიადაური ამ უდროოდ და უადგილოდ ბილიკზე კი არ მიდის, მიუვალი ტყის ქვიშიან დაღმართზე, სახიფათო სავალი ფერდობით ეშვება დაბლა. რაც ჯოყოლაში თავისთავად იწვევს ეჭვს, რომ ის უცხოა და უცხოობის გამო შეიძლება სანდო არ იყოს.

ზვიადაური თავისი მკაცრი, უშუალო ლოგიკით აბათილებს ჯოყოლას ეჭვს:

"რაობით სანდო არა ვარ?
სიტყვას რად ამბობ მცდარესა?
ვითომ რომ დავხეტიალობ
შენებრ ამ კლდიან მხარესა?"

იგი ამ სიტყვით უმტკიცებს ჯოყოლას, რომ ის ანალოგიურ მდგომარეობაშია, და თუ თვითონ სანდოდ თვლის თავს, ზვიადაურიც თავისთავად სანდოდ უნდა მიიჩნიოს. აი ამ მკაცრი ლოგიკით გაესაუბრნენ ისინი ერთმანეთს და, როდესაც ჯოყოლა გაიგებს ზვიადაურის

ხელმოცარული ნადირობის ამბავს, გზის შეშლას, რწმუნდება მის კაიკაცობაში და მხოლოდ ამის შემდეგ მიუახლოვდება და მიესალმება.

ჯოყოლამ, როგორც კი სანდო კაცი შეიცნო ზვიადაურში, ერთი მხრივ, მასპინძლად იგრძნო თავი, რადგან იგი თავის მშობლიურ სოფელ ჯარეგასთან შეხვდა უცხო კაცს და უცნობი ვინც არ უნდა ყოფილიყო, მისთვის სტუმარია, ხოლო, მეორე მხრივ, ფიქსირდება მონადირული ურთიერთობის ტრადიცია: ჯოყოლამ კარგად გაიაზრა, რომ ზვიადაური ხელმოცარული დარჩა იმ დღეს, ვერაფერი მოინადირა და თანაც გზა აერია. სწორედ ამიტომ ჯოყოლა მისალმებისთანავე გამოხატავს თავის მასპინძლურ თანაგრძნობას.

"– გამარჯობაო, – მისძახა, –
ნუ სჩივი, ნუ ხარ მწყრომარე!"

ამ სიტყვებში ჩანს, რომ იგი ამაოდ მოარულ მონადირეს უწილოდ არ დატოვებს და აუცილებლად უმასპინძლებს მას.

ასევე გულწრფელი და ვაჟკაცურია ზვიადაურის პასუხი მისალმებაზე, რომელიც შეიცავს ნადირობაში წარმატების სურვილსაც. ეს იყო ტრადიციული მონადირული პასუხი:

"შენც გაგიმარჯოს, ძმობილო,
ხოცო ნადირი მხტომარე!"

ჯოყოლა, რადგან მასპინძლად თვლის თავს, თავის ნანადირევს სთავაზობს ზვიადაურს, ეს მისი მხრიდან თანადგომის, ვაჟკაცობის და გულუხვობის ჟესტი იყო, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ მოკლულ ჯიხვის გაყოფა არ შეიძლება და არავის არანაირი წილი არ ეკუთვნოდა, მაინც ძმურად უწილადებს სტუმარს და თანაც ნანადირევის ნახევარს სთავაზობს:

"თუ გინდა ახლავ გავიყოთ,
როგორც ამხანაგთ ორადა,
ჩიჩქიც არ მინდა მე მეტი,
გავინაწილოდ სწორადა."

მასპინძლის ღირსებებზე მსჯელობა ტრადიციადაა ქცეული და ჯოყოლას მასპინძლობის თაობაზე ბევრი დაწერილა და კვლავაც ბევრი დაიწერება, მაგრამ ყურაღებამისაქცევია სტუმრის მიერ ქცევისა და სტუმრის წესების დაცვა, მისი, როგორც კაცის და პიროვნების ღირსებების წარმოჩენა სტუმარმასპინძლობის ფონზე. ამ მხრივ საკმაო მასალას იძლევა ზვიადაური სახე. მისი თავდაჭერილობა, მაღალი სული და თავმდაბლობა მასპინძელთან დამოკიდებულებაში.

ზვიადაურის მდგომარეობაში მყოფი სხვა იოლად დახარბდებოდა შეთავაზებულ ჯიხვს, აიღებდა წილს და წავიდოდა თავის გზაზე, მაგრამ ზვიადაური დიდი ადამიანური ღირსებებით შემკული გმირია, მან კარგად იცის მთის ცხოვრების წესი, ისიც გრძნობს, რომ მასპინძელი დიდებული ადამიანია და აუცილებლად შესთავაზებს მას ნანადირევს, მაგრამ ისიც კარგად იცის რომ არ უნდა მიიღოს წილი. ჯიხვი, რომელსაც ყელი გამოჭრილი და ფეხები ჩატყავებული აქვს, არანაირ გაყოფას აღარ ექვემდებარება. ეს რიტუალი მონადირის მიერ ნადირის მოკვლისთანავე სრულდება, რომ მოკლული ნადირი სისხლისგან დაიწრიტოს, ხორცი არ გაშავდეს და გემო არ დაკარგოს. აი ამ მომენტამდე თუ შეესწრო სხვა ვინმე, მაშინ ეკუთვნის მას წილი და მონადირე მოვალეა თავისი ნანადირევი გაუყოს იმ სხვას.

ეს ფაქტი აღწერილი აქვს ალ. ყაზბეგსაც რომანში "მამის მკვლელი."

ზვიადაური ღირსეულად იტყვის უარს შეთავაზებულ წილზე, რაც მის ადამიანურ ღირსებას კიდევ უფრო ღირსეულ ასპექტში წარმოაჩენს:

"– საცა არ მიხნავ, ძმობილო,
იქ ვმკო– ეს სადაურია?
ყელი მოგიჭრავ ჯიხვისთვის,
ფეხებიც ჩატყაულია."

ჯოყოლასთან ღირსეული შეხვედრის შემდეგ ეს მეორე ეპიზოდია, სადაც ზვიადაურის მაღალი ადამიანური ღირსებები ვლინდება, ხოლო მესამე ჯაყოლას მიერ სახლში მიპატიჟებაზე მისი თანხმობაა. ერთი შეხედვით ეს თითქოს უმნიშვნელო ეპიზოდია, მაგრამ რეალურად მის ქისტებთან ურთიერთობას თუ გავითვალისწინებთ, ეს თანხმობა სტუმრობაზე დიდ რისკთანაა დაკავშირებული და გმირობის ტოლფასია. ბუნებრივია, მას ძალიანაც არ უნდოდა ქისტების სოფელში სტუმრობა, მაგრამ სტუმარმასპინძლობის წესის

დარღვევა მისთვის დაუშვებელია. მან უნდა მიიღოს ჯოყოლას მიწვევა, თუკი ის მას მშვიდობიანად და მოყვრულად უყურებს, უარის თქმის შემთხვევაში იგი ჯოყოლასთან არა მოყვრულ, არამედ მტრულ პოზიციას გამოხატავდა. სტუმარმასპინძლობის ლოგიკა მკაცრია, ამ ბნელი ღამეში მთელი დღე კლდე-ღრე ნახეტიალები კაცი, "ძლივს რომ დაათრევს ფეხებს", სტუმრობაზე თუ უარს იტყვის, ე.ი. ის მასპინძლისა და მისი ხალხის მტერია. ეს ერთი და, მეორე, მან კარგად იცის სტუმარი რომ ხელშეუხებელია და იგი პატივით უნდა ისტუმრონ და პატივით გაისტუმრონ. ამდენად უარის თქმა ძალიან დამამცირებელი იქნებოდა როგორც მისთვის, ასევე ჯოყოლასთვის, რომელიც ჯიხვთან ერთად სახლში სტუმრობას ისეთი გულით და არგუმენტებით სთავაზობს, უარის თქმა შეუძლებელია"

– "სახლი აქ ჯარეგას მიგდა,
ქავი და ციხე კარადა.
ამაღამ ჩემთან წამოდი
მე გაგიძღვები თავადა.
თუ კარგად არ დაგიხვდები,
არც დაგიხვდები ავადა.
ხვალ თითონ იცი, ძმობილო,
საითაც გინდა იარე "

ზვიადაური ჯოყოლაში ხედავს ღირსეულ კაცს, მასპინძელსა და უყოყმანოდ თანხმდება სტუმრობაზე:

"გესტუმრო, უარს არ გეტყვი,
გიშველი ჯიხვის ზიდვასა,
წილს კი არ მოგთხოვ იცოდე,
თავს არ ვაკადრებ იმასა."

ზვიადაური ჯოყოლასთან შეხვედრისას თავისი სახელის დამალვით და სხვა უცხო სახელით გაცნობით ერთგვარ ჩრდილს აყენებს თავის ავტორიტეტს და სიცრუის თქმით სცოდავს, რითაც არღვევს უფლის მცნებას: "არა იცრუო!"

ცოდვა კი უკვალოდ არ ჩაუვლის მის ჩამდენს. თანაც მას იმ დროს აკეთებს ზვიადაური, როდესაც ჯოყოლა გაეცნობა ეტყვის:

"– ჯოყოლა მქვიან, ძმობილო,
ალხასტაისძე გვარადა,
არ მოგვიხდება, ერთურთში
სიტყვა ვიუბნოთ მცდარადა."

სხვა სახელით გაცნობა განპირობებულია არა მხოლოდ იმით, რომ მან "ბევრ ქისტს მააჭრა მარჯვენა, უდროდ საფლავში ჩალალა," (მას მტრობის და ბრძოლის არ ეშინია), არამედ იმით, რომ იგი მშვიდობიანად და მოყვრულად იღებს ჯოყოლას, როგორც ღირსეული კაცი ღირსეულ კაცს, არ უნდა მასთან მტრობა. ის უსაფუძვლოდ და უსამართლოდ იარაღს არ იხმარს.

ჯოყოლას სახლში მისვლა ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ეპიზოდია, რომელშიც ზოგადადამიანური ურთიერთობების აპოთეოზს აღწევს. უკვე სახლში მისული მაჰმადიანი მასპინძელი ჯოყოლა ქრისტიან ზვიადაურს ეუბნება:

"– აი ეს ჩემი ოჯახი,
ჩემი ციხე და სახლია,
მობრძანდი, როგორც ძმა ძმასთან.
ნათლიმამასთან ნათლია!"

ეს სიტყვები მოწმობენ, რომ რელიგიური სხვაობა შუღლის და მტრობის მიზეზი არ არის და კეთილმეგობრულ ურთიერთობებზე უარყოფითად არ მოქმედებს. ჯოყოლა სტუმარს იწვევს, ისეთივე პატივისცემით, როგორც ის მიიწვევდა ზვიადაურს მაჰმადიანი რომ ყოფილიყო (ნათლიმამასთან ნათლია). ის იწვევს სტუმარს არა მხოლოდ, როგორც საპატიო და საპატივსაცემო კაცს, არამედ ისე, როგორც ნათლიმამა ნათლიას.

ჯოყოლას მიერ ზვიადაურის სტუმრად მიღების რიტუალი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სტუმარმასპინძლობა საღვთო წესია. ამ აზრს ამტკიცებს ჯოყოლას მიმართვა ცოლისადმი:

"– აი, სტუმარი მოგგვარე, –

ღვთის წყალობაა ჩვენზედა.”

სტუმარი ოჯახში ღვთის წყალობადაა მიჩნეული, მთის წესით სახლზე, რომელსაც სტუმარი ეწვია, უფლის მადლია გადასული.

ასევე რიტუალურია აღაზას მისალმება ზვიადაურისადმი:

“– სტუმარო, მოხვედ მშვიდობით!”

რომელსაც სტუმარი რიტუალის შესაბამისად პასუხობს:

“– შენდაც მშვიდობა,
გაცოცხლოს თავის ქმრითა და წილობით!”

ამასთანავე, სახლში შესვლამდე იგი ყველაზე მნიშვნელოვან რიტუალს ასრულებს, ეს არის იარაღის ახსნა და მასპინძლისთვის ჩაბარება. ამ წესს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სტუმრის მშვიდობიანი, მოყვრული დამოკიდებულებისა და მისი მასპინძლისადმი კეთილგანწყობისა და ნდობის გამოხატვისთვის.

მთაში სტუმრობის რომანტიკული რიტუალი, მცირესიტყვაობა და მრავლისმთქმელი თავდაჭერილი ურთიერთობა, სანიმუშო და მისაბაძი მანერები თბილ და სასიამოვნო ლეგენდასავით რჩება ხსოვნაში.

ძნელია ასეთი სტუმრობისა და მასპინძლობის შემდეგ იფიქრო, რომ იქ გაუგებარი კოშმარი დატრიალდება და ეს მშვიდობიანი, აღმაფრენისა და რომანტიკული განწყობილების მომგვრელი სტუმრობა სისხლიანი ძალადობითა და მხეცური კაცისკვლით დასრულდება.

სტუმარმასპინძლობის საღვთო წესს უპირისპირდება სისხლის აღების მკაცრი წესი – ვენდეტა.

ვენდეტის ერთ-ერთი მახასიათებელია მოსისხლეთა დაუნდობლობა, შეურიგებლობა და სიძულვილი. ეს ნათლად ჩანს, როგორც ვაჟას, ისე ბალზაკისა და მერიმეს შემოქმედებაში.

„სტუმარ-მასპინძელში“ ჯარეგას თემის მოქმედება სრულად წარმოაჩენს მის დაუნდობელ დამოკიდებულებას ზვიადაურთან, რაც ჯოყოლას სახლში დროული ქისტის ზვიადაურთან შეხვედრის პირველივე წუთიდან იწყება. იგი დიდი ძალისხმევით შეძლებს თავშეკავებას ზვიადაურზე თავდასხმისაგან. მისი ხელი დანისკენ თავისთავად მიიწევდა, მგლის ფერი დაედო. თუმცა სძლია მტრობასა და სისხლის წყურვილს, მაგრამ შემდეგ უფრო შემზარავად, გაორმაგებული სიძულვილითა და დაუნდობლობით გადაუხადა სტუმრად მიწვეულ ზვიადაურს.

მუსა თავის მტრულ განწყობას, ზიზღს ხევსურისადმი ნათლად გამოხატავს ჯოყოლასთან დიალოგის დროს. არც სტუმარმასპინძლობის საღვთო წესი ახსოვს და არც კაცური ზნეობა. ისე შეიჭრა თანატომელის, თემის საუკეთესო ვაჟკაცის, ჯოყოლას, სახლში. იგი ტყუილსაც კადრულობს შურისძიების მიზნით და თემს არწმუნებს, რომ ზვიადაური სოფელში შეიპარა, თუმცა კარგად იცის, რომ ჯოყოლამ მიიწვია იგი სტუმრად. ასევე ლაჩრული და ვერაგულია მუსას მხრიდან ის ფაქტი, რომ მთელი სოფელი ერთ კაცს მიესია, სხვის სტუმარს, უიარაღოს და თანაც მძინარეს. თუ მას გული ერჩოდა და არ იყო მხდალი, თანასწორ პირობებში უნდა შებრძოლებოდა ზვიადაურს, მან კი აირჩია შურისძიების გზა, მაგრამ არავაჟკაცური, სამარცხვინო, მზაკვრული. ამ აზრს უფრო ამტკიცებს მის მიერ ჯოყოლას სახლში ჯაშუშის შეგზავნა ზვიადაურის საძინებელი ადგილის დასაზვერავად.

მუსას შურისძიება ზვიადაურზე ადასტურებს, რომ ვენდეტა ქისტურად გამორიცხავს სტუმარმასპინძლობის წესს, მიტევებას, შერიგებას და არ ცნობს ვაჟკაცურ და რაინდულ ზნეობასა და ნორმებს.

მუსასთვის გამორიცხულია ზვიადაურის დანდობა და სიბრალული. მით უმეტეს მასპინძელი ჯოყოლა სთხოვს დაინდოს მისი სტუმარი ზვიადაური. მუსა თავისი სიძულვილს ზვიადაურისადმი რელიგიურ სპექტრშიც წარმოაჩენს. იგი ჯოყოლას საყვედურობს:

„თავს რად იმურტლავ ბეჩავო,
გაუმაძღარის ღორითა?
გული როგორ არ გერევა
მაგასთან ჯდომა-ყოფნითა?!”

მუსა თავის ზიზღს აკონკრეტებს, რომ ზვიადაური ქრისტიანია (გიაური) და მასთან ყოფნა მუსულმანის წაბილწვაა, მისი დაცვა დაუშვებელია ჯოყოლასთვისაც. „ამ გიაურის გულისთვის ძმებსაც ეპყრობი მტერადა“- ეუბნება მუსა ჯოყოლას. რაც ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ქრისტიანი ზვიადაური როგორც მხეცი, ორმაგად საძულველია მაჰმადიანი მუსასთვის.

პოემის ამავე ეპიზოდში ასევე დაუნდობლად, ოღონდ გაბედულად და მამაცურად ახორციელებს ჯოყოლა თავისი ოჯახისა და კაცური ღირსების შელახვით გამოწვეულ შურისძიების წესს. მუსას მიერ მისი სახლის შეგინებასა და პირადი ღირსების შეურაცხყოფით გაცოფებული იქვე,

თავის სახლში განგმირავს მუსას, ამას ვაჟკაცი კაცი ყოველთვის ერიდებოდა. მას არ უნდოდა თავის სახლში სისხლის დაღვრა, მაგრამ მტრად მოსულ მუსას და მისგან პირად შეურაცხყოფას („აჰყეფდი ქოფაკივითა, აბდა-უბდაობ შტერადა"), ჯოყოლამ ხანჯლით უპასუხა და ვადამდე ჩასცა გულში. ეს იყო შურისძიების ექსტრემალური გამოვლინება ექსტრემულ სიტუაციაში, ეს ფაქტი გვიდასტურებს რომ შურისძიება მხოლოდ განსხვავებული რწმენის მტერზე კი არ ხორციელდება, არამედ თანატომელზეც, ერთმორწმუნე თანასოფლელზეც, თანაც ხორციელდება ერთნაირი დაუნდობლობით და შეუვალობით.

მუსას სიკვდილი არ ანელებს ჯარეგას შურისძიების წყურვილს, მათ ზვიადაური სასაფლაოზე მიჰყავთ თავიანთი მკვდრის დარლას საფლავზე დასაკლავად. ეს კოლექტიური აქტი იშვიათი შემთხვევაა. მთელი სოფელი ერთ კაცს სისხლის აღების მიზნით სასაფლაოზე კლავს.

„მოჰყავდათ ზვიადაური,
ხელშეკონილი გროვასა;
ყველას უხარის მის მოკვლა,
ან ვინ დაიწყებს გლოვასა?"

ძნელია მოიძებნოს მკითხველი, რომელსაც ეს ფაქტი სიამოვნებას მოჰგვრის. პოეტი სამწუხარო აზრს გამოთქვამს ამ ეპიზოდის ასახვისას;

„სიკვდილი ყველას აშინებს,
სხვას თუ ჰკვლენ, ცქერა გვწადიან,
კაცნი ვერ ჰგრძნობენ ბევრჯელა,
როგორ დიდ ცოდვას სჩადიან".

კაცის მოკვლის ცქერა ცოდვად მიეთვლება ილიას მოთხრობის "სარჩობელაზედ" პერსონაჟს, პიტერს. ფრანგულ პროზაში გვხვდება შურისძიების ფაქტები მაგრამ ასეთი კოლექტიური შურისძიება არ /ფიქსირდება, სხვა ნიშნები კი დაუნდობლობა, შეუბრალებლობა, ჟინი და სწრაფვა სისხლის აღებისა მტერზე ანალოგიურია,

ბალზაკის მოთხრობა „ვენდეტა" კორსიკაზე მომხდარი სისხლის აღების ფაქტის საინტერესო ინტერპრეტაციაზე გვიამბობს. ბართლომე, რომელმაც კორსიკაზე ამოწყვიტა თავისი მტრის ოჯახი, შეიძლება ითქვას, ვენდეტით დაავადებული პერსონაჟია. იგი მუსასავით დაუნდობელი და სასტიკია მტრის მიმართ, თუმცა თვითონ პორტების ოჯახთან შერიგების მომხრე იყო, მაგრამ პორტები, მოთხრობის მიხედვით, მოჩვენებით, მზაკვრულ, სისხლის აღების მიზნით შეურიგდნენ ბართლომეს და წარმოუდგენელი სისასტიკით გაანადგურეს მისი ოჯახი. მაგრამ ასევე წარმოუდგენელი სისასტიკით ანადგურებს მათ ოჯახს ბართლომე. ბართლომეს კოშმარული ვენდეტა სრულად ჩანს ნაპოლეონთან საუბრის დროს.

აქაც გვხვდება ვენდეტაში სხვა პირების მონაწილეობა. მაგრამ ეს მხოლოდ დახმარებაა ბართლომესთვის მეგობართან გაწეული სამსახურის გამო და არა ეთნიკურ-რელიგიური ნიშნით გამწვავებული შურისძიება, როგორც ეს პოემა „სტუმარ-მასპინძელშია" ასახული, სადაც რელიგიური და ეთნიკური სხვაობა უფრო აღრმავებს შურისძიების წყურვილს. ალბათ, ამიტომაც სოფლის თემი მთლიანად მონაწილეობს მათ მიერ მტრად მიჩნეული განსხვავებული რწმენის ქრისტიან ზვიადაურზე შურისძიებაში. აქ იქამდე მიდის ვენდეტა, რომ მოლა აკურთხებს ზვიადაურის დაკვლას სასაფლაოზე. თავიანთი მკვდრის მოსახსენებლად.

„მოლა მოჰყვება ლოცვასა
იხსენებს თავის მკვდარსაო".

არც ერთ ნაწარმოებში ქრისტიანი მღვდლის, ან სხვა სასულიერო პირის მონაწილეობა არ ფიქსირდება კაცის კვლის, ან სხვა ძალადობის აქტში. მოლის მონაწილეობას ზვიადაურის მკვლელობას და მის მსხვერპლად შეწირვას მკვლევარი აპ. მახარაძე მუსლიმანურ წესად მიიჩნევს. ეს საკითხი ცალკე შესასწავლია. მაგრამ ის კი ფაქტია, რომ სისხლის ღვრა და მკვლელობაში ქრისტიანი მღვდლის მონაწილეობა წარმოუდგენელია.

მოსისხლეთა შერიგების ფაქტი უშედეგოა. როგორც ბალზაკთან, ასევე პროსპერ მერიმესთან და შატობრიანთან, ისე ვაჟა-ფშაველასთან. მუსა კარგად ხვდება, რომ ჯოყოლა და ზვიადაური უკვე მეგობრები არიან, მათ გაუგეს ერთმანეთს, შეიცნეს ერთმანეთში ვაჟკაცური სული და ისინი ერთმანეთისთვის ძმობილები არიან.

ეს მუსასა და თემისთვის მიუღებელია, რადგან მათი ძმობის აღიარება ზვიადაურთან თემის შერიგებას გულისხმობს. ამას კი ისინი არასოდეს დათანხმდებიან. შენდობა მტრისა დაუშვებელია და ამ მკაცრ და სასტიკ წესს განუყრელად იცავენ ქისტები. მათ მაინც შეიპყრეს და მოკლეს ზვიადაური,

რაც მიგვანიშნებს, რომ მათთვის ვენდეტა სტუმარმასპინძლობაზეც და ძმობა-მეგობრობაზეც მაღლა დგას.

შერიგება ფიქციაა ბალზაკის „ვენდეტასა“ და მერიმეს "კოლომბაშიც". ბართლომე შეარიგეს პორტებთან, აღნიშნეს კიდეც ეს ფაქტი, „ძველი შუღლი ღვინოში ჩაახრჩვეს“. მაგრამ ეს შერიგებაც სისხლის აღების მიზნით გამოიყენეს, გადაუწვეს სახლი ბართლომეს და შვილი მოუკლეს.

ასევე მერიმეს „კოლომბაში“ პერფექტმა შეარიგა ორსო ბარიჩინებთან, მაგრამ ამაოდ. მიუხედავად იმისა, რომ პორტებსა და ბარიჩინებს თვითონ ემართათ სისხლი, ისევ თვითონ ესხმიან თავს. თუმცა თვითონვე იღუპებიან.

თუ ბალზაკის რომანში სიყვარული ვენდენტაზე მაღლა დგას და შეყვარებულები მოსისხლე მტერთა ოჯახების შვილები ლუიჯი და ჯინევრა ქორწინდებიან, მართალია უიღბლოდ, მაგრამ მაინც შეუღლდებიან. შატობრიანის მოთხრობის „უკანასკნელი აბენსერაჟის" გმირები მავრი და ბლანკა თვითონ ვერ სძლევენ ვენდეტის დაუწერელ კანონს. მათ სძლიეს რელიგიურ დოგმებს მაჰმადიანი აბენსერაჟი და ქრისტიანი ბლანკა თანახმანი არიან ქორწინებაზე. მაგრამ ვერ სძლიეს XIV საუკუნეში ბლანკას წინაპრის სიდის მიერ აბენსერაჟის წინაპრის, მეფის ორთაბრძოლაში მოკვლის შემდეგ არსებულ ვენდეტას.

ბალზაკის „ვენდეტას“ ფინალში ვლინდება ვენდეტას მთელი სიმკაცრე. ბართლომეს შემაძრწუნებელი გულცივობა მისი ყოფილი მოსისხლე პორტების უკანასკნელი მემკვიდრის ახალგაზრდა ლუიჯისა და მისი მეუღლის ბართლომეს ქალიშვილის ჯინეტის მიმართ. ბართლომე, როგორც კი გაიგო, რომ მისი ქალიშვილი პორტას მიჰყვება ცოლად, ჯერ იმ ფაქტმა მონუსხა, რომ მის მიერ ამოწყვეტილი პორტებიდან გადარჩენილა ლუიჯი, რომელიც მან თავისი ხელით მიაბა საწოლზე და ისე წაუკიდა ცეცხლი მთელ სახლს, ხოლო მერე მისი ქალიშვილის მოსისხლე პორტაზე ქორწინებამ. ისევ გაიჟღინთა ბართლომეს მთელი სხეული შურისძიების რისხვით, უმალ შეეცვალა სახე და იმ დღიდან მისი ვენდეტა შვილზეც ხორციელდება, თუმცა ეს არის მატერიალური ვენდეტა, ის არ ეხმარება უსახსროდ დარჩენილ, შიმშილის პირას მყოფ ქალიშვილსა და მის ოჯახს. ქალიშვილს, რომელიც სიცოცხლეს ერჩია და რომელიც შიმშილითა და გაჭირვებით კვდება თავის ჩვილ ბავშვთან ერთად, რითაც ვენდეტის ულმობელ წესს ასრულებს, თუმცა ეს ბართლომეს დიდი სულიერი ტანჯვისა და გვემის ფასად უჯდება. მაგრამ უკან არ იხევს, არც სიბრალულს იმჩნევს და არც ნანობს, მისი სისასტიკე უფრო ნათლად ჩანს იმ დროს, როდესაც სიძე, შიმშილისგან გამოსავათებული, ძლივს მიაღწევს ბართლომეს სახლამდე, რომ ჯინევრას და მისი ბავშვის სიკვდილი აცნობოს. იგი დაეცემა და მოკვდება. ეს შემზარავი ფაქტი ბართლომეში არც თანაგრძნობას იწვევს და არც ოდნავ ადამიანურ განცდას. პირიქით, მან დახედა მკვდარ ახალგაზრდა კაცს, თავის სიძეს, თავისი შვილიშვილის მამას, რომელიც მის ქალიშვილს უყვარდა და თქვა: „ესეც მოკვდა. ერთი ტყვია დაგვიზოგა“. ისეთ ტრაგიკულ წუთებშიც კი, როდესაც ბართლომე იგებს შვილისა და შვილიშვილის სიკვდილს, ფარულადაც კი არ გამოხატავს წუხილს, იგი კვლავ ვენდეტის ტყვეობაშია და კვლავ სისხლის აღების ჟინით არის შეპყრობილი. ბალზაკის მოთხრობაში „ვენდეტა“ ეს პასაჟი სრულიად ორიგინალურია და მისი ანალოგი არ ფიქსირდება სხვა მწერალთა ნაწარმოებებში.

ლიტერატურა:
1. ვაჟა-ფშაველა, "სტუმარ-მასპინძელი", ტ. 11, 1988.
2. ონორე ბალზაკი, "ვენდეტა", რჩეული თხზულებანი, 1974.
3. პროსპერ მერიმე, "კოლომბა", ნოველები, 1978.
4. აპოლონ მახარაძე, "ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან", 1967.
5. "ყურანი," 1977.
6. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, "სარჩობელაზედ", ტ. II, 1985.
7. დავით წოწკოლაური, "ვაჟა-ფშაველას ეპოსის წყაროებისა და მხატვრული სტრუქტურის საკითხები" 1982.

რეზიუმე

ვაჟა-ფშაველას პოემებში, „სტუმარ-მასპინძელსა“ და „სისხლის ძიებაში“ ვენდეტა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. ეს ტრადიცია თრგუნავს სტუმარ-მასპინძლობის, ადამიანის ზნეობისა და ოჯახის უფლებებს.

ამ პოემებში ასახული ვენდეტა ძირითად ასპექტში ემთხვევა პროსპერ მერიმეს „კოლუმბსა“ და ონორე ბალზაკის ვენდეტაში მოთხრობილ, სისხლის აღების ჩვეულებას.

VISITING RITUAL AND VENDETTA IN VAZHA-PSHAVELA'S POEM "THE GUEST AND THE HOST" WITH FRENCH CONTEXT

Vakhtang Inauri, Specialist by Contract, Doctor

RESUME

In the poems by Vazha Pshavela "the Guest and the Host" and "In the Search of Blood" vendetta is one of the most important problems. This severe tradition restrains guest and hostness.

The vendetta described in the poem in the basic aspect coincides with the custom of blood feud described in the novels by Prosper Merime "Kolomba" and "Vendeta" by Onore de Balzakw.

მართლკითხვისა და მართლწერის საკითხები გაიოზ რექტორის „ქართულ ღრამმატიკაში"

მარიამ კობერიძე, პროფესორი

გაიოზ რექტორი ქართული კულტურის ისტორიაში ცნობილია, როგორც მეთვრამეტე საუკუნის თვალსაჩინო სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწე, თელავის სემინარიის პირველი რექტორი, მეტად ნაყოფიერი მთარგმნელი და მკვლევარი, ,,ქართული გრამმატიკის" ავტორი. იოანე ბატონიშვილის დახასიათებით, იგი იყო ,,კაცი ფრიად განსწავლული", რომელიც ,,ჟამსა ამას ძვირფასობდა ქვეყანასა საქართველოჲსასა და ამის შემდგომად, ღმერთმან უწყის, დაშთებაღა მჰსგავსი ამისი მეცნიერი ქვეყანასა ჩვენსა" (ი. ბატონიშვილი, 1948: 192).

გაიოზის ცხოვრების, მოღვაწეობისა და შემოქმედების შესახებ მეტად მნიშვნელოვანი მოსაზრებები აქვთ წარმოდგენილი ი. ბატონიშვილს (1948), ა. ცაგარელს (1994), ა. ხახანაშვილს (1919), ნ. მთვარელიშვილს (1901), კ. კეკელიძეს (1941), ო. თედეევას (1965), გ. თავზიშვილს (1948), ე. ნიკოლეიშვილს (1966), მ. დარჩია (1972), ალ. ფოცხიშვილი (1979) და სხვ., მაგრამ ეს მოსაზრებები მისი ბიოგრაფიული მომენტების შესახებ სადაოა და ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული. სავარაუდოა დაბადების თარიღი (1739, 1746) და გვარი (ოთხი ვარიანტი: ბარათაშვილი, თაყაიშვილი, ნაცვლიშვილი, ვაგოშაშვილი). სავარაუდოა, მისი ,,ქართული გრამმატიკის" დაბეჭვდის თარიღიც -1796-1804 წლებს შორის, მოზდოკი.

გაიოზი ანტონ კათალიკოსის მოწაფე იყო და ცხადია, მისი გრამატიკა ვერ ასცდებოდა გავლენას, რომელიც თავს იჩენს როგორც გრამატიკისა და მისი ნაწილების განსაზღვრაში, ისე ტერმინოლოგიისა და ცალკეულ საკითხთა გაგებაში. იგი პირდაპირ მიუთითებს ხოლმე: ,,იხილენ ვრცლად დიდსა შინა ღრამმატიკასა ანტონისასა" (გ. რექტორი, 1970: 141). მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ გაიოზის გრამატიკა განსხვავდება როგორც აღნაგობით, ისე ცალკეულ საკითხთა გაგების მხრივაც. მასში ბევრი ორიგინალური და საყურადღებო მოსაზრებაა (ე. ნიკოლეიშვილი, 1965: 162).

ამავე დროს გაიოზის გრამატიკა, რომელიც მოსწავლეთა ფართო წრისათვის იყო გამიზნული, დაწერილია უფრო მარტივად და გასაგებად, ვიდრე ანტონის გრამატიკა. იოანე ბატონიშვილის გადმოცემით, თურმე თვითონ ანტონი ,,გაიოსს უწოდდა კარგსა მასწავლებელსა და მოძღვარსა და ადვილად ძნელთა განმმარტებელსა მოწაფეთადმი თვისთა" (ი. ბატონიშვილი, 1948: 192). გაიოზის ეს უნარი კარგად ჩანს სწორედ მის გრამატიკაში. ,,ასეთი წიგნი უფრო კარგად გამოდგებოდა სასწავლო მიზნებისათვის, ამას უნდა მიემატოს სიახლე და თანმიმდევრულობა მასალის დალაგებაში, ნათელი და

იოლად გასაგები ენა, რაც, საბოლოოდ, სასკოლო საქმეში მის უთუო უპირატესობას განაპირობებდა" (ალ. ფოცხიშვილი, 1979: 156).

ყოველივე ამის გამო გაიოზის ქართული გრამატიკა და მასში დასმული პრობლემური საკითხები საგანგებო ყურადღებას იმსახურებს. ის მომცრო ფორმატისაა, შეიცავს 143 გვერდს. წიგნი შედგება შესავლისა და სამი ნაწილისაგან: **I თჳს ვითარებითთა ცნობათა ნაწილთა სიტყჳსათა საზოგადოდ; II თჳს სინტაქსისა ანუ აღნაქუსისა; III მართკითხჳსა (პროსოდიისა) და წერისათჳს (ორთოღრაფიისა).**

შესავალს უჭირავს პირველი ოთხი გვერდი. აქ გაიოზი იძლევა გრამატიკის განმარტებას, გამოყოფს მის ძირითად შემადგენელ ნაწილებს, როგორიცაა: წიგნი (ასო), მარცუალი, ლექსი (სიტყვა) და სიტყუა (წინადადება). შესავალშივე ავტორი აღნიშნავს, ორმოცი ასო გვაქვსო და იძლევა მათ მრგვლოვან, კუთხოვან და მხედრულ დაწერილობას სახელწოდებებთან ერთად. აქ ავტორი ეხება გამოთქმის მკაფიობას, მარცვალთა და სიტყვათა გადატანის წესებს, სასვენ ნიშნებს, დაქარაგმების საკითხებს და სხვას.

საინტერესო დაკვირვებით და ზოგი საკითხის ორიგინალური გაშუქებით გამოირჩევა გაიოზის გრამატიკის მესამე ნაწილიც. ის გრამატიკის მესამე ნაწილის პირველ თავში -,,მართლკითხჳსათვის, ესე იგი არს პროსოდიისა" - განიხილავს მართლკითხვის საკითხებს. მისი აზრით, მართკითხუა (პროსოდია) ასწავებს ნამდჳლსა გამოღებასა მარცუალთასა. გაიოზს შეუნიშნავს ქართული ენის ერთ-ერთი დიდი ღირსება, რომ წერასა და მეტყველებას შორის სხვაობა არ არსებობს. მისი დაკვირვებით, ქართულ ენას სხვა ენების მსგავსად არა აქვს მკვეთრად გამოხატული მახვილი. ,,ქართულსა ენასა ბუნებითისა ძლით ჴმარებისა არა აქუს საჭიროება დადებად კანონთა მართლგამოღებისა მარცუალთასა, ვითარცა სხუათა ენათა, რამეთუ იგინი, თჳნიერ ზედა-დასხმისა ნიშანთასა მარცუალთა ზედა, ვერ გამოიღებენ მარცუალთა, თუ სადა ჯერ-არს ამაღლებად ჴმისა, ანუ წაკურად ჴმისა, და ამასთანა არიან მრავალნი ესევითარნი ლექსნიცა მათ შორის, რომელნიცა, უკეთუ ჴმის აკურისა ანუ დამდაბლებისა ძლით არა გამოღებულ იქნენ მარცუალნი მისნი, ვერ მოჰსცემენ მსმენელთა ნამდჳლსა შემეცნებასა ლექსისასა, და ესე უმეტეს ცხად იქმნების მათდა, რომელთაცა უწყიან სხუანი, რომელნიმე ენანი" (გ. რექტორი, 1970: 150). ამ მონაკვეთში დასმულია საკითხი მახვილის ფონოლოგიური ღირებულების შესახებ ზოგ ენაში, ალბათ, რუსულის გათვალისწინებით (ალ. ფოცხიშვილი,1979: 190).

გაიოზი იქვე მიუთითებს, რომ, მართალია, ქართულს მახვილი ასეთი ღირებულებისა არა აქვს, მაგრამ მაინც ,,თუმცა უგუან არს და ურჩხ სასმენელთა შინა, უკეთუ ჴმა სხჳთა ჴმოვანთა აჰკრას და არა მით, რომელთაცა ზედა აქუნნ ზემო ნიშნად მახჳლნი; მაგალ, მარი'ამ, პეტრე', ვჰქადაგე'ბ და სხუანი" (გ. რექტორი, 1970:150). მოტანილ მაგალითებში ძირითადად სწორადაა მითითებული ქართული ენის მახვილის ადგილმდებარეობა, რაც მეტად მნიშვნელოვნია და სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული არაა (ალ. ფოცხიშვილი, 1979: 190).

ის მართლკითხვისათვის აუცილებელ წესად მიიჩნევს, რომ ერთი ბგერის ნაცვლად სხვა მსგავსი ბგერა არ ვთქვათ. ,,მართლკითხუასა შინა ჯერ-არს დაცუად რაჲთა ასონი ურთიერთისა ჴმითა არა გამოიღებდნენ: მაგალ. ბ პარისა და პ ფარისა ჴმითა და ვ ნაცულად უ და ჳესა, არამედ ყოველნი თჳსთა საკუთარითა ჴმითა გამოიღებოდინ ბაგით შესაბამითა მოძრავობითა და არცა მქისედ". აქვე უთითებს ,,იხილე დიდი ღრამატიკა ანტონისა, პროსოდიისათჳს" (გ. რექტორი, 1970, გვ. 151). ამ საკითხში გაიოზი ფაქტობრივად ანტონის მოსაზრებას ავითარებს.

განსაკუთრებით მნიშვნელობას ანიჭებს მარცვალს: ,,სათანადო არსუჷ სიმკაცრედ, რაჲთა კითხუასა შინა ლექსთა არა მოეკუჷთებოდნენ მარცუალნი და სხჳსადმი ლექსისა არა შეერთებოდნენ, რომელიცა მსმენელისა ჰაზრსა ყოვლითურთ აღრევს; მაგალ, სიტყუასა, მოციქულო, ღმრთისასა მსახურებდი, -და არა: სიტყუა სამოციქულო ღმრთისასა ჰმსახურებდი" (გ. რექტორი, 1970: 151).

გაიოზი მართლკითხვის ანუ პროსოდიის წესების განსაზღვრისას უახლოვდება წინა გრამატიკებს, მაგრამ მათგან განსხვავებით უფრო ვრცლად მსჯელობს. საბას განმარტებით: ,,პროსოდიანი ათნი იგი ნიშანი ქარგმათანი" (საბა, 1991: 630). ფრანცისკ მარია მაჯოს გრამატიკაში საუბარია პროსოდიაზე, მაგრამ აქ განხილულია მხოლოდ მახვილიანი და უმახვილო ბგერები. ანტონი ლაპარაკობს ,,პროსოდიაზე", რომელიც ,,არს ოხვრა რაიმე წყობითი, გამოღებასა შინა ასოთა მარცვალთა, ლექსთა და სიტყვათა" (ანტონი, 1885: 285). ანტონი მართლკითხვის საკითხებს ბგერათა წარმოთქმასთან დაკავშირებით განიხილავს და ბგერათა წარმოთქმაში გაარჩევს: მოხრილს, მახვილს, გრძელს, მოკლეს, ბრჯგუს, ლბილს და ლიტონს (ანტონი, 1885: 102-106). გაიოზს მისგან განსხვავებით, მართლკითხვისათვის მნიშვნელოვნად მიაჩნია არა მარტო მახვილი, მარცვალი, არამედ იმისი ცოდნაც, რომ ერთი ბგერის ნაცვლად სხვა ბგერა არ ვთქვათ და სიტყვა სწორად წარმოვთქვათ.

მეორე თავში განხილულია **,,თჳს მართლწერისა (ორთოღრაფიისა) და პირუჱლად წერისათჳს ასოთა ანუ წიგნთასა".** გაიოზის აზრით, მართლწერის კანონთაგან საჭიროა ასოების ზუსტი გამოხატვა, გადაბმა, გადატანა და ქარაგმა. ,,მართლწერა ასწავებს კანონიერსა გამოხატუასა წერით ასოთა, მარცუალთა, ლექსთა და სიტყუასათასა". აქვე უთითებს სხოლიოს. ,,კანონთათჳს მართლწერისათა სათანადო არს დაცუად ნაკუჱთნი სხუანი და სხუანი წიგნთანი, გარდაბმანი ანუ გარდატანანი მარცუალთა და ლექსთანი და ნიშანნი სტრიქონთა და ქარაგმათანი" (გ. რექტორი, 1970: 151).

მართლწერის წესებიდან გაიოზი ყურადღებას ამახვილებს ასომთავრულთა ხმარების საკითხზე. იგი მოითხოვს, რომ წიგნის მუხლები ან პერიოდები (აბზაცები) და ტექსტის ყოველი ტაეპი იწყებოდეს ასომთავრულით. ასომთავრულით უნდა იწყებოდეს აგრეთვე საპატიო პირთა (,,მაღალთა გუამთა") სახელები და მათი შემცვლელი ნაცვალსახელები, საერთოდ საკუთარი სახელები. ,,ჯერ-არს, რაჲთა თავნი ანუ მუჴლნი ანუ პერიოდნი დაიწყებოდენ წიგნითა ასომთავრულითა"; აქვე მითითებულია სქოლიო შესაბამისი მაგალითებით. ,,ყოველნი სახელნი კაცთა (განჰსჯისამებრ) ცნობათა, ჴელოვნებათა, ქალაქთა, მდინარეთა და სხუათა ჯერ-არს დაწყებად ასომთავრულითა" (გ. რექტორი, 1970: 151).

მესამე თავში ,,თჳს ნიშანთა სტრიქონთასა და ქარაგმათათჳს" საუბრობს სასვენი ნიშნების ხმარების წესებზე და მნიშვნელობაზე. ,,ნიშანი სტრიქონთანი მსახურებენ წერილთა შინა ცხადყოფისათჳს ნამდვჳლთა ჰაზრთასა და ლტოლჳსათჳს წინააღმგომთა განმარტებათასა, რომელნიცა დაისხმიან ჰაზრისამებრ და შეწყობისა სიტყჳთასა" (გ. რექტორი, 1970: 152).

სასვენი ნიშნებიდან განხილულია **მძიმე**: ,,მძიმე (სტიგმა, კომმა) არს მცი/ რედრე დასაყოვნებელი ჴმისა კითხუასა შინა და განჰყოფს ერთსა შინა სრულსა სიტყუასა შემოსხმულთა ერთებრისა ბრუნჴსა და მიმოჴრისა სახელთა და ზმნათა. მაგალ, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ..." (გ. რექტორი, 1970: 152).

ერთ წერტილი: ,,ჰნიშნავს გრძელსა დამყოვრებასა ჴმისასა კითხუათა შინა და აქუს თჳს შორის თუმცა სრული ჰაზრი, გარნა დაუტევებს კუალად იჭუსა მისთჳს, რაჲცა შეუდგების შემდგომად, და ამისთჳს არა დაიწყების შემდგომი მისი სიტყუაჲ ასომთავრულითა, არცა გარდიბმის კავშირითა; მაგალ, ,,ყოველთა ზედა კითხუათა არა არცა გარდიბმის კავშირითა" (გ. რექტორი, 1970: 152).

ორი წერტილი: ორი წერტილი დაასრულებს სრულსა პერიოდსა, ანუ მუჴლსა, რომლისაცა შემდგომი მუჴლი ნიადაგ დაწყების ასომთავრულითა" (გ. რექტორი, 1970: 152).

საკითხავი ნიშანი: ,, ჯერ-არს დასმად დასასრულსა ზედა კითხჳთისა სიტყჳსასა; მაგალ, სადა ხარ შენ? უწყია, ვითარმედ კაცნი ცხოვრებასა ამას შინა ბრმა არიან და დროსა სიკუდილისასა აღეხმისთ თუალნი?" (გ. რექტორი, 1970: 152).

განკჳრვებითნი ნიშანი: ,,განკჳრვებითნი, წოდებითნი, მცნებითნი და ყოველნი ფიცხელნი სიტყუანი ჯერ-არიან სხჳთა ნიშნითა განსხუავებად, რომელსაცა ეწოდების განსაკჳრვებელი; მაგალ, ჰო თქუჱნ ქუაქმნილნო გულითა, არა გაქუსთ არარაჲმე შეწყალება თავთა თქუჱნთა!" (გ. რექტორი, 1970: 152). საკითხავი (კითხვის ნიშანი) და განკჳრვებითი (ძახილის) ნიშანი არ გვხვდება ანტონის გრამატიკაში.

ფრჩხილი: ,,ფრჩხილთა შორის პყრობილი ლექსი ანუ სიტყუა არს სხივით შემოსხმული და კავშირითა აღურეველი სიტყუასა მას შინა, რომლისაცა შორის შემოიღების და ამის თჳს ჯერ-არს, რაჲთა აღმოიკითხვოდეს იგი ნელიდითა ჴმით, ვითარცა განგებ შეჴდომილი რაიმე; მაგალ, მრწამს ჭეშმარიტებით (არა ამოება არს სარწმუნოება ესე)..." (გ. რექტორი, 1970: 152).

შემკრუელი: ,,შემკრუელი ანუ ჳპოდიოსტოლი არს ორთა სახელთა ჰრთულთა გარდამბელ; მაგალ, ღმრთის – მეტყუჱლი, მღუდელ – მთავარი და სხუანი" (გ. რექტორი, 1970: 152)

გარდასატანი ნიშანი: ,,გარდასატანი არს ნიშანი ლექსთა მარცუალთა ზედა განყოფილთა დასასრულ და დასაწყის სტრიქონისა; მაგალ, მიუწდომელი ღმერთი და სხუანი". ავტორი სქოლიოში დაწვრილებით უთითებს გადატანის წესებზე.

,,სიმკაცრედ სათანადო არს, რაჲთა გარდატანასა შინა ლექსთასა სტრიქონითი სტრიქონად არა გარდიტანნენ ასონი შესაბამისნი ერთისა მარცუალისანი მეორისადმი მარცულისა, და ამასთანა ჯერ-არს, რაჲთა მწერალსა აქუნდეს სიმარჯუჱ განრჩევად ნიშანთა ბრუნჴსა, მავითარებელთა, მაპიროვნებელთა და მამრავლებელთა ზმნისათა, რომელთაცა, რაოდენცა შესაძლებელ არს, გარდიტანებოდნენ განყოფით სტრიქონითი სტრიქონად სახელნი უმაღლესთა პირთანი; მაგალ, უფალი, თჳთმპყრობელი, მოციქული, იმპერატორი, მეფე, დიდებულება, სიმაღლე და სხუანი".

სამოწმებელი გასარჩევი ,,სამოწმებელთა შემოხმულთა განარჩევენ კიდურთა ზედა დასხმითა ორთა მძიმეთათა, ჩამოკრულთა ერთად: ,,სიტყუანი ცხოვრებისანი გქონან შენ" (გ. რექტორი, 1970: 154).

გაიოზი ქარაგმათა შესახებ აღნიშნავს: ,,ქარაგმა არს შემოკლებული მარცუალთა ძლით ლექსთა ზემო ნიშნისა მიცემა, ოდესცა ერთნი ანუ მრავალნი მარცუალნი დაიფარვოდენ ლექსთა შინა და საცნაურ

იქმნებოდენ იგინი ზემო დასმულითა მით ნიშნებითა ". აქვე შენიშნავს მის საჭიროებაზე ,,საუფლოჲსა ქარაგმისა დასმა ჯერ-არს მაშინ, ოდესცა ლექსთა საღმრთოთა დააკლდენ მარცუალნი"(გ. რექტორი, 1970:154).

ნიშანი კლებულისა: ,,იჴმარების მაშინ, ოდესცა მარცუალი მოთხრობითისა ბრუნჴსა მიეჴდების სახელსა საამოდ სმენისათჴს და არა ურჩხ-ყოფისათჴს სიტყუათასა სასმენელთა შინა; მაგალ, ჰრქუა იესუ მოწაფეთა თჴსთა და სხუანი" . ვრცლად თუ გინდათ იცოდეთ, ნახეთ ანტონ კათალიკოსის დიდი გრამატიკაო (გ. რექტორი, 1970:154).

მახვილი: ,,მახჴლი არს ნიშანი აკრული დაბოლოებულსა ზედა ასოსა შემასმენლობითთა ბრუნუათა და ბრძანებითთა ზმნათასა; მაგალ, შექმნა ღმერთამ კაცი' მიწისაგან და აღმოიღო ევა' გუერდისაგან ადამისა" (გ. რექტორი, 1970:154).

სქოლიო უნდა იწერებოდეს ,, წითლურითა და აწ ნოტრითა ანუ წურილითა ასოთა და ანუ სხჴთა სახითა განრჩეულითა მკჴდრისა წერილისაგან, ვითარცა მგრგლოვანითა, ყუავის ფრჩხილოვანითა და სხჴთა, ხოლო ჩქარა მწერლობასა შინა დანიშუნენ სიტყუასა მას ქუჳმო განვლითა ხაზთათა" (გ. რექტორი, 1970:154).

გაიოზი საუბრობს იოტისა და უბრჯგუს ხმარების შემთხვევებზეც: ,,ნიშანი ბრჯგუჲსა მიეცემის უნსა/ ოდეს სხუა-ჴმაობს იგი თჴსისა საკუთარისა ჴმისაგან და მაშინ ითხოვს იგი შემდგომად თჴსსა ანუ ჲ და ანუ ჳ-სა; მაგალ, მე უკუჳ რაჲსაცა გამცნებ, შეიწყნარე' და სხუასა ნურარაჲმესა ჰყოფ და სხუანი" (გ. რექტორი, 1970:154).

ის დაწვრილებით მიუთითებს ზემოთ ჩამოთვლილი სასვენი ნიშნების გრაფიკულ ნიშნებზე: არიან უკუჳ სხუანიცა წერილობითნი ნიშანნი მართლწერისანი, რომელნიცა ცხადსა ბრწყინუალებასა შემეცნებასა მოგუეცემენ ანუ სიტყჴსა, ანუ ლექსისა, ანუ ასოსა, რომელთაცა ნიშანნი და სახელნი არიან ესენი: **,**ამას ეწოდება მძიმე, . ამას წერტილი,: ამას ორი წერტილი, / ? ამას საკითხავი, ≈ ამას შემკრუელი, – ამას გადასატანი, ( ) ამას ფრჩხილი, ' ამას მახვილი, ^ ამას v ბრჯგუ, ο ამას კლებული, ! ამას განსაკჴრვებელი, ხოლო ქარაგმად წოდებულთაცა აქუსთ ადგილი აღრიცხუად ამათ შორის, რომელთაცა ნიშანნი და სახელნი არიან ესენი: - ~-ამას ეწოდების საუფლო, ~ამას სასომთავრულო და ამას ~საზოგადო" (გ. რექტორი, 1970: 50).

მესამე თავში ,,თჴს განყოფილებისა წიგნისა" საუბარია წიგნის შემადგენელ ნაწილებზე ,,წიგნნი ნიადაგ განიყოფებიან ნაწილებად, თავებად, პარაგრაფებად დ მუჴლებად" (გ. რექტორი, 1979: 154). მისი აზრით, წიგნის ნაწილები მთავარი განყოფილებებია, რომელთა შიგა ნაწილს წარმოადგენს თავები, პარაგრაფები და მუხლები. ნაწილები იყოფა თავებად და ,,იპყრობენ თჴს შორის უმთავრესთა ჰაზრთა მის ნაწილისათა, რომელნიცა შედგებიან პარაგრაფებთაგან და მუჴლთა". პარაღრაფნი იპყრობენ თჴს შორის სრულთა ჰაზრთა თავთასა მოკლედ განყოფით უმეტესისა ბრწყინუალებისა და შემეცნებისა ჰაზრთასა და ჴშირად დასუჳნებისათვის მკითხჳლთასა და განსუჳნებისათვის განჭიმულისა ჰაზრისასა კითხუასა შინა, რომლისაცა ნიშანი არს § ესე. აქვე იძლევა მუხლის განმარტებას: ,,მუხლი არს მოკლე წევრი თავთა, რომლისაცა მაგალითად კმა არს საღმრთო წერილი". აქვე აქვს სქოლიოს სახით მინაწერი: ,,შაირთა შინა მუჴლსა ამას ეწოდების ტაეპი, შედგმული რიცხუობითითა მარცულითა" (გ. რექტორი, 1970: 155).

ამგვარად, განხილული საკითხი საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ: მართალია, გაიოზის გრამატიკა ძირითადად ანტონ კათალიკოსის ,,ქართულ ღრამამატიკას" მისდევს და მისი დიდი გავლენით არის დაწერილი, მაგრამ ამასთანავე გამოირჩევა საინტერესო დაკვირვებით და მართლკითხვისა და მართლწერის საკითხების ორიგინალური გაშუქებით. 1. მართლკითხვა და მართლწერა მიჩნეულია გრამატიკის ნაწილად და ცალკე ნაწილად არის გამოყოფილი; 2. სწორადაა მითითებული მახვილის ადგილმდებარეობა; 3. საკითხავი და განკჴრვებითნი ნიშანი ანტონთან არ გვხვდება; 4. გაიოზი სტრიქონიდან სტრიქონზე სწორად გადატანისათვის აუცილებლად მიიჩნევს სახელის ბრუნვისა და ზმნის მავითარი (ზმნისწინი), მაპიროვნე (პირის ნიშანი), მამრავლე (მრავლობითი რიცხვის) ნიშნების ცოდნას, რაც ანტონისეული წესისაგან განსხვავებულია; 5. გაიოზის გრამატიკაში გამოთქმის მკაფიობა, მარცვალთა და სიტყვათა გადატანის წესები, სასვენ ნიშნები, დაქარაგმების საკითხები წარმოდგენილია უფრო მარტივად და გასაგებად.

ლიტერატურა:

1. ანტონ, I, ღრამმატიკა, თბ., 1885.
2. ი. ბატონიშვილი, კალმასობა, II, თბ., 1948.
3. მ. დარჩია, გაიოზ რექტორი, თბ., 1972.

4. გ. თავზიშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში (1801-1870), თბ., 1948.
5. ო. თედეევა, ივანე იალღუზიძის ოსური თარგმანების ენა (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1965.
6. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1941.
7. ნ. მთვარელიშვილი, თელავის სემინარია და მისი პირველი რექტორი გაიოზ ნაცვლიშვილი: ჟურნ, ,,ივერია", # 8, 9, 10, ტფილ.1988.
8. ე. ნიკოლეიშვილი, გაიზ რექტორის ქართული გრამატიკა, ,,მაცნე", #4, 1965.
9. ე. ნიკოლეიშვილი, გაიოზ რექტორის ქართული გრამატიკა (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1966.
10. გ. რექტორი, ქართული ღრამმატიკა, თბ., 1970.
11. ალ. ფოცხიშვილი, ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, თბ., 1979.
12. არნ. ჩიქობავა, იბერიულ კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965.
13. ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, თბ., 1919.
14. А. Цагарели, О Грамматической литературе грузинского языка, С- Петербург, 1873

რეზიუმე

გაიოზ რექტორი ცნობილია, როგორც მეთვრამეტე საუკუნის თვალსაჩინო სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწე, თელავის სემინარიის პირველი რექტორი, მეტად ნაყოფიერი მთარგმნელი და მკვლევარი, ერთ-ერთი პირველი ქართული გრამატიკის ავტორი, რომელიც მკვლევართა ვარაუდით 1796-1804 წლებს შორის არის დაბეჭდილი მოზდოკში.

გაიოზის გრამატიკა ძირითადად ანტონ კათალიკოსის ,,ქართულ ღრამმმატიკას" მისდევს და მისი დიდი გავლენით არის დაწერილი, მაგრამ ამასთანავე გამოირჩევა საინტერესო დაკვირვებით და მართლკითხვისა და მართლწერის საკითხების ორიგინალური გაშუქებით. ამავე დროს მისი გრამატიკა, რომელიც მოსწავლეთა ფართო წრისათვის იყო გამიზნული, დაწერილია უფრო მარტივად და გასაგებად. ავტორი ეხება გამოთქმის მკაფიობას, მარცვალთა და სიტყვათა გადატანის წესებს, სასვენ ნიშნებს, დაქარაგმების საკითხებს და სხვას.

QUESTIONS OF READING AND SPELLING IN GEORGIAN GRAMMAR OF GAIOZ RECTOR

Mariam Koberidze, Professor

RESUME

Gaioz Rector is a famous , as a state and religious noticeable figure of the eighteenth century, first rector of Telavi seminary , very productive translator and researcher , one of the first author of Georgian grammar, that according to the researchers is printed in Mozdok between 1796-1804. Gaioz's grammar basically continuous "Georgian Grammar" of Anton Catholicos and is written under his great influence , but in addition it is exceptional with interesting observation and original lightning of the questions of reading and spelling. At the same time, his grammar , that was aimed for wide circle of students , is written in more simply and understandable way. Author discusses clarity of pronunciation, the rules of hyphenation of syllables and words , punctuation marks, questions of allegority and other.

1407-1410 წლების „დაწერილი ქუცნა ამირეჯიბისა ულუმბის ღვთისმშობლისადმი“ ზოგიერთი ენობრივი თავისებურება

ნიკოლოზ ოთინაშვილი, ასოცირებული პროფესორი

აღნიშნული ძეგლი ფრონეს ხეობის ისტორიული საბუთებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. ის კარგად გვიხატავს მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე საუკუნეების პოლიტიკურ-ისტორიულ ვითარებას, რომელიც საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი რთული პერიოდი იყო.

ამირეჯიბები ზემო ქართლის ცნობილი თავადები იყვნენ. ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს თავის თხზულებაში, რომ ამირეჯიბებს, აბაშიძეებს, ფალავანდიშვილებს „ამათ ერთობათა შინა აქუნდათ მამულნი იმერეთსა და ქართლსა შინა და შემდგომად განყოფისა სამეფოსა, ერთი ძმა იქით და ერთ აქათ დაშთნენ ვითარცა აჩენს მამულნი და სიგელნი მათნი“ (ქ.ცხ. 1973).

იოანე ბატონიშვილი თავის ნაშრომში აღნიშნავს: „ამირეჯიბნი არიან ძველადვე ფალავანდიანთა გვარისანი, რომელთაც აქვთ მამულიცა ურთიერთსა შორის შერეულნი, გარნა ამირეჯიბობა გაიგვარდათ სახელისა გამო, ვინაითგან ამირეჯიბი ნიშნავს საქმის მომხმარებელსა მეფისასა“ (ი. ბატონიშვილი, 1997).

აღნიშნული გვარიდან ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნებაა ქუცნა ამირეჯიბი, რომელიც მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე საუკუნეების მიჯნაზე ცხოვრობდა სოფელ ნაბახტევში. ზემოხსენებული სიგელიც დაწერილ-შედგენილია მის მიერ. საბუთის შედგენილობა თავისებურია. აქ აღნიშნულია ულუმბის ღვთისმშობლის მონასტრისათვის ამირეჯიბების მიერ გაწეული ღვაწლი, რომლებიც სხვადასხვა დროს ხდებოდა. ქუცნა ამირეჯიბმა თემურ-ლენგის მიერ დანგრეული ულუმბის მონასტრის აღდგენა დაიწყო მაშინ, როცა ომი დამთავრდა, 1403 წელს. ის დამპყრობლის თანამედროვეა. საბუთში უკვე მონასტერი აღდგენილია და სიგელი დაწერილი, რომელიც ზემოხსენებულ თარიღებში თავსდება, ე. ი. 1407-1410 წლებში. ქუცნა ამირეჯიბის „დაწერილი“ ბოლოს გამოსცეს თ. ენუქიძემ, ნ. თარხნიშვილმა, ბ. ლომინაძემ 26-ე ნომრით და შეტანილია ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის მეორე ტომში (საბუთები, 2013).

„დაწერილის“ ტექსტი შედგენილია მხედრული გრაფიკით, რომელიც შემდგომ გამოსცა ჯერ მ. ბროსემ, შემდეგ – თ. ჟორდანიამ.

ძეგლის ორთოგრაფია და ენობრივი მოვლენები ძირითადად ძველ ქართულს მისდევს, მაგრამ ტექსტში კარგად ჩანს მათი ტრადიციის რღვევა, ძველის შეცვლა ახალი ასოებით.

უმარცვლო უ-ს მართალია ანბანში საკუთარი ნიშანი არა ჰქონია, მაგრამ ისე იწერებოდა, როგორც უ ხმოვანი. უმარცვლო უ ტექსტში დასტურდება თანხმოვნის შემდეგ: იყოს ჩუენსა ზედა.

„წირქუალი და ზოდი მონასტრისა ჩუენისა“.

„ორი კუამლი არის სტკოცას“.

„არა ნაპარევი ქუეყნისაგან“.

„ჯუარი მცხეთისა ჯუარსა წარხდეს“.

აღნიშნული ბგერა გვხვდება ტექსტის გეოგრაფიულ სახელებში:

- „საღუალაშენი სრულიად“.
- „ქუემო ბრება სრულიად“.
- „ორი კომლი ატუაცს“.
- „ბაჟის მესამედი წაკუასი“.

მეთვრამეტე საუკუნეში ანტონ კათალიკოსმა უმარცვლო უ-ს დაუსვა განმასხვავებელი ნიშანი (^) და უწოდა უბრჯგუ. ის აღნიშნავდა, რომ -უ ხან უ-დ გამოითქმის, ხან კი ვ-ს ენაცვლება, ე.ი. თანხმოვნისაკენ იხრება, ანუ ბრჯგუვდება.

ტექსტში დასტურდება ჳ-ვი ბგერაა, რომელიც მიღებულია უ-სა და ი-ს შეერთების შედეგად. ჳ წარმოითქმის, როგორც -ვი:

- ძმისთჳსაცა გევედრები.
- „შჳლთა და შჳლიშჳლთა სადღეგრძელოთ“.
- „არა მოგჳშალოს ღმერთმა“...

აღნიშნულ ბგერა გვხვდება საკუთარ სახელებში ძირითადად სიტყვის ბოლოში:

-„ანასთჳს, ცუარისაჳთჳს, რამანისათჳს, ქურციკისათჳს, მეფისა ალექსანდრესთჳს, მეფისა კონსტანინესათჳს“...

ᲩᲔ (ეი) ქართული ანბანის რიგში მე-8 ადგილზე იყო, ამიტომ ამ ბგერას ემერვესაც უწოდებდნენ.ᲩᲔ მიღებულია ე და ᲔᲘ შეერთებით: ე + ᲔᲘ = ᲩᲔ და გადმოსცემს ᲔᲘ დიფთონგს. აღნიშნული ბგერა ხშირად არის გამოყენებული ტექსტში, ძირითადად ხმოვნების შემდეგ:

- თქუᲩᲔᲜ ყოვლად წმიდასა.
- თქუᲩᲔᲜᲗᲐ მვედრებელმან.
- თქუᲩᲔᲜᲘᲡᲐ მას უამსა.
- ᲩᲣᲩᲔᲜ და ᲩᲣᲩᲔᲜᲒᲐᲜ აშენებული.
- ᲫᲣᲩᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ მათი ყოფილიყო.

Ყ(ხარი) ძველ ქართულში გამოიყენებოდა გარკვეულ ძირებში, მაგრამ მის გამოყენებას გარკვეული წესი არა ჰქონია და ჩანს ზეპირად იცოდნენ, თუ სად იყო საჭირო სანი და Ყარი. ტექსტში ორივე ბგერაა გამოყენებული:

-ᲧᲐᲠᲘ - ᲧᲔᲚᲕᲧᲐᲕ შენებად უდაბნოსა ამის.
- უᲧᲛᲐᲠᲥᲛᲜᲘᲡᲐ და განბნეულისა.
- ᲩᲔᲛ მიერ ᲧᲔᲚᲧᲝᲤᲘᲗ.
- ᲧᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲗᲐ წინა ᲩᲔᲛᲐᲛᲓᲔ აგარიანთა ხელითა.

-Ხ - სრულიად აღეოხრა.
- დაᲰᲮᲐᲓᲔᲡ და ბზით დატენეს.
- მიწისაგან მეხუთედი გოდი.
- ოცდაოთხი კოკა საულუმბოს კოკითა...

ტექსტში ხშირია სავრცობი ა-ს გამოიყენება, ძირითადად მიცემით და ნათესაობით ბრუნვის ფორმებთან:

- ვიყავ საქმედ საფუძველის შთაგდებასა, განბნეულისა, უხმარებლისა.
- შევწირე პატიოსანსა ღვთისმშობლისა ულუმბისასა.
- ნუვინ გავცუდებთ ᲭᲘᲠᲜᲐᲮᲣᲚᲡᲐ თქვენსა.
- მექმნას შემწე დღესა ᲭᲘᲠᲘᲡᲐᲡ ᲩᲔᲛᲘᲡᲐᲡ და სოფელსა ამას ძესა ᲩᲔᲛᲡᲐ.
- ნასხურავი კათალიკოზისა არის ნიშანი მოძღვართ-მოძღურისა.

ძეგლში სიტემურადაა გამოყენებული მოთხრობითი ბრუნვის არქაული ფორმა:

- სასოებით მვედრებელმან ღმრთისა.
- დიდად შეწყალებულმან ამირეᲯᲘᲑᲛᲐᲜ ქუცნამან.
- მინდობილმან შეწევნითა შენთამან.
- მთელმან მამულმან ოცდაოთხი კოკა...

ძეგლის ავტორი მან დაბოლოებიან ფორმას უპირატესობას ანიჭებს, გამარტივებულ სახეობასთან შედარებით.

„გან“ თანდებული ძირითადად გამოყენებულია ნათესაობით ბრუნვაში:

- ვიყიდე ქუემო ბრეძა კლიმაᲩისაგან.
- ვიყიდე საღუალშენი ᲩიᲮლაძისაგან.
- ახალდაბა კუაᲭიᲭისაგან.
- ორი კომლი სტკოცის ᲩᲮეიძისაგან.
- არა ნაწყალობევი მეფეთაგან.
- ᲩᲣᲔᲜᲒᲐᲜ აშენებული ალი გუიბოძა.

ტექსტში ასევე წარმოდგენილია თვის თანდებულები:

- ცხრა დღე თვით ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ...
- რამინისათვის ორი დღე.
-ორი დღე რუსასათვის.
- რძლისა ანასათვის.
- ორი დღე პაპისა ᲩᲔᲛᲘᲡᲐ ქუცნასათვის.
- სამი დღე მეფისა ალექსანდრესათვის...

ძეგლში ასევე ხშირია ნართანიანი მრავლობითობის ფორმები, ის ძველ ქართულში გაბატონებული იყო. გვხვდება ასევე - ებიანი მრავლობითი, მაგრამ ნაკლები ოდენობით:

- განვაᲩინენ აღაპი.
- ორნი ძმანი პაპისა ᲩᲔᲛᲘᲡᲐ.
- წარტყუვნენ ყოველნი მონასტერნი.
- რაიცა შეწირულ სიტყვებში ეწეროს.

- იყოს ნაოხარი სოფლები.

ტექსტში ძირითადად გამოყენებულია „და“ კავშირი, ასევე „ან“ და „რომ“ კავშირები:

- შთაგდებასა და შეგრებად განბნეულსა.
- ძისა თქუენისა და მეფისა და ღმრთისა.
- აღეხოცა და უმკვიდრო მოიშალოს.
- მესამედ რომე მოველ.

რამდენჯერმეა გამოყენებული ესე ნაცვალსახელი:

- ესე ჩემ მიერ ხელყოფით.
- ესე მტკიცე ჩუენი ნებითა.
- ესე ჩუენგან შეწირული...

აღნიშნულ მაგალითებში ეს აღნიშნავს მოლაპარაკესთან ანუ პირველ პირთან ახლოს მყოფ საგანს. გვხვდება ასევე „ეგე“, რომელიც აღნიშნავს თანამოსაუბრესთან ანუ მეორე პირთან ახლოს მყოფ საგანს.

ტექსტში პირველი პირის ნაცვალსახელი „მე“ სხვადასხვა ბრუნვის ფორმით არის გამოყენებული:

- სახელობითი - მე გევედრები.
- მოთხრობითი -მე სასოებით მვედრებელმან.
  -მე ამირეჯიბმან.
- მიცემითი - მე მრწამს და სხვა.

ძეგლში ზმნისწინები დიდი ოდენობით არქაული ფორმით არის წარმოდგენილი:

- შენითა წარემართოს საქმე.
- განვაჩინენ აღაპნი ცხრა დღე.
- განიკითხეს ცოდვანი ჩუენთათვის.
- არა ვიკადრე განსყიდვა მამულისა.
- განუახლე გუჯარი.
- აღაპსა გარდაიხდიდეს.

გვხვდება ზმნისწინები ახალი, გამარტივებული სახით:

- შევწირეთ წაღვლი.
- ნუვინ მოგვიშლით აღაპსა.
- დავსთხიეთ სისხლი.
- დავიხსენ სოფელი ღოღეთი.
- მოვიდეს ძე შენი...

„დაწერილი ქუცნა ამირეჯიბისა ულუმბისა ღვთისმშობლისადმი“ მნიშვნელოვანი ისტორიულ-ფილოლოგიური ძეგლია, რომელმაც შემოგვინახა ზემო ქართლის ისტორიის ზოგი უცნობი ფურცლები, ენობრივი, დიალექტოლოგიური მნიშვნელობის ფაქტები, ასევე ვეცნობით ტოპონიმებსა და ანთროპონიმებს, სხვა ენობრივ ელემენტებს, რომელთა კვლევა სამომავლოდ დიდმნიშვნელოვანი საქმეა.

ლიტერატურა:

1. ქ.ცხ., ბაგრატიონი ვახუშტი, აღწერა სამეფოისა საქართველოისა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილია ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 34.
2. ბაგრატიონი იოანე, შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, რედაქტორი და გამომცემელი ზ. კაცელაშვილი, თბ., 1997.
3. ჯ. გვასალია, ფრონეს ხეობათა ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, VII, მეცნიერება, თბ., 1989.
4. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, II, გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ნ. თარხნიშვილმა, ბ. ლომინაძემ, თბ., 2013, გვ. 92-95-97.

რეზიუმე

აღნიშნული ძეგლი ფრონეს ხეობის ისტორიული საბუთებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. ის კარგად გვიხატავს მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე საუკუნეების ისტორიულ-პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც საქართველოს ისტორიაში თავისი სირთულეებით არის ცნობილი.

ამირეჯიბების გვარიდან ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნებაა ქუცნა ამირეჯიბი, რომლის შედგენილია ზემოაღნიშნული დაწერილი ანუ სიგელი.

სიგელში აღნიშნულია ულუმბის ღვთისმშობლის მონასტრისათვის ამირეჯიბების მიერ გაწეული ღვაწლი, რომლებიც სხვადასხვა დროს ხდებოდა.

ძეგლის ორთოგრაფია და ენობრივი მოვლენები ძირითადად ძველ ქართულს მისდევს, მაგრამ ტექსტში კარგად ჩანს მათი ტრადიციის რღვევა, ძველის შეცვლა ახალი ბგერებით.

ძეგლში გვხვდება ძველი ორთოგრაფიის ნიმუშები:

უმარცვლი უ ანუ უბრჯგუ, ჳ-ვი, ჴ-ხარი, ᲪᲔ-ეი, რომლებიც მონაწილეობენ სიტყვების შედგენაში და სხვადასხვა პოზიცია უკავიათ.

ტექსტში ხშირია სავრცობი ა-ს გამოყენება, ძირითადად მიცემით და ნათესაობით ბრუნვებთან.

ხშირია არქაული მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი - მან.

პირის ნაცვალსახელი „მე“ გვხვდება სახელობით, მოთხრობით და მიცემითი ბრუნვის ფორმით.

ზმნისწინები გვხვდება, როგორც ძველი, ისე გამარტივებული სახით.

ზემოხსენებული ძეგლი მნიშვნელოვანი ისტორიულ-ფილოლოგიური დოკუმენტია, რომლის კვლევა სამომავლო საქმეა.

SOME LANGUAGE PECULIARITIES WRITTEN BY KUTSNA AMIREJIBI TO ULUMBI ST. MARY MONASTERY IN 1407-1410

Nikoloz Otinashvili, Associate Professor

RESUME

The mentioned document is one of the most important one from historic material existing in Frone Gorge. It describes widely the historical-political situation of the 14th-15th centuries which is known with it's difficulties in georgian history.

From the Amirejibi surname we can distinguish KutsnaAmirejibi who made the above mentioned document. There was written all the things which were made for the Monastery by the Amirejibi in difficult times.

It is written mainly in old Georgian. But we can see clearly in the text how the old Georgian language is going to change into new sounds, how the tradition is changing. There we can see the old Orthographic specimens as well such as ubrjgu, v-vi, p-khari, Ts-ei, which take part in composing words and take different positions.

There we can often meet using of a mainly in possessive case.

Personal pronoun I is often used in some cases. Prefixes can be met as in old as in simple forms.

The above mentioned document is an important one as a historical-philological material.

ФРАЗЕОЛОГИЧЕСКИЕ ЕДИНИЦЫ С КОМПОНЕНТОМ БОГ В СОВРЕМЕННОМ РУССКОМ ЯЗЫКЕ

***Нана Пацация**, приглашенный специалист, доктор*

В современном русском языке, как и в языках других народов,сохранилось немало следов древних представлений о Боге, о Вселенной, опервопричинах появления всего сущего на Земле. Несмотря на развитие науки,наивные мифологические представления сохраняются в нашей речи,«застывая» в языковых единицах и приобретая новую семантическую истилистическую интерпретацию. Христианство с его нравственными устоями иритуалами является одним из источников культурно-значимой интерпретациифразеологизмов.

Во фразеологии современного русского языка существуют единицы, неотносящиеся непосредственно к тексту Библии, но созданные под влияниембиблейских источников и в целом христианства как религиозного учения. Речьидет о фразеологических единицах, имеющих в своем составе компонентыБог,Господь, Христос.

Русское слово Бог в большинстве ФЕ отражает монотеистическоепредставление христиан о единственном и всемогущем создателе Вселенной. Втекстах Библии синонимами слову Бог выступают слова Господь, Христос. См.цитаты из текстов Ветхого и Нового Заветов Библии: «Но **Бог** есть судия;одного унижает, а другого возносит» [Псалтырь 74:8]; «И **Господь** был с Иосифом, и простер к нему, и даровал ему

благоволение в очах начальникатемницы» [Бытие 39: 21]; «Потому Что все ищут своего, а не того, чтоугодно **Христу**» [Послание Апостола Павла к филиппийцам, 2:21].

В.И. Даль в «Толковом словаре живого великорусского языка» даетследующее определение слова Бог: «Бог – Творец, Создатель, Вседержитель,Всевышний, Всемогущий, Предвечный, Сущий, Сый, Господь; ПредвечноеСущество, Создатель вселенной» [Даль 2000:103].В «Толковом словаре русского языка» под редакцией С.И. Ожегова, Н.Ю.Шведовой представлена более широкая трактовка лексемы Бог: «Бог – 1. Врелигии: верховное всемогущее существо, управляющее миром или (примногобожии) одно из таких существ; 2. В христианстве: триединое божество,творец и всеобщее мировое начало – Бог Отец, Бог Сын и Бог Дух Святой; 3.перен. Предмет поклонения, обожания (устар. книжн.)» [Ожегов 1999: 52].Первоначальноезначение лексемы Бог, таким образом, «тот, кто наделяет материальнымиблагами, богатством, счастьем». [Мокиенко 2009: 200].

Русские слова богатый, богатство этимологически связаны со словомБог, что подчеркивается в различных устойчивых сочетаниях: дай Бог (Боже),не дай Бог (Боже), Бог послал, как Бог даст и др. Следы древнейшего«материального» значения сохраняются до сих пор. Именно «оделяющая»

функция Бога подчеркивается в различных ФЕ, широко представленных втекстах художественной литературы и публицистике. См: «Почемуэлектричество, которое, **дай Бог** памяти, тухло в течение двадцати лет двараза, в теперешние времена аккуратно гаснет раз в месяц? [М.А. Булгаков,Собачье сердце]; «Я никогда не пил, не курил. Коллег, которые приходили комне с бутылочкой, дальше порога никогда не пускал. А вообще не знаю, в чемсекрет долголетия. Это как **Бог даст**» (из интервью с поэтом С.В.Михалковым) [АиФ, 2008, № 11].

Компонент Бог растворяется в оборотах, обретая новый смысл исемантически отдаляясь от первоначальных словосочетаний. Таким образом,вероятно, возникли в русском языке фразеологизмы: от Бога, Богом данный,характеризующие умного, сообразительного, одаренного человека, которыйобладает способностями от природы, то есть от рождения. Человека же глупого, бестолкового, не обладающего никакими способностями,характеризуют фразеологизмы: богом обиженный, бог отметил. См.: «БлагоИгорю Дмитриеву было что рассказать, а рассказчик он **от Бога**» (из статьиоб актере И. Дмитриеве) [Аргументы Недели, 2008, № 5]; «Если есть в тебето, что нужно, что дается **от Господа Бога**, то пусть обучение будетминимальным» (из интервью с актером О. Янковским) [Имена, 2009, № 5].

В лингвистической науке ФЕ с компонентом Бог рассматриваютсяисследователями с разных позиций. В.М. Мокиенко выделяет«фразеологические единицы, в которых смыслообразующим ядром являетсяслово Бог» [Мокиенко 2009: 205]. Подобные обороты широко представлены вязыке (ради Бога, ни Боже мой, с Богом, Бог послал, спаси Бог, Бог миловал,Бог простит, Бог в помощь). Внутри фразеологизмов с компонентом Бог авторвыделяет группу устаревших, вышедших из активного словарного запасасовременного русского языка: счастлив твой Бог! - «о человеке, избежавшемнесчастья или наказания»; карманный Бог помилует - «откуплюсь» [Мокиенко 2009: 206].В словаре-справочнике «Библейское слово в нашей речи» Н.Г. Николаюкпредставлено около 50 ФЕ с компонентом Бог. См. упаси Боже, Слава Богу, Богзнает что, Бог весть, дай Бог, не дай Бог, царь и Бог, ради Бога, ни Боже мой, с Богом, Бог послал, спаси Бог, Бог миловал, Бог простит, Бог в помощь, Богомобиженный, Богом забытый и многие другие [Николаюк 1998].

Иной позиции по отношению к ФЕ с компонентом Бог придерживаетсяА.В. Зеленин, который не относит подобные сочетания к фразеологизмам,называя их «традиционными формулами этикета», и отмечает, что в настоящеевремя система данных формул значительно упростилась, а в частом употреблении сохранилось сравнительно небольшое их количество: Храни,Господи!; С Богом! Дай Бог; Бог миловал и другие. См.: в контекстах: «Буду насцене в Оружейной палате играть концерт Моцарта с израильским камерныморкестром. - **Дай Бог**, чтобы и дальше все дни рождения были такими же»[АиФ, 2008, № 15]; « - Ася, тебя когда-нибудь силком из машины вытаскивали?- Меня? – удивилась она. – Нет. **Бог миловал**, всегда сама выходила по своейволе» [А. Маринина, Закон трех отрицаний].

Большая часть ФЕ с компонентом Бог стала принадлежать к устаревшей лексике или употребляться значительно реже: Помощи Божьей, АнгелаХранителя и другие. См.: « - Иди, иди, миленькая… Не дождешься, он с утрауж навострил… **Помощи Божьей**, моя хорошая…» [А.Б. Маринина, Заменаобъекта].

ФЕ с компонентом Бог являются достоянием разговорной речи, чтоподтверждают исследования языкового материала (живой разговорной речи).См.: «- Нет уж, извините, **не дай Бог** так Новый год встретить, как впрошлом году» [О.В. Ануфриева, 24 г.]; «Например, сказать вслед уходящему автобусу: «Значит, на то **воля Божья**, Господь меня не пустил на этувстречу, на которую я собирался» [АиФ, 2006, № 49].О принадлежности ФЕ с компонентом Бог к разговорному стилю с достаточной ясностью говорят не только данные языкового материала, об этомсвидетельствуют и современные фразеологические словари. Если в «ИЭСРФ»А.К. Бирих, В.М. Мокиенко, Л.И. Степановой у фразеологизмов Бог знает[ведает], как у Христа (Бога) за пазухой отсутствуют какие-либостилистические пометы, то во «Фразеологическом словаре русского языка»Быстровой Е.А. ко всем фразеологизмам с компонентом **Бог**дается пометаразг.: Бог весть, Бог <его> знает, Бог <Боже><ты>мой!, Бог с тобой <сним, с ней, с вами, с ними>.

Ранее в семантике ФЕ с компонентом Бог было заложено сакральноеначало, которое с течением времени утратилось. Тенденцию к десакрализации фразеологизмов библейского происхождения и ФЕ с компонентом

Боготмечали многие исследователи (В.Г. Гак, 1997; А.С. Десницкий, 2008; Л.В. Успенский, 1965). Как отмечалось выше, кроме ФЕ с компонентом Бог, в современномрусском языке выделяются фразеологизмы, в которых смыслообразующими компонентами выступают слова Господь, Христос. См. Христа славить –«Много хлопотать об успехе дела, обходя нужных людей; делать праздничныевизиты» [Бирих 1998: 608]. Согласно христианской традиции слова Бог,

Господь, Христос, входящие в состав ФЕ, могут быть рассмотрены каксинонимичные, обозначающие Вседержителя, Творца. Их синонимичностьдоказывает вариативное употребление некоторых ФЕ. См.: Бог (Христос, Господь) с тобой; как у Христа (Бога) за пазухой; Христа (Бога) ради. Вданном случае при замене компонента семантика фразеологизма сохраняетсябез изменений.

Таким образом, ФЕ с компонентом Бог занимают особую нишу вофразеологической системе современного русского языка. Лексема Бог (и еесемантические варианты Господь, Христос) восходит по своей этимологической природе к библейскому источнику, а, следовательно, и к христианству как религиозному учению в целом с его нравственными устоямии ритуалами. В настоящее время в результате процесса десакрализациисемантики ФЕ с компонентом Бог приобрели разговорную окраску. Даннаягруппа фразеологизмов активно функционирует в современных художественных текстах и публицистике.

ЛИТЕРАТУРА:

1. Бирих, А.К. Словарь русской фразеологии. Историко-этимологический справочник/
А.К. Бирих, В. М. Мокиенко, Л. И. Степанова. – СПб.: Фолио-пресс, 1998. – 704 с.
2. Даль, В.И. Толковый словарь живого великорусского языка: в 4 т./В. И. Даль – М.:Русский язык, 2003. – Т. 1. – 699 с.
3. Мокиенко, В.М. Образы русской речи: Историко-этимологические очерки фразеологии/ В.М. Мокиенко. – М.: Флинта: Наука, 2009. – 464 с.
4. Николаюк, Н.Г. Библейское слово в нашей речи: словарь-справочник/Н. Г. Николаюк.- СПб.: ООО «Светлячок», 1998. – 448 с.
5. Ожегов, С.И. Толковый словарь русского языка/С. И. Ожегов, Н. Ю. Шведова, – М.:Азбуковник, 1999. – 944 с.

ფრაზეოლოგიური ერთეულები კომპონენტთან „ღმერთი“ თანამედროვე რუსულ ენაში

ნანა ფაცაცია, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

რეზიუმე

სტატიაში აღწერილია ფრაზეოლოგიური ერთეულები, სადაც იხმარება კომპონენტი „ღმერთი“.

განხილულია მაგალითები მათი თავდაპირველი და ასევე თანამედროვე მნიშვნელობით. ფრაზეოლოგიზმების მოცემული ჯგუფი აქტიურად ფუნქციონირებს თანამედროვე მხატვრულ ტექსტებში და პუბლიკაციებში.

PHRASEOLOGICAL UNITS WITH COMPONENT “GOD” IN MODERN RUSSIAN LANGUAGE

Nana Patsatsia, Specialist by Contract, Doctor

RESUME

The article describes the phraseological units where “GOD” used components. Discusses examples of their initial and also the modern sense. This phraseological group actively operating in modern feature texts and in publications.

შალვა ამირეჯიბის პუბლიცისტიკის რამდენიმე საკითხი

მარინე ცერცვაძე, პროფესორი

შალვა ამირეჯიბი თვალსაჩინო წარმომადგენელია „სამანს აქეთ და სამანს იქით“ მიმდინარე გახლეჩილი ლიტერატურული პროცესისა. ის ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნის დროს იყო პოლიტიკური მოღვაწე, დამფუძნებელი კრების და მისი მუდმივი ორგანოების მუდმივი წევრი, 1924 წლის აჯანყების ორგანიზატორი და მონაწილე. ეს ჩამოთვლა შეიძლება კიდევ გაგრძელდეს. დღეს ამ პიროვნების შესახებ ბევრი იწერება. 1990 წელს კი, როდესაც გურამ შარაძემ, ლიტერატურულ-კრიტიკულ ალმანახში „ქართული მწერლობა“, დაბეჭდა მისი წერილი „ჯაყოს ხიზნების“ შესახებ, ეს სიახლედ აღიქმებოდა მკითხველთა იმ კატეგორიისათვის, ვინც არ იცნობდა ქართულ ემიგრაციას და ქართველ ემიგრანტთა ცხოვრება-მოღვაწეობაზეც არ ჰქონდა წარმოდგენა. ასეთები კი არც ისე ცოტანი იყვნენ. აქ შეიძლება პერიფრაზირება გავაკეთოთ პაატა ნაცვლიშვილის სიტყვებისა, ნათქვამი გრიგოლ რობაქიძეზე: ჩემმა თაობამ ყურმოკვრით თუ იცოდა რამე შალვა ამირეჯიბის შესახებ, და ისიც ჭორებისა და ლეგენდების დონეზე.

შრომის ფორმატი არ მოგვცემს საშუალებას ვიმსჯელოთ ყველა მის სტატიაზე, რომელიც გამოქვეყნებულა საქართველოში, თუ მრავალრიცხოვანი ემიგრანტული გამოცემების ფურცლებზე; ჩვენ განვიხილავთ შალვა ამირეჯიბის, ამ მრავალმხრივი მოღვაწის, პუბლიცისტიკის ერთ ნაწილს, თუმცა ცნობილია, რომ ის საკმაოდ სერიოზულად იყო დაინტერესებული ლიტერატურითაც: „დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ახალგაზრდა ქართველ სიმბოლისტ მწერლებში. მის გარშემო იყვნენ ცისფერყანწელი პოეტები - გიორგი ლეონიძე, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე.“ [2, 258] ... მისი ორი ლექსი შესულია „ახალი პოეზიის ანთოლოგიაში“ (ქუთაისი - 1919 წელი). მიღებულია აზრი, რომ შალვა ამირეჯიბი, როგორც პოეტი არ შედგა. რაც შეეხება მის პუბლიცისტურ წერილებს, ეს თემა საკმაოდ სერიოზული კვლევის საგანია, რადგან მისი პუბლიცისტური მემკვიდრეობა მეტად მრავალფეროვანია. ამ ნაშრომში ყველა მათგანის ჩამოთვლაც კი შეუძლებელია. დღეს, როცა გამოქვეყნებულია საზღვარგარეთის არქივებში მოპოვებული მასალები, გაადვილდა შალვა ამირეჯიბის პუბლიცისტური მემკვიდრეობის კვლევა.

ლიტერატურული მოღვაწეობა შალვა ამირეჯიბმა 1910-იან წლებში დაიწყო. გურამ შარაძე იმოწმებს რევაზ გაბაშვილის ცნობას, რომ ამ დროს შალვა ამირეჯიბი იყო ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელი ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალ „კლდისა“, შემდეგ 1915 წლიდან, გახდა მუდმივი ავტორი ჟურნალ „სამშობლოსი“. წიგნში - „უცხოეთის ცის ქვეშ“ გამოქვეყნებულია ნაწერების ბიბლიოგრაფია. საკმაოდ საინტერესო თემატიკაა, მრავალმხრივია სტატიების ავტორის ინტერესების სფერო, იქნება ეს არჩევნები, თუ შოთა რუსთაველი, პოეტიკა და კრიტიკა, თუ მიმართვა „ქართველთა შორის პორნოგრაფიის მომსპობ საზოგადოებას“, „პარონ შაუმიანი“, თუ „კიტა აბაშიძე“, „ცხინვალის ფრონტი“, თუ „თბილისის უნივერსიტეტი“, მაგრამ ეს არ არის ჩვენი მსჯელობის საგანი.

ჩვენ დავინტერესდებით პუბლიკაციების იმ ერთი ნაწილით, რომელიც გამოქვეყნდა ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებში საქართველოს დატოვების შემდეგ, რადგანაც განსხვავებით ათიანი წლების საქართველოში განვითარებული მოვლენებისაგან, რომლებიც შ. ამირეჯიბის პუბლიცისტურ წერილებში თითქმის დოკუმენტური სიზუსტითა და ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა ასახული და ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვით განსჯილ-შეფასებული, 1921 წლის თებერვალ-მარტის ტრაგედია და ამ საბედისწერო მოვლენის შემდგომდროინდელი ვითარება, სამწუხაროდ, საქართველოში ცხოვრების პერიოდში შ. ამირეჯიბის პუბლიცისტიკაში საერთოდ არ ასახულა. ავთანდილ ნიკოლეიშვილის აზრით ეს გარემოება აიხსნება ორი უმთავრესი ფაქტორით-პირველი იმით, რომ ამ დროისათვის მწერალი, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მმართველი კომიტეტის წევრი, უწინარეს ყოვლისა აქტიური ანტისახელისუფლებო მოღვაწეობითა და 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებული საქმეების პრაქტიკული მოგვარებით იყო დაკავებული და მეორე - ქვეყანაში იმჟამად არსებული ვითარება (თავისუფალი პრესის გაუქმება), მას მიმდინარე მოვლენების განსჯისა და შეფასების შესაძლებლობას უკვე აღარ აძლევდა.

ძირითადი ღირსება, რითაც გამოირჩევა შალვა ამირეჯიბის პუბლიცისტიკა და რაც არის ძირითადად ჩვენი ინტერესის საგანი, კარგად გამოხატა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა: „მწერალი მოვლენათა კრიტიკულ-ოპოზიციური განსჯის დროს ზომიერების გრძნობას მაინც არასოდეს

კარგავს და ჩვენი ქვეყნის წარსულისა თუ თანადროული ყოფის საჭირბოროტო პრობლემებს მშობლიურ ფესვებს იძულებით მოწყვეტილი კაცის ტენდენციურობით კი არ აანალიზებს, არამედ ობიექტური მიუკერძოებლობითა და აკადემიზმით". [1, 356] სწორედ ეს ობიექტურობა და აკადემიზმია ის ძირითადი ქვაკუთხედი, რის მიხედვითაც განვიხილავთ მის პუბლიცისტურ წერილებს და ესსეებს.

გურამ შარაძემ, 90-იან წლებში, აღადგინა რა ნიკოლო მიწიშვილის მიერ გამოცემული ჟურნალი „ქართული მწერლობა", რუბრიკით „ორნატი", დაბეჭდა შალვა ამირეჯიბის წერილი „ჯაყოს ხიზნები", რომელიც ჩვენ დაწვრილებით განვიხილეთ სტატიაში „ისევ და ისევ ჯაყოს ხიზნები", ამიტომ მასზე ყურადღებას არ შევაჩერებთ, მხოლოდ აღვნიშნავთ იმ მიუკერძოებლობას და აკადემიზმს, რითაც გამოირჩევა წერილი. ავტორს გული სტკივა, რომ მიხეილ ჯავახიშვილმა ორიათასწლოვანი ქართული ლიტერატურა, მარგოს სახით, ჯაყოს მიუგდო, რომ არიან ჯაყოსნაირი ტიპები, მაგრამ არ არის აუცილებლობა „მწერლობაში იყვნენ შეყვანილი", რადგან ხელოვნება „სიმბოლოებს საჭიროებს და არა ასლს, არ არის ამისთანა „გმირების" ლიტერატურაში შემოყვანა აუცილებელი, რადგან თუ „ცხენის ქანდაკების ნაცვლად პიედესტალზე ცოცხალ ცხენს დავაყენებთ, მაშინ აქანდაზი და ცოცხიც უნდა მოვიმარჯვოთ, რომ მისი ფუნე გავხვეტოთ". შალვა ამირეჯიბი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად აფასებს ამ რომანს, თუმცა მიხეილ ჯავახიშვილს ერთ დროს თავის მეგობრად, თანამოაზრედ და თანამებრძოლად მიიჩნევდა.

ცალკე თემად შეიძლება გამოვყოთ -„ილია და შალვა ამირეჯიბი". 1996 წელს ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ გამოსცა ორტომეული -„ილია ემიგრანტთა თვალით", რომლის პირველ ტომში შალვა ამირეჯიბის ორი წერილია დაბეჭდილი. სათაურიდანვე ნათელია, რომ კრებული ილია ჭავჭავაძეს ეძღვნება და მოიცავს ქართველ ემიგრანტ-მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა წერილებს, მოგონებებს, ლექსებს. წინასიტყვაობაში დაფიქსირებულია, რომ წიგნში შესაძლებლობისდაგვარად გამოკვეთილია უცხოეთში მოღვაწე ქართველთა დამოკიდებულება ილიას პიროვნებისადმი, მისი შემოქმედებისა და მოღვაწეობისადმი. შ. ამირეჯიბის პირველი წერილის სათაურია „ილია ჭავჭავაძე". პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „სამშობლო" (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო) #12, პარიზი; კრებულში გადმობეჭდილია ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართულ-ევროპული ინსტიტუტის მიერ გამოცემული საიუბილეო კრებულის მიხედვით -„ილის ჭავჭავაძე-150", (რედაქტორი ჯანრი კაშია), 1988 წ., პარიზი. დაწერილია ილიას გარდაცვალებიდან 25 წლის შემდეგ და ეძღვნება ილიას ფენომენის კვლევას, ისევე, როგორც სხვა წერილები. შალვა ამირეჯიბი გაოცებულია, რომ ილიას ლექსების უმრავლესობა დაწერილია პავლოვსკში, სტუდენტი ილიას მიერ. ამიტომ, ბუნებრივია, შემდგომში განვითარებულ მოვლენებს თუ გავითვალისწინებთ, რამდენიმე ლექსი წინასწარმეტყველებებით არის სავსე. შალვა ამირეჯიბს კი მიაჩნია, რომ „ილიას წინასწარმეტყველება არა სურდა". რომ მას თავისი ხვედრი აწუხებდა და ეს „წინასწარმეტყველის ხატება ილიასთვის უკვე დაძველებული ალეგორია იყო" [4, 28].

შალვა ამირეჯიბის შეფასებით, ილია ქართული მწერლობის განუმეორებელი სახეა. რომ მისი პოეზია და პირადი ხასიათის თვისებანი „ერთის პოლიტიკურის მრწამსით იყო შეღებილი-ლიბერალიზმით", რომლის სრული სენტენცია ილიამ „აჩრდილში" მოგვცა. მართალია, ამ ლიბერალიზმს საქართველოსთვისაც და ილიასთვისაც კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა, საუბედუროდ, ქართველ ლიბერალებსა და ქართველ მარქსისტებს შორის „წარმოუდგენელი სხვადასახვაობა აღმოჩნდა". საყურადღებოა დასკვნა, რომელსაც შალვა ამირეჯიბი წერილის დასასრულს აკეთებს: „თუმცა „მესამე დასელები" არასოდეს იფიქრებდნენ, რომ ოდესმე ილია ჭავჭავაძის აზრებთან და საქმეებთან რამე საერთო ექნებოდათ, ბედის ირონიით, მათ სწორედ იმის კეთება მოუხდათ, რასაც ილია ქადაგებდა" [4, 29].

კრებულში „ილია ემიგრანტთა თვალით", მეორე წერილი, რომელიც შალვა ამირეჯიბს ეკუთვნის, არის „ისტორია საქართველოსი და უდარდელი კაცის ისტორია". წერილი პირველად დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს გუშაგში", ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანოში, (დამაარსებელი სპირიდონ კედია) #7, 1934 წელს, პარიზში.

სათაური მიგვანიშნებს, რომ წერილში საუბარი ნოე ჟორდანიას შეეხება. მისი მოღვაწეობა განხილულია ილია ჭავჭავაძის შეფასებების ფონზე. 1934 წელს უკვე დადასტურებულია, რომ ილია არა ცდებოდა იმ შეფასებებში, რომელსაც ნოე ჟორდანიას მიმართ გამოთქვამდა - სახეზეა ნოე ჟორდანიას პოლიტიკის სრული მარცხი. სათაურში მოხსენიებული „უდარდელი კაცი" - ნოე ჟორდანიაა, რომელიც არც კი ნაღვლობს იმას, რომ ქვეყანა მტერს ჩაუგდო ხელში, გამოიქცა და მაინც თავისი პოლიტიკის უპირატესობაზე საუბრობს იმ წერილებში, რომელთაც ემიგრანტულ

პრესაში აქვეყნებს. რაც შეეხება ამ წერილებს, და, საერთოდ, ნოე ჟორდანიას მთელ პუბლიცისტურ მოღვაწეობას, შალვა ამირეჯიბი მკაცრად და მიუკერძოებლად აფასებს: „ნოე ჟორდანიამ ვერ იპოვა საკუთარი სახელი ლიტერატურაში, მისი ყველა იდეა, განსხვავებით ილია ჭავჭავაძისგან, უცხოეთიდან იყო შემოტანილი. თუ თავიდან მას მხოლოდ ილია აკრიტიკებდა, „ბოლოში საკუთარმა მიმდევრებმაც უბრუნეს კეხი“ [4, 48]. ასევე საინტერესოა აზრი - მიუხედავად იმისა, რომ ნოე ჟორდანიამ საქართველოში გაიკეთა პოლიტიკური კარიერა, ის მაინც ვერ გახდა „სახელმწიფო კაცი“, რადგან ბატონმა ნოე ჟორდანიამ თავისი დამოუკიდებელი საქართველო „იმ კვერცხებისგან მოწვა, რომელსაც საქართველო ოთხი თუ ხუთი საუკუნე სდებდა, მაგრამ ეხლა იძახის, რომ კვერცხიც მისი დადებული ყოფილა“ [4, 49].

რაც შეეხება იმ წერილებს, რომლებსაც „საგარეო პოლიტიკა“ ჰქვია და რომლებშიც ნოე ჟორდანია ქართულ ისტორიას იხილავს, შალვა ამირეჯიბი მიიჩნევს, რომ როცა ამ წერილებში ნოე ჟორდანია ისტორიულ პირებს „ასამართლებს“, ავიწყდება, რომ „გარდასულ ეპოქას თავისი უნდა მიეზღოს“. ავიწყდება და აჩვენებს თავის ნამდვილ სახეს. როცა ის მეფე ერეკლეზე და ილიაზე საუბრობს: „მკვდრებსა სცარცვამს, იმათ ტანისამოსს თვითონ იცვამს და თავისას მათ საფლავებზედ სტოვებს“ [4, 50]. თვითონ ნოე კი მთელ თავის პოლიტიკურ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას კარლ მარქსის იდეების დალაგებისკენ მიმართავს. მიმართავს როგორ? ისე, რომ ქართველ ხალხს „ასულელებს“ - მარქსი საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე იყოო.

სწორედ ამიტომ, მიაჩნია შალვა ამირეჯიბს, არ არის დასაჯერებელი ნოე ჟორდანიას მოღვაწეობა. დაწერს რა ყოველივე ამას, გააანალიზებს რა ნოე ჟორდანიას მოღვაწეობას, მის დამოკიდებულებას ერთის მხრივ საქართველოს ისტორიის, ქართველი მეფეების, ილია ჭავჭავაძის და მეორეს მხრივ კარლ მარქსის მიმართ, როცა ქართველმა მარქსისტმა ისიც კი არ იცის, რაც „მარქსის ნაწერებში ქართველი მარქსისტისათვის საყურადღებო უნდა ყოფილიყო“ [4, 50], დასკვნების გამოტანას მკითხველს მიანდობს, თვითონ კი, უბრალოდ „უდარდელ კაცს“ უწოდებს.

გურამ შარაძის „ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის“ პირველ ტომში, შალვა ამირეჯიბის წერილები მხოლოდ გაზეთ „თეთრი გიორგის“ ფურცლებზე გამოჩნდება. ეს არის საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობის ორგანო, რომელიც შემდგომში ეროვნული ერთობის დარაზმულობა „თეთრი გიორგის“ ორგანოდ გადაკეთდა. გამოდიოდა სხვადასხვა ინტენსიობით და სხვადასხვა მოცულობით. ახლდა დამატება ქართულ და ფრანგულ ენებზე. გამოიცემოდა ბერლინში და პარიზში. ღირდა 2 ფრანკი. დღეს ეს გამოცემები ინახება გურამ შარაძის კერძო კოლექციაში - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტში არსებულ ქართული ემიგრაციის მუზეუმში.

რომ გავარკვიოთ შალვა ამირეჯიბის მიერ ამ პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი წერილების პათოსი, ჯერ უნდა გავერკვეთ იმ იდეების არსში, რომელიც გააჩნდა „თეთრი გიორგის“ დამაარსებელ ორგანიზაციას, და რომლებსაც სრულად იზიარებდა შალვა ამირეჯიბი, თანამშრომლობდა რა მათთან.

საინტერესოა მიზეზი, რის გამოც საჭირო გახდა 1920-30-იანი წლების ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში შექმნილიყო ზედიზედ რამდენიმე ახალგაზრდული ორგანიზაცია თავისი ბეჭდვითი ორგანოებით. საქმე იმაშია, რომ ახალგაზრდა თაობა არ დაკმაყოფილდა უფროსი თაობის პოლიტიკურ პარტიათა პროგრამებით და მოქმედების ფორმებით. მათ შორის ღირსეული ადგილს იკავებს გენერალ ლეო კერესელიძის მიერ შექმნილი, სწორედ ის საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობის ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“ და ამავე ორგანიზაციის გაზეთი „თეთრი გიორგი“, მათი იდეები და აზრები, რომლებსაც იზიარებს შალვა ამირეჯიბიც.

„თეთრი გიორგის“ დამაარსებელ ორგანიზაციას ჰქონდა ჰიმნი სიმონიკო ბერეჟიანის მიერ დაწერილი ტექსტით, ასევე შოთა რუსთაველისადმი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობისადმი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გარდაცვალებისადმი მიძღვნილი ნომრები. ამ დროის ემიგრანტული პრესის მიმოხილვებში არსად შალვა ამირეჯიბის წერილები განხილული არ არის, სამაგიეროდ ვხვდებით მის გვარს და სახელს ჟურნალების: „სამშობლო“, „კავკასიონი“ და გაზეთ „კლდის“ ავტორ-თანამშრომელთა შორის. ამ მხრივ საინტერესოა ჟურნალ „სამშობლოში“ დაბეჭდილი საპროგრამო წერილი, რომელსაც თან მოსდევს პროგრამის თეზისების გამშლელი ორი სტატია პარტიის ორი თვალსაჩინო ფიგურის -ალექსანდრე ასათიანის და შალვა ამირეჯიბის ხელმოწერით. ამ წერილში შალვა ამირეჯიბი აგრძელებს ალ. ასათიანის თეზისების მთავარ მოთხოვნას და უმატებს ეროვნულ ძალთა მთლიანი ფრონტის შექმნის აუცილებლობას. ავტორი მიმოიხილავს რა მენშევიკურ საქართველოს, „მესამე დასს“ წერს: “ამ გრძელი ისტორიის მოგონება იმიტომ დაგვჭირდა, რათა გვეთქვა, ვინ იყო ის პარტია, რომელმაც ეს დამოუკიდებლობა წააგო და რა მწარე გამოცდილების

შემდეგ დაადგა ქართველი ერი იმ გზას, რომ ამ დამოუკიდებლობის ხელმეორედ მოპოვებას გაერთიანებულის ძალებით უნდოდა ბრძოლა“. [2, 260] ეს საკმაოდ ვრცელი წერილი მთავრდება საკმაოდ იმედიან ნოტაზე, რომ როდესაც ხორციელად დაშორებული ეროვნული ძალები ოცი წლის შემდეგ სულიერი ძალით ერთად მოიყრის თავს და „გადაავლებენ თვალს ოცი წლის მანძილზე განაწევ ბრძოლისა და მუშაობის გზებს, მათ შეუძლიათ გაბედულად სთქვან: არ ჩაუვლია მუქთად დაღვრილსა სისხლსა და გაწეულ შრომას!“ [2, 261]

ეს სიტყვები სრულად მიესადაგება შალვა ამირეჯიბის მიერ განვლილ გზას და ამ გზის მიერ მოტანილ შედეგებს. ვიკტორ ნოზაძემ შ. ამირეჯიბს თავისი თაობის ისტორია უწოდა, „მისი აზრი და ფიქრი, მისი ნატვრა, მისი ღვაწლი და ბრძოლა“.

ლიტერატურა:

1. ნიკოლეიშვილი ავთანდილ, ქართული ემიგრანტული მწერლობა, ქუთაისი, 2006.
2. შარაძე გურამ, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. I, 2004.
3. შარაძე გურამ, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VI, 2005.
4. ილია ემიგრანტთა თვალით, ტ. I, თბილისი, 1996.

რეზიუმე

შალვა ამირეჯიბი თვალსაჩინო წარმომადგენელია „სამანს აქეთ და სამანს იქით“ მიმდინარე გახლეჩილი ლიტერატურული პროცესისა. ის ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნის დროს იყო პოლიტიკური მოღვაწე, დამფუძნებელი კრების და მისი მუდმივი ორგანოების მუდმივი წევრი, 1924 წლის აჯანყების ორგანიზატორი და მონაწილე. შრომაში განხილულია შალვა ამირეჯიბის, ამ მრავალმხრივი მოღვაწის, პუბლიცისტიკის ერთ ნაწილი, თუმცა ცნობილია, რომ ის საკმაოდ სერიოზულად იყო დაინტერესებული ლიტერატურითაც.

SOME QUESTIONS OF SHALVA AMIREJIBI PUBLICATIONS

Marine Tsertsvadze, Professor

RESUME

Shalva Amirejebi is a prominent representative of a split literary process such as “Samans Aket da Samans Ikit” (“On Each Sides of the Border”). He was a political figure, permanent member of the Constituent Assembly and its permanent organs while his being in Georgia. In 1924 he organized and participated in the rebel. In the work there is discussed one of Shalva Amirejibi’s publications, though it is known that he used to express great interest in literature as well.

* განათლება*
Education

მოზარდთა ასოციალური ქცევის წარმოქმნის ფაქტორები და მათი კორექცია

ციური ბაქრაძე, ასოცირებული პროფესორი

საზოგადოებრივი განვითარების დღევანდელი დონე ჩვენს ქვეყანაში მოითხოვს ჰუმანიზაციას საზოგადოებრივ ურთიერთობათა ყველა სფეროში.

ადამიანთა ცხოვრების ჰუმანიზაციის პროცესში განსაკუთრებულ როლს ასრულებს სკოლა, რამდენადაც მას აკისრია ჰუმანიზმის საწყისებზე მომავალი თაობის აღზრდა. პედაგოგიური მეცნიერების წინაშე დგას მაღალზნეობრივი, ჰუმანური პიროვნების ფორმირების, კვლევის ინტენსიფიკაციის ამოცანა. ამის საჭიროება განსაკუთრებით იგრძნობა დღეს, როდესაც ადამიანების ფსიქიკური დატვირთვა გაზრდილია და მათ უჭირთ თავიანთი ურთიერთობების მართვა. შემთხვევითი არ არის, რომ მოზარდთა ასოციალური ქცევის წარმოქმნა, ურთიერთობებისა და კონფლიქტების პრობლემა მრავალი მეცნიერ-პედაგოგისა და ფსიქოლოგის გაღრმავებული შესწავლის საგნად იქცა.

როგორც მრავალი კვლევისა და აღზრდის პრაქტიკის მონაცემები გვიჩვენებს, პიროვნების განვითარების სენსიტური პერიოდი გარდამავალ ასაკზე მოდის. ესაა სოციალური მოთხოვნების ინტენსიური გამოვლენისა და ჩამოყალიბების ხანა. მოზარდების სწრაფვას შესცვალოს ადამიანურ ურთიერთობათა სისტემაში თავისი ადგილი, ხშირად მოჰყვება კონფლიქტები და ბულინგი.

ადამიანის ფორმირება - ეს მნიშვნელოვანი მომენტია საზოგადოების შექმნისა და ჩამოყალიბებისათვის. ეს თავისთავად გულისხმობს იმას, რომ თითოეული ადამიანის შეგნება ავიყვანოთ იქამდე, რომ ის თვითონ გახდეს საკუთარი თავის შემოქმედი, ისტორიის შემქმნელი. აღზრდის ამოცანები შეუძლებელია სოციალური გარემოს ნეიტრალიზაციის, სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების მჭიდრო კავშირის გარეშე, სწორედ ამის გამო საზოგადოების ერთ-ერთი უპირველესი მოთხოვნათაგანია სამართალდარღვევისა და დანაშაულთა აღკვეთა, აღზრდის თანმიმდევრობა და ეფექტურობა დიდად არის დამოკიდებული საზოგადოების სწორ და მიზანმიმართულ განვითარებაზე. ახალგაზრდობის აღზრდა, ზრუნვა მათ სულიერ და ფიზიკურ განვითარებაზე დღევანდელი სკოლის, ისევე როგორც ყველა სააღმზრდელო დაწესებულებების, ფართო საზოგადოებისა და თითოეული ოჯახის ყველაზე მეტად საპასუხისმგებლო საქმეა.

მოზრდილობის ასაკში ბავშვს ეძლევა ცხოვრების პერსპექტივის მხოლოდ პირველი შტრიხი, ერთგვარი ესკიზი, ცხოვრების სრული სურათი კი მისთვის ჯერჯერობით უცნობია. მათი სულიერი სამყაროს ჩამოყალიბება ერთგვარ წინააღმდეგობათა გადალახვის გზით მიმდინარეობს, მის ფსიქიკაში აქტუალური მოთხოვნები და ვალდებულებანი ერთმანეთს უპირისპირდება.

აღზრდა ურთულესი და შინაგანი წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესია. ეს საკმაოდ ცნობილი პედაგოგიური აქსიომა კარგად იცის ნებისმიერმა აღმზრდელმა, პედაგოგმა, მშობელმა.

მილიონობით აღმზრდელის წინაშე დგას უამრავი კითხვა, პრობლემა, რომლის მიღმა აღსაზრდელია, ყოველდღიურად წარმოიშობა ისეთი სიტუაცია, როცა უფროსს უხდება შეაფასოს მოზარდის საქციელი. დაიკავოს განსაზღვრული და სწორი პოზიცია, გამოიყენოს აღსაზრდელზე ზემოქმედების სხვადასხვა ფორმა. ძალიან ხშირად კი პედაგოგები, აღმზრდელები, მშობლები უძლურები არიან პრობლემის გადაჭრაში.

კარგა ხანია დგას საკითხი ცალკეული პრობლემური შემთხვევების, სიტუაციების, მეცნიერული ანალიზისა, რომელიც დაეხმარება აღმზრდელებს კერძო შემთხვევაში სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში, მოზარდთა დევიაციური ქცევის კორექციაში. აღზრდაში ადვილი შესაძლებელია წარმოიქმნას რთული სიტუაციები, ამიტომ აღმზრდელი მზად უნდა იყოს ამისათვის.

ა. კოჩეტოვი აღნიშნავდა, რომ „იმ შემთხვევაში, თუ არ ვიცნობთ მოზარდს, მის თავისებურებებსა და გადახრებს, შეუძლებელია სწორად შეირჩეს აღზრდის მეთოდები, ამასთან მხოლოდ მოთმინებით, ბავშვზე ყოველდღიური დაკვირვებით, მისი ქცევის მიზეზისა და მოტივის შესწავლითა და სწორი ანალიზით არის შესაძლებელი წარმატებით მიღწევა აღზრდაში“ [9; 120].

პედაგოგიური მეცნიერება აღზრდის ზუსტ რეცეპტებს არ იძლევა, თუმცა ის მიუთითებს პიროვნების აღზრდისა და ფორმირების გზებსა და საშუალებებზე. კრძალავს არასწორი გადაწყვეტილებების მიღებას, ხელს უწყობს პედაგოგიური აზროვნების კულტურის ჩამოყალიბებას.

აღზრდის თეორიის ცოდნა იმის საფუძველია, რომ ყოველმა აღმზრდელმა შექმნას მოზარდის აღზრდის საკუთარი, ინდივიდუალური და კრეატიული პროგრამა. კ. უშინსკი თვლიდა, რომ „აღმზრდელი ცოდნასთან ერთად უნდა ფლობდეს მოზარდთან ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, აღმზრდელობით საშუალებებს, პედაგოგიური ზემოქმედების ხერხებს და იცოდეს თითოეული მოზარდის შესაძლო პედაგოგიური პოტენციალი“ [4. 180].

უცხოურ პედაგოგიკაში არსებობს კონცეფცია, რომლის მიხედვით ყოველგვარი პედაგოგიური ზემოქმედება პიროვნების განვითარებასა და თავისუფლების ხელყოფაა, რომ თითქოს „შვილების წინააღმდეგ ბრძოლა“ - ან მათზე ზემოქმედება - ეს არის კონსერვატიზმის გამოვლენა, ზნეობრივი პროგრესის ხელოვნურად შეფერხება.

თანამედროვე პედაგოგიკისათვის ამგვარი თვალსაზრისი რეალობას მოვლებულია. ჯერ ერთი - მოზარდი თაობა უფროსების ზემოქმედების, მათი დახმარების გარეშე, დამოუკიდებლად და იზოლირებულად თვით მეტყველებასაც ვერ შეძლებდა. (ე.ი არც მისი აზროვნება განვითარდებოდა) და მეორე: მთავარია არა აკრძალვა, არამედ ის, თუ რას ვკრძალავთ.

აღმზრდელთა და პედაგოგთა წინაშე ყოველთვის იდგა ასოციალური ქცევის მოსწავლეთა აღზრდის პრობლემა. ისინი ამოვარდნენ ნორმალური სწავლებისა და აღზრდის პროცესიდან. ეს ძირითადად გამოწვეულია მათი პიროვნების იგნორირებით, მათზე იმპერატიული ზემოქმედებით, უსამართლო შეფასებითა და დასჯით.

როგორც პედაგოგიური პრაქტიკა გვიჩვენებს, ასოციალური ქცევის მოზარდებთან მუშაობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათდამი ინდივიდუალურ მიდგომას, მათი ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურებების შესწავლას.

მ. ყოლბაია აღნიშნავს, რომ: „ძნელი მოზარდების ბუნებაზე დაკვირვებამ, მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ხშირად მათთან ინდივიდუალურ - აღმზრდელობითი მუშაობა მიმდინარეობს ინდივიდუალური თვისებების შესწავლის გარეშე. მოზარდთან ურთიერთობისას გულახდილობის მიღწევაა საჭირო, რათა გამომჟღავნდეს მისი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებები“ [6; გვ. 15].

მეტაანალიზით დადგინდა, რომ ასოციალური ქცევის მოზარდების 90% დანაშაულს სჩადის პუბერტაციის პერიოდში, 13-16 წლის ასაკში, როდესაც მათში რთული ფსიქო-ბიოლოგიური პროცესები მიმდინარეობს. ნ. როგავას განმარტებით: „ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში დადგენილია მოზარდების ასაკის თავისებურებანი, ცნობილია, რომ სქესობრივი მომწიფებისას მოზარდის ემოციური ცხოვრება იცვლება. მათ ყოველგვარ მოქმედებას თან ახლავს გაძლიერებული მგრძნობელობა - სიხარული, მწუხარება, აღშფოთება, მრისხანება, სწრაფად რომ წარმოიქმნება და მის ცნობიერებას იპყრობს. მოზარდისათვის დამახასიათებელია ემოციურ განწყობილებათა სწრაფი ცვლა, ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადასვლა“ [3; 15].

დიდი გარდატეხა ხდება ინტელექტუალური განვითარების გზაზეც. მოზარდი სწრაფი ტემპით გადადის კონკრეტული აზროვნებიდან აბსტრაქტულზე.

მრავალ მიზეზთა შორის მოზარდთა ასოციალური ქცევისა და კონფლიქტების წყაროდ გვევლინება ლიდერობის პრობლემა მოსწავლეთა ჯგუფში. ლიდერებს შეიძლება ჰქონდეთ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებები, მაგრამ ამ თვისებათა ზოგადი ტენდენცია ყოველთვის დადებითი, ზნეობრივი ნორმების გამომხატველი არ არის. ხშირ შემთხვევაში მათ ხელში ჰყავთ აყვანილი მთელი კლასი. ასეთი მოსწავლის ეშინიათ და შიშის გამო იძულებულნი არიან იმეგობრონ მასთან.

ა. ბრეგაძე აღნიშნავს, რომ: „დადებით ლიდერს ყოველთვის ისეთი გლობალური გავლენა არა აქვს, როგორც უარყოფითს, აშკარად გამოკვეთილი უარყოფითი ლიდერი ერთია, იგი კონკურსგარეშეა. დადებით ლიდერს კი კონკურენტი ჰყავს, იგი ცოტათი სჯობია სხვებს და აშკარად შესამჩნევი არ არის“ [1; 92].

თვითდამკვიდრების, დიდობისა და პრესტიჟის გამოვლინების ფორმები მოზარდობის ასაკში სხვადასხვანაირია. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გამოვლინებაა ბილწსიტყვაობა, ჩხუბი, გამაღიზიანებელი მოქმედება, თავის გამოჩენის სურვილი და სხვა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი და კიდევ უფრო რთული მახასიათებლები აქვს არასრულწლოვანთა დანაშაულებრივ ქცევას.

ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს ხშირი და ინტენსიური ოჯახური კონფლიქტები, მშობელთა სისასტიკე, აგრესიულობა როგორც ერთმანეთის, ისე

ბავშვის მიმართ. არაჯანსაღ ოჯახურ გარემოში აღზრდილი მოზარდები ხშირად ავლენენ აგრესიულობას, სისასტიკეს, რადგან მათ სურვილებს, ინიციატივას, თვითდამკვიდრებისა და დამოუკიდებლობისადმი სწრაფვას უხეშად თრგუნავენ მშობლები. (ისინი ზოგჯერ სხვების თანდასწრებით ლახავენ მოზარდის თავმოყვარეობას, ფიზიკურად სჯიან, ემუქრებიან, მკაცრად ეპყრობიან). ასეთ მოზარდებს არ შესწევთ დანაშაულის განცდის, თვითკრიტიკის, თანაგრძნობის უნარი. ისინი ზურგს აქცევენ ოჯახს, სკოლას და ქუჩაში ეძებენ თავშესაფარს და ადვილად ექცევიან ქუჩის გავლენის ქვეშ. ქუჩის ანტისოციალური კატეგორიის პირები თავის გარემოში ქმნიან ისეთ ფონს, რაც იზიდავს და უარყოფითად მოქმედებს მოზარდზე, იმ მოტივით, რომ მათაც მიიქციონ ყურადღება, დაიმსახურონ ნდობა და დაიმკვიდრონ თავი ასოციალურ წრეში. ისინი ამ პირებს ბაძავენ სისასტიკეში, აგრესიულობაში და არც თუ იშვიათად აჭარბებენ კიდევ.

რაც შეეხება მშვიდ და უკონფლიქტო ოჯახებში მოზარდების უხასიათობასა და ცუდ ქცევას, საფუძვლად უდევს აღზრდაში დაშვებული შეცდომები.

როგორც აღვნიშნეთ, ასოციალური ქცევის მოზარდები კონფლიქტურები არიან. ეს პრობლემა თანამედროვე პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში განიხილება კომპლექსურად.

ა. ვერტინსკაია წერს: „კონფლიქტი ეს არის წინააღმდეგობა, რომელიც წარმოიშობა ადამიანებს შორის ამა თუ იმ პირადი ან სოციალური საკითხის გადაჭრის დროს“ [8; 21].

ა. კოჩეტოვის განსაზღვრით, ცნება „რთული ბავშვი“ ეხება მოსწავლეს, „რომელსაც იმ შეცდომების გამო, რაც უფროსმა დაუშვა აღზრდის პროცესში, გამოუმუშავდა აღზრდის პროცესზე უარყოფითად რეაგირების ჩვევა“ [9. 11].

ცუცქირიძის აზრით: „ძნელადაღსაზრდელებისათვის ყველაზე დამახასიათებელი არსებითი ნიშანი არის მათი არასწორი წარმოდგენა და ნდობის დაკარგვა გარშემომყოფთათვის, სიკეთისა და სითბოს უფროსის მხრიდან, იგი უცქერის ეჭვით, ზოგჯერ შეიძლება გამოხატოს უხეში რეაქცია, გამომწვევი ქცევა“ [7; 103].

მოზარდთა ასოციალური ქცევის დასადგენად მკვლევარები 3 ძირითად ნიშანს გამოყოფენ: 1. ფსიქიკის არასწორი განვითარება (რომელიმე ერთი მხარის ძლიერი განვითარება და სხვა მხარის ჩამორჩენა), 2. პედაგოგიური ხელმიშვებულობა, 3. გარემომცველი სოციუმის არაადეკვატური აღქმა (ოჯახი, მეგობართა წრე და სხვა).

მკვლევრები, რომლებიც მუშაობენ აღნიშნულ პრობლემებზე, ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ განსაკუთრებით რთულდება მდგომარეობა გარდამავალ ასაკში. მართალია რთული ბავშვები სკოლამდელ ასაკშიც და სწავლების პირველ საფეხურზეც გვხვდება, მაგრამ პრაქტიკული გამოცდილებით მტკიცდება, რომ როგორც რაოდენობრივად, ისე თვისობრივად სიძნელეები მეტია გარდამავალ ასაკში.

მოცემულ ეტაპზე მოზარდს უყალიბდება განსხვავებული ხასიათი და მიდრეკილებები გაერთიანდეს „ინიციატორთა ჯგუფში“. ისინი, როგორც წესი, არღვევენ წესრიგს, ცუდად სწავლობენ, ჩხუბობენ, ცრუობენ, ბილწსიტყვაობენ და ქურდობენ კიდეც. თუმცა ისიც ხდება, როცა რთული მოზარდი კარგად სწავლობს, მაგრამ ქცევაში მაინც შეიმჩნევა გადახრა.

ქცევის ნორმების დარღვევის ფორმით რთული ხასიათის გოგონები და ვაჟები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ნ. როგავა აღნიშნავს: „რთული გოგონები ერთი შეხედვით ხშირად არ განსხვავდებიან თანატოლებისაგან. გაკვეთილზე კარგად იქცევიან, ფაქიზად გამოიყურებიან, გოგონებს სირთულე უმეტესად ეხება მათ პირად ცხოვრებას, მორალს, ამიტომაც მათი საქციელი სკოლაში დაფარულია, მაგრამ კარგად ჩანს სკოლის გარეთ. თუმცა არ გამოვრიცხავ იმას, რომ ისინი სკოლაშიც და კლასში ცუდი აკადემიური მოსწრებით და ყოფაქცევით გამოირჩევიან“ [3-12]. კარგად შეიმჩნევა ასოციალური ქცევის მოზარდების ოჯახებში არსებული არაჯანსაღი ატმოსფერო. ხშირად მათი ოჯახი გარეგნულად საიმედოდ გამოიყურება, ახლოს გაცნობისას კი კარგად ჩანს დარღვეული ურთიერთობანი ოჯახის წევრთა შორის.

ა. ფელდშტეინმა შეისწავლა და გააანალიზა განსაკუთრებული სიტუაციები ბავშვის განვითარებაში ზნეობრივი ურთიერთობის დროს. მკვლევარი გამოჰყოფს სიტუაციის განვითარების ხუთ მახასიათებელ სახეობას:

„I - ჯგუფი ხასიათდება, როგორც ბავშვის განვითარება ზნეობრივი ურთიერთობისას, როცა მშობლები გამოირჩევიან დაბალი სულიერი მოთხოვნილებებით, მათ უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ პედაგოგებთან და ხშირია მათ შორის კონფლიქტებიც.

II - ჯგუფი ხასიათდება მაღალი მატერიალური მოთხოვნილებებით, გადაჭარბებული ზრუნვით ბავშვზე, რაც არ აძლევს ბავშვს სოციუმში ნორმალური ურთიერთობის დამყარების საშუალებას.

III - ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი სიტუაციები, როცა ოჯახის წევრებს შორის კონფლიქტური დამოკიდებულებაა, ზნეობრივი შინაარსი ამ ურთიერთობებისა, ბავშვისათვის გაუგებარია. ამ დროს ბავშვი კიდეც ჭირვეულდება და კიდეც იკეტება ავადმყოფურ ემოციათა სფეროში.

IV - ჯგუფი ურთიერთობებისა ვლინდება მაშინ, როცა პედაგოგიური ხელმიშვებულობა გამომჟღავნდება უკვე მოზარდის ურთიერთობათა სისტემაში, დეფექტი ქცევაში შეუმჩნეველი რჩება აღმზრდელისთვის.

V - ჯგუფს სიტუაციებისა მიეკუთვნება ძირითადი ურთიერთობები, რაც გამოხატულია პედაგოგიურად ხელმიშვებულ ბავშვებში და იწვევს წარუმატებლობას სწავლაში. ხდება უარყოფით ქცევებზე მთლიანი გადასვლა“ [5; 17].

ე.წ. რთული მოზარდის ხასიათი, წინააღმდეგობრივი და კონფლიქტურია, რომელიც მათი ბავშვობის თანამგზავრია, ეს საკითხი კარგად არის განხილული წიგნში: „მუშაობა რთულ ბავშვებთან“ ა. კოჩეტოვისა და ვერტინსკაიას ავტორობით.

შ. ნადირაშვილის აზრით: „ასოციაციური ქცევის მოზარდებთან მუშაობის ნაცადი და ნაყოფიერი ფორმაა ხელმეორედ აღზრდა, რომლის დროსაც თავიდან უნდა ავიცილოთ ტიპიური შეცდომები და გავითვალისწინოთ შემდეგი:

1. მიკროსოციალური გარემოს გაჯანსაღება;
2. პროფილაქტიკური მუშაობის გაძლიერება სკოლასა და მიკროსოციუმში;
3. რთული მოსწავლის გააქტიურება, მისი საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეში ჩაბმა, ნდომა, დარწმუნება, წახალისება;
4. უარყოფითი ჩვევების მინიმალიზაცია;
5. ცხოვრებისათვის ახალი გარემოს ჩამოყალიბება, შექმნა;
6. მოზარდის ჩართვა თავისივე ნაკლის გამოსწორებაში;
7. ინდივიდუალური კორექცია და პიროვნული შეფასება განწყობის სისტემაში“ [2. 7].

ამდენად, მოზარდობის პერიოდის დასაწყისში ხშირად იქმნება კონფლიქტური სიტუაციები, რაც გამოხატულებას პოულობს, ერთი მხრივ, მოზარდებს შორის დამოკიდებულებაში და, მეორე მხრივ, მოზარდსა და მოზრდილის ურთიერთობაში. მოზარდთა კონფლიქტების მთავარ მიზეზად გვევლინება არასწორი საოჯახო, სასკოლო აღზრდა, ამ დროს დაშვებული შეცდომები.

ლიტერატურა:

1. ა. ბრეგაძე, რა არის ადამიანი, თბ., 1997.
2. შ. ნადირაშვილი - ისევ აღზრდის ტრაგედიის შესახებ, ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“ 31, 1998.
3. ნ. როგვავა, არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საკითხები, თბ., 1990.
4. კ. დ. უშინსკი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, თბ., 1997.
5. ა. ფელდშტეინი, ასაკის კანონი, თბ., 2000.
6. მ. ყოლბაია, ძნელი ბავშვები, თბ., 1985.
7. ზ. ცუცქირიძე, ლექციების კურსი პედაგოგიკაში, თბ., 1997.
8. А. М. Вертинская, Индивидуальная работа с участимся, М., 2001.
9. А. И. Кочетов, Работа с трудными детьми, 1999.

რეზიუმე

როგორც ნაშრომშია აღნიშნული, აღზრდის ამოცანები შეუძლებელია სოციალური გარემოს ნეიტრალიზაციის, სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების მჭიდრო კავშირის გარეშე, სწორედ ამის გამო საზოგადოების ერთ-ერთი უპირველესი მოთხოვნაა დანაშაულთა აღკვეთა. ასოციალური ქცევის მოზარდების ბუნებაზე დაკვირვებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ხშირად მათთან აღმზრდელობითი მუშაობა მიმდინარეობს ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურებების შესწავლის გარეშე.

მოზარდთან ურთიერთობისას გულახდილობის მიღწევაა საჭირო, რათა გამომჟღავნდეს მათი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებები.

მოზარდობის პერიოდის დასაწყისში ხშირად იქმნება კონფლიქტური სიტუაციები, რაც გამოხატულებას პოულობს, ერთი მხრივ, მოზარდებს შორის დამოკიდებულებაში, მეორე მხრივ, მოზარდსა და მოზრდილის ურთიერთობაში. მოზარდთა ასოციალური ქცევის მთავარ მიზეზად გვევლინება არასწორი საოჯახო, სასკოლო აღზრდა და ამ დროს დაშვებული შეცდომები.

SOCIAL UPBRINGING FACTS OF TEENAGERS BEHAVIOR AND THEIR CORRECTION

Tsira Bakradze, Associate Professor

RESUME

As it is noted in the work, the upbringing tasks are necessary without social environment neutralization, family and society tight connection, exactly society the first demand is crime prevent. Observation of the difficult teenagers took us to the decision that the up growing works continue without individual and age-group study. During relations with teenager it is necessary to gain honesty to show their as positive so negative characters.

At the beginning of teenage time here often raises conflict situations which is reflected in dependence among teenagers and for the second – between teenager and adult. The asocial reason of teenager are incorrect family, school up growing and mistakes made at this time.

მათემატიკის განვითარება სკოლამდელ ასაკში

მზია გოგიაშვილი, დოქტორი

სკოლამდელ ასაკში ელემენტარული მათემატიკური წარმოდგენების განვითარება ეს არის ამ ასაკის ბავშვის გონებრივი აღზრდის და სკოლისათვის მომზადების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. აღმზრდელთა ბავშვებზე დაკვირვებით დადგინდა, რომ ბავშვების მათემატიკური განვითარება საბავშვო ბაღში არა მარტო შესაძლებელია, არამედ აუცილებელიც.

ელემენტარული მათემატიკური წარმოდგენების განვითარებაზე მუშაობა ძირითადად ხორციელდება სპეციალურად ორგანიზებულ მეცადინეობაზე, სადაც ბავშვებს უფართოვდებათ მათემატიკური წარმოდგენები, უვითარდებათ ინტერესი ცოდნის შეძენისადმი, აგრეთვე ფსიქიკური ფუნქციები (ყურადღება, აზროვნება, მეხსიერება). მეცადინეობა ხელს უწყობს ბავშვის ქცევის ორგანიზებას, უვითარებს ნებისყოფას. მეცადინეობა წარმოადგენს ძირითად საშუალებას, რომელიც ბავშვის პიროვნულ თვისებებზე ახდენს გავლენას და ამზადებს შემდგომი საფეხურისათვის, სასკოლო ცხოვრებისათვის. /1.2/

აღმზრდელი მათემატიკური წარმოდგენების განვითარებაზე მუშაობის დროს უნდა ზრუნავდეს ბავშვის გონებრივი აქტივობისათვის სათანადო პროცესების შექმნაზე, ხელს უწყობდეს ბავშვის დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას, აღმზრდელმა ბავშვებში უნდა გამოიწვიოს შემეცნებითი ინტერესი, აღზარდოს პასუხისმგებლობის გრძნობა გამოუმუშაოს დასაბუთების, მსჯელობის უნარი, მიაჩვიოს მათემატიკური ცნებების სწორად გამოყენებას ყოველდღიურ პროცესებში, ასწავლოს მიცემულ დავალებებზე ფიქრი.

5 წლის ასაკში ბავშვს უნდა შეეძლოს ჩამოთვალოს მთელი რიცხვები, დაითვალოს 0-დან 10-მდე და პირუკუ. შეაფასოს და შეადაროს ობიექტების რაოდენობა, ანუ დაასახელოს მოცემული რიცხვის მომდევნო რიცხვი /პირველ შემთხვევაში/ და დაუთვლელად დაასახელოს ზუსტი რაოდენობა მცირე ზომის საგანთა გროვაში და დათვლით შეამოწმოს საკუთარი პასუხი. მაგრამ, ცხადია, რომ მხოლოდ მეცადინეობის საშუალებით ვერ მოხდება აღმზრდელობითი ამოცანების გადაჭრა. მეცადინეობასთან ერთად დრო უნდა დაეთმოს დიდაქტიკურ თამაშს. მისი საშუალებით შეიძლება დადგინდეს რამდენად აქვს შეთვისებული ბავშვს პროგრამული მასალა, როგორია განვითარების დონე. ამიტომ დიდაქტიკური

თამაში წარმოადგენს პედაგოგისათვის არა მარტო ბავშვის აღმზრდელობითი ზეგავლენის საშუალებას, არამედ მათი შეცნობის მნიშვნელოვან საშუალებასაც.

აღმზრდელმა უნდა გაითვალისწინოს სააღმზრდელო ჯგუფის ბავშვთა განვითარების დონე, ასაკი, ს/ბაღში არსებული თვალსაჩინო მასალების რაოდენობა და სახეობა.

ბავშვებს ადრეული ასაკიდანვე ექმნებათ წარმოდგენები ერთგვაროვანი და სხვადასხვა გვარი საგნებისაგან შედგენილი სიმრავლეების შესახებ. ამ ასაკის ბავშვები იწყებენ სიტყვების „ბევრი“, „ცოტა“ ხმარებას, მაგრამ ეს ცნებები არ არის მათთვის ჯერ კიდევ გამოკვეთილი, ამიტომ ისინი ბევრს დიდთან აიგივებენ, ცოტას კი – პატარასთან.

ისინი ადარებენ ორ საგანს თვისებების მიხედვით, სიგრძე, წონა, ზომა, მოცულობა. ანუ ადარებენ ორი საგნის სიგრძეს, სიმაღლეს და იყენებენ სიტყვებს: უფრო მოკლე, უფრო გრძელი, უფრო დაბალი, უფრო მაღალი, ტოლი, უფრო მსუბუქი, უფრო მძიმე.

ბავშვებმა უნდა შეადარონ ბრტყელი და მოცულობითი ფიგურები ერთი ატრიბუტის მიხედვით ანუ დააჯგუფონ ბრტყელი და მოცულობითი ფიგურები ზომისა და ფორმის მიხედვით, შეეძლოთ დაალაგონ მსგავსი ფორმის გეომეტრიული ფიგურები პატარიდან დიდამდე და, პირიქით. მათ უნდა ააგონ და აღწერონ მოცულობითი ფიგურები, გამოიყენონ სიტყვები: დიდი, პატარა, ყუთის მსგავსი, მრგვალი. /2.37/

5 წლის ბავშვის მათემატიკური აზროვნება ხდება უფრო აბსტრაქტული და ამით გეომეტრიული ფორმებისა და ციფრების მნიშვნელობაც. მათ შეუძლიათ დაითვალონ ნივთები, განახორციელონ მარტივი მიმატება და გამოკლება და განსაზღვრონ, თუ რომელი ნივთების ჯგუფია მეტი ან ნაკლები რაოდენობის. ამ ასაკის ბავშვებს შეუძლიათ ქრონოლოგიურად დაალაგონ მოვლენები, სწავლობენ საათის ცნობას. მათ ასევე შეუძლიათ ნივთების დაჯგუფება ერთზე მეტი მახასიათებლის მიხედვით.

სკოლისათვის ბავშვის მომზადების ერთ-ერთი მხარეა სივრცეში ორიენტირების უნარის განვითარება. მაგ. მათ უნდა იცოდნენ მარცხნივ, მარჯვნივ, პირდაპირ, ზევით, ქვევით, შუაში, უკან. ამის საფუძველს კი აძლევს სკოლამდელი ასაკი. მათემატიკის სწავლების პროცესში გამოყენებული შეიძლება იყოს სხვადასხვა მეთოდები და ხერხები.

თამაშის პროცესში ვლინდება ბავშვის გონებრივი აქტივობა. დიდაქტიკური თამაში კი სკოლამდელი ასაკის ბავშვის მოთხოვნებს ყველაზე მეტად აკმაყოფილებს და ხელს უწყობს მის განვითარებას. რადგან პროგრამული მასალის განმტკიცება ხდება სწორედ დიდაქტიკური თამაშის პროცესში. ამიტომ დიდაქტიკური თამაშები უნდა ჩატარდეს არა მარტო მათემატიკურ მეცადინეობებზე, არამედ ყოველდღე, დღის ნებისმიერ ნაწილში. მისი საშუალებით ბავშვებს ცოდნა განუმტკიცდებათ საგანთა რაოდენობაზე, სივრცით ნიშნებზე, სიდიდეზე.

აღმზრდელმა უნდა გამოიყენოს ჯერ მარტივი, შემდეგ კი რთული შინაარსის დიდაქტიკური თამაშები. ბავშვის გონებრივი განვითარებისათვის უკეთესია, როდესაც თამაში თანდათან რთულდება, ამიტომ აღმზრდელი ცდილობს გამოიყენოს თამაშის სხვადასხვა ვარიანტი.

დიდაქტიკური თამაშები რომლებიც მათემატიკური ხასიათისაა, ბავშვებს უნდა უქმნიდეს სიძნელეს ამოცანის გადაწყვეტაში, მაგრამ ეს სიძნელე მათთვის უნდა იყოს დასაძლევი, რაც მათ გონებრივი ძალების ამოქმედებაში შეუწყობს ხელს.

მათემატიკური შინაარსის დიდაქტიკური თამაშის ჩატარების დროს აღმზრდელიც და ბავშვის უნდა განმარტავდნენ სიტყვიერად, რადგან ეს ხელს შეუწყობს ბავშვის მეტყველებას, ლოგიკურ აზროვნებას, მსჯელობისა და დასაბუთების უნარის გამომუშავებას. აღმზრდელმა თავიდანვე უნდა გაითვალისწინოს დიდაქტიკური თამაშის კონკრეტული ამოცანა და ისე შეარჩიოს თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალა. ამ მასალის მრავალფეროვანი შინაარსი ხელს შეუწყობს აღქმასა და აზროვნების განვითარებას ბავშვებში.

მათემატიკურ დიდაქტიკური თამაშების წესები კარგად უნდა დაისწავლოს აღმზრდელმა, მოამზადოს წინასწარ თვალსაჩინო მასალა, გაითვალისწინოს, როგორ მოახდენს საგნების დარიგებას, რამდენად მისაწვდომად მიაწოდებს თამაშის წესებს და როგორ დაასრულებს თამაშს. აღმზრდელმა უნდა იცოდეს, რომ მის მიერ დაგეგმილი თამაშის ჩატარების ხარისხი დამოკიდებულია მის სწორ ორგანიზაციაზე.

მათემატიკური დიდაქტიკური თამაშით აღმზრდელმა ბავშვებს უნდა გადასცეს თამაშის შინაარსი მოკლედ და გასაგებად, ამიტომ მისი შინაარსის გაცნობა უნდა მოხდეს ჩვენებით და მოქმედებით. /3.9/

როგორც ვიცით, მათემატიკური დიდაქტიკური თამაშის ჩატარების ორგანიზატორი აღმზრდელია, იგია ორგანიზატორიც, წარმართველიც და მონაწილეც თამაშისა. თამაშის შინაარსის გაცნობის შემდგომ აღმზრდელს შეუძლია წამყვანი აირჩიოს და თვალყური ადევნოს მათ, თუ რამდენად სწორად

წარმართავენ თამაშს და რამდენად სწორად იცავენ თამაშის წესებს. აღმზრდელს შეუძლია ჩაერიოს თამაშში და დაეხმაროს მათ გადაწყვეტილების მიღებაში. აღმზრდელმა უნდა იზრუნოს, რომ თამაშში ყველა ბავშვი იღებდეს მონაწილეობას.

ასევე მნიშვნელოვანია აღმზრდელმა იზრუნოს დიდაქტიკური თამაშის დაწყებასა და დამთავრებისას მასალის დარიგება-შეგროვება მოხდეს დროულად, რადგან ამას ბავშვების განწყობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. დიდაქტიკური თამაშის ხანგრძლივობა განისაზღვრება ბავშვთა ასაკის მიხედვით.

ამრიგად, საბავშვო ბაღში სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის მათემატიკის სწავლების პროცესი ითვალისწინებს ორგანიზებულ მუშაობას როგორც მეცადინეობაზე, ისე მის გარეთ.

ლიტერატურა:

1. მათემატიკა სკოლამდელთათვის, თბ., 2000.
2. სკოლამდელი განათლების პროგრამა, თბ., 2011.
3. მათემატიკური შინაარსის დიდაქტიკური თამაში სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის. თბ., 1988.

რეზიუმე

მათემატიკის განვითარება სკოლამდელ ასაკში ეს არის ბავშვის გონებრივი აღზრდის და სკოლისათვის მომზადების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა. ამას ხელს უწყობს დიდაქტიკური თამაშების ჩატარება. დიდაქტიკური თამაშები რომლებიც მათემატიკური ხასიათისაა, ბავშვებს უნდა უქმნიდეს ამოცანის გადაწყვეტის სიძნელეს, მაგრამ ეს სიძნელე ბავშვებისთვის უნდა იყოს დასაძლევი, რაც მათ გონებრივი ძალების ამოქმედებაში შეუწყობს ხელს. ამისათვის აღმზრდელმა უნდა გაითვალისწინოს ბავშვთა განვითარების დონე და ასაკი.

MATHEMATICS DEVELOPMENT IN CHILDREN UNDER SCHOOL AGE

Mzia Gogiashvili, Academic Doctor

RESUME

Mathematics development in children under school age is one of the inevitable condition of a child’s mental development and preparation for school, which is improved by didactive games. They should be mathematical problems with the corresponding level of difficulty, which will help to actuate their mental abilities. A tutor should take into consiretion their level and age.

დისლექცია მოსწავლეებში

მანანა სეხნიაშვილი, მოწვეული სპეციალისტი

დისლექცია ანუ სწავლის უნარის დაქვეითება არის ნევროლოგიური სახის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს ადამიანის ტვინის შესაძლებლობებზე აღიქვას, გაიაზროს დაიმახსოვროს და გადასცეს ინფორმაცია. იგი არ ატარებს შეზღუდვით ხასიათს და შეიძლება განმტკიცებულ იქნას, როგორც ჩავარდნა პიროვნების ინტელექტსა და მის ასაკობრივ კატეგორიაში მიღწეულ უნარ-ჩვევებს შორის. (1)

დისლექცია ვლინდება კითხვისა და მართლწერის სირთულეებში. დისლექციის მქონე ბავშვებს სირთულეები უჩნდებათ კითხვის, წერის და ანგარიშის დროს.

ისმება კითხვა - რა შეიძლება იწვევდეს სწავლის უნარის დაქვეითებას?. ეს შეიძლება იყოს მემკვიდრეობა, პრობლემები მუცლადყოფნის და მშობიარობის დროს და დაბადების შემდგომი ტრავმები.

მემკვიდრეობაა, როდესაც სწავლის უნარის დაქვეითების მქონე ბავშვების მშობლებსაც აღენიშნებათ იგივე პრობლემა.

მუცლადყოფნისა და მშობიარობის პრობლემები შეიძლება გამოწვეული იყოს ისეთი გართულებებით, როგორიცაა ნარკოტიკი, ალკოჰოლი, ადრეული ან დაგვიანებული მშობიარობა თუ ჟანგბადის ნაკლებობა.

რაც შეეხება დაბადების შემდგომ ტრავმებს, ესენია თავის ტრავმა, კვების ნაკლებობა და ტოქსიკური ნივთიერებები.

სწავლის უნარის სპეციფიკური დარღვევის გამოვლინებებია: აკადემიური სიმპტომები, შემეცნებითი სიმპტომები, ფიზიკური და ქცევითი სიმპტომები.

ყველა ზემოთჩამოთვლილი სიმპტომების პირველადი გამოვლენა ვლინდება კითხვისა და წერის პროცესში დაბალი შედეგებით. უჭირთ დავალების თანმიმდევრულად შესრულება და სამუშაოს დასრულება. უჭირთ სხეულის ფორმის, ზომის, ფერის, დროს აღქმა, აქვთ სუსტი ორგანიზაციული უნარ-ჩვევები, აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარები. არიან მოუქნელნი, სუსტია ვიზუალურ-მოტორული კოორდინაცია, დამახასიათებელია ზედმეტი აღგზნებადობა, ჰიპერაქტიურობა, ყურადღების კონცენტრაციის ნაკლებობა. აქვთ იმპულსური ქცევა, მოუსვენრობა ძილის დროს, გრძნობების გადაჭარბებული გამოვლენა, ცუდი კონტაქტი თანატოლებთან, ზედმეტი მიმნდობლობა, ხასიათის ცვალებადობა და ა.შ.

დისლექცია მოზარდებში ხშირად გამხდარა ემოციური პრობლემის მიზეზი, როგორიცაა გაუცხოება, დეპრესია, სიბრაზე. ასეთ მოსწავლეებს პრობლემები ექმნებათ ურთიერთობებშიც. ისინი თანატოლებთან შედარებით მოუმწიფებლები არიან, ეს კი ბავშვებში აყალიბებს დაბალ თვითშეფასებას.

დისლექციის მქონე ბავშვებს ახასიათებთ წაკითხული მასალის აღქმის პრობლემაც. მაგალითად: წაკითხული მასალის შემდეგ მოსწავლე ვერ პასუხობს შეკითხვებს, ვერ იგებს წაკითხულის არსს. სწავლის უნარის დაქვეითებისა და ქცევის დარღვევის მქონე მოსწავლეებს აქვთ ასევე წერის უნარ-ჩვევის გარკვეული პრობლემები, როგორიცაა მართლწერა და აზრის წერილობით გადმოცემა, კალიგრაფია.

სწავლის უნარის დაქვეითება პირველ რიგში ვლინდება აკადემიურ მოსწრებაში. ბავშვს შეიძლება გაუჩნდეს სიძნელეები წერა-კითხვაში, მათემატიკის ათვისებაში.

სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეები წერილობითი აზრის გადმოცემის დროს მეტ ძალისხმევას ხარჯავენ ასოების გამოყვანაზე და ინტერვალების დაცვაზე. არ და ვერ აკეთებენ პაუზებს, რომ გაიაზრონ მათი დაწერილი ტექსტი და ამის მერე დაუკავშირონ ტექსტი და წინადადებები ერთმანეთს.

ნატიფი მოტორული კოორდინაციის ნაკლებობა შეიძლება გამოწვეული იყოს ასოებისა და ციფრების ვიზუალური სახის არასწორი აღქმით. მოსწავლეებს უჭირთ ასოების ფორმის, ზომის ზუსტი ფორმირება, ასოების სისწორისა და ინტერვალების დაცვა. მოსწავლეები ერთმანეთში ხშირად ურევენ ისეთ ასოებს, როგორიცაა „ხ“ და „ძ“, „მ“ და „ნ“, „ც“ და „წ“. ასევე აქვთ წერილობითი გადმოცემის ორი მთავარი პრობლემა - პროდუქტული და პროცესუალური. მათი ნაწერი მასალა შეიცავს მოკლე, არასრულ, გაუმართავ წინადადებებს, ერთი და იმავე სიტყვის ხშირ გამეორებას. მასალა არ არის სტრუქტურულად გამართული, შეიცავს ბევრ მექანიკურ შეცდომას მართლწერის მხრივ: არასწორი ასოები, სასვენი ნიშნების არასწორი გამოყენება და ა.შ. (2)

სწავლის უნარის დაქვეითების დროს ხშირია პრობლემები ემოციურ სფეროშიც, მაღალი შფოთვა, ემოციური არამდგრადობა, შიშები, აგრესია. ეს ართულებს ბავშვის თანატოლებთან, უფროსებთან და, საერთოდ, გარემოსთან ურთიერთობას.

სამწუხაროდ, წამალი რომელიც დაეხმარება და განკურნავს სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეებს, არ არსებობს. თუმცა არსებობს მკურნალობის სხვადასხვა ფორმა, ესენია წამლები, ფიზიკური ვარჯიშები, სპეციალური პედაგოგიური და ფსიქოლოგიური დახმარება. ეს ხანგრძლივი პროცესია და მოიცავს ბავშვის სწავლა, თამაშს და, საერთოდ, ცხოვრებას.

ყოველივე ამის შემდეგ, ისმება კითხვა, როგორ დავეხმაროთ სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეებს?

პირველ რიგში, პედაგოგი უნდა ფლობდეს ინფორმაციას ამ კატეგორიის ბავშვების მიმართ, თუ როგორი სპეციალური მიდგომა და განსაკუთრებული სასწავლო სტრატეგიები გამოიყენება, რომ ასეთი ბავშვები ჩართულები იყვნენ ჩვეულებრივი განვითარების მქონე ბავშვებთან სასწავლო პროცესში.

სწავლის უნარის დაქვეითებას მრავალფეროვანი გამოვლინებები აქვს, ამიტომ მნიშვნელოვანია მისი ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკა, რომ არ აგვერიოს გონებრივ ჩამორჩენასთან, აუტიზმთან ან ქცევის დარღვევებთან სენსორული დეფიციტით გამოწვეულ სწავლის პრობლემასთან.

სკოლაში წასვლამდე უნდა მოხდეს ბავშვის ფსიქიკური განვითარების პრობლემის გამოვლენა და სპეციალური დახმარების ორგანიზება. ეს კი უკეთესია მოხდეს სკოლამდელ ასაკში, მისი სენსო-მოტორული, მეტყველების, ყურადღების თუ მხედველობით-სივრცითი ფუნქციების განვითარებისათვის.

რაც შეეხება სწავლის პროცესთან დაკავშირებით, მასწავლებელმა დაბალი ხმით და ნელი ტემპით უნდა დასვას კითხვები, რათა სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლემ აღიქვას კითხვა. პირველი კითხვა დაუსვას სწორედ სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეს, შეუქმნას წინასწარ მზაობა პასუხის გასაცემად (მივიდეს მასთან ახლოს).

როდესაც სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეს უჭირს დანახულის აღქმა, მასწავლებელმა დაჟინებით არ უნდა მოსთხოვოს ის, რისი აღქმაც მოსწავლეს უჭირს. არ დაადანაშაულოს მოსწავლე იმაში, რომ ის საკმარისად არ ცდილობს.

კითხვის დაუფლების დროსაც პრობლემები აქვთ მაშინაც კი, როდესაც ისინი ყველა ასოს ცნობენ და ვერ იგებენ წაკითხულს. სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეს პრობლემები ექმნებათ წერის პროცესშიც, ამ პრობლემას ქმნის ვიზუალურ-მოტორული კოორდინაციის სირთულეები.

მასწავლებელს ასევე შეუძლია დაეხმაროს სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეს ზეპირმეტყველების დროს, მოსწავლეს მისცეს დამატებითი დრო. შეუძლია მოსწავლის დასახმარებლად დავალებები დაყოს მცირე ნაწილებად. ახალი მასალის წარდგენამდე წინა გაკვეთილის მიმოხილვა გააკეთოს და დაეხმაროს მიღებული ცოდნის განმტკიცებაში, გაუწიოს მონიტორინგი მასალის გადმოცემის ხარისხს. საშინაო დავალებისას მისცეს გამოკვეთილი მიმართულება და კონკრეტული მაგალითები. მისცეს ისეთი მასალა რომელიც მოსწავლისათვის დასაძლევია. ყურადღება მიაქციოს და შეამოწმოს საშინაო დავალებების აკურატულობა და ა.შ. (3)

სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლის აქტივობის დაქვეითებას იწვევს ისიც, როცა საკლასო ოთახში დაძაბული სიტუაციაა. ის თავს არიდებს კითხვაზე პასუხის გაცემას, ეშინია მცდარი პასუხი არ იყოს და ასევე უჭირს ცვლილებების მიღება.

ამ საქმის ექსპერტები და სპეციალისტები კი ვერ იძლევიან ზუსტ პასუხს იმაზე, თუ რა იწვევს სწავლის უნარის დაქვეითებას.

მაშასადამე, სწავლის უნარის დაქვეითების დადგენისას საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორები: სენსორული, ზოგადი შემეცნების უნარები, ემოციური პრობლემები, კულტურული ფაქტორები, გარემოს უარყოფითი ზეგავლენა, ცუდი ეკონომიკური მდგომარეობა, ინსტრუქციის არარსებობა ან ნაკლებობა.

ლიტერატურა:

1. სწავლის უნარის დაქვეითება, თბ., 2010.
2. ინკლუზიური განათლება, თბ., 2011.
3. რჩევები სწავლის უნარდაქვეითებული ბავშვებისათვის 1, (საგანმანათლებლო რესურსები) თბ., 2012.

რეზიუმე

განათლების სისტემის რეფორმის ფონზე საზოგადოების ყურადღების ცენტრში ინკლუზიური განათლება მოექცა, რაც ნიშნავს რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები ჩართულნი იყვნენ და სწავლობდნენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩვეულებრივი განვითარების ბავშვებთან.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჯგუფს განეკუთვნებიან სწავლის უნარდაქვეითებული მოსწავლეები, ამიტომ საჭიროა მეტი ინფორმაცია, სპეციალური მიდგომები და განსაკუთრებული სასწავლო სტრატეგიების გამოყენება ამ კატეგორიის ბავშვების მიმართ.

DYSLEXIA IN PUPILS

Manana Sekhniashvili, Specialist by Contract

RESUME

On the background of the education system reform inclusive education is paid a great attention, that means that the children being in need of a special education should study among ordinarily developing children at schools providing general education.

Children being in need of a special education are disabled children, that's why more information, special methods of approach and teaching strategies should be provided for the children of this category.

ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების ძირითადი ასპექტები

ნელი ჭამპურიძე, პროფესორი

სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა ეროვნული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქართული ენის მომზადების პროგრამის მიზანია უზრუნველყოს სახელმწიფო ენის სწავლება. ეს არის ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებებთან ნაზიარები, თავისუფალი პიროვნების აღზრდა, რომელიც შეძლებს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმას და საკუთარი წვლილის შეტანას სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა აუცილებელი წინაპირობაა, რათა მოსწავლემ შეძლოს საკუთარი ინტელექტუალური პოტენციალის სრულად განვითარება. ამასთანავე, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, სრულყოფილად შეისწავლონ მეორე ენა. მულტილინგვური განათლება გულისხმობს მიდგომას, რომლის დროსაც სწავლების ენად ორი ან მეტი ენა გამოიყენება. მულტილინგვური განათლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რომ მოსწავლეებს უვითარებს მაღალ ინტერკულტურულ მგრძნობელობას და ამზადებს მას მულტიეთნიკურ სახელმწიფოში მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საქართველოში მულტილინგვურ განათლებას შედეგი მიზნები გააჩნია:

- განათლების სისტემა გახდეს ეროვნულ უმცირესობათა საზოგადოებაში ინტეგრაციის უმთავრესი ინსტრუმენტი;
- განათლების სისტემა გახდეს ტოლერანტულ ღირებულებათა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ძირითადი ინსტრუმენტი;
- უზრუნველყოფილ იქნეს, რომ საქართველოს ყველა მცხოვრები საკმარის დონეზე ფლობდეს ქართულ ენას, რათა აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და მოხდეს მისი წარმატებული ინტეგრაცია დასაქმების სფეროში;
- უზრუნველყოფილ იქნეს ეროვნულ უმცირესობათა განათლების ისეთი პროგრამების შექმნა და დანერგვა, რომლების შეესაბამება ზემოაღნიშნულ მიზნებს და, იმავდროულად, ხელს შეუწყობს ეროვნულ უმცირესობათა კულტურული და ენობრივი თვითმყოფადობის დაცვას და მათ ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში.

საგანმანათლებლო მიზნიდან გამომდინარე, ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას, კერძოდ, მსმენელმა უნდა:

- აითვისოს როგორც ენობრივი, ისე კულტურული ინფორმაცია.
- შეიძინოს განსხვავებული კულტურის გაგების უნარი.
- ჩამოუყალიბდეს სხვადასხვა ტიპის დამოკიდებულება, კერძოდ პიროვნულ განსხვავებათა დაფასება და პატივისცემა.
- ამავე დროს, ჩამოუყალიბდეს ქვეყნის მოქალაქეობის განცდა.

ეროვნულ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და მისი დაცვა მნიშვნელოვანია საერთო კულტურულ ცხოვრებაში მათი სრულყოფილი მონაწილეობის, ურთიერთნდობისა და სამოქალაქო ერთობის განცდის მისაღწევად. კანონი ზოგადი განათლების შესახებ უზრუნველყოფს სასწავლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის ნეიტრალურობას და ხელს უწყობს არადისკრიმინაციას, შემწყნარებლობლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ამ მხრივ, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაა. ეროვნული უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანი მოვლენაა სახელმწიფოს მიერ სამოქმედო გეგმის დამტკიცება. ბილინგვალია ადამიანი, „რომელიც, სიტუაციათა უმრავლესობაში, კომუნიკაციის საშუალებად თავისუფლად იყენებს ორ ენას და, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია ერთიდან მეორე ენაზე გადასვლა.“ [1, 50] „ნამდვილი ბილინგვალია პიროვნება, რომელსაც ორი სხვა და სხვა, ენობრივად დაახლოებით ერთნაირი, სოციალური და კულტურული დონის მქონე ჯგუფი, თავისიანად მიიჩნევს.“[1, 51] ამ გამონათქვამების შეჯამების შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბილინგვიზმის ანუ ორენოვნების იდეალური გაგებით, განმარტება არის ორი ენის დაახლოებით თანაბარ დონეზე ფლობა. ბილინგვური პროგრამები მეორე ენის სრულყოფას ხელს უნდა უწყობდეს მეორე ენაზე აკადემიური საგნების სწავლების საშუალებით. თუ მეორე ენა სკოლაში ისწავლება როგორც საგანი, მაშინ ვერ ვილაპარაკებთ ბილინგვურ განათლებაზე. საგნის მასწავლებლებს ბილინგვურ პროგრამებში ერთობ მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ - ერთი მხრივ, ისინი არ წარმოადგენენ ენის მასწავლებლებს და შესაბამისად არ უნდა ასწავლიდნენ ენას, არამედ აკადემიურ შინაარსს. მეორე მხრივ კი ისინი უნდა აცნობიერებდნენ მოსწავლეების ენობრივ სირთულეებს, აფასებენ შესაბამისად, იმავდროულად უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ გააზრებას და ხელს უწყობენ ენის განვითარებას. შესაბამისად თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბილინგვურ პროგრამაში ჩართული მასწავლებლები თვითონ ხდებიან ენის გამოყენების თვალსაჩინო მაგალითები და ენის პედაგოგები.

2009 წლის ივლისში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მულტილინგვური პროგრამების ხელშეწყობის მიზნით ჩატარდა გამოკითხვა არაქართულენოვანი სკოლების დირექტორებისათვის მულტილინგვური განათლების საპილოტე პროექტის ფარგლებში. აღნიშნული გამოკითხვის მიზანი იყო, გამოეკვეთა სკოლების ინტერესი და მოტივაცია, თუ რამდენად იყვნენ მზად მულტილინგვური განათლების პროექტში ჩასართავად. სკოლის დირექტორებს მიეცათ საშუალება, რომ გასცნობოდნენ ბილინგვური განათლების 8 პროგრამას, რომელიც დაფუძნებული იყო ქართულ შინაარსსა და გამოცდილებაზე. აგრეთვე მათ უნდა აღენიშნათ, თუ რომელი მათგანი იყო რელევანტური სპეციფიკური სასკოლო გარემოს მიმართ, არსებული რესურსების, მშობელთა მოლოდინებისა და მოსწავლეთა მახასიათებლების თვალსაზრისით. პასუხებიდან გამოიკვეთა, რომ ყველაზე პოპულარული არის პროგრამა, სადაც უნარებისა და წიგნიერების განვითარება მშობლიურ ენასა და სახელმწიფო ენაზე თანაბარია. მშობლიური ენიდან სახელმწიფო ენაზე გადასაყვანად გამიზნული პროგრამა მეორე პოზიციაზე აღმოჩნდა. (2011, მულტილნგვური სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის).

მომდევნო მნიშვნელოვანი ნაბიჯი პროგრამის განვითარებისთვის იყო კონცეფცია „მულტილინგვური განათლება საქართველოში“, რომელიც გაიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით 2009 წლის 27 ნოემბერს. კონფერენცია მიეძღვნა დაგროვილი გამოცდილების გაზიარებას, გამოკითხვების შედეგების ანალიზს, თანამშრომლობის გაღრმავებას ადგილობრივ და საერთაშორისო სპეციალისტებს შორის. კონფერენციის ფარგლებში მოხდა ერთგვარი წარდგენა და შეფასება განხორციელებული პროექტების პირველადი შედეგებისა.

ამჟამად, მულტილიგვური განათლების პროგრამები საქართველოში კონტექსტში ასეთი სახით ჩამოყალიბდა:

1. განმავითარებელი მულტილინგვური განათლების პროგრამა;
2. ტრანზიტული/გარდამავალი მულტილინგვური განათლების პროგრამა;
3. მშობლიური ენის მხარდაჭერის მულტილინგვური განათლების პროგრამა (ცალმხრივი იმერსია);
4. მილტილიგვური საგანმანათლებლო პროგრამები სახელმწიფო ენის შესანარჩუნებლად;
5. ორმაგი ენობრივი იმერსიის მულტილინგვური განათლების პროგრამა;
6. შერეული მულტილინგვური საგანმანათლებლო პროგრამები.

მართლაც, განათლებაში სწორ მიდგომებს, მისი შინაარსის სწორად წარმართვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჯონ დიუი აღნიშნავს: „ჩვენ უფრო დამაჯერებლად და სწორად მივაღწევთ პროგრესს, როდესაც საკუთარ თავს მივუძღვნით იმის ძიებას, თუ რა არის განათლება და რა პირობები უნდა

დაკმაყოფილდეს იმისათვის, რომ განათლება რეალური იყოს და არა ცარიელი სახელი და ლოზუნგი". „იუნესკოს უნივერსალურ დეკლარაციაში კულტურული მრავალფეროვნების შესახებ" აღნიშნულია, რომ კულტურულად „მრავალფეროვან საზოგადოებებში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს განსხვავებული, ცვალებადი და დინამიური იდენტობების მქონე ხალხებსა და ჯგუფებს შორის ჰარმონიული ურთიერთქმედებისა და მათი თანაცხოვრების უზრუნველყოფას" (მუხლი 2). ადამიანს, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოებაში აქტიური და ნაყოფიერი წვლილის შეტანა შეუძლია, საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმა, პრობლემების გამოკვეთა, მათი გადაჭრის მრავალი საშუალების დანახვა, სტრატეგიების შერჩევა, გადასადგმელი ნაბიჯების დაგეგმვა, რაც მთავარია, მიზნის მისაღწევად დაუცხრომელი ქმედება მოეთხოვება. საქართველოში ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივი ინტეგრაციისთვის მეტად მნიშვნელოვანია მათთვის არა მხოლოდ სახელმწიფო ენის სწავლება, არამედ მათი ტრადიციების, ფასეულობების, ცხოვრების წესისა და ა.შ. შესწავლა," მათ მიმართ ფსიქოლოგიური მიმღებლობის განვითარება და ამ თვალსაზრისით სამოქალაქო ცნობიერების დონეზე ქვეყნის ეთნიკური მრავალფეროვნების გააზრება." [2, 46] ეროვნული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის შესწავლა საშუალებას მოგვცემს ვისაუბროთ მშვიდობის მშენებლობაზე არა მარტო სახელმწიფოს შიგნით, არამედ მთლიანად რეგიონის მასშტაბით. მშვიდობა მუდმივი ქმედების პროცესია და, ამიტომაც, იგი მოითხოვს ჩვენგან მუდმივ, დინამიურ განვითარებას დემოკრატიის კუთხით. „რადგანაც, თანამედროვე კულტურა ორიენტირებულია დინამიურობაზე, ღიაობაზე, შემოქმედებაზე. კრიტიკული აზროვნება მიღებულია და წახალისდება. არავითარი ავტორიტეტი არაა აბსოლუტური. თვითდაჯერებულ მონოლოგზე გაცილებით მეტად ფასობს დისკუსია, დიალოგი. სხვა კულტურების დადებითი მონაპოვარი ადვილად შეითვისება და მოცემული კულტურის ნაწილად იქცევა. ითვლება, რომ მომავალი ცვლილებას ექვემდებარება და მასზე ზეგავლენა თითოეული ინდივიდის ძალისხმევას შეუძლია მოახდინოს." [3, 48] მუდმივ კონტაქტში მყოფი განსხვავებული კულტურების წარმომადგენელთა მშვიდობიანი თანაცხოვრების აუცილებელი წინაპირობა ინტერკულტურული დიალოგია. მისი საყოველთაოდ გაზიარებული განსაზღვრება არ არსებობს. 2006 წლის ნოემბერში ევროპის საბჭომ შემდეგი დეფინიცია შემოგვთავაზა: ინტერკულტურული დიალოგი არის პროცესი, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელ ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის შეხედულებათა ღია, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გაცვლას, რასაც განსხვავებული მსოფლმხედველობისა და პრაქტიკის სიღრმისეულ გააზრებამდე მივყავართ.

ლიტერატურა:

1. ინტერკულტურული მგრძნობელობის გაზომვა ქართველ სტუდენტებში, „ბილინგვური განათლება", თბ., 2011, №5.
2. გ. ნიჟარაძე, რ. მშვიდობაძე, თ. ასათიანი, თ. ციხისთავი, კონფლიქტები, თბ., 2010.
3. „მულტილინგვისტური განათლების გზით უცირესობათა ინტეგრაციის კონცეფცია და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმა", თბ., 2008.
4. ლ. გრიგულე, მულტილინგვური სწავლების სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის, თბ., 2011.

რეზიუმე

ქართული ენის მომზადების პროგრამის მიზანია უზრუნველყოს სახელმწიფო ენის სწავლება. ეს არის ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებებთან ნაზიარები, თავისუფალი პიროვნების აღზრდა, რომელიც შეძლებს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმას და საკუთარი წვლილის შეტანას სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა აუცილებელი წინაპირობაა, რათა მოსწავლემ შეძლოს საკუთარი ინტელექტუალური პოტენციალის სრულად განვითარება. ამასთანავე, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, სრულყოფილად შეისწავლონ მეორე ენა. მულტილინგვური განათლება გულისხმობს მიდგომას, რომლის დროსაც სწავლების ენად ორი ან მეტი ენა გამოიყენება. მულტილინგვური განათლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რომ მოსწავლეებს უვითარებს მაღალ ინტერკულტურულ მგრძნობელობას და ამზადებს მას მულტიეთნიკურ სახელმწიფოში მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის.

EFFECTIVE TEACHING STRATEGIES IN MULTILINGUAL EDUCATION

Neli Champuridze, Professor

RESUME

The great importance of removal the language barriers on the way of social integration is well known in the democracies. Therefore, the effective teaching and learning of the second language is the subject of an intensive research and practical activities. At the time of implementation of the multilingual education bilingualism, double-literacy, high sensitivity and a contingent of intercultural diversity are added to the acquisition of the subject content. Determination of the content of the subject and its implementation in order to achieve the high academic performance is necessary during the multilingual education. Multilingual programs focus on three areas: lesson planning, selecting of the task types and the content of the program. Planning effectively the language input by the teacher during the second language acquisition is necessary to achieve the language as well as subject objectives.

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
Exact and Natural Sciences

ფოსფორისა და კალიუმის როლი მცენარის კვებაში და მათი ეკოლოგიური შემდგომქმედება

ნელი გოგინაშვილი, პროფესორი

მინერალური ნივთიერებები მიეკუთვნება კვების სასიცოცხლო მნიშვნელობის კომპონენტებს, რომლებზეც დამოკიდებულია ორგანიზმის ნორმალური განვითარება და ფუნქციონალური მდგომარეობა. მინერალური ნივთიერებები მონაწილეობენ ორგანიზმში მიმდინარე ყველა ბიოქიმიურ პროცესში. მათ გააჩნიათ მაღალი აქტივობის უნარი და ითვლებიან ბიოელემენტებად. მათი ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტებია: ფოსფორი და კალიუმი.

ფოსფორი შედის მრავალი ორგანული ნივთიერების შემადგენლობაში, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ მთელ რიგ სასიცოცხლო პროცესებში. ის შედის პროტოპლაზმასა და ბირთვში, რთული ცილების, ნუკლეინმჟავების, ფოფატიდების, ჰორმონების, ვიტამინების შემადგენლობაში. მცენარეებში ფართოდაა გავრცელებული ფიტინი, რომელიც უმნიშვნელოვანესი სათადარიგო შენაერთია და გამოიყენება მცენარის მიერ ფოსფორული შიმშილის დროს.

ფოსფორმჟავა რიგი მნიშვნელოვანი დამჟანგველი ფერმენტების აუცილებელი კომპონენტია. უშუალო მონაწილეობას იღებს დუღილის, გამრავლების პროცესში, ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების, მრავალი ამინომჟავის და სხვა შენაერთების ბიოსინთეზსა და გარდაქმნაში. ფოსფორი დიდ როლს ასრულებს მცენარეში მიმდინარე აზოტოვან ნივთიერებათა ცვლაში, ადიდებს ნაყოფიერებას, აუმჯობესებს მცენარის გამოზამთრების უნარს, აჩქარებს ნაყოფების მომწიფებას, შაქრების, სახამებლის და ცხიმების დაგროვებას.

ფოსფორის ნაკლებობა იწვევს ცილების ცვლის დარღვევას, განვითარების ფაზების, (განსაკუთრებით ყვავილობისა და მომწიფების) შეჩერებას, მცენარის დაკნინებას და, საბოლოოდ, მოსავლიანობის შემცირებას. არასასურველია ფოსფორის სიჭარბეც - იწვევს სავეგეტაციო პერიოდის შემცირებას, რაც ამცირებს სასაქონლო პროდუქციის გამოსავალს.

საკმაოდ მრავალმხრივია კალიუმის როლი მცენარისათვის. ეს ელემენტი მჭიდროდაა დაკავშირებული პროტოპლაზმის ცხოველქმედებასთან; ხელს უწყობს ფოტოსინთეზის პროცესს და ასიმილატების გადაადგილებას, არეგულირებს ბაგეების გახსნას. მცენარეში კალიუმი იონების სახით იმყოფება და უმეტესად სწორედ ამ ფორმით ამჟღავნებს თავის გავლენას, კერძოდ, ზრდის აზოტის ეფექტურობას, ააქტიურებს ბიოლოგიურ პროცესებს, ფერმენტების მოქმედებას (თუმცა არ შედის მათ შემადგენლობაში) და, შესაბამისად, მისი დეფიციტის შემთხვევაში, სუსტდება ფერმენტების მოქმედება, ირღვევა ნახშირწყლოვანი და ცილოვანი ცვლა, დიდდება შაქრების დანახარჯი სუნთქვის პროცესში,

მცირდება მცენარის გამძლეობა სოკოვანი დაავადებების და გარემოს სხვა ანომალური პირობების მიმართ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბიოგენური ელემენტები, მათ შორის ფოსფორი და კალიუმი, მნიშვნელოვნად აუმჯობესებენ მცენარის ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებს, რაც საბოლოოდ გამოიხატება მისი პროდუქტიულობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მცენარის კვების ოპტიმიზაციასთან დამოკიდებულების მიხედვით, ზემოთ აღნიშნული ბიოელემენტების გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგი მცენარის პროდუქტიულობასა თუ პროდუქციის ხარისხზე.

საკვები ელემენტების მეცნიერულად დასაბუთებული დოზების გამოყენებისას მნიშვნელოვნად იზრდება პროდუქციის ხარისხი: უმჯობესდება ქიმიური შემადგენლობა, კვებითი ღირებულება, აგრეთვე მისი ტექნოლოგიური თვისებები. მაკრო- და მიკროელემენტებით არაბალანსირებული კვებისას პროდუქციის ხარისხი მკვეთრად უარესდება ბიოგენური ელემენტები შეიძლება გახდნენ ტოქსიკური. ტოქსიკურ ნივთიერებათა დაგროვება მცენარეულ პროდუქციაში კი ხშირად ცხოველისა და ადამიანის მოწამვლის, ზოგიერთ შემთხვევაში კი - სიკვდილის მიზეზიც ხდება.

ცნობილია, რომ მინერალური სასუქები და მათი ნედლეული ძირითად საკვებ ელემენტებთან ერთად, შეიცავენ მინარევებს, მძიმე მეტალების მარილებს, ორგანულ შენაერთებს, რადიაქტიურ ნივთიერებებს. მინერალური მარილების მისაღებად საჭირო ნედლეული: ფოსფორიტები, აპატიტები, კალიუმის მარილები შეიცავენ 10^{-5}-დან 5%-მდე (და ზოგჯერ უფრო მეტი რაოდენობით) მინარევებს - ფტორს, ქლორს, ნატრიუმს, მძიმე და რადიაქტიურ ელემენტებს, იშვიათ ლითონებს.

აღნიშნული ნივთიერებებიდან, გარემოს გაბინძურების და ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის თვალსაზრისით ერთ-ერთ საშიშ ჯგუფს მიეკუთვნებიან მძიმე მეტალები (Cu, Zn, Pb, Ni, Co, Mo, Hg, Cd, As და სხვა), მათ შორის ყველაზე ტოქსიკურია Hg, Cd, Pb.

ჩვენ შევეხებით ზოგიერთ მძიმე მეტალის (Cu, Zn, Pb, Cd) მიგრაციას სისტემაში: მინერალური სასუქი - ნიადაგი - მცენარე. კვლევა ტარდებოდა ი. ლომოურის საქართველოს მიწათმოქმედების ინსტიტუტის გორის საცდელ სადგურში მდელოს ყავისფერ ნიადაგებზე დაყენებულ მრავალწლიან სტაციონალურ ცდებში. უპირველეს ყოვლისა, განვსაზღვრეთ აღნიშნული მძიმე მეტალების შემცველობა ნიადაგში. ამ უკანასკნელი მონაცემებით და „მინერალური სასუქების ხარისხის ეკოლოგიურ-ჰიგიენურ ნორმატივებზე“ დაყრდნობით გამოთვლილი იქნა $Ca(H_2PO_4)_2$ და KCl-ის გავლენით ნიადაგში მოხვედრილი ტოქსიკანტების რაოდენობა (ცხრილი 1).

ცხრილი 1

მინერალური მარილებით ნიადაგში შეტანილი ტოქსიკანტები წელიწადში (შიდა ქართლის მდელოს ყავისფერი ნიადაგი) გრ/ჰა

№	ვარიანტები	Cu			Zn			Pb			Cd		
		1	2	3	1	2	3	1	2	3	1	2	3
1	$P_{60}K_{30}$	75.1	0,16	75,26	18,1	0,29	18,30	3,92	0,77	4,69	5,96	0,08	6,04
2	$P_{90}K_{60}$	112,5	0,32	112,82	27,0	0,43	27,43	5,85	1,54	7,39	8,90	0,16	9,06
3	$P_{120}K_{90}$	150,1	0,48	150,58	36,2	0,60	36,80	7,80	2,30	10,10	11,90	0,24	12,14
	საშუალო			112,9			27,5			7,39			9,08

შენიშვნა: 1 – $Ca(H_2PO_4)_2$
2 – KCl
3 – $Ca(H_2PO_4)_2$ + KCl

როგორც მონაცემებიდან ჩანს, ფოსფორ-კალიუმი დოზების ზრდით საგრძნობლად იზრდება საკვლევი ელემენტების ნიადაგში დაგროვების უნარი (რაც არასასურველია). ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ ძლიერ ტოქსიკურ ელემენტებს, როგორიცაა ტყვია და კადმიუმი. ერთი წლის განმავლობაში თითოეულ ჰა ფართობზე საშუალოდ შეიტანება 112,9 გრ Cu; 27,5 გრ Zn, 7,4 გრ Pb და 9,1 გრ Cd, ანუ შესაბამისად 0,04; 0,009; 0,002 და 0,003 მგ/კგ.

მძიმე მეტალების ამა თუ იმ გზით ნიადაგში მოხვედრის საშიშროება გამოიხატება არა მარტო ნიადაგის ზედა ფენაში მათი რაოდენობის გადიდების შესაძლებლობით, არამედ იმ გარემოებითაც, რომ მინერალურ ფორმაში ისინი კარგად ხსნადია და უკეთესად შეითვისებიან მცენარეების მიერ, რაც კარგად ჩანს ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტით (ცხრილი 2), კერძოდ ფოსფორ-კალიუმის გამოყენებისას თითოეული ელემენტის შემცველობა (დოზების საშუალო მონაცემებით) იზრდება შემდეგი ოდენობით

(მგ/კგ): Cu – 0,40; Zn – 0,70; Pb – 0,04; Cd – 0,008. თუმცა მისი მაღალი დოზების გამოყენების შემთხვევაშიც კი იმყოფება ნორმის (ნ. ბასსმი, ა. თორმანი) ფარგლებში (მგ/კგ): Cu – 2-12; Zn – 15-150; Pb – 0,1-5; Cd – 0,05-0,2.

ცხრილი 2

მძიმე მეტალების შემცველობა ხორბლის მარცვალში მგ/კგ

№	დოზები	Cu	Zn	Pb	Cd
1	0 - საკონტროლო	4,20	15,8	0,92	0,055
2	$P_{60}K_{30}$	4,53	16,4	0,96	0,061
3	$P_{90}K_{60}$	4,58	16,5	0,95	0,063
4	$P_{120}K_{90}$	4,69	16,7	0,97	0,065

მცენარეული პროდუქციის მოხმარებისას ეს ელემენტები კვებითი ჯაჭვის საშუალებით ხვდება ადამიანის ორგანიზმში და იწვევს მთელ რიგ ნეგატიურ შედეგებს. კერძოდ, ტყვია იწვევს ცვლილებებს ნერვულ სისტემაში, სისხლსა და ქსოვილებში, აქტიურად მოქმედებს ცილის სინთეზზე, უჯრედის ენერგეტიკულ ბალანსზე და მის გენეტიკურ აპარატზე, აფერხებს ჰემოგლობინის წარმოშობას, მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, ხასიათდება სიმსივნის წარმოქმნის უნარით.

კადმიუმი შედის ძლიერ საშიშ გამაჭუჭყიანებელთა რიცხვში, ვინაიდან მას აქვს ადამიანის ორგანიზმში მოხვედრის დიდი უნარი და მისი დაშლის პერიოდი ორ-სამ ათეულ წელს მოიცავს. ეს ელემენტი აფერხებს მრავალი ფერმენტის, მათ შორის იმ ფერმენტის აქტივობას, რომლებიც დაკავშირებულია სუნთქვასა და სხვა ფიზიოლიგიურ პროცესებთან, ცილოვან ცვლასთან. კადმიუმი თანდათან გროვდება ორგანიზმში და ნელ-ნელა გადადის სისხლში. ძირითადად გროვდება თირკმელში, შინაგანი სეკრეციის გზებში.

თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მცენარეში მძიმე ლითონების შეღწევისა საპირისპიროდ, ბუნებრივად მოქმედებს აგრეთვე დამცავი ბარიერები, რომლებიც ამცირებენ მათი მოძრავი ფორმების რაოდენობას და ზღუდავენ მათ გადასვლას გენერაციულ ორგანოებში. აღნიშნულის გამო, ზოგადად, მძიმე მეტალების შემცველობა ფესვებში, ძირხვენებში მეტია, ვიდრე ფოთლებსა და ნაყოფებში.

გარდა აღნიშნულისა, მცენარეულ პროდუქტებში მძიმე მეტალების დაგროვების შესამცირებლად ან თავიდან ასაცილებლად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ისეთი ახალი ჯიშების შექმნა, რომელთაც ექნებათ უნარი საკვები ელემენტების მაღალი ინტენსივობით შეთვისებისა და მათი დიდი ნაწილი გამოიყენება მცენარის პროდუქტიულობის ამაღლებასა და ხარისხის გაუმჯობესებაში.

დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის თავისებურებებს, აგრეთვე გარემო ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ პროცესის თითოეულ რგოლზე. ამ პროცესების და გარემო ფაქტორების ცოდნით შესაძლებელია მცენარის განვითარების მართვა, მაღალი და ხარისხიანი პროდუქციის მიღება.

ლიტერატურა:

1. ალექსიძე გ., ზოგადი ბიოქიმიის საფუძვლები, თსუ, 2005.
2. ბუაჩიძე კ., გეგენავა გ., დათუკიშვილი ნ., თხელიძე ა., სოფლის მეურნეობაში პესტიციდების და აგროქიმიკატების უსაფრთხო გამოყენების საფუძვლები, „უნივერსალი“, თბილისი, 2009.
3. ჩხაიძე გ., მცენარეთა მინერალური კვება, წიგნში: „მცენარეთა ფიზიოლოგია“, თბილისი, 2003.
4. Минеев В. Г., Агрохимия и биосфера, М., Колос, 1984.
5. Эфремов Э. Н., Эколого-гигиеническое нормирование качества минеральных удобрений. В кн.: Токсикология и радиология. Контроль состояния почвы и растения в процессе химизации сельского хозяйства. М., ЦИНАО, 1981.
6. Bassam N.E., Thorman A., Potentials and lemits of organik waster in crop production. Compost Set. Land Utilization, 1979, v. 20. №6.

რეზიუმე

შიდა ქართლის ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში ჩატარებული გამოკვლევებით გამოირკვა, რომ ფოსფორ-კალიუმის სხვადასხვა დოზებით და თანაფარდობით გამოყენებისას მნიშვნელოვნად იზრდება

ხორბლის მარცვლის მოსავლიანობა და პროდუქციის ხარისხი. ამასთან, $Ca(H_2PO_4)_2$ და KCl-ის შეტანით გაიზარდა - Cu, Zn, Pb და Cd შემცველობა არამარტო ნიადაგში, არამედ თვით მცენარეულ პროდუქციაში. თუმცა, მაღალი დოზების გამოყენების დროსაც კი, აღნიშნული მძიმე მეტალების შემცველობა ნორმის ფარგლებშია, რაც გამოწვეული უნდა იყოს ფოსფორისა და კალიუმის მარილების მეცნიერულად დასაბუთებული გამოყენებით.

THE ROLE OF PHOSPHORUS AND POTASSIUM IN FEEDING PLANTS AND THEIR FUTURE ECOLOGICAL AFFECT

Neli Goginashvili, Professor

RESUME

According to the researches, carried out in the soil-climate conditions, is confirmed that harvesting of wheat seed importantly increases while using different dosages and correlation of phosphorus-potassium and the quality of production as well. Besides this, by providing with $Ca(H_2PO_4)$ and KCI increased containing of -Cu, Zn, Pb and Cd not only in the soil, but in the plant production as well. Although containing of above mentioned heavy metals is within the limits of rates during using high dosages which must be caused by scientific statements of using of the salt of Phosphorus and Potassium.

შიდა ქართლის მოზამთრე ფრინველები

გია ედიშერაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ბოლო ათწლეულების მანძილზე ფართო მასშტაბით მიმდინარეობს კვლევები ფრინველთა მიგრაციების, ფიზიოლოგიის, ეკოლოგიის და ეთოლოგიის დარგში. ამასთან ერთად ცალკეული რეგიონების ფრინველების ცოდნა ისევე, როგორც ადრე, ამჟამადაც რჩება ორნითოლოგების აუცილებელ ვალდებულებად. ფაუნისტური კვლევები არ კარგავენ თავიანთ აქტუალობას. განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენენ ისინი იმ რეგიონებში, რომელთა ბუნებრივი გარემო ანთროპოგენურ ფაქტორთა ინტენსიურ ზეგავლენას განიცდის. რაც უფრო სწრაფად იცვლება ბუნებრივი ლანდშაფტების იერსახე, მით უფრო ნათლად იგრძნობა ფრინველთა მოსახლეობის, მათი სახეობრივი შემადგენლობის, ტერიტორიალური გადანაწილების და რიცხოვნობის დინამიკის ცოდნის აუცილებლობა. ეს განპირობებულია იმით, რომ ორნითოფაუნის ანთროპოგენური ტრანსფორმაციის ხასიათის დადგენა, სეზონური და მრავალწლიური მონიტორინგის წარმართვა, წინაპირობაა ფრინველთა ცალკეული სახეობების და მთლიანად ორნითოკომპლექსების დაცვის ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის.

საქართველოს რეგიონებიდან შიდა ქართლი ერთ-ერთია, რომლის ფაუნის, მათ შორის ფრინველების დაცვის პრობლემები განსაკუთრებით მწვავედ დადგა უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე. ამიტომ მისი თანამედროვე მდგომარეობის ცოდნა და შეფასება ძალზედ აქტუალურია. არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში შიდა ქართლის ფრინველების შესახებ ძირითადად განხილულია რეგიონის ცალკეული უბნების და მიმდებარე ტერიტორიების ორნითოფაუნა (ჩხიკვიშვილი, 1952; ჩინჩალაძე, 1958; ჟორდანია, 1958; ედიშერაშვილი, 1999, 2002; Edisherashvili, 2002a,b და სხ.) ან ცალკეული სახეობების და ჯგუფების გავრცელებისა და ბიოეკოლოგიის საკითხები (ჩინჩალაძე, 1958; Абуладзе, 1979; Абуладзе, Эдишерашвили, 1985; Edisherashvili, 2011.) თანაც ეს კვლევები ძირითადად ზაფხულის პერიოდს ეხება. მოზამთრე ფრინველების შესახებ მონაცემები გაცილებით მცირეა (Эдишерашвили, 1985, 1986; Abuladze, Edisherashvili, Bakhtadze, Kandaurov, 2003; Abuladze, Edisherashvili, 2008.). არა და ფრინველთა დაცვისთვის ჩატარებული ღონისძიებები ვერ იქნება ეფექტური, თუ არ იქნა გათვალისწინებული მათი ცხოვრების წლიური ციკლის ყველა ეტაპის თავისებურებები. ზამთარი რთული პერიოდია ფრთოსანთა

ცხოვრებაში. ორგანიზმზე დაბალი ტემპერატურების ზემოქმედების შედეგად იზრდება მისი ენერგეტიკული დანახარჯები, რაც ინტენსიური კვების შედეგად კომპენსირდება. საკვები კი ხშირად სწორედ ამ დროს არის ფრინველებისთვის ნაკლებად მისაწვდომი. ამიტომ უპირველესი მოთხოვნა იმ ადგილების მიმართ, სადაც მათი გამოზამთრება ხორციელდება საკმარისი და მისაწვდომი საკვების არსებობაა. მნიშვნელოვანია ასევე სხვადასხვა ეკოლოგიური ჯგუფების ფრინველებისთვის ისეთი სავარგულების არსებობა, რომლებიც დააკმაყოფილებს მათ განსხვავებულ მოთხოვნილებებს ზამთრის პირობებში. ფრინველების გამოზამთრების პროცესზე არსებითად მოქმედებს მტაცებლების და სამონადირეო პრესი.

მასალები შიდა ქართლის მოზამთრე ფრინველების შესახებ გროვდებოდა 1979 წლიდან და დღესაც გრძელდება ზოგადად რეგიონის ორნითოფაუნის შესწავლის პარალელურად. მოზამთრე ფრინველებში ჩვენ ვგულისხმობთ ყველა იმ სახეობას, რომელიც დაფიქსირდა ზამთრის პერიოდში, მიუხედავად მათი ყოფნის ხანგრძლივობისა. შესაძლოა ეს გახლდეს როგორც მობინადრე სახეობა, რომელიც მთელ ზამთარს გხვდება შესწავლილ რეგიონში და ისეთიც, რომელიც მხოლოდ ზამთრის რომელიმე მონაკვეთში გვხვდება ამინდის პირობების ან და სხვა მიზეზების გამო. ამ თვალსაზრისით შესაძლოა მოზამთრე ფრინველების რამდენიმე ჯგუფის გამოყოფა. მოზამთრე ფრინველების ძირითადი ჯგუფი წარმოდგენილია მობინადრე ფორმებით, რომელთა რაოდენობა არ განიცდის მკვეთრ სეზონურ ცვლილებებს. ეს ძირითადად სხვადასხვა ეკოლოგიური ჯგუფების ბეღურასნაირებია: ქოჩორა ტოროლა (*Galerida cristata*), რქიანი ტოროლა (*Eremophila alpestris*), წყლის შაშვი (*Cinclus cinclus*), ალპური ჭვინტაკა (*Prunella collaris*), წითელმუცელა ბოლოცეცხლა (*Phoenicurus erythrogastrus*), ჩხართვი (*Turdus viscivorus*), შავი შაშვი (*Turdus merula*), თეთრგულა შაშვი (ჩხურუშტი) (*Turdus torquatus*), ჭრელი კლდის შაშვი (*Monticola saxatilis*), ჭინჭრაქა (*Troglodytes troglodytes*), ყვითელთავა ღაბუაჩიტი (*Regulus regulus*), დიდი წივწივა (*Parus maior*), შავი წიწკანა (*Parus ater*), წიწკანა (*Parus caeruleus*), თოხიტარა (*Aegithalos caudatus*), ჩვეულებრივი სინეგოგა (ცოცია) (*Sitta europaea*), წითელფრთიანი კლდეცოცია (*Tichodroma muraria*), ჩვეულებრივი მგლინავა (*Certhia familiaris*), კაჭკაჭი (*Pica pica*), ჩხიკვი (*Garrulus glandarius*), წითელნისკარტა მარღანი (*Pyrrhocorax pyrrhokorax*), ყვითელნისკარტა მარღანი (*Pyrrhocorax graculus*), რუხი ყვავი (*Corvus cornix*), ყორანი (*Corvus corax*), შოშია (*Sturnus vulgaris*), სახლის ბეღურა (*Passer domesticus*), მინდვრის ბეღურა (*Passer montanus*), მეთოვლია ბეღურა (*Monrifringilla nivalis*), სკვინჩა (*Fringilla coelebs*), მეკანაფია (*Carduelis cannabina*), მთის ჭვინტა (*Carduelis flavirostris*), ნატჩიტა (*Carduelis caduelis*), მწვანულა (*Chloris chloris*), თავწითელა მთიულა (ჩიტბატონა) (*Serinus pusillus*), ჭივჭავი (*Spinus spinus*), სტვენია (*Pyrrhula pyrrhula*), ნისკარტმარწუხა (*Loxia curvirostra*), კულუმბური (*Coccothraustes coccothraustes*), დიდი კოჭობა (*Carpodacus rubicilla*), მთის გრატა (*Emberiza cia*) და მეფეტვია (*Miliaria calandra*). მოზამთრე რუხი ყვავების და სკვინჩების რაოდენობა როგორც დარგოლვის მასალებიდან ჩანს (Гуниава, 1988), მატულობს ჩრდილოეთიდან შემოფრენილ ინდივიდთა ხარჯზე. ამავე ჯგუფს მიეკუთვნება: კავკასიური როჭო (*Lyrurusmlokosiewiczi*), კავკასიური შურთხი (*Tetraogallus caucasicus*), კაკაბი (*Alectoris chukar*) და გნოლი (*Perdix perdix*). ბატკანძერი (*Gypaetus barbatus*), ორბი (*Gyps fulvus*), მთის არწივი (*Aquila chrysaetos*), მიმინო (*Accipiter nisus*), ქორი (*Accipiter gemtilis*), გარეული მტრედი (*Columba livia*), გულიო (გვიძინი) (*Columba oenas*), ქედანი (*Columba palumbus*), რგოლა გვრიტი (*Streptopelia decaocto*), მცირე გვრიტი (*Streptopelia senegalensis*), ზარნაშო (*Bubo bubo*), ჭოტი (*Athene noctua*), ტყის ბუ (*Strix aluco*), ბუკიოტი (*Aegolius funereus*), ყურებიანი ბუ (*Asio otus*), შავი კოდალა (*Dryocopus martius*), მწვანე კოდალა (*Picus viridis*), დიდი ჭრელი კოდალა (*Dendrocopos major*), საშუალო კოდალა (*Dendrocopos medius*), მცირე ჭრელი კოდალა (*Dendrocopos minor*) და ალკუნი (*Alcedo atthys*). არის კიდევ რამოდენიმე მიგრანტი სახეობა, რომლებიც პირობითად ამ ჯგუფს შეიძლება მივათვალოთ, რადგანაც მათი გარკვეული რაოდენობა ან ცალკეული ინდივიდები ზოგჯერ ზამთარშიც გვხვდება. ესენია: ბექობის არწივი (*Aquila heliaca*), ჩვეულებრივი კაკაჩა (*Buteo buteo*), ველის კაკაჩა (*Buteo rufinus*), ჩვეულებრივი კირკიტა (*Falco tinnunculus*), შავარდენი (*Falco peregrinus*), ლაინა (*Rallus aquaticus*) თბილ ზამთარში, შავყლა (*Tringa ochropus*), ტყის ქათამი (*Scolopax rusticola*), მთის მწყერჩიტა (*Anthus spinoletta*), ტყის მწყერჩიტა (*Anthus trivialis*), თეთრი ბოლოქანქალა (*Motacilla alba*), მთის ბოლოქანქალა (*Motacilla cinerea*), ტყის ჭვინტაკა (*Prunella modularis*), გულწითელა (*Erithacus rubecula*), სავარაუდოდ, შავი ბოლოცეცხლა (*Phoenicurus ochruros*) რომელიც რამდენჯერმე ვნახეთ ქ. გორის ფარგლებში და სოფ. ურბნისთან თებერვალში და რემეზი (*Remiz pendulinus*). ხანდახან მწყერების (*Coturnix coturnix*) ერთეული ინდივიდებიც რჩებიან, მაგრამ როგორც წესი ისინი იღუპებიან გაზაფხულის მოსვლამდე. მოზამთრე ფრინველების ჯგუფს რომლებიც გხვდება მხოლოდ ზამთარში, მიეკუთვნება შემდეგი სახეობები: ფეხბანჯგვლიანი კაკაჩა (*Buteo lagopus*), ალალი (*Falco columbarius*), არარეგულარულად.

ჩიბუხა (*Gallinago gallinago*) და გარშნეპი (*Lymnocryptes minimus*) თბილ ზამთარში, სომხური თოლია (*Larus armenicus*), ცალკეული ახალგაზრდა ინდივიდები ზაფხულშიც გხვდება, ყვითელფეხა თოლია (*Larus cachinnans*). თეთრი ბუ (*Bubo scandiacus*). ცნობილია შემოფრენის სამი შემთხვევა. მედუდუკე (*Bombycilla garrulus*) არარეგულარულად, თეთრწარბა შაშვი (*Turdus iliacus*), ბოლოშავი (*Turdus pilaris*), შავგულა შაშვი (*Turdus atrogularis*) ძალიან იშვიათად შემომფრენი, რუხი ღაჟო (*Lanius excubitor*), მეკედარე (*Nucifraga caryocatactes*) დაფიქსირებულია მხოლოდ 2010-2011 წ.წ. ზამთარში, ჭკა (*Corvus monedula*), ჭილყვავი (*Corvus frugilegus*), მთიულა (*Fringilla montifringilla*), ჭვინთა (*Carduelis flammea*) არარაგულარულად, ლერწმის გრატა (*Emberiza schoeniclus*) და თოვლა მეგზია(*Plectrophenax nivalis*) ერთი შემთხვევა (Абуладзе, 1977).

გადამფრენი სახეობები, რომელთა მცირე ნაწილი რჩება ზამთარში აღნიშნულ ტერიტორიაზე ან დროებით შემოფრინდება მტკვრის ხეობის ქვედა ნაწილიდან ამინდის მკვეთრი გაუარესების დროს (ციკლონი კასპიის ძღვის მხრიდან), გამოდარების შემდეგ უკან ბრუნდებიან. მხოლოდ ერთეულები რჩება, რადგანაც აქ ნაკლებად არის, განსაკუთრებით ბოლო წლებში, მათთვის შესაფერი სავარგულები. ეს ძირითადად წყლისა და წყალთანა ფრინველებია: სისინა გედი (*Cignus olor*), მყივანა გედი (*Cignus cignus*), რუხი ღერღეტი (*Anser anser*), წითელი იხვი (*Tadorna ferruginea*), გარეული იხვი (*Anas platyrhynchos*), რუხი იხვი (*Anas strepera*), განიერნისკარტა იხვი (*Anas clypeata*), სტვენია იხვინჯა (*Anas crecca*), წითელთავა ყურყუმელა (*Aythya ferina*), ქოჩორა ყვინთია (*Aythya fuligula*), გარიელი (*Melanitta fusca*), ამაყა (*Bucephala clangua*), დიდი ბატასინი (*Mergus merganser*), პატარა კოკონა (*Tachybaptus ruficollis*), დიდი ჩვამა (*Phalacrocorax carbo*), დიდი თეთრი ყანჩა (*Casmerodius alba*), რუხი ყანჩა (*Ardea cinerea*), ჭაობის ძელქორი (*Circus aeruginosus*), მინდვრის ძელქორი (*Circus cyaneus*), შავთავა დიდთოლია (*Larus ichtyaetus*) და ბაიყუში (*Asio flammeus*) რომლის ყოფნის სტატუსი საქართველოში დაზუსტებას მოითხოვს.

საერთო ჯამში ზამთრის პერიოდში შიდა ქართლში დაფიქსირებულია 118 სახეობა 13 რიგიდან, რომლებიც შემდეგნაირად არიან განაწილებულნი: ყველაზე მრავალრიცხოვანია რიგი ბეღურასნაირნი 60 სახეობა, შავარდნისნაირნი 12 სახეობა, ღერღეტისნაირნი 10 სახეობა, მეჭვავიასნაირნი 7 სახეობა, ბუსნაირნი 7 სახეობა, ქათმისნაირნი 5 სახეობა, კოდალასნაირნი 5 სახეობა, მტრედისნაირნი 5 სახეობა, ლაკლაკისნაირნი 2 სახეობა, ვარხვისნაირნი, კოკონასნაირნი, წეროსნაირნი და ყაპყაპისნაირნი თითო-თითო სახეობა. შესაძლოა მოყვანილ მასალაში რომელიმე სახეობა გამოგვრჩა. არ არის გამორიცხული ისიც, რომ მომავალში კიდევ დაფიქსირდეს მოზამთრე ფრინველების შეზღუდული რაოდენობა, რაც არსებითად არ ცვლის საერთო სურათს.

მოზამთრე ფრინველების მოსახლეობის ძირითად მასას შეადგენენ შეზღუდული რაოდენობის სახეობები, რომლებიც რიცხობრივად დომინირებენ ერთ ან რამდენიმე ბუნებრივ-ტერიტორიალურ კომპლექსში. ვაკეზე და მთისწინებში ესენია: შავი შაშვი (*Turdus merula*), დიდი წივწივა (*Parus maior*), წიწკანა (*Parus caeruleus*), კაჭკაჭი (*Pica pica*), ჩხიკვი (*Garrulus glandarius*), რუხი ყვავი (*Corvus cornix*), ყორანი (*Corvus corax*), სახლის ბეღურა (*Passer domesticus*), სკვინჩა (*Fringilla coelebs*). დასახლებულ პუნქტებში მკვეთრად ჭარბობს სახლის ბეღურა (*Passer domesticus*), მრავალრიცხოვანია დიდი წივწივა (*Parus maior*), შემდეგ მოდიან შავი შაშვი (*Turdus merula*), სკვინჩა (*Fringilla coelebs*) და კაჭკაჭი (*Pica pica*). საშუალო მთის ტყეების სარტყელში დომინანტებია (კლების მიხედვით): შავი წიწკანა (*Parus ater*), დიდი წივწივა (*Parus maior*), თოხიტარა (*Aegithalos caudatus*), მთის გრატა (*Emberiza cia*) (ღია ადგილებში), ჭივჭავი (*Spinus spinus*), დიდი ჭრელი კოდალა (*Dendrocopos major*), ჩვეულებრივი მგლინავა (*Certhia familiaris*). წიწვოვან ტყეებში ერთერთი დომინანტია ნისკარტმარწუხა (*Loxia curvirostra*). მაღალმთიანეთში მრავალრიცხოვანია წითელნისკარტა მარღანი (*Pyrrhocorax pyrrhokorax*) და ყვითელნისკარტა მარღანი (*Pyrrhocorax graculus*).

ეკოლოგიური თვალსაზრისით მოზამთრე ფრინველები შეიძლება შემდეგ ჯგუფებად დავყოთ:
1. დენდროფილური კომპლექსი, რომელიც ყველაზე მრავალფეროვანია და მოიცავს ტყესთან ერთად ბუჩქნარებს, ბაღებს და პარკებს: კოდალები, წივწივები, მგლინავა, ნისკარტმარწუხა, სტვენია, ჭივჭავი და სხვა.
2. ჰიგროფილური კომპლექსი: ყანჩები, იხვები, მეჭვავიები, ალკუნი, წყლის შაშვი და სხვა.
3. მდელო - ბუჩქნარებისა და ველების კომპლექსი. აქ გამოვყოფთ მთის და ვაკეების ღია სივრცეების მობინადრეებს: ა/ მთაში - კავკასიური როჭო, რქიანი ტოროლა, მთის მწყერჩიტა, დიდი კოჭობა და მეკლდეურები, სახეობები დაკავშირებული ვერტიკალურად დანაწევრებულ ლანდშაფტთან: კავკასიური შურთხი, ბატკანძერი, წითელფრთიანი კლდეცოცია, მეთოვლია ბეღურა, წითელნისკარტა მარღანი და ყვითელნისკარტა მარღანი. ბ/. ვაკეზე - ფეხბანჯგვლიანი კაკაჩა, ჩვ. კირკიტა, ალალი, მეფეტვია, შოშია და ჭილყვავი.

4. სინანთროპული და ნახევრადსინანთროპული კომპლექსი: კაჭკაჭი, რუხი ყვავი, სახლის და მინდვრის ბეღურა, ნარჩიტა და სხვა.

ზოგადად მოზამთრე ფრინველების კონცენტრირება ხდება საშუალო მთის ტყეების სარტყელში, ვაკე - მთისწინების ანთროპოგენურ ლანდშაფტში და მდინარეთა ხეობების გასწვრივ.

ბოლო წლებში შეიმჩნევა მოზამთრე ფრინველების სახეობრივი ნაირფეროვნების და რიცხოვნობის შემცირება, ზოგიერთი სახეობა კი საერთოდ აღარ გხვდება შიდა ქართლში. მიზეზი მრავალია, რიგ შემთხვევაში ძნელად გასაგები, მაგრამ ძირითადი მაინც ნათელია. პირველ რიგში ეს არის ფრინველების გამოსაზამთრებელი სავარგულების დეგრადაცია და ხშირად სრული მოსპობა, რაც, შესაბამისად, ზაფხულშიც მობუდარ ფრინველებზეც აისახება. განსაკუთრებით ნათლად ეს პრობლემა მტკვრის, დიდი ლიახვის და სხვა მდინარეების ,ან თუ სადმე შემორჩა პატარა კორომი, ისიც ძლიერ დეგრადირებული. ამიტომ ბევრი სახეობა გაქრა და ახლო მომავალში კიდევ მეტი გაქრება. მეორე და არანაკლებად მწვავე პრობლემაა ბრაკონიერობა, რის შედეგადაც ის სახეობებიც ისპობა, რომლებიც მეტნაკლებად ეგუება ლანდშაფტების ანთროპოგენურ ტრანსფორმაციას. თუ არ იქნა მიღებული კომპლექსური ზომები ამ პრობლემების გადასაჭრელად, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება ვერ მოხერხდება.

ლიტერატურა:

1. ედიშერაშვილი გ. 1999. მდინარე დიდი ლიახვის აუზის ფრინველები. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომები, ტ. V, გვ. 131-139.
2. გ. ედიშერაშვილი. 2002. მდ. დიდი ლიახვის აუზის მტაცებელი ფრინველები, კრებ. "ბიოლოგია და თანამედროვეობა", თსუ-ს გამ., თბილისი, გვ. 271-275.
3. ჩინჩალაძე ლ. 1958. ქართლის ბეღურასნაირი ფრინველები და მათი სამეურნეო მნიშვნელობა. თბილისი, გვ. 139
4. ჩხიკვიშვილი. 1952. მასალები ატენის ხეობის ფრინველების შესწავლისათვის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XV-A, გვ. 5-22.
5. Abuladze A., Kandaurov A., Edisherashvili G., Eligulashvili B. 2011. Wintering of raptors in Georgia: results of Long-Term monitoring. "The Birds of Prey and Owls of Caucasus." Tbilisi, Abastumani, Georgia. 26-29 October. Pp. 4-5.

რეზიუმე

მასალები შიდა ქართლის მოზამთრე ფრინველების შესახებ გროვდებოდა 1979 წლიდან და დღესაც გრძელდება ზოგადად რეგიონის ორნითოფაუნის შესწავლის პარალელურად. საერთო ჯამში ზამთრის პერიოდში შიდა ქართლში დაფიქსირებულია 118 სახეობა 13 რიგიდან, რომლებიც შემდეგნაირად არიან განაწილებულნი: ყველაზე მრავალრიცხოვანია რიგი ბეღურასნაირნი 60 სახეობა, შავარდნისნაირნი 12 სახეობა, ღერღეტისნაირნი 10 სახეობა, მეჭვავიასნაირნი 7 სახეობა, ბუსნაირნი 7 სახეობა, ქათმისნაირნი 5 სახეობა, კოდალასნაირნი 5 სახეობა, მტრედისნაირნი 5 სახეობა, ლაკლაკისნაირნი 2 სახეობა, ვარხვისნაირნი, კოკონასნაირნი, წეროსნაირნი და ყაპყაპისნაირნი თითო-თითო სახეობა. ზოგადად მოზამთრე ფრინველების კონცენტრირება ხდება საშუალო მთის ტყეების სარტყელში, ვაკე - მთისწინების ანთროპოგენურ ლანდშაფტში და მდინარეთა ხეობების გასწვრივ.

ბოლო წლებში შეიმჩნევა მოზამთრე ფრინველების სახეობრივი ნაირფეროვნების და რიცხოვნობის შემცირება. ძირითადი მიზეზია ფრინველების გამოსაზამთრებელი ჰაბიტატების დეგრადაცია და ხშირად სრული მოსპობა. მეორე და არანაკლებად მწვავე პრობლემაა ბრაკონიერობა, რის შედეგადაც ის სახეობებიც ისპობა, რომლებიც მეტ-ნაკლებად ეგუება ლანდშაფტების ანთროპოგენურ ტრანსფორმაციას. თუ არ იქნა მიღებული კომპლექსური ზომები ამ პრობლემების გადასაჭრელად, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება ვერ მოხერხდება.

SHIDA KARTLI WINTERING BIRDS

Gia Edisherashvili, Associate Professor

RESUME

Collection of data about wintering birds of Shida Kartli was started in 1979 and it is still underway. Totally 118 species of 13 genera were recorded for Shida Kartly during winters. Most numerous within them are Passeriformes - 60 species, Falconiformes - 12 species, Anseriformes - 10 species, Charadriiformes - 7 species, Strigiformes - 7 species, Gallifores - 5 species, Piciformes - 5 species, Columbiformes - 5 species, Ciconiiformes - 2 species and only one species from: Pelicaniformes, Podicipediformes, Gruiformes and Coraciiformes. Generally wintering birds are concentated in mountain forest belt, in anthropogenic landscapes of the foothills and valleys along the river.

During last years reduction of species diversity in wintering birds is observed. Main reasons are full and partial degradation of wintering habitats. Also poaching is one of the main reasons. During poaching mainly those species are decreased that are more or less adapting to landscapes anthropogenic changes. Only complex of diverse approaches need to be taken to protect and maintain biodiversity.

გაუსის შემთხვევით სიდიდეთა სისტემის დაყვანა დამოუკიდებელ შემთხვევით სიდიდეთა სისტემამდე

ზურაბ ზერაკიძე, პროფესორი
მალხაზ მუმლაძე, პროფესორი

განვიხილოთ გაუსის შემთხვევით სიდიდეთა სისტემა: $X_1, X_2, ..., X_n$ წრფივი

$$Z_k = \sum_{i=1}^{n} A_{ki}(X_i - m_{X_i}), k = 1,2,...,n \qquad *$$

გარდაქმნების საშუალებით გადავიდეთ გაუსის ახალ შემთხვევით სიდიდეებზე: $Z_1, Z_2, ..., Z_n$. ამ გარდაქმნებში $m_{X_i}, i = 1,2,...,n$ წარმოადგენენ $X_1, X_2, ..., X_n$ სიდიდეების მათემატიკურ ლოდინებს, ხოლო A_{ki} ნებისმიერად აღებულ არაშემთხვევით სიდიდეებს.

იმისათვის, რომ განტოლებათა * სისტემას $X_i - m_{X_i}$ სიდიდეების მიმართ, რომ ჰქონდეს ამონახსნი ვგულისხმობთ, რომ (A_{ki}) მატრიცი არაგადაგვარებულია.

განვსაზღვროთ მოთხოვნები იმისათვის, რომ გაუსის $Z_1, Z_2, ..., Z_n$ შემთხვევითი სიდიდეები იყვნენ დამოუკიდებელნი. პირველ რიგში * ტოლობებიდან ჩანს, რომ ადგილი აქვს ტოლობებს: $m_{Z_i} = 0, i = 1,2,...,n$, ამიტომ $Z_1, Z_2, ..., Z_n$ სიდიდეები დამოუკიდებელნი რომ იყვნენ საკმარისია $M[Z_k Z_i] = 0, k = 1,2,...,n, i = 1,2,...,n$, როდესაც $i \neq k$. რაც იგივეა

$$\sum_{l=1}^{n}\sum_{j=1}^{n} A_{kl} A_{lj} R_{X_l X_j} = 0, \qquad * *$$

სადაც $k = 1,2,...,n, i = 1,2,....,n, k \neq i$, ხოლო $R_{X_l X_j}$ წარმოადგენენ კორელაციებს X_l და X_j შემთხვევით სიდიდეებს შორის.

A_{ki} კოეფიციენტების რაოდენობაა n^2, ხოლო * * პირობების რაოდენობა $n^2 - n = n(n-1)$.

თითოეულ ამ პირობას შეესაბამება მისი მნიშვნელობით იგიური პირობა. ეს ადვილად ჩანს k და i ინდექსების მიმართ * * ტოლობების მარცხენა მხარეს მდგომი სიდიდეების სიმეტრიულობიდან. აქედან გამომდინარე A_{ki} სიდიდეებზე დადებული პირობების რაოდენობა იქნება $\frac{n(n-1)}{2}$.

ამგვარად გაუსის შემთხვევითი $X_1, X_2, ..., X_n$ სიდიდეების გაუსის არაკორელირებად შემთხვევით $Z_1, Z_2, ..., Z_n$ სიდიდეებად გარდაქმნა შესაძლებელია და შეიძლება განხორციელდეს მრავალნაირად, რადგან პირობების რაოდენობა, რომლებიც ედება A_{ki} სიდიდეებს გაცილებით ნაკლებია ამ სიდიდეების რაოდენობაზე: $\frac{n(n-1)}{2} < n^2$.

ჩვენს მიერ მოყვანილი მეთოდი ემყარება შემდეგ ცნობილ ფაქტებს:

1) წრფივი გარდაქმნებით გაუსის შემთხვევითი სიდიდეები გადადიან ასევე გაუსის შემთხვევით სიდიდეებში. ხოლო * სახის წრფივი გარდაქმნებით ისეთ გაუსის შემთხვევით სიდიდეებში, რომელთა მათემატიკური ლოდინები ნულის ტოლია.

2) * * პირობების დადებით A_{ki} კოეფიციენტებზე * წრფივი გარდაქმნებში გადავდივართ არაკორელირებულ გაუსის შემთხვევით სიდიდეთა სისტემაზე.

3) გაუსის შემთხვევით სიდიდეთა არაკორელირებადობიდან გამომდინარეობს მათი დამოუკიდებლობა.

მაშასადამე, * წრფივი გარდაქმნებში A_{ki} კოეფიციენტებზე * * პირობების დადებით გაუსის შემთხვევით სიდიდეთა $X_1, X_2, ..., X_n$ სისტემიდან ამ გარდაქმნებით გადავდივართ დამოუკიდებელ გაუსის შემთხვევით სიდიდეთა $Z_1, Z_2, ..., Z_n$ სისტემაზე.

როგორც ვთქვით, ასარჩევი კოეფიციენტების რიცხვია n^2. ვთქვათ, ამოვირჩიეთ ის $\frac{n(n-1)}{2}$ რაოდენობის კოეფიციენტი, რომლებსაც აკმაყოფილებენ * * პირობებს. შემდეგი n რაოდენობის კოეფიციენტი ჩავთვალოთ ერთის ტოლად, ხოლო ყველა დანარჩენი $n^2 - n - \frac{n(n-1)}{2} = \frac{n(n-1)}{2}$ ნოლის ტოლად.

აქედან გამომდინარე ვღებულობთ შემდეგ სისტემას:

$$\begin{cases} A_{11}(X_1 - m_{X_1}) = Z_1 \\ A_{12}(X_1 - m_{X_1}) + (X_2 - m_{X_2}) = Z_2 \\ A_{13}(X_1 - m_{X_1}) + A_{23}(X_2 - m_{X_2}) + (X_3 - m_{X_3}) = Z_3 \\ ---------- \\ A_{1n}(X_1 - m_{X_1}) + A_{2n}(X_2 - m_{X_2}) + ... + A_{n-1n}(X_{n-1} - m_{X_{n-1}}) + (X_n - m_{X_n}) = Z_n \end{cases}.$$

ამ სისტემაში A_{ki} კოეფიციენტების რაოდენობაა $\frac{n(n-1)}{2}$, მათმა უნდა დააკმაყოფილონ * * პირობები.

კოეფიციენტების გამოთვლა ხდება თანმიმდევრობით.

ლიტერატურა:

1. Д. Дуб, Вероятностные процессы, М., 1956.
2. Н. Лившиц, В. Пугачев, Вероятностный анализ систем автоматического управления, М., 1963.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია გაუსის შემთხვევით სიდიდეთა სისტემის გაუსის დამოუკიდებელ შემთხვევით სიდიდეთა სისტემაზე დაყვანის მეთოდი.

THE ADDUCTION OF GAUSSIAN SYSTEM RANDOM VALUES TO INDEPENDENT GAUSSIAN SYSTEM RANDOM VALUES

Zurab Zerakidze, Professor
Malkhaz Mumladze, Professor

RESUME

In the work considered method of adduction of Gaussian system random values to independent Gaussian system random values by linear transformation.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნების სახელოვანი იუბილე

ალექსანდრე იაშვილი, პროფესორი

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიას მსოფლიო გამოეხმაურა. ყველა თანაუგრძნობდა ქართველს ხალხს. ახალ ფაზაში შევიდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. დადგა დრო თავისი წვლილი ყველას შეეტანა საერთო საქმეში, მაგრამ სისტემას თაობები ისე ჰყავდა დათრგუნული, თავგანწირვის ყველასაგან თანაბრად მოთხოვნა ძნელი იყო. მაშინ ბევრს არ შეუცვლია თავისი პოზიცია, მაგრამ გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ყურს უგდებდნენ ხალხის მოთხოვნას ცენტრთან ურთიერთობის გაწყვეტის თაობაზე. სწორედ ამ პერიოდში იწყება ახალი ერა ქართული სპორტის ისტორიაში.

გაზეთმა „ლელომ“ საჯაროდ გამოაცხადა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის იდეა. 1989 წლის გაზაფხულიდან „ლელომ“ ღიად დაიწყო საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის აუცილებლობის პროპაგანდა.

1989 წლის 11 ივლისს „ლელოში“ გამოქვეყნებულ ჟურნალისტ პაატა ნაცვლიშვილის წერილში „საქართველოს ოლიმპიური პოტენცია“, ავტორი ყურადღებას ამახვილებდა პრეცენდენტზე, კერძოდ, უნგრეთის, ნორვეგიის, ავსტრალიის, კუბის, კანადის, ინდოეთის, სამხრეთ აფრიკის კავშირის ქვეყნებს პოლიტიკურ თავისუფლებამდე უასპარეზიათ ოლიმპიურ თამაშებში. ავტორმა ღრმად გააანალიზა ოლიმპიური მოძრაობის ისტორია და საქართველოს სპორტსმენთა წვლილი ამ მოძრაობაში.

„საქართველოს ცალკე გუნდად გამოსვლა ოლიმპიურ თამაშებში სულაც არ იქნება მხოლოდ სიმბოლური აქტი“ - ასეთი იყო წერილის ავტორის საბოლოო დასკვნა.

საქართველოში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის იდეა მთელმა საქართველომ სიხარულით აიტაცა. სწორედ ამ პერიოდში გახდა ცნობილი თანამედროვეობის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე პირველი ქართველის ვინაობა. ეს იყო თავადი ჭავჭავაძე, რომელიც 1908 წლის ოლიმპიადაზე რუსეთის ცხენოსანთა გუნდში გამოდიოდა.

„ლელოს“ 1989 წლის 30 ივლისს ნომერი ათასთა შორის გამოირჩა იმით, რომ გაზეთის ამ ნომრით პირველად ეუწყა ქვეყანას, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე კარგა ხნით ადრე, ჯერ ისევ საბჭოთა რეჟიმის პირობებში, იწყებოდა აქტიური მოძრაობა საქართველოში ოლიმპიური დამოუკიდებლობისათვის.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთ „ლელომ“ და მისმა თანამშრომლებმა ლომის წილი შეიტანეს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის ოცნების ასრულებაში.

სწორედ „ლელოს“ რედაქციაში შეიქმნა პირველი საინიციატივო და შემდეგ საორგანიზაციო ჯგუფები, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: ნოდარ გუგუშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, ზაზა კახაძე, თამაზ მიგრიაული, პეპი ბოჭორიშვილი, ნინო სიმონიშვილი, გიორგი ჩოჩიშვილი, დავით ჭელიძე, ალექსანდრე კოტორაშვილი. ჯგუფს უნარიანად ხელმძღვანელობდა „ლელოს“ რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე.

1989 წლის 28 ივლისს გაზეთ „ლელოს“ რედაქციაში კოსტავას ქუჩაზე საინიციატივო ჯგუფის პირველი სხდომა გაიხსნა, აქედან იწყება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ისტორიის ათვლა.

საკავშირო დაქვემდებარებიდან საქართველოს ოლიმპიური მოძრაობის ჩამოსაშორებლად საორგანიზაციო ჯგუფის აქტიური საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩენია მოსკოვს. საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ვიტალი სმირნოვი ყველა ღონეს ხმარობდა როგორმე არ განხორციელებულიყო საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის იდეა.

უნდა ითქვას, რომ ცენტრის ყოველგვარი მცდელობა მარცხით დამთავრდა.

1989 წლის 6 ოქტომბერს თბილისის ჭადრაკის სასახლე დილიდან ქართული სპორტის სავანედ იქცა. არასდროს არცერთ სხვა ღონისძიებაზე არ შეკრებილა ერთად ასეთი წარმომადგენლობა.

ოლიმპიური და მსოფლიო სპორტის თანავარსკვლავედის თვალისმომჭრელ სიკაშკაშეში იბადებოდა და იწერებოდა ეროვნული სპორტის ახალი ისტორიის ფურცელი.

ეს დღე არასდროს ამოიშლება ქართული სპორტის მატიანედან.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, ბატონმა თენგიზ გაჩეჩილაძემ, გახსნა საქართველოს ეროვნული კომიტეტის დამფუძნებელი კონფერენცია. მთელი საქართველოდან თავყრილობას ესწრებოდა 377 დელეგატი, რომლებმაც ერთსულოვნად მიიღეს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის გადაწყვეტილება.

საბჭოთა ხელისუფლების ისტორიაში, საქართველომ, პირველმა, გაჭრა სარკმელი დამოუკიდებლად შესაჯიბრებლად მსოფლიო ოლიმპიურ მოძრაობაში.

1989 წელს არჩეული იქნა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომი შემდეგი შემადგენლობით: ნონა გაფრინდაშვილი, ვიქტორ სანეევი, თენგიზ გაჩეჩილაძე, პაატა ნაცვლიშვილი, დავით კუპრეიშვილი, ვაჟა კაჭარავა, ავთანდილ ციბაძე, დავით კინწურაშვილი, ივანე ყიფიანი და ნოდარ გუგუშვილი.

1993 წელს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მის მუდმივ წევრად ცნო. ამავე წელს ზამთრის XVII ოლიმპიადაში მონაწილეობის ოფიციალური მიწვევა მიიღო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან. ეს ოლიმპიადა 1994 წელს ჩატარდა ნორვეგიის საკურორტო ქალაქ ლილეჰამერში. ყველაზე დაუვიწყარი და ამაღელვებელი იყო ლილეჰამერის ოლიმპიურ სოფელში საქართველოს ეროვნული დროშის აღმართვა ოლიმპიადაში მონაწილე სახელმწიფოების ალმების გვერდით.

1994 წლის ზამთრის ოლიმპიადაში მონაწილეობამ დასაბამი მისცა საქართველოს სპორტსმენების მონაწილეობას დამოუკიდებლად საერთაშორისო ოლიმპიურ თამაშებში. 1996 წელს კი პირველად ქართული ოლიმპიური სპორტის ისტორიაში, საქართველომ ატლანტის XXVI ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე დამოუკიდებელი გუნდით მიიღო მონაწილეობა.

ლიტერატურა:

1. გაზეთი „ლელო“, 1989 წლის 11 ივლისი.
2. გაზეთი „ლელო“, 1989 წლის 30 ივლისი.
3. გურამ ძაგანია, ოლიმპიური თამაშები, თბილისი, 2004.
4. გურამ ძაგანია, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორია, თბილისი, 2004.
5. გაზეთი „ლელო“ 80 წლისაა, თბილისი, 2014.

რეზიუმე

ნაშრომში გადმოცემულია, თუ როგორ დაიწყო აქტიური მოძრაობა XX საუკუნის 90-იან წლებში, ჯერ კიდევ საბჭოთა სპორტის რეჟიმის პირობებში, საქართველოში ოლიმპიური დამოუკიდებლობისათვის.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ჩადგნენ ეროვნული ინტერესების სამსახურში. სწორედ მათმა საქმიანობამ უზრუნველყო ქართველ ხალხს გულამდე მიეტანა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის იდეა. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ჩამოყალიბების საქმეს დასაბამი მისცა 1989 წლის 11 ივლისს გაზეთ „ლელოში“ ჟურნალისტ პაატა ნაცვლიშვილის მიერ გამოქვეყნებულმა წერილმა „საქართველოს ოლიმპიური პოტენცია“, რომელშიც ღრმა ანალიზი გაუკეთა ოლიმპიური მოძრაობის ისტორიას და საქართველოს სპორტსმენთა წვლილს ამ მოძრაობაში.

წერილის გამოქვეყნების შემდეგ შეიქმნა საორგანიზაციო ჯგუფი (თენგიზ გაჩეჩილაძე, ნოდარ გუგუშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, ზაზა კახაძე, თამაზ მიგრიაული, პეპი ბოჭორიშვილი, ნინო სიმონიშვილი, გიორგი ჩოჩიშვილი, დავით ჭელიძე და ალექსანდრე კოტორაშვილი), რომელმაც ბოლომდე მიიყვანა დაწყებული საქმე 1989 წლის 6 ოქტომბერს, როდესაც

დამფუძნებელმა კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის შესახებ.

საბჭოთა ხელისუფლების ისტორიაში საქართველომ პირველმა გაჭრა სარკმელი საბჭოთა რესპუბლიკებიდან მსოფლიო ოლიმპიურ მოძრაობაში დამოუკიდებლად შესვლისათვის.

THE BIRTHDAY OF GEORGIAN NATIONAL OLYMPIC COMMITTEE

Aleksandre Iashvili, Professor

RESUME

In ninth years of twenty century. It had been region of soviet sport. Georgian Olympic Committee began acting for sport's independent.

After April 9 1989 year's tragic appeal people, who began action for national interesting, they works was which touch peoples hearts. It has began sing 11 July of 1989 years it was written newspaper "Lelo" by journalist Paata Natsvlishvili, it was importoor matter for sport history.

After this written letter created group. Those people were Tengiz Gachechiladze, Nodar Gugushvili, Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, Zaza Kakhadze, Tamaz Migriauli, Pepi Bochorishvili, Nino Simonishvili, Giorgi Chochishvili, Davit Chelidze and Aleksandre Kotorashvili. They finished this matter in 6 October of 1989 years.

Georgians were firths who open the door from soviet republic to democratically world.

მოქნილობის განვითარებისა და სრულყოფის თავისებურებები თავისუფალი სტილის მოჭიდავეებში

გიორგი მძინარაშვილი, ასოცირებული პროფესორი
მარიამ უბირია, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

მოჭიდავის მაღალ ოსტატად ჩამოყალიბება ეს არის რთული და შრომატევადი მრავალწლიანი პროცესი. მწვრთნელებმა და ყველა სპეციალისტმა, რომლებიც არიან ჩართული სასწავლო-საწვრთნო მუშაობაში, უნდა გაითვალისწინონ ყველა არსებული გარემოება, პირობები, მონაცემები, ზოგადად სპორტის და კერძოდ, ჭიდაობის თეორიის საფუძვლები და პრაქტიკული გამოცდილება.

თავისუფალი ჭიდაობა სპორტის სხვა სახეობებთან შედარებით დომინირებს ილეთების რაოდენობით, რომლებიც შედის მის ტექნიკურ-ტაქტიკურ არსენალში. ამ ილეთებს შორის შეიძლება გამოვყოთ:

1) საიერიშო ანუ თავდასხმითი ილეთები; 2) კონტრშეტევითი ილეთები ანუ ილეთები, რომლებიც სრულდება მოწინააღმდეგის მიერ შესრულებული ილეთის შემდეგ; 3) დაცვითი ილეთები.

მოჭიდავეების მომზადების მხარეებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფიზიკური მომზადების მხარეს, რომელიც ითვალისწინებს მათში შემავალ ხუთი ფიზიკური თვისების განვითარებასა და სრულყოფას. ფიზიკურ თვისებებს შორის დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს მოქნილობას. მოქნილი მოჭიდავე მეტი ამპლიტუდით ასრულებს მოძრაობას, იოლად ითვისებს მთელ რიგ ილეთებს. ამისათვის იყენებენ სხვადასხვა სახის ვარჯიშების კომპლექსს.

მოქნილობაში იგულისხმება საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის მორფოფუნქციური თავისებურებანი, რომელნიც განსაზღვრავენ მისი რგოლების მოძრაობაუნარიანობის დონეს. მოქნილობის საზომია მოძრაობის მაქსიმალური ამპლიტუდა. მას, ჩვეულებრივ, გამოსახავენ კუთხური ან ხაზობრივი განზომილებით.

თავისუფალ ჭიდაობაში ტექნიკური მოქმედებების ჩატარება მოითხოვს სპორტსმენებისაგან სახსრების მოძრაობის გარკვეულ ხარისხამდე განვითარებასა და მოქნილობას. ეს ფიზიკური თვისება საშუალებას აძლევს სპორტსმენს ეფექტურად აითვისოს ტექნიკური მოქმედება, ეხმარება ისეთ

ფიზიკური თვისებების სრულყოფაში, როგორიცაა: მოხერხებულობა, სისწრაფე, ძალა. მოქნილი მოჭიდავეები იშვიათად იღებენ ტრავმებს ჭიდაობაში.

არსებობს აზრი, რომ ბავშვები მეტად მოქნილები არიან, ვიდრე დიდები, ეს ყოველთვის ესე არ არის, მაგრამ უდაოა, რომ პატარა ასაკში მოქნილობის განვითარება და სრულყოფა მეტად ადვილია და ეფექტურია, ვიდრე დიდ ასაკში.

ჩვენი დაკვირვებიდან გამომდინარე და ჩატარებული მრავალი ანკეტირების საფუძველზე გაირკვა, რომ სასწავლო-საწვრთნო პროცესების მიმდინარეობისას, ბევრი მწვრთნელი შემოიფარგლება ისეთი ვარჯიშებით მოქნილობაზე, როგორიცაა - ტანის ზნექები წინ, უკან, გვერდზე, ვარჯიშები ხიდზე და სხვა, რომლებიც ხანგრძლივობითა და ინტენსიურობით შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც საშუალება სპორტსმენის ორგანიზმის მომზადებისათვის. უკეთეს შემთხვევაში ეს ვარჯიშები ამაღლებს მოჭიდავეთა საერთო ფიზიკური მომზადების დონესა და ხარისხს.

ჩვენი აზრით, მოქნილობის განვითარებისათვის აუცილებელია მიზანმიმართული ვარჯიშების შერჩევა, ამა თუ იმ მოქმედების სტრუქტურის გათვალისწინებით, მაგალითად, დახრით გდებები მოითხოვენ სახსრებში დიდ მოძრაობაუნარიანობას. ლიტერატურული მონაცემებით მხრის სახსარში - 90^0-100^0, მენჯ-ბარძაყის სახსარში - 55^0-151^0, მუხლის სახსარში - 62^0-153^0.

გაზნექვით გდება სრულდება მაქსიმალური ამპლიტუდით, განსაკუთრებით სხეულისა და ბარძაყის გადახრის დროს. თუ მოჭიდავე მოქნილია, მას შეუძლია გამოიყენოს ძალისხმევა არამარტო მოძრაობის დასაწყისში, არამედ დასკვნით ფაზაშიც. ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგეს უჭირს დაცვითი და კონტრშეტევითი მოქმედებების ჩატარება. მოჭიდავეებს, რომლებსაც აქვს ნაკლებად განვითარებული მოქნილობა იძულებულნი არიან შეასრულონ მძლავრი და ძლიერი ამოკვრა, შემდეგ კი იყენებენ მოძრაობის ინერციას. მათ უხდებათ ტრიალის შესრულება მაღლა ლეიბიდან. ეს ვარიანტი ნაკლებად ეფექტურია და აძლევს მოწინააღმდეგეს საშუალებას შეასრულოს კონტრილეთი.

ვარჯიშები სახსრების მოძრაობისუნარიანობის განვითარებაზე უნდა იყოს თანხვედრი კუნთების ძალის განმავითარებელ ვარჯიშებთან და ვარჯიშებთან ფეთქებადი ძალის განვითარებაზე.

აღსანიშნავია ის, რომ სპორტსმენებში, რომლებიც იყენებენ ძალისმიერ ვარჯიშებს, სადაც არის დაბალი ამპლიტუდა, ემატება კუნთოვანი ძალა, მაგრამ საგრძნობლად კლებულობს მოძრაობა და მოქნილობა სახსრებში. თუ მოხდება ძალის განვითარება და გვავიწყდება კუნთების გაწელვა, ან პირიქით მეტ ყურადღებას დავუთმობთ სახსრების მოქნილობის და მოძრაობის განვითარებას და დავივიწყებთ ვარჯიშებს ძალის განვითარებაზე შედეგი იქნება არასრულყოფილი. დადგენილია, რომ სპორტსმენები, რომლებიც ჰარმონიულად და კომპლექსში თანაბარ ყურადღებას უთმობენ ვარჯიშებს ძალისა და მოქნილობის განვითარებაზე აუმჯობესებენ ორივე თვისების მაჩვენებელს.

მოქნილობაზე ვარჯიშის პროცესში იზრდება და უმჯობესდება აქტიური, ასევე პასიური სახსრების მოძრაობა.

სახსრებში მოძრაობა შეიძლება გავზარდოთ ვარჯიშებით გაწელვაზე და შევამოწმოთ ნორმატივების სახით, რომელსაც ჩვენ ვატარებდით ეტაპობრივად ორი, ოთხი და ცხრა თვის მანძილზე. მეტად ეფექტურია ძალისმიერი ვარჯიშები, რომლებიც სრულდება დიდი ამპლიტუდითა და დიდი დაძაბვით მუშაობის ყველა რეჟიმში.

ყველაზე სასურველი ასაკი მოქნილობის, განვითარებისათვის ეს არის 10-16 წელი. თანდათან მოქნილობა კლებულობს, ამიტომ მაღალკვალიფიციურმა სპორტსმენებმა უწყვეტად უნდა იმუშაონ მოპოვებული მოქნილობის შენარჩუნებაზე და სრულყოფაზე.

ასაკისა და მოჭიდავეების კვალიფიკაციის გათვალისწინებით ჩვენ სასწავლო-საწვრთნო პროცესის დასაწყისში, შუალედში და ბოლოს ვიყენებთ საკონტროლო ნორმატივებს ყველა ფიზიკურ თვისებებში.

ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით საწვრთნო პროცესის მიმდინარეობისას მოქნილობაზე ვარჯიშის დროს სასურველია ხერხემლის სახსრებზე ერთი ვარჯიშის 100-მდე გამეორება, მენჯ-ბარძაყის სახსრების გასავითარებლად 70 გამეორება, მხრის სახსრის - 60-ჯერ, წვივის სახსრის - 25 გამეორება. ვარჯიშების შესრულება შესაძლებელია სერიებად 10-15-ჯერ.

ჩვენს მიერ ჩატარებულ სასწავლო-საწვრთნო მუშაობაში გამოყენებული იყო როგორც აქტიური, ასევე პასიური ვარჯიშები მოქნილობის განვითარებისათვის, სადაც ჩვენ ვიყენებდით, ძირითადად პარტნიორის დახმარებას, ვარჯიშებს - სატანვარჯიშო და საჭიდაო ლეიბზე, ვარჯიშებს შვედური კედლის გამოყენებით, ჟგუტებისა და ბურთების გამოყენებით.

საწვრთნო პროცესში გამოყენებულმა ვარჯიშებმა ეფექტური შედეგი მოგვცა მოქნილობის განვითარებაში. ეტაპობრივად ჩატარებულმა ნორმატივებმა ცხადყო, რომ ეტაპიდან-ეტაპამდე მოქნილობის პარამეტრები იზრდებოდა. ეს, რა თქმა უნდა, აძლევდა მოსწავლეებს საშუალებას მეტი

ხარისხით შეესრულებინათ, როგორც მარტივი, ასევე რთულად კოორდინირებული ილეთები ვარჯიშზე და შეჯიბრის პროცესში.

ჩვენი აზრით, სასწავლო-საწვრთნო პროცესში ფიზიკური მომზადების დაგეგმვისას აქტიურად უნდა იყოს ჩართული საკითხი მოქნილობის ამაღლების პრიორიტეტულ მნიშვნელობაზე.

ლიტერატურა:
1. Матвеев Л. П., Новиков А. Д., Теория и методика физического воспитания, т. 1, М., ФиС, 1976.
2. ლ. პ. მატვეევი, ა. დ. ნოვიკოვი, ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის ზოგადი საფუძვლები, ტომი 1, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1979.
3. Туманян Г. С., Спортивная борьба, М., ФиС, 1985.
4. Медведь А. В, Кочурко Е. И., Совершенствование подготовка мастеров спортивной борьбы. Минск, «Полымя», 1985.
5. ლ. პ. მატვეევი, სპორტული წვრთნის საფუძვლები, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1987.

რეზიუმე

თავისუფალი სტილის მოჭიდავის მომზადების პროცესში დიდი ადგილი უკავია ფიზიკურ მომზადებას, სადაც ხდება ყველა ფიზიკური თვისების განვითარება და სრულყოფა. ფიზიკურ თვისებებს შორის მოქნილობა ერთ-ერთი ფიზიკური თვისებაა, რომლის განვითარებას სჭირდება სპეციფიკური მიდგომა. ჩვენი აზრით, მოჭიდავეთა მომზადების სასწავლო-საწვრთნო პროცესში მოქნილობის განვითარება უნდა მოხდეს მრავალი ხერხით, მეთოდითა და საშუალებით.

ყველა ფიზიკური თვისების განვითარება უნდა მოხდეს ერთმანეთთან ჰარმონიულ კავშირში და სპორტის პრინციპებისა და კანონზომიერებების დაცვით.

THE PROBLEMS TO PLAN TEACHING-TRAINING PROCESS AND SPECIAL METHODS FOR BEGINNER SPORTSMEN IN FREE WRESTLING

Giorgi Mdzinarishvili, Associate Professor
Mariam Ubiria, Specialist by Contract, Doctor

RESUME

In free wrestling, like in other sport events, there are two difficulties when wrestlers reach older age, two important things. In one case the younger sportsmen who move to older group, they compete with older ones. And in the other case the younger sportsmen worry about this fact, are frightened and have no results.

With other important issues it’s necessary to consider the sportsmen’s age at any stage in the process of training, to develop a variety of stills and methods, to choose and use them correctly.

მარტივ რიცხვთა სიმეტრიის შესახებ

***გიმზერ საათაშვილი**, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი*

მარტივ რიცხვებსა და მათ განაწილებასთან დაკავშირებით უამრავი საინტერესო კითხვა დაისვა. საგულისხმოა, რომ ზოგიერთ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას საუკუნეები დასჭირდა, ზოგის პასუხი კი ჯერაც უცნობია.

ცნობილია, რომ მარტივ რიცხვთა რაოდენობა x რიცხვამდე $\pi(x)$, გამოითვლება ფორმულით (გამოთვლის ერთერთი ხერხია):

$$\pi(x) = \pi(\sqrt{x}) - 1 + x - \left(\left[\frac{x}{p_1}\right] + \left[\frac{x}{p_2}\right] + \cdots + \left[\frac{x}{p_n}\right]\right) + \left(\left[\frac{x}{p_1 p_2}\right] + \left[\frac{x}{p_1 p_3}\right] + \cdots + \left[\frac{x}{p_{n-1} p_n}\right]\right)$$
$$- \cdots + (-1)^{n-1}\left(\left[\frac{x}{p_1 p_2 \cdots p_{n-1}}\right] + \left[\frac{x}{p_1 p_2 \cdots p_n}\right] + \cdots + \left[\frac{x}{p_2 p_3 \cdots p_n}\right]\right) + (-1)^n \left[\frac{x}{p_1 p_2 \cdots p_n}\right]$$

სადაც $p_1, p_2, \ldots, p_n$ პირველი ერთმანეთის მომდევნო მარტივი რიცხვებია $\sqrt{x}$-მდე.

ზემოთ მოყვანილი ხერხის გათვალისწინებით მიიღება შემდეგი შედეგი: ვთქვათ, მოცემულია პირველი ერთმანეთის მომდევნო x ცალი ნატურალური რიცხვი. ამ მიმდევრობიდან ამოვშალოთ ყველა რიცხვი რომელიც ჯერადია რომელიმე მარტივი რიცხვისა m-რიცხვამდე $(m < x)$ და შევაფასოთ დარჩენილ რიცხვთა რაოდენობა S. ვთქვათ m-რიცხვამდე მარტივი რიცხვებია $p_1, p_2, \ldots, p_k$, მაშინ

$$S = x - \left(\left[\frac{x}{p_1}\right] + \left[\frac{x}{p_2}\right] + \cdots + \left[\frac{x}{p_k}\right]\right) + \left(\left[\frac{x}{p_1 p_2}\right] + \left[\frac{x}{p_1 p_3}\right] + \cdots + \left[\frac{x}{p_{k-1} p_k}\right]\right) - \cdots + (-1)^{k-1}\left(\left[\frac{x}{p_1 p_2 \cdots p_{k-1}}\right]\right.$$
$$\left. + \left[\frac{x}{p_1 p_2 \cdots p_k}\right] + \cdots + \left[\frac{x}{p_2 p_3 \cdots p_k}\right]\right) + (-1)^k \left[\frac{x}{p_1 p_2 \cdots p_k}\right]$$

მტკიცდება რომ

$$x - \left(\left[\frac{x}{p_1}\right] + \left[\frac{x}{p_2}\right] + \cdots + \left[\frac{x}{p_k}\right]\right) + \left(\left[\frac{x}{p_1 p_2}\right] + \left[\frac{x}{p_1 p_3}\right] + \cdots + \left[\frac{x}{p_{k-1} p_k}\right]\right) - \cdots + (-1)^{k-1}\left(\left[\frac{x}{p_1 p_2 \cdots p_{k-1}}\right]\right.$$
$$\left. + \left[\frac{x}{p_1 p_2 \cdots p_k}\right] + \cdots + \left[\frac{x}{p_2 p_3 \cdots p_k}\right]\right) + (-1)^k \left[\frac{x}{p_1 p_2 \cdots p_k}\right]$$
$$\geq$$
$$x - \left(\frac{x}{p_1} + \frac{x}{p_2} + \cdots + \frac{x}{p_k}\right) + \left(\frac{x}{p_1 p_2} + \frac{x}{p_1 p_3} + \cdots + \frac{x}{p_{k-1} p_k}\right) - \cdots + (-1)^{k-1}\left(\frac{x}{p_1 p_2 \cdots p_{k-1}}\right.$$
$$\left. + \frac{x}{p_1 p_2 \cdots p_k} + \cdots + \frac{x}{p_2 p_3 \cdots p_k}\right) + (-1)^k \frac{x}{p_1 p_2 \cdots p_k}$$

მარტივ რიცხვთა სიმეტრიის შესახებ:

თეორემა: ნებისმიერი n ნატურალური რიცხვისათვის მოიძებნება მარტივი რიცხვების ერთი მაინც ისეთი p და q წყვილი, რომ $n = p + t$ და $n = q - t$ $(t \in N)$. ანუ ისინი სიმეტრიულად არიან დაშორებული n რიცხვიდან.

დამტკიცება: შემოწმების შედეგად დადგინდა თეორემის სამართლიანობა 200 -ის ჩათვლით ყველა რიცხვისთვის. ვაჩვენოთ თეორემის სამართლიანობა როცა $n > 200$. ვთქვათ სიმრავლე $\sqrt{2n}$-მდე მარტივი რიცხვებისა არის $S_{\sqrt{2n}} = \{p_1, p_2, \ldots, p_k\}$

განვიხილოთ პირველი $2n$ ერთმანეთის მომდევნო ნატურალური რიცხვი. ეს რიცხვები დავალაგოთ ორ სტრიქონზე ისეთნაირად, რომ თითოეული ვერტიკალური წყვილი თანაბრად იყოს დაშორებული n რიცხვიდან. გვექნება n რაოდენობის წყვილი.

$$\begin{array}{ccccccc} 1 & 2 & 3 & \cdots & 2n-3 & 2n-2 & 2n-1 \\ 2n-1 & 2n-2 & 2n-3 & & 3 & 2 & 1 \end{array} \qquad \begin{array}{c} (I) \\ (II) \end{array}$$

წყვილის იმ რიცხვს, რომელიც (I) სტრიქონს ეკუთვნის ვუწოდოთ წყვილის ზედა ელემენტი, ხოლო წყვილის იმ რიცხვს, რომელიც (II) სტრიქონს ეკუთვნის ვუწოდოთ წყვილის ქვედა ელემენტი. ისეთ წყვილებს, რომლებიც ერთი და იგივე რიცხვებისგან შედგებიან (ოღონდ სხვადასხვა პოზიციაზე), მაგალითად $\begin{smallmatrix} 3 \\ 2n-3 \end{smallmatrix}$ და $\begin{smallmatrix} 2n-3 \\ 3 \end{smallmatrix}$, ვუწოდოთ შებრუნებული წყვილები.

თუ რომელიმე ორი სხვადასხვა წყვილის ზედა ელემენტი ურთიერთ სადარია $\bmod p_i$, მაშინ მათი ქვედა ელემენტებიც ურთიერთ სადარია $\bmod p_i$. მართლაც, ვთქვათ x და y $(x > y)$ სხვადასხვა წყვილთა ზედა ელემენტებია და ისინი ურთიერთ სადარია $\bmod p_i$. ე.ი. $(x - y) \cong 0 \bmod p_i$. ამ წყვილთა ქვედა ელემენტები იქნებიან შესაბამისად $2n - x$ და $2n - y$, მაშინ $(2n - y)$-$(2n - x) = (x - y) \cong 0 \bmod p_i$. ასეთ წყვილებს ვუწოდოთ ურთიერთ სადარი წყვილების კლასი $\bmod p_i$.

თუ წყვილის ზედა და ქვედა ელემენტი ერთი და იგივე მარტივი p_i რიცხვის ჯერადია, ასეთ წყვილებს ვუწოდოთ განსაკუთრებული წყვილები, ხოლო ასეთი წყვილების კლასს განსაკუთრებული წყვილების კლასი $\bmod p_i$.

იმ წყვილების კლასი, რომლის ელემენტები $p_1 = 2$-ის ჯერადია წარმოადგენს განსაკუთრებული წყვილების კლასს. მათი რაოდენობაა: $\left[\frac{n}{p_1}\right] \leq \frac{n}{p_1}$

ისეთი წყვილების რაოდენობა, რომელთა ზედა ელემენტები $S_{\sqrt{2n}}$ -ის ელემენტების ჯერადია არის:

$$\left(\left[\frac{n}{p_1}\right]+\left[\frac{n}{p_2}\right]+\cdots+\left[\frac{n}{p_k}\right]\right)+\left(\left[\frac{n}{p_1p_2}\right]+\left[\frac{n}{p_1p_3}\right]+\cdots+\left[\frac{n}{p_{k-1}p_k}\right]\right)-\cdots+(-1)^{k-1}\left(\left[\frac{n}{p_1p_2\cdots p_{k-1}}\right]+\left[\frac{n}{p_1p_2\cdots p_k}\right]+\cdots+\left[\frac{n}{p_2p_3\cdots p_k}\right]\right)+(-1)^k\left[\frac{n}{p_1p_2\cdots p_k}\right]$$

$$\leq$$

$$\left(\frac{n}{p_1}+\frac{n}{p_2}+\cdots+\frac{n}{p_k}\right)+\left(\frac{n}{p_1p_2}+\frac{n}{p_1p_3}+\cdots+\frac{n}{p_{k-1}p_k}\right)-\cdots+(-1)^{k-1}\left(\frac{n}{p_1p_2\cdots p_{k-1}}+\frac{n}{p_1p_2\cdots p_k}+\cdots+\frac{n}{p_2p_3\cdots p_k}\right)+(-1)^k\frac{n}{p_1p_2\cdots p_k}$$

იგივეს პირობებს აკმაყოფილებს ისეთი წყვილების რაოდენობა, რომელთა ქვედა ელემენტები $S_{\sqrt{2n}}$ -ის ელემენტების ჯერადია.

თუ ამ პირობებს გავითვალისწინებთ და გავითვალისწინებთ იმასაც, რომ იმ წყვილების კლასი, რომლის ელემენტები $p_1 = 2$-ის ჯერადია წარმოადგენს განსაკუთრებული წყვილების კლასს და ზემოთ ხსენებული წყვილებიდან ამოვაგდებთ ისეთ წყვილებს, რომელთა ზედა ან ქვედა ელემენტი $S_{\sqrt{2n}}$ -ის ელემენტების ჯერადია, ასეთ შემთხვევაში დარჩენილ წყვილთა რაოდენობა იქნება არანაკლები შემდეგისა:

$$n-\frac{n}{p_1}-2\left(\left(\frac{n}{p_2}+\cdots+\frac{n}{p_k}\right)+\left(\frac{n}{p_1p_2}+\frac{n}{p_1p_3}+\cdots+\frac{n}{p_{k-1}p_k}\right)-\cdots+(-1)^{k-1}\left(\frac{n}{p_1p_2\cdots p_{k-1}}+\frac{n}{p_1p_2\cdots p_k}+\cdots+\frac{n}{p_2p_3\cdots p_k}\right)+(-1)^k\frac{n}{p_1p_2\cdots p_k}\right)$$

$$=n\left(1-\frac{1}{p_1}\right)\left(1-\frac{2}{p_2}\right)\left(1-\frac{2}{p_3}\right)\ldots\left(1-\frac{2}{p_k}\right)=n\times\frac{1}{2}\times\frac{1}{3}\times\frac{3}{5}\times\frac{5}{7}\times\ldots\times\frac{p_{k-1}-2}{p_{k-1}}\times\frac{p_k-2}{p_k}>\frac{n}{2p_k}$$

$$\geq\frac{n}{2\sqrt{2n}}$$

მაგრამ $\frac{n}{2\sqrt{2n}} > 4$ როცა $n > 200$ ე.ი არანაკლებ ოთხი წყვილი მაინც დარჩება. დარჩენილ წყვილებში ცხადია გვექნება ურთიერთ შებრუნებული წყვილები. ნებისმიერი ორი ურთიერთ შებრუნებული წყვილიდან ერთი წყვილი ამოვაგდოთ. ცხადია ამის შემდეგ არანაკლებ ორი წყვილი მაინც დარჩება. ცხადია ერთი რომელიმე წყვილის ელემენტები მაინც განსხვავებულია 1 და ($2n$-1) რიცხვებისგან. ე.ი. აუცილებლად მოიძებნება ერთი წყვილი მაინც, რომლის p და q ელემენტებიდან არცერთი არ არის $S_{\sqrt{2n}}$ -ის ელემენტების ჯერადი. მაგრამ თუ ეს რიცხვები არ არიან $S_{\sqrt{2n}}$ -ის ელემენტების ჯერადები, მაშინ თითოეული მარტივი რიცხვია.

თეორემა დამტკიცებულია.

ამ თეორემით გადაიჭრა ჰოლდბახის ცნობილი პრობლემა. მართლაც, თეორემის თანახმად ყოველი n $(n\in N)$ რიცხვისათვის მოიძებნება მარტივი რიცხვების ერთი მაინც ისეთი p და q რიცხვი, რომ $p=n-t$ და $q=n+t$, მაგრამ $p+q=2n$ ე.ი. ყოველი $2n$ რიცხვისათვის მოიძებნება მარტივი რიცხვების ერთი მაინც ისეთი p და q წყვილი, რომ $p+q=2n$

ლიტერატურა:

1. Математическая энциклопедия, т. 1, издательство «Советская энциклопедия», М., 1977.
2. Виноградов И. М., Метод тригонометрических сумм в теории чисел, М., 1971.

რეზიუმე

ნაშრომში დასმულია და ამოხსნილია ამოცანა მარტივ რიცხვთა განაწილების შესახებ, რომელიც თეორემის სახითაა მოცემული. ამ თეორემით საკმაოდ მარტივად გადაიჭრა ჰოლდბახის ცნობილი პრობლემა.

ABOUT SYMMETRY OF SIMPLE NUMBERS

Gimzer Saatashvili, Specialist by Contract, Doctor

RESUME

In the article it is set and solved the problem about distribution of primes, which is defined in the form of theorem.

საქართველოს ენერგოუსაფრთხოების გეოგრაფიული ასპექტები ქარის ენერგიის გამოყენების მაგალითზე

ზურაბ ტიელიძე, პროფესორი

საზოგადოების ენერგოაღჭურვილობა, მისი სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის საფუძველი, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის მზარდი განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორია. XXI საუკუნის დასაწყისში გაჩნდა ენერგეტიკის ახალი დარგი ე. წ. "ენერგოდამზოგველი" ენერგეტიკა, რომლის მიზანია განაპირობოს უკვე საკმაოდ დაზიანებული ბიოსფეროს შენარჩუნება და ამისათვის იგი ეძებს ახალი ენერგიის ალტერნატიულ - არატრადიციულ წყაროებს (წყლის, მზის, ქარის, ზღვის - ოკეანის ტალღების, გეოთერმულ, ბიომასის და სხვ.), რომლებიც არ მიაყენებენ ზიანს გარემოს, იქნება იაფი, ეფექტური და გამოსაყენებელი განუსაზღვრელი დროის მანძილზე, ანუ ამოუწურავი, განსხვავებით ტრადიციული ენერგეტიკული რესურსებისა (ნავთობი, ბუნებრივი აირი, ქვანახშირი, ატომური ნედლეული, ტორფი, შეშა და ა. შ.). არატრადიციული კვლავწარმოებადი ენერგიის წყაროების გამოყენებას განსაზღვრავს წარმოებული ენერგიის ღირებულება ტრადიციულთან შედარებით, როდესაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენერგიის ლოკალურ მომხმარებელს.

ნებისმიერი ქვეყნის და, მათ შორის, საქართველოს ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფამ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ანუ მისი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას.

ენერგიის განახლებადი წყაროების ანუ ბუნებაში მუდმივად არსებული ან პერიოდულად შევსებადი ენერგიის ნაკადებზე დაფუძნებული ენერგიის წყაროების გამოყენებაზე გადასვლის აუცილებლობა გამოწვეულია რამოდენიმე მიზეზით. კერძოდ:

1. ტრადიციული ენერგეტიკული რესურსების ამოწურვადობა (გაანგარიშებულია, რომ კაცობრიობას ქვანახშირის არსებული მარაგი ეყოფა დაახლოებით 270 წელს, ურანისა - 100 წელს, ნავთობისა და ბუნებრივი აირისა კი დაახლოებით 50 წელს);

2. ტრადიციული რესურსების, როგორც ძვირფასი ქიმიური ნედლეულის დაზოგვის აუცილებლობა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ კაცობრიობა ნამდვილად ჩადის უპატიებელ ცოდვას მომავალი თაობების წინაშე, როდესაც იგი, ტექნოლოგიური უძლურების გამო ასე უმოწყალოდ ანადგურებს უზარმაზარ ძვირფას ქიმიურ სანედლეულო ბაზას - ქვანახშირის, ნავთობის, ბუნებრივი აირისა და სხვათა სახით, გამოიყენებს და მოიხსენიებს რა მათ ეგრეთ წოდებულ საწვავ რესურსებად.

3. კლიმატის ცვლილება („სათბურის ეფექტი") და მისი თავიდან აცილება. ტრადიციული ენერგეტიკული რესურსების გამოყენება - მათი წვა ხელს უწყობს ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის (ეს მაჩვენებელი დედამიწაზე +15%-ის ტოლია) ზრდას. 1860 წლიდან დედამიწის ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურამ გრადუსის 2/3-ით მოიმატა, რაც გამოწვეულია ტრადიციული ენერგეტიკული რესურსების გამოყენების (წვის) შედეგად, როდესაც ადგილი აქვს ატმოსფეროში ე. წ. "სათბურის გაზების" ნახშირორჟანგის (CO_2), მეთანის (CH_4), აზოტის ოქსიდის (N_2O) და სხვა აირების გამოყოფასა და დაგროვებას. ამ პროცესის შედეგად კი დედამიწის საშუალო ტემპერატურა +15% - ზე ზემოთ ადის, რასაც მეცნიერები "გაძლიერებული სათბურის ეფექტს" - გლობალურ დათბობას უწოდებენ. სწორედ ეს მოვლენა იწვევს კლიმატის არასასურველ ცვლილებას, რასაც ხშირად შედეგად მოსდევს მსოფლიოს

სხვადასხვა რეგიონებში დღეისათვის აგრერიგად მომძლავრებული უარყოფითი კლიმატურ - ატმოსფერული მოვლენები.

4. ენერგიის მომხმარებლის ანუ მოსახლეობის რაოდენობის ზრდა. ეს მოვლენა XX საუკუნეში დაიწყო და ე. წ. "დემოგრაფიული აფეთქების" სახელწოდებითაა ცნობილი. პროცესი გრძელდება. დემოგრაფთა პროგნოზით, ამ საუკუნის ბოლოსათვის მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 10 - 12 მილიარდს მიაღწევს, რაც მათი ენერგიით მომარაგებისათვის ალტერნატიული რესურსების გამოვლენისა და გამოყენების აუცილებლობას წარმოშობს.

ენერგიის განახლებადი - ალტერნატიული წყაროებიდან დიდი მნიშვნელობა გააჩნია **ქარის ენერგიას.** იგი ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზული, იაფი და ადამიანის მიერ ყველაზე ნაკლებად გამოყენებული ენერგიაა ალტერნატიული ენერგიის წყაროებიდან. ამავე დროს ამოუწურავია, არ საჭიროებს მოპოვებასა და ტრანსპორტირებას; მისი უტილიზაცია არ წარმოქმნის პირდაპირ ნარჩენებს - არ აბინძურებს გარემოს.

მართალია საზოგადოების მიერ ენერგიის არატრადიციული (განახლებადი) წყაროების გამოყენება დაკავშირებულია ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებთან, უმთავრესად კი მათ მაღალ თვითღირებულებასთან და ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების შექმნის აუცილებლობასთან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პერსპექტივაში აღნიშნული რესურსების გამოყენება მაინც მიგვაჩნია საქართველოს გარემოს მდგრადი განვითარებისა და ენერგოუსაფრთხოების ერთ - ერთ ძირითად საფუძვლად.

პირველად ადამიანმა ქარის ენერგია ჯერ კიდევ 5500 წლის წინ ნაოსნობაში გამოიყენა. ასევე ჩვენი წინაპრები ქარს შენობის ბუნებრივი ვენტილაციისთვისაც იყენებდნენ. ავღანეთში. რომის იმპერიასა და სპარსეთში აქტიურად იყენებდნენ ვერტიკალურ ღერძიან ქარის დანადგარებს შაქრის წარმოებაში და წყლის ამოსატუმბად. შუა საუკუნეებში, აღმოსავლეთიდან ჯვაროსნების დაბრუნების შემდეგ, ქარის ენერგიის გამოყენება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებშიც დაიწყეს. ჰოლანდიაში მას იყენებდნენ ჭაობებისა და ტბების ამოსაშრობად, ხე–ტყის გადასამუშავებლად და ქაღალდის წარმოებისთვის. უკვე მე-20 საუკუნის ბოლოს ევროპაში 2500–მდე ქარის დანადგარი მუშაობდა, ხოლო 1927 წელს ძმებმა ჯეკობსებმა მინეაპოლისში გახსნეს ქარის 200 ვატის სიმძლავრის ტურბინების საწარმო, სადაც 30 წლის განმავლობაში დამზადდა დაახლოებით 30 000 მცირე ქარის ტუბრინა. რაც შეეხება პირველ მძლავრ 1.25 მგვტ-იანი ქარის ელექტროსადგურს, 1941 წელს მორგანის კომპანიაში იქნა დამზადებული, თუმცა მალევე ფრთა დაუზიანდა და მისი აღდგენა მეორე მსოფლიოს ომის გამო ვეღარ მოხერხდა.

21–ე საუკუნის დასაწყისში ენერგოუსაფრთხოებამ, გლობალური დათბობის პრობლემამ, წიაღისეული საწვავის წყაროების შეზღუდულმა რაოდენობამ კაცობრიობის ინტერესი კვლავ განახლებადი ენერგიის წყაროებისკენ მოაბრუნა. დღევანდელ რეალობაში ქარის ინდუსტრია წელიწადში 30%–ით ფართოვდება. ამჟამად მსოფლიოში 20.000–ზე მეტი ელექტროენერგიის მწარმოებელი ქარის ტურბინაა.

უნდა აღინიშნოს, რომ მზე დედამიწაზე უზარმაზარ ენერგიას გზავნის. აქედან 2% ქარის ენერგიად წარმოიქმნება. ქარის სიჩქარე ჰაერის ფენების ტემპერატურათა ცვალებადობაზეა დამოკიდებული.

მსოფლიო ეკონომიკურად ეფექტური ქარის პოტენციალი შეადგენს 72000 გვტ-ს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება თანამედროვე მოთხოვნებს. ეკონომიკურად ეფექტურად ითვლება ქეს-ების (ქარის ელექტრო სადგურები). გამოყენება, როდესაც ქარის საშუალო წლიური სიჩქარე 50 მ სიმაღლეზე 6,4 მ/წმ-ის ტოლია.

ქარის ენერგიის დადებითი მხარეები:

- იყენებს ენერგიის განახლებად წყაროს,
- არ აბინძურებს გარემოს სათბური გაზებით,
- ამცირებს დამოკიდებულებას იმპორტირებულ ორგანულ სათბობზე,
- ამაღლებს ენერგოუსაფრთხოების დონეს,
- დაბალი ტარიფი (უკუგების პერიოდის შემდეგ),
- ენერგო–პროდუქტზე კონკურენციის შექმნა.

ქარის ენერგიის უარყოფითი მხარეები: -

იყენებს დიდ ფართობს,

- ხმაურიანია

2011 წლის ბოლოსთვის ქარის წარმოებული ელენერგია მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებში შემდეგნაირია: 1. ჩინეთი – 52,8 მგვტ, 2. აშშ – 42,432 მგვტ, 3. გერმანია – 27,981 მგვტ, 5. ინდოეთი – 14,550 მგვტ, 6. იტალია – 6,2 მგვტ, 7. საფრანგეთი – 6,060 მგვტ, 8. უკრაინა – 5,707 მგვტ, 9. კანადა – 4,611 მგვტ, 10. პორტუგალია – 3,960 მგვტ.

გაანგარიშებულია, რომ ამჟამად მსოფლიოში ქარის ელსადგურების ჯამური სიმძლავრე 100 000 მგვ-ტ-ს აღწევს და 50-ჯერ აღმატება საქართველოს ყველა ელსადგურის ჯამურ სიმძლავრეს. ქარის ენერგეტიკას ამჟამად გააჩნია ყველაზე კონკურენტუნარიანი ენერგეტიკული ტექნოლოგია. მეცნიერთა შეფასებით, ქარის ელექტროსადგურების წილი მსოფლიო ენერგეტიკაში 2025 წლისათვის 10%-ს მიაღწევს.

ქარის ენერგიის პოტენციალი საქართველოში. საქართველოს ბარიულ (ატმოსფეროს წნევის) ველში ენერგეტიკული პოტენციალი შეადგენს 3-4 მლრდ კვ საათს წელიწადში. ქარის მაღალი ენერგოპოტენციალი გააჩნია ფოთი-აჭარას შავიზღვისპირეთს, მდინარე რიონის ხეობას, ხაშური-სურამის მიდამოებს, შოვი-ყაზბეგის მთიან ზოლს, თბილისის მიდამოებს, ჭოროხის ხეობას, ქუთაისის მიდამოებს, მთა საბუესა და სხვა რეგიონებს (იხ. რუკა). მაგალითად, მთა საბუეზე ქარის საშუალო წლიური სიჩქარე შეადგენს 9,2 მ/წმ-ს, ხოლო სიმძლავრე - 1450 კვტ სთ/კვმ -ის ტოლია (1, 163).



ნახ. 4.1. ქეპ-ის განაწილება საქართველოს ტერიტორიაზე ლანძილის ზედაპირიდან 50 მეტრის სიმაღლეზე

როგორც ვხედავთ, საქართველოს გააჩნია ქარის ენერგიის მნიშვნელოვანი პოტენციალი. ქარის ენერგეტიკული ბუნებრივი პოტენციალის მიხედვით საქართველოს ტერიტორია დარაიონებულია 4 ზონად:

1. მაღალი სიჩქარეების ზონა - სამხრეთ საქართველოს მთიანეთი, კახაბერის ვაკე და კოლხეთის დაბლობის ცენტრალური ნაწილი. სამუშაო პერიოდის ხანგრძლივობა 5000 სთ-ზე მეტია წელიწადში.

2. ნაწილობრივ მაღალსიჩქარიანი და დაბალსიჩქარიანი ზონა - მტკვრის ხეობა მცხეთიდან რუსთავამდე, ჯავახეთის სამხრეთი ნაწილი, შავი ზღვის სანაპირო ზოლი ფოთიდან კახაბერის ვაკემდე. სამუშაო პერიოდის ხანგრძლივობა შეადგენს წელიწადში 4500-5000 სთ-ს.

3. დაბალსიჩქარიანი ქედების ეფექტიანი ექსპლუატაციის ზონა - გაგრის ქედი, კოლხეთის დაბლობი და აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობები.

4. დაბალსიჩქარიანი ქედების შეზღუდული გამოყენების ზონა - იორის ზეგანი და სიონის წყალსაცავი.

საქართველოში ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლენილია ქარის ეფექტური ელექტროსადგურების პერსპექტიული მშენებლობის რამოდენიმე მოედანი, მათ შორის:

N	ადგილმდებარეობა	სიმძლავრე (მვტ)	ენერგიის წლიური გამომუშავება (მლნ კვტ.სთ)
1	ფოთი	50	110
2	ჭოროხი	50	120
3	ქუთაისი	100	200
4	მთა-საბუეთი I	150	450
5	მთა-საბუეთი II	600	2000
6	გორი-კასპი	200	500
7	ფარავანი	200	500
8	სამგორი	50	130
9	რუსთავი	50	150
	ჯამი	1450	4160

წყარო: http://www.energy.gov.ge/investor.php?i

საქართველოს ტერიტორიის დანარჩენი ნაწილის ქედები ქარის ელექტროსადგურების ექსპლუატაციისათვის არ გამოდგება.

საქართველოში ქარის სრული თეორიული ენერგოპოტენციალი შეადგენს 1300 მლრდ. კვტსთ-ს, მაშინ, როდესაც საქართველოს მდინარეების სრული თეორიული ენერგოპოტენციალი 135 მლრდ. კვტსთ-ია. აღსანიშნავია, რომ ქარის ენერგიის ძირითადი წილი მოდის ზამთრის იმ თვეებზე, როდესაც ჰიდროელექტროსადგურები განიცდიან წყლის რესურსების დეფიციტს.

საქართველოში ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლენილია ქარის ეფექტური ელექტროსადგურების პერსპექტიული მშენებლობის რამდენიმე მოედანი, მათ შორისაა ფოთი, ჭოროხი, ქუთაისი, სამგორი, რუსთავი. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სხვადასხვა ტიპის განახლებადი ენერგიის საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს, უფრო მეტად ათვისებულია მხოლოდ ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი. ქვეყნის ენერგომოხმარების 85%-ს სწორედ ჰიდროელექტროენერგია აკმაყოფილებს.

ექსპერტთა აზრით (ლ. ჯერვალიძე), ქარის ენერგია ძვირადღირებული სიამოვნებაა, მაგრამ იმ ფონზე, როცა იმპორტირებული ენერგია ძალიან ძვირდება, ქარის საპილოტე სადგურის აშენება ცუდი იდეა არ არის. ის უფრო ძვირია, ვიდრე – ჰიდრო. ამასთან, ქარი არასტაბილური ენერგიის წყაროა, ვინაიდან ის ხან ქრის და ხან – არა, ზოგჯერ მეტად ქრის, ზოგჯერ – ნაკლებად და სათადარიგო მაშველი ენერგია ყოველთვის უნდა გქონდეს, რათა მოსახლეობა არ დაზარალდეს. ინვესტორს უნდა ჰქონდეს გარანტია, რომ ქარის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებულ ენერგიაში, რომელიც გაცილებით ძვირი იქნება, ვიდრე ჰიდრორესურსებით წარმოებული ელექტრონერგია, სახელმწიფო სუბსიდირებას განახორციელებს. განახლებადი ენერგიის წყაროები ყველაზე მეტად ევროპაშია განვითარებული, მაგრამ იქაც ქარის სადგურები სახელმწიფოს მიერაა სუბსიდირებული.

ქარის საპილოტე ელექტროსადგურის მშენებლობის იდეას პოზიტიურად აფასებენ სხვებიც. ევროპა უკვე დიდი ხანია იყენებს განახლებადი ენერგიის წყაროებს. მაგალითად, გერმანიამ მათ ხარჯზე უკვე 8 ატომური ელექტროსადგური გააჩერა. „ჩვენ კი ამ მხრივ, სამწუხაროდ, უფსკრულში ვართ. საქართველოს ქარის ატლასის მიხედვით, უმტკივნეულოდ შეუძლია, რომ ჯამში, სულ მცირე 300 მეგავატი დადგმული სიმძლავრის მქონე ქარის სადგურები აამოქმედოს" (თ.. გრძელიძე).

ალტერნატიული ენერგიის წყაროების ეფექტურად გამოყენებას პრიორიტეტულად მიიჩნევენ ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროშიც, მაგრამ აცხადებენ, რომ მისი წილი ქვეყნის დადგმული სიმძლავრის მოცულობაში 10-15%-ს არ უნდა აღემატებოდეს, რადგან მშენებლობაც ძვირი ჯდება და, შესაბამისად, გამომუშავებული ენერგიაც ძვირი ეღირება.

ამჟამად სწრაფად განვითარებადი ტექნოლოგიების ხარჯზე, ქარის ენერგეტიკას დიდი პერსპექტივა გააჩნია, რამაც შესაძლოა, ის ჰიდროენერგეტიკასთან შედარებით კონკურენტუნარიანი გახადოს, თუმცა საქართველოში არსებული ჰიდრორესურსების პოტენციალი იმდენად მნიშვნელოვანია (45-50 მლრდ. კვტ. სთ.) და, დღეის მდგომარეობით, იაფიც, რომ ამ ეტაპზე ჰიდროენერგეტიკას კონკურენციას ვერ უწევს. თუმცა, მიუხედავად ამისა, ქვეყნის პრიორიტეტია ალტერნატიული ენერგიის წყაროების მაქსიმალურად და ეფექტურად გამოყენება, რათა მოხდეს იმპორტირებული, ძვირადღირებული ენერგიისა და ენერგომატარებლებზე დამოკიდებულ თბოელექტროსადგურებში წარმოებული ელ. ენერგიის წილის შემცირება ქვეყნის ენერგეტიკულ ბალანსში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში შესაძლებელია ქარის ელექტროსადგურების მშენებლობა. ამჟამად ქარის ელსადგურის აშენება გათვალისწინებულია გორში, ამ პროექტისთვის სავარაუდოდ 30 მილიონი დოლარი დაიხარჯება. გორი გვაძლევს პოტენციალს, რომ მასშტაბები კიდევ გაიზარდოს. არის პოტენციალი სხვა რეგიონებშიც.

საქართველოში ენერგოეფექტურობასა და ალტერნატიული განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენება პერსპექტივაში აუცილებელია და საქართველოს მთავრობის პროგრამის ერთ-ერთ პრიორიტეტსაც გარემოსდაცვითი სფერო წარმოადგენს. პროგრამის მიხედვით განსახორციელებელ ღონისძიებებს შორის მნიშვნელოვანია უახლესი და საუკეთესო გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების, მათ შორის ენერგოდამზოგველი ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა.

ქარის ენერგიიდან ელექტროენერგიის მიღების უახლესი ტექნოლოგიები იაფია, მუშაობენ ქარის მცირე სიჩქარეებზე, ე.ი. სუსტი ქარის დროს, ეკოლოგიურია. ელექტროსისტემის სახის შერჩევა (მზის, ქარის, ჰიბრიდულის) დამოკიდებულია კონკრეტული რეგიონის მონაცემებზე. ამგვარად, არსებობს საქართველოში შესაძლებლობები: 1) ენერგოეფექტიანი ელექტრომოხმარების ჯერ ჩვენთან გამოუყენებელი პოტენციალის ფლობა; 2) ალტერნატიული ელექტროენერგიის წყაროების ჯერ ჩვენთან გამოუყენებელი ბუნებრივი რესურსების (მზე, ქარი) არსებობა; 3) გამოცდილება ამ შესაძლებლობის მიხედვით მეცნიერების, პროექტირების, ტექნოლოგიების, წარმოების და ბიზნესის სფეროებში, რაც შესაბამისი საწარმოს და მისი რეგიონალური სერვის-ცენტრების შექმნის გზით საქართველოში საყოფაცხოვრებო და ინფრასტრუქტურის სფეროებში ახალი მაღალი ტექნოლოგიების ოპერატიულად დანერგვის საშუალებას მოგვცემს (დ. დვალი).

აუცილებელია ხელისუფლებამ მიიღოს კანონი ალტერნატიული ენერგიის წყაროების გამოყენების შესახებ, რასაც, ვფიქრობთ, დიდი მნიშვნელობა ექნება საქართველოს განვითარების ისეთი პრიორიტეტებისთვის, როგორებიც არის: სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პრიორიტეტები.

საქართველომ 1994 წელს მოახდინა გაეროს ხელშეკრულებების კლიმატის ცვლილებაზე რატიფიცირება, 1996 წელს შექმნა კლიმატის დაცვის ეროვნული პროგრამა, ხოლო 1999 მიუერთდა კიოტოს პროტოკოლს. შესაბამისად, არსებობს ღონისძიებებში მონაწილეობის პირობები სუფთა განვითარების მექანიზმის ჩარჩოებში, რისი ერთ - ერთი გარანტია ქვეყანაში ქარის ენერგეტიკის განვითარება. ეს აუცილებელია, რადგან ჯერჯერობით მეცნიერებას არ დაუსაბუთებია, თუ რა უარყოფითი შედეგი შეიძლება გამოიწვიოს დედამიწიდან ასეთი ტემპით ე. წ. საწვავი რესურსების მოპოვებამ შემდგომში, არა მხოლოდ გარემოს ლოკალურ რეგიონში მდგრადი განვითარების, არამედ, საერთოდ, ჩვენი პლანეტისა და მასზე სიცოცხლის შენარჩუნების თვალსაზრისით, რადგან დედამიწა ეს ერთიანი ბუნებრივი სხეულია და მასზე ასეთი უმოწყალო ზემოქმედება, ანუ მისი გამოფიტვა, მომავალში უეჭველია დიდ უარყოფით შედეგებს გამოიღებს.

ლიტერატურა:

1. საქართველოს გეოგრაფია, მ. ალფენიძისა და კ. ხარაძის რედაქტორობით, თბ., 1999.
2. მ. ლომსაძე-კუჭავა, ენერგოობიექტზე მიმდინარე საინვესტიციო პროცესის მართვის სრულყოფის გზები, სადოქტორო დისერტაცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2012.
3. ი. ჩომახიძე, საქართველოს ელექტროენერგეტიკის სტრატეგიული პრობლემები და განვითარების პოტენციალი. სადოქტორო დისერტაცია, თბ., 2006.
4. ნ. პეპანაშვილი და სხვ. გარემო და მდგრადი განვითარება. თბ., 2007.
5. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 6, თბ., 1997.

ინტერნეტ ვებ გვერდები:

htt://janmrteloba.wordess.com/2010/01/11
htt://www.ghn.ge/news-17507.html
http://ecotec.ge/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98http://www.forum.rustavi2.com
http://www.ireporter.ge/qaris-energia/
http://www.ireporter.ge/qaris-energia/
https://bachanaphiphia.wordpress.com/category/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E
http://www.marketer.ge/qaris-energia/
http://www.energy.gov.ge/energy.php?id_pages=60&lang=geo
http://resonancedaily.com/index.php?id_rub=11&id_artc=13560
http://www.greengeorgia.ge/?q=ka/node/76#sthash.LD5PXbGA.dpuf
http://www.energy.gov.ge/investor.php?i

რეზიუმე

ნაშრომში გამოთქმულია აზრი საქართველოს ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებზე, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ანუ მისი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას.

საქართველოს ენერგოუსაფრთხოებაში კი დიდ როლი შეუძლია შეასრულოს განახლებად - ალტერნატიულ - ქარის ენერგიას, როგორც ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზულ, იაფ და ადამიანის მიერ ყველაზე ნაკლებად გამოყენებულ, ამოუწურავ ენერგიის წყაროს.

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ საქართველოს გააჩნია ქარის ენერგიის მნიშვნელოვანი პოტენციალი, რომელიც შეადგენს 4 მლრდ-მდე კვტ საათს წელიწადში. ქარის სრული თეორიული ენერგოპოტენციალი კი 1300 მლრდ კვტსთ-ია. ქარის მაღალი ენერგოპოტენციალი გააჩნია ფოთი-აჭარას შავიზღვისპირეთს, მდინარე რიონის ხეობას, ხაშური-სურამის მიდამოებს, შოვი-ყაზბეგის მთიან ზოლს, თბილისის მიდამოებს, ჭოროხის ხეობას, ქუთაისის მიდამოებს, მთა საბუესა და სხვა რეგიონებს.

საქართველოს პრიორიტეტული განვითარებისა და ენერგოუსაფრთხოების ერთ-ერთ გარანტად ნაშრომში ქარის ენერგეტიკის განვითარებაა მიჩნეული.

GEOGRAPHICAL ASPECTS OF ENERGY SECURITY IN GEORGIA USING WIND ENERGY AS AN EXAMPLE

Zurab Tielidze, Professor

RESUME

The paper expresses the sense of energy security issues of Georgia, which should contribute to the country's social, economic, environmental and political sustainability, or country sustainability.

Renewable - alternative - wind energy, which is one of the most grandiose, the cheapest and the least used by man, inexhaustible energy source, can play a great role in energy using of Georgia. The author states that Georgia has significant wind energy potential, which amounts to 4 billion kilowatt hours per year. The complete theoretical wind energy power equals to 1300 billion kWh. Poti-Ajara coast, the river Rioni gorge, Khashuri-Surami area, Shovi-Kazbegi mountainous zone, Tbilisi, the River Chorokhi Gorge, Kutaisi, mountain Sabue and other regions of Georgia have high wind energy potential.

In this work wind energy development is regarded as a guarantee of Georgia development and its energy security.

РЕАКЦИИ СЕРДЕЧНО – СОСУДИСТОЙ СИСТЕМЫ НА НАГРУЗКУ У ДЕВОЧЕК - ПОДРОСТКОВ

Мариам Убирия, *приглашенный специалист, доктор медицинских наук*
Георгий Мдзинарашвили, *ассоциированный профессор*

Возрастные особенности и нарушения в функционировании системы кровообращения отчётливее проявляются при тестировании организма с помощью физических нагрузок, близких к тем, с которыми дети сталкиваются в реальных условиях жизни. В ответ на физическую нагрузку умеренной и большой мощности артериальное давление у детей обычно увеличивается, исключение составляют тренированные дети, у которых преобладает реакция уменьшения диастолического артериального давления (3).

Целью нашего исследования явилось изучение реакций сердечно – сосудистой системы на нагрузку у девочек в зависимости от времени года.

Методика. Исследование проведено на базе общеобразовательной школы №69 города Тбилиси (Глдани).Было обследовано 170 девочек в возрасте 14 – 16 лет. Исследуемые показатели регистрировали в различные сезоны года (осень, зима, весна).

Применяли общепринятые методики, включающие измерения систолического ($АД_с$) и диастолического ($АД_д$) артериального давления, частоты сердечных сокращений (ЧСС) и антропометрических показателей (1). На основании первичных данных вычисляли пульсовое давление (ПД), минутный объём кровотока (МОК) и систолический объём (СО). Для изучения динамики ЧСС и АД использовали дозированную физическую нагрузку – пробу Мартине (20 приседаний за 30 секунд). Гемодинамические параметры регистрировали во время выполнения пробы и в период восстановления после физической нагрузки. По характеру изменений ЧСС и АД после тестирования выделили пять типов реакций сердечно – сосудистой системы: нормотоническую, гипотоническую (астеническую), гипертоническую, дистоническую и ступенчатую (2).

Результаты и их обсуждение. Анализ индивидуальных реакций системы кровообращения на нагрузочное тестирование показал, что большинство обследованных девочек реагировали на нагрузку по нормотоническому типу – небольшим повышением $АД_с$ при постоянном (либо пониженном) $АД_д$, при этом увеличение пульса не превышало 50% (кроме девочек 15 лет в весеннем периоде) от исходного уровня, как и должно быть у практически здоровых. В то же время в каждом из сезонов (осень, зима, весна) 10% школьниц относились к гипотоническому типу реакций, для которого характерно увеличение ЧСС при незначительном изменений систолического и неизменном (или с небольшим повышением) $АД_д$, следовательно, ПД не менялось либо понижалось. Осенью среди девочек 14 лет был выявлен ступенчатый тип реакций (10%). Такую реакцию сердечно – сосудистой системы оценивают как неблагоприятную. Она характеризуется ступенчатым подъёмом $АД_с$ на 2-й и 3-й минуте восстановительного периода, когда $АД_с$,чем на первой минуте. Нормотонический тип выявили у 80 % школьниц , а у 10 % - гипотонический тип. Зимой и весной девочки реагировали по нормотоническому типу (табл.№1).

Таблица 1.Типы реакций на физическую нагрузку у девочек 14 – 16 лет, %

Возраст,лет	Исследуемая группа	Нормотонический тип	Гипотонический тип	Ступенчатый тип
		ОСЕНЬ		
14	N= 20	80	10	-
15	N= 18	77,8	22,2	10
16	N= 14	85,7	14,3	-
		ЗИМА		
14	N= 20	90	10	-
15	N= 26	84,6	15,4	-
16	N= 14	85,7	14,3	-
		ВЕСНА		
14	N= 20	90	10	-
15	N= 20	90	10	-
16	N= 18	88,9	11,1	-

В группе школьниц 15 лет наибольшее количество реакций сердечно – сосудистой системы на физическую нагрузку было по нормотоническому типу, причём процент нормотонических реакций с каждым сезоном повышался. Аналогичная ситуация наблюдается и в группе 16 – ти летних девочек (см.табл. 1).

Таблица 2.Соотношение параметров сердечного выброса и ЧСС у девочек 14 – 16 лет после физической нагрузки, %

Возраст,лет	Исследуемая группа	ЧСС	СО	МОК
		ОСЕНЬ		
14	N= 20	36,1	54,4	52,1
15	N= 18	53,6	23,6	89,6
16	N= 14	40,4	39,5	92,6
		ЗИМА		
14	N= 20	48,4	26,8	108,1
15	N= 26	47,4	40,6	108
16	N= 14	49,9	13,8	71,6
		ВЕСНА		
14	N= 20	53,4	23,9	90,0
15	N= 20	58,4	22,6	96,7
16	N= 18	71,1	22,0	102,4

Следует отметить, что у девочек 14 и 15 лет величина МОК после физической нагрузки осенью ниже, чем зимой и весной (табл. 2).
При этом СО в результате нагрузки возрастал у девочек 14 лет (осенью 54,4 %, зимой на 26,8 %, весной на 23,9 %). Осенью значения ЧСС до нагрузки у школьниц 14 лет были практически одинаковыми, после нагрузки данная величина увеличилась на 36,1 % .
Необходимый прирост МОК у девочек 14 лет возрастал как за счёт увеличения ЧСС , так и за счёт повышения СО. В группе девочек 15 – 16 лет улучшение функции кровообращения, вызванное физической нагрузкой, обеспечивается увеличением СО и ЧСС .

Выводы

1. Обследуемые девочки 14 – 16 лет реагировали на нагрузку по нормотоническому (в большей степени) и гипотоническому типам.
2. Увеличение МОК обеспечивалось за счёт прироста частоты пульса и систолического объёма.

ЛИТЕРАТУРА:

1. Гребнева Н.Н. Функциональные резервы и формирование детского организма в условиях Западной Сибири: Автореферат докт. дис. / Н.Н.Гребнева. Томск, 2001
2. Бунак В.В. Методика антропологических исследований / В.В.Бунак. –Медиздат. 1961
3. Дубровский В.И. Спортивная медицина / В.И.Дубровский. М.,1999
4. Агаджанян Н.А. Физиология человека Санкт – Петербург,1998.

მოზარდი გოგონების ფიზიკური დატვირთვით განპირობებული გულ-სისხლძარღვთა სისტემის რეაქციები

მარიამ უბირია, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი
გიორგი მძინარაშვილი, ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ მოზარდი გოგონების (14–16 წლის) ფიზიკური დატვირთვები იწვევს ჰემოდინამიკური პარამეტრების ცვალებადობას,რაც გამოიხატება გულ-სისხლძარღვთა სისტემის ნორმოტონული ტიპის რეაქციაში. ტესტირების შედეგად აღმოჩნდა სეზონური ცვლილებები არტერიული წნევის, გულის შეკუმშვის სიხშირის და სისხლის მიმოქცევის წუთმოცულობის ურთიერთდამოკიდებულებაში.

REACTIONS OF CARDIOVASCULAR SYSTEM TO LOADING AT GIRLS – TEENAGERS

Mariam Ubiria, Specialist by Contract, Doctor
Giorgi Mdzinarashvili, Associate Professor

RESUME

The purpose of the research was studying the reactions of cardiovascular system on loading at girls. The research was carried out on the basis of medical room of the comprehensive school of Tbilisi. 170 girls in the age of 14 – 16 have been surveyed. The researched parameters have been registered during various seasons of the year (autumn, winter, spring). The surveyed girls of 14 -16 reacted to the loading according to normotonic (in a greater degree) and hypotonic type.

The increase in minute volume of the blood flow was provided due to the gain of cardiac rate and systolic volume.

ბიზნესი და მართვა
Business and Management

ეკოტურიზმი - მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი ქვეყანაში

***მაია აზმაიფარაშვილი**, ასოცირებული პროფესორი*

მდგრადი განვითარების პრინციპმა მნიშვნელოვნად შეცვალა დამოკიდებულება განვითარების, კეთილდღეობის და სხვა საზოგადოებრივი მოვლენების მიმართ. თუ წინათ ქვეყნის კეთილდღეობა განისაზღვრებოდა უპირატესად საერთო ეროვნული შემოსავლით ან შემოსავლით ერთ სულ მოსახლეზე, ახლებური მიდგომა ამას არასაკმარისად მიიჩნევს.

10-15 წლის წინ ეკოტურიზმის ცნებაც კი არ არსებობდა. დღეს კი ეკოტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და სწრაფადგანვითარებადი ინდუსტრია გახდა. ეკოტურიზმი ზოგადად ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის მიერ შექმნილი კულტურული მრავალფეროვნების დასათვალიერებლად განხორციელებულ მოგზაურობას ნიშნავს, მათთვის ზიანის მიუყენებლად. ეკოლოგიური ტურიზმი განისაზღვრება როგორც ბუნებრივი ტურიზმის ერთ-ერთი ნაირსახეობა, რომელიც სამეცნიერო-შემეცნებითი მიზნებით მოგზაურ ხალხს აერთიანებს. ამ ტურისტთა ინტერესების სფეროს გარემო, მასზე დაკვირვების განხორციელება და ნაწილობრივ მისი დაცვა წარმოადგენს. ტურიზმის ამ სახეობაში განსაკუთრებული ინტერესის საგანს დაცული ბუნებრივი ტერიტორიები წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ეკოლოგიური ტურიზმი განისაზღვრება, როგორც მკაფიოდ გამოხატული სამეცნიერო-შემეცნებითი მიზნების მქონე თავისუფალი დროის მკაცრად სპეციალიზებული სახეობა.

სტატიაში განხილულია ეკოლოგიური ტურიზმი, როგორც მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი ქვეყანაში. მდგრადი ტურიზმის მიღწევის მნიშვნელობის გაცნობიერებამ და აღიარებამ საფუძველი დაუდო ეკოტურიზმის ცნების აღმოცენებას. ტურიზმის სამყაროში ტერმინები - „მდგრადი ტურიზმი“ და „ეკოტურიზმი“ ურთიერთმონაცვლეობით გამოიყენება. მიუხედავად მჭიდრო კავშირისა კი თითოეულს მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ნიუანსი ახასიათებს. ეკოტურიზმის კონცეფცია მოგზაურთა მხრიდან მეტ თანაგრძნობასა და ვალდებულებას გულისხმობს. მდგრადი ტურიზმი კი საზოგადოების ფუნქციურ ვალდებულებას, უზრუნველყოს გარემოს დაცვა და შენარჩუნება მომავალი თაობებისათვის. ეს პირობები არ წარმოადგენს უბრალოდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებს და საჭიროებს გამყარებას გადაწყვეტილებების მიღების გზით. საჭიროა გააზრება იმისა, თუ რას ნიშნავს ეკოლოგიურად მდგრადი გარემო ტურიზმის განვითარებისათვის, რა როლს ასრულებს ამ საქმეში ეკოტურიზმი, როგორც ტურიზმის მდგრადი განვითარების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი.

ეკოლოგიურად მდგრადი ტურიზმი თვალსაჩინო დემონსტრირებას უწევს ბუნებრივი და კულტურული რესურსების დიდ მნიშვნელობას საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობისათვის და ხელს უწყობს მათ დაცვას. მდგრადი ტურიზმის ფარგლებში ხორციელდება ტურიზმის განვითარების პროცესის კონტროლი, ანალიზი და მართვა; მუშავდება გარემოს მდგომარეობის კონტროლის საიმედო მეთოდები და მიიღება ღონისძიებები ნებისმიერი ნეგატიური გამოვლინების აღმოსაფხვრელად.

აღსანიშნავია, რომ ტერიტორიების მდგრადი განვითარება, რომელიც ასევე მიეკუთვნება ეკოტურიზმის სფეროს, ხელს უწყობს ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნას, ახალი სამუშაო ადგილების ორგანიზაციას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას ტურისტული მომსახურების სფეროში, რაც, ბუნებრივია, ამაღლებს მოცემულ რეგიონსა თუ ქვეყანაში მცხოვრებთა ცხოვრების დონეს.

ეკოლოგიური ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებლად დაცული უნდა იქნას სარეკრეაციო რეგიონების ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნება და ყველა ბუნებრივი რესურსი. ბუნებრივია, ეკოტურიზმი წარმატებით ვერ განვითარდება, თუ მისგან მიღებული სახსრების გარკვეული ნაწილი არ ჩაიდება რეკრეაციული ტერიტორიების დასაცავად და რეკრეაციული სარგებლის შედეგის მისაღებად.

სამწუხაროდ, დღეისათვის კაცობრიობა ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფის გლობალური პრობლემების წინაშე დგას, რისი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია თანამედროვე ცხოვრების წესი (მოხმარებაზე ორიენტირებული პრინციპი). რესურსების არარაციონალური გამოყენების შედეგად შეიძლება ბუნებამ ამოწუროს თვითაღდგენის უნარი, განსაკუთრებით ეს ეხება ტყის მასივებს, რომლის დეგრადირება უამრავ უარყოფით ეკოლოგიურ შედეგს იწვევს.

საქართველოს თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობითა და არსებული ბუნებრივი, ისტორიული თუ კულტურული რესურსებით ტურიზმის განვითარების უზარმაზარი შესაძლებლობანი გააჩნია. საქართველო წარმოადგენს გეოგრაფიული ლანდშაფტების ვერტიკალური ზონალობის კლასიკურ მაგალითს და გააჩნია მისი თითქმის სრული გამა დაწყებული ნოტიო სუბტროპიკებით და დამთავრებული ნივალური ზონით. საკურორტო და ეკოტურიზმისათვის ყველაზე მეტად გამოდგება ის რაიონები, რომლებიც განლაგებულია კავკასიონის და სამხრეთ მთიანეთის მთიანი სისტემის ფარგლებში, აგრეთვე შავიზღვისპირეთში. ესთეტიკურ ფაქტორთან ერთად ტურისტებს იზიდავს მთისა და ზღვის კლიმატის სამკურნალო თვისებები, უმდიდრესი ჰიდრომინერალური რესურსები.

უნდა აღინიშნოს, რომ ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივაში, საერთაშორისო ექსპერტები საქართველოს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. სხვა უპირატესობებთან ერთად ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ ქვეყნის გეოგრაფიულ სიახლოვეზე მსოფლიოს მთავარ ტურისტულ ბაზართან - ევროპასთან.

გარემოს დაცვა ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია. მას ეკონომიკური სარგებლის მოტანაც შეუძლია. ეკოტურიზმში ეს მაშინ ხდება, როდესაც ჯანსაღია გარემოც და ბიზნესიც. ზოგჯერ გარემოს დაცვას მოსახლეობის ინტერესები ეწირება. მაგალითად: მოსახლეობას შეიძლება აეკრძალოს სოფლის მეურნეობის სამუშაოების შესრულება, საწვავი და სამშენებლო მასალების შეგროვება. მოკლევადიანი მოგების მაქსიმიზაციას ეწირება გარემოს დაცვა, ინგრევა არსებული ეკოსისტემა. ტურიზმის რესურსების დეგრადაცია კი ორივე (გარემოს დაცვა და ეკოტურიზმი) ინტერესის საწინააღმდეგოდ მოქმედებს. ძალიან მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ ტურიზმი გარემოზე გარკვეული ზეგავლენის მოხდენის გარეშე ვერ განვითარდება. შეუძლებელია მთავარი აქცენტის გაკეთება მხოლოდ ტურიზმის განვითარებაზე, ეკოლოგიაზე ზრუნვის გარეშე. ეკოტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი მასში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვის უზრუნველყოფაა. ხშირია შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა ხელოვნურადაც კი არის ჩამოცილებული ამ პროცესს (გოგელია, 2012).

ბუნებრივი, სოციალური და კულტურული რესურსების დაცვა და მდგრადი მოხმარება ხანგრძლივი და წარმატებული საქმიანობის საწინდარია. არსებობს მდგრადი განვითარების სამი ძირითადი პრინციპი: **ეკოლოგიური მდგრადობა** უზრუნველყოფს განვითარების შეთავსებას საბაზო ეკოლოგიური პროცესების, ბიოლოგიური მრავალფეროვნებისა და ბიოლოგიური რესურსებისადმი; **სოციალური და კულტურული მდგრადობა** განაპირობებს ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც განვითარება უზრუნველყოფს ადამიანების თავიანთ ყოფაზე კონტროლის ზრდას კულტურული და მატერიალური ფასეულობების ზრდასთან ერთად, რომლებსაც ეხება განვითარების ეს პროცესები. ასევე ხელს უწყობს ადგილობრივი თვითმყოფადობის მოვლასა და შენარჩუნებას; **ეკონომიკური მდგრადობა** უზრუნველყოფს განვითარების ეკონომიკურ ეფექტიანობას და ისეთ მდგომარეობას, როცა რესურსების მართვის შერჩეულ მეთოდებს მომავალი თაობები გამოიყენებენ. (მეტრეველი, 2008)

ტურიზმში ეკოლოგია და ეკონომიკა სულ უფრო და უფრო გადაჯაჭვულია მიზეზშედეგობრივი კავშირების უზარმაზარ სისტემად. დღეისათვის პოპულარული ტურისტული ცენტრების უმრავლესობის საიდუმლო დაფუძნებულია გარემოს სისუფთავეზე, მისი დაცვის ეფექტიან ღონისძიებებსა და ადგილობრივი კულტურის თვითმყოფადობაზე. ადგილებში, სადაც ეს არ არის, შეინიშნება მომსახურების დონის დაცემა და ტურიზმის მოცულობის შემცირება, გარემოს ხარისხის გაუარესება, კულტურული თვითმყოფადობის დაკარგვა, ეკონომიკური კონიუნქტურის დაცემა. ეს ყველაფერი მეტად ნეგატიურ გავლენას ახდენს ადგილობრივ მდგომარეობაზე. ადგილობრივ ხელისუფლებას პასუხისმგებლობა ეკისრება რესურსების გონივრულად მართვის უზრუნველყოფისათვის, რათა მომავალ თაობას ჰქონდეს მათი გამოყენების შესაძლებლობა.

ტურიზმის მდგრადი ეკონომიკის უზრუნველყოფისათვის საჭიროა ტურიზმის ეკოლოგიური მდგრადობა. ტურიზმის მდგრადი განვითარების დროს რესურსების მოხმარება ხდება ისე, რომ მან დააკმაყოფილოს ეკონომიკური, სოციალური და ესთეტიკური მოთხოვნები, მაგრამ ამავე დროს შეინარჩუნოს ქვეყნის კულტურული თვითმყოფადობა, გარემოს უმთავრესი ბიოლოგიური მრავალფეროვნება და მთავარი სასიცოცხლო სისტემები. ტურიზმის მდგრადი განვითარება უნდა უზრუნველყოფდეს სოციალური, კულტურული, ეკოლოგიური და ეკონომიკური კრიტერიუმების ჰარმონიულ შერწყმას, რაც არა მარტო ბუნებრივი და კულტურული რესურსების შენარჩუნების შესაძლებლობას მოგვცემს, არამედ მათი განახლებისა და განვითარების წინაპირობაც გახდება.

ბუნებრივი რესურსებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და დაცვის ღონისძიებებს გააჩნია როგორც გლობალური, ისე ადგილობრივი ასპექტები. იმისათვის, რომ ტურიზმი იყოს მდგრადი, ტურისტული საქმიანობის ხასიათი და მოცულობა უნდა ითვალისწინებდეს არსებული

ბუნებრივი და ხელოვნური რესურსების გამტარუნარიანობას. ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფციას საფუძვლად უდევს გამტარობის პოტენციალის ცნება. გამტარობის პოტენციალი - ის მაქსიმალური დატვირთვაა, რომელსაც შეუძლია გაუძლოს ამა თუ იმ ტურისტულმა ობიექტმა ადგილობრივ რესურსებზე სერიოზული დაზიანების, ნეგატიური გავლენის და მოსახლეობაში სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წამოჭრის გარეშე (ბირჟაკოვი, 2004).

ეკოტურიზმზე მოთხოვნის ზრდამ განაპირობა დაცული ტერიტორიების და ეროვნული პარკების დაარსების აუცილებლობა. დღეისათვის სწორედ ეს ტერიტორიები წარმოადგენს ეკოტურიზმის ძირითად ობიექტებს. განსაკუთრებულად დაცული ბუნებრივი ტერიტორიის ფარგლებში ეკოტურიზმის ორგანიზატორები უპირატესობას ანიჭებენ მეცნიერულ-შემეცნებით ტურიზმს, რადგანაც თვლიან, რომ ასეთი ეკოტურების ჩატარება რთული არ არის. საზღვარგარეთის ზოგიერთი, განსაკუთრებულად დაცული ბუნებრივი ტერიტორიები, ისეთი კვლევების ჩატარებისათვის, რომლებიც არ მოითხოვენ მაღალ კვალიფიკაციას, გვთავაზობენ მათში ეკოტურისტების მონაწილეობას. მაგალითად: ბევრი ეკოტურისტი ხალისიანად არის დაკავებული ბიოცენოზებში სხვადასხვა პოპულაციების რაოდენობის და სიმჭიდროვის აღრიცხვით.

მდგრადი განვითარება უწყვეტი ცვლილებების პროცესია, რომლის ფარგლებშიც რესურსების ექსპლუატაცია, ინვესტიციების განხორციელება, ტექნოლოგიური პროგრესი და სხვა სიახლეები ხორციელდება მომავლისა და აწმყოს მოთხოვნილებების შესაბამისად.

კონცეპტუალური კითხვა - მიზანშეწონილია თუ არა ეკოტურიზმის განვითარება მკაცრად დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე, დღემდე დისკუსიის თემად რჩება როგორც მეცნიერულ საზოგადოებაში, ასევე ამ დაცული ტერიტორიების თანამშრომლებს შორისაც. მთავარი არგუმენტი არის ის, რომ დაცული ტერიტორიების განვითარება ხდება განსაკუთრებულად, როგორც ხელშეუხებელი ბუნების ეტალონი, რომელზეც დაშვებულია მხოლოდ მეცნიერული გამოკვლევები. საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო ნაკრძალების ძირითად ამოცანებს უნდა მიეკუთვნებოდეს შემდეგი: ნაკრძალების, ბუნებისა და მათი მუშაობის პრინციპის გაცნობა მოსახლეობისათვის, ორგანიზებული ტურიზმისა და სამეცნიერო ექსკურსიების საშუალებით, ასევე მოსამსახურეებისათვის ექსკურსიების ჩატარებას, სტუდენტური პრაქტიკებისა და ტურიზმის მხარდაჭერას. ნაკრძალების სისტემების განვითარების განსაზღვრებებს შორის, არის ასეთიც: „ნაკრძალი - ესაა ბუნების, ბუნებრივი პროცესებისა და გენეტიკური რესურსების დინამიურ და ხელუხლებელ მდგომარეობაში შენარჩუნებისა და მათზე უმნიშვნელო ზეგავლენის მქონე მეცნიერული კვლევა-ძიების, საგანმანათლებლო საქმიანობისა და გარემოს მონიტორინგის მიზნით შექმნილი დაცული ტერიტორია“. ესაა ბუნების დაცვის სკოლა და არაა საჭირო გვეშინოდეს ადამიანებისა, მაგრამ მათ უნდა შევუქმნათ ისეთი პირობები, რომ მათი ნაკრძალებში ყოფნა არ გადაიქცეს ნაკრძალში ყოფნის რეჟიმის უხეშ დარღვევად.

ამრიგად, ქვეყანაში ეკოტურიზმის განვითარებისათვის და გამართული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია: ცალკეული რეგიონების ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული რესურსების ინვენტარიზაცია, მონაცემთა ბაზის შექმნა და მეცნიერულად დასაბუთებული რეკრეაციული დატვირთვების განსაზღვრა; ეკოტურისტული საქმიანობის საფუძვლიანი დაგეგმვა და რეგიონის განვითარების გეგმაში მისი ინტეგრირება; მარშრუტების პასპორტიზაცია; მინიმალური ინფრასტრუქტურის შექმნა; მომსახურე პერსონალის პროფესიული დონის ამაღლება. ეკოლოგიური ტურიზმის განვითარებაში აუცილებელია რეგიონული სტრატეგიის შემუშავება, ეკოტურიზმის კრიტერიუმისა და მაჩვენებლების განსაზღვრა, მათი მოგების მექანიზმის შემუშავება და ისეთი სისტემის აგება, რომელიც წინ აღუდგება დაცული ტერიტორიებისათვის ზიანის მიყენებას.

ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების სტრატეგიების უმნიშვნელოვანეს პრინციპებს უნდა წარმოადგენს რესურსების დეგრადაციის და გარემოსთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების აუცილებლობა; ადგილობრივი მოსახლეობისა და მრეწველობისათვის რესურსებით სარგებლობა; მორალური და ეთიკური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება და ქცევის ნორმების შენარჩუნება ბუნებრივი და კულტურული გარემოს მიმართ; ინფრასტრუქტურის განვითარება; უცხოური ვალუტის კონვერტაციით მიღებული შემოსავლების ზრდა. საქართველოში ტურიზმის მდგრადი განვითარება რამდენადმე საკანონმდებლო ბაზაზეც არის დამოკიდებული და, შესაბამისად, საკანონმდებლო ბაზის განვითარება და დახვეწა საქართველოს ტურიზმს ბევრად წაადგებოდა.

ლიტერატურა:

1. მაისურაძე დ., ვერბეცკი ი., ხუციშვილი თ., ეკოლოგიური ტურიზმის საფუძვლები, თბილისი, 2008, გვ. 45-47.

2. გოგელია მ., „ეკოტურიზმი და მისი განვითარების პერსპექტივები“, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომები „ინოვაციური ტექნოლოგიები და თანამედროვე მასალები“, ქუთაისი, 2010.
3. მეტრეველი მ., ტურიზმი და გარემოს დაცვა (ეკოლოგიური ტურიზმის საფუძვლები), თბ. 2008, გვ. 32-33.
4. ბირჟაკოვი მ., „ტურიზმის თეორია“, გამომცემლობა ,,შპს ფოტონი„ თბილისი, 2004, გვ. 157.
5. ჩარლზ რ. გელდნერი, ჯ. რ. ბრენტ რითჩი, ,,ტურიზმი - საფუძვლები - პრაქტიკა - თეორია, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, საქართველო, 2013, გვ. 430-431.
6. საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ 1996, 7 მარტი.

რეზიუმე

მდგრადი ტურიზმის მიღწევის მნიშვნელობის გაცნობიერებამ და აღიარებამ საფუძველი დაუდო ეკოტურიზმის ცნების აღმოცენებას. ტურიზმის სამყაროში ტერმინები-მდგრადი ტურიზმი და ეკოტურიზმი ურთიერთმონაცვლეობით გამოიყენება. მიუხედავად მჭიდრო კავშირისა კი თითოეულს მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ნიუანსი ახასიათებს. ეკოტურიზმის კონცეფცია მოგზაურთა მხრიდან მეტ თანაგრძნობასა და ვალდებულებას გულისხმობს. მდგრადი ტურიზმი კი საზოგადოების ფუნქციურ ვალდებულებას, უზრუნველყოს გარემოს დაცვა და შენარჩუნება მომავალი თაობებისათვის. ეს პირობები არ წარმოადგენს უბრალოდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებს და საჭიროებს გამყარებას გადაწყვეტილებების მიღების გზით. საჭიროა გააზრება იმისა, თუ რას ნიშნავს ეკოლოგიურად მდგრადი გარემო ტურიზმის განვითარებისათვის, რა როლს ასრულებს ამ საქმეში ეკოტურიზმი, როგორც ტურიზმის მდგრადი განვითარების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი.

ECOLOGICAL TOURISM –THE HELPING FACTOR OF THE SUSTAINABLE DEVELOPMENT

Maia Azmaiparashvili, Associate Professor

RESUME

The object of research is Ecological Tourism–the helping factor of the sustainable Development. The understanding and recognition of the significance of sustainable tourist achievements became the base of eco-tourism. The conception of eco-tourism means more sympathy and duty from travelers. Sustainable tourism means the duty of the society to provide the protection and maintenance of the environment for the future generations. We should realize what does ecologically sustainable environment means for the development of tourism and what part in this case plays eco-tourism as one of the main part of the development of the sustainable tourism.

During the sustainable development of tourism the resources should be used so as to satisfy economic, social and esthetic needs, but at the same time maintain the originality of the country. The main biological variety of the environment and the main tourist systems, the stable development of tourism should provide social, cultural, ecological and economical criteria of harmonic mixture, which will give us not only maintenance of natural and cultural resources, but will become the predominance of their development and renovation.

მცირე ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები და ტენდენციები საქართველოში

ხათუნა ბებნაძე, *ასოცირებული პროფესორი*

ეკონომიკურ და სოციალურ მეცნიერებაში საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მცირე ბიზნესი სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე გავრცელებული ფორმაა. თანამედროვე მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა გამოცდილება ნათლად ამტკიცებს ნებისმიერ ეკონომიკაში მაღალგანვითარებული და ეფექტიანი მცირე და საშუალო მეწარმეობის არსებობის აუცილებლობას. ეკონომიკის ეს სექტორი წარმოადგენს იმ მძლავრ რგოლს, რომელსაც შემდგომში მნიშვნელოვნად

ეფუძნება საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარება. ზოგიერთ ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოები აწარმოებენ მშპ-ის ნახევარზე მეტს. აშშ-სა და გერმანიაში მცირე ბიზნესის სფეროში იქმნება მშპ-ის 50-52%, იაპონიაში – 52-55%, საფრანგეთში – 55-62%, დიდ ბრიტანეთში – 50-53%, იტალიაში - 57-60%, ევროკავშირის ქვეყნებში – 63-67%; ამ სექტორში აწარმოებენ როგორც საწარმოო დანიშნულების, ისე ფართო მოხმარების მრავალფეროვან პროდუქციას, ასრულებენ მომსახურებასთან დაკავშირებულ სამუშაოებს და ა.შ. აღნიშნულ ქვეყნებში მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის მრეწველობის პროდუქციის გაყიდვათა საერთო მოცულობის 50%, მომსახურების სფეროს 67%, მშენებლობისა და ვაჭრობის – 90%. არანაკლებ საყურადღებოა, რომ მცირე ბიზნესის სფეროში დასაქმებულია მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. გერმანიაში მცირე საწარმოებში მუშაობს სამუშაო ძალის 46%, დიდ ბრიტანეთში – 49%, საფრანგეთსა და აშშ-ში -54%, იტალიაში – 73%, იაპონიაში – 78,8%.

საქართველოში ეკონომიკური რეფორმების უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარება. სწორედ ამ სექტორის ეფექტიან ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული საბაზრო კონკურენცია, სამომხმარებლო ბაზრის გაჯერების ხარისხი, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის დაჩქარებული განვითარების აუცილებლობას ის გარემოებაც განაპირობებს, რომ მცირე ბიზნესი ავლენს მოქნილობას, სიცოცხლისუნარიანობას, რადგანაც ხასიათდება რა ბაზრის მოთხოვნაზე სწრაფი რეაგირების უნარით, სპეციალიზაციის მაღალი ხარისხით, რესურსების მობილიზაციის მეტი შესაძლებლობებით. ის წარმოადგენს საგადასახადო შემოსავალთა მნიშვნელოვან წყაროს, ასევე განსაკუთრებული როლი აკისრია ინოვაციური განვითარების თვალსაზრისით.

საკითხის აქტუალობა განპირობებულია მცირე და საშუალო ბიზნესის ისეთი სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ფუნქციებით, როგორიცაა:

- მესაკუთრეთა რიცხვის ზრდა, რაც განაპირობებს საშუალო კლასის ფორმირებას და წარმოადგენს დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკური სტაბილურობის უმთავრეს გარანტს;
- ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხვის გაზრდა, რაც ზრდის მოქალაქეთა შემოსავლებს და ათანაბრებს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების კეთილდღეობაში არსებულ დისპროპორციებს;
- ყველაზე ენერგიული, საქმის შემძლე ინდივიდთა წარმოჩენა, რომელთათვისაც მცირე ბიზნესი ხდება თვითრეალიზაციის პირველი საფეხური;
- შედარებით დაბალი დანახარჯებით ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, განსაკუთრებით მომსახურების სფეროში;
- პროფესიათა შეთავსების უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო სექტორიდან გამოთავისუფლებული, ასევე სოციალურად სხვებზე დამოკიდებული მოსახლეობის ჯგუფების (ლტოლვილები, ინვალიდები, ახალგაზრდები, ქალები) წარმომადგენელთა დასაქმების მასშტაბური შესაძლებლობა.

ასევე შესწავლას საჭიროებს მცირე ბიზნესის სექტორის როლი საქართველოს ეკონომიკაში, ეროვნულ მეურნეობაში, საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებაში საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში, რომლის ფორმირების პროცესშიც იმყოფება ქვეყანა. მიუხედავად მცირე მეწარმეობის, როგორც უმნიშვნელოვანესი სექტორის მსოფლიო აღიარებისა, საქართველოში მისი სრულყოფილად განვითარებისათვის ჯერ კიდევ არ გამოიყენება ყველა შესაძლებლობა. ამას მოწმობს მშპ-ში მისი ხვედრითი წილი, რომელიც ბოლო ათწლეულში 10%-ს არ აღემატება. ასევე მცირე ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობა, რომელიც 2002-2012 წლების განმავლობაში მთლიანი დასაქმებულების მხოლოდ 18-25%-ს შეადგენს.

საქართველოში ეკონომიკის მოცემული სექტორი ჯერ კიდევ ვერ ახდენს სისტემურ ზეგავლენას როგორც რეგიონულ ისე ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურულ ცვლილებებზე, რაც განაპირობებს მცირე მეწარმეობის განვითარების პროცესის გააქტიურებისაკენ მიმართული ახალი პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობას. მცირე ბიზნესის ეფექტიანობის ღონისძიებათა შემუშავება და რეალიზაცია არის ეროვნული და რეგიონული ეკონომიკის განვითარების, სოციალური გარემოს გაუმჯობესების, პოლიტიკური ხასიათის პრობლემების გადაჭრის ინსტრუმენტი. სამეურნეო სუბიექტების ხელმძღვანელებს, ბიზნესის ,,მკეთებლებს" ესაჭიროებათ განვითარების პერსპექტივის ხედვისა და სტრატეგიული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმებზე ხელმისაწვდომობა. ეს მექანიზმები პირველ რიგში უნდა ეფუძნებოდეს კომპლექსურ და სისტემურ მიდგომებს, შიდა და გარე გარემოს ფაქტორთა ანალიზს, მისწრაფებას იმისკენ, რომ მიღწეულ იქნას „მცირე მეწარმეობის", როგორც ერთიანი ეკონომიკური სისტემის შემადგენლისა და კონკურენტუნარიანი ეკონომიკის უზრუნველმყოფის განვითარება.

მცირე ბიზნესი თავისი მოცულობით ეკონომიკის ერთ-ერთ უმსხვილეს სექტორს წარმოადგენს. იგი როგორც ბიზნესსისტემის, ასევე მთელი ეკონომიკური სისტემის ფორმირების, განვითარებისა და სტაბილურობის ერთ-ერთი პირველწყაროა. მცირე ბიზნესის განვითარება პასუხობს მოქნილი შერეული ეკონომიკის ფორმირების ზოგადმსოფლიო ტენდენციებს, საკუთრების სხვადასხვა ფორმებისა და მათი ადეკვატური მეურნეობის მოდელების შეთანაწყობას, რომლებშიც რეალიზდება კონკურენციული საბაზრო მექანიზმისა და მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოების სახელმწიფო რეგულირების რთული სინთეზი.

2011 წლის პირველი იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, მცირე ბიზნესს მიეკუთვნება ფიზიკური პირის საქმიანობა, რომლის წლიური ბრუნვაც არ აღემატება 100 ათას ლარს. ხოლო მიკრო ბიზნესისა კი 30 ათას ლარს. მიკრო და მცირე ბიზნესის ცნების შემოღების შემდეგ 2011 წლის დეკემბრისათვის მიკრო ბიზნესის სტატუსი მინიჭებული აქვს 17 149 გადამხდელს, ხოლო მცირე ბიზნესის სტატუსი – 8136 გადამხდელს. შესწავლის შედეგები ადასტურებენ, რომ მცირე ბიზნესის საწარმოები უფრო მდგრადია გარე ცვლილებებთან. კერძოდ, 90-იანი წლების დასაწყისში – ეკონომიკის საერთო დაცემის პერიოდში ძირითადად მცირე ბიზნესი ქმნიდა ეკონომიკის ფორმირების შესაძლებლობებს, ამ სექტორიდან დაიწყო ახალ საბაზრო პირობებთან ადაპტაცია. პოსტკომუნისტური მოდელის საწარმოებმა ვერ გაუძლეს კონკურენციას, დაიწყო მათი ცალკეულ სეგმენტებად პრივატიზაცია. ასეთ პირობებში მცირე ბიზნესმა გამოავლინა თავისი მოქნილობა, სიცოცხლისუნარიანობა, ბაზრის მოთხოვნაზე სწრაფი რეაგირების უნარი, სპეციალიზაციის მაღალი ხარისხი, პერსპექტიული მიმართულებით რესურსების მობილიზაციის შესაძლებლობა. მცირე ბიზნესი მნიშვნელოვანია ორგანიზაციული კულტურისა და უნარ-ჩვევების დაუფლების თვალსაზრისითაც. მცირე საწარმოში ყალიბდება ფასეულობათა სისტემა, რაც ბიზნესის ფილოსოფიისა და მრწამსის საფუძველია. სოციალური ფაქტორები, პრინციპები, ტრადიციები, სამუშაო პროცედურები მიმართულია ორგანიზაციის მიზნების განხორციელებისა და სტრატეგიის რეალიზაციისაკენ.

მცირე ბიზნესი მეტად მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს ეკონომიკის ინოვაციური განვითარების თვალსაზრისით. თანამედროვე პირობებში ინოვაციები მიჩნეულია ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტად, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. თანამედროვე საბაზრო პროცესები ხასიათდება სეგმენტაციის მაღალი ხარისხით, რაც მცირე საწარმოთა ინოვაციურ აქტივობას განსაკუთრებით აქტიურს ხდის. მასიური ბაზრების ეპოქა უკან იხევს და დღეისათვის ბიზნესის ტენდენციათა განმსაზღვრელი ფაქტორები ხდება მომხმარებელთა მოთხოვნების მრავალფეროვნება და ცვალებადობა. მცირე საწარმოებს შეუძლიათ სწრაფად და მოქნილად რეაგირება მომხმარებელთა მოთხოვნაზე, ახდენენ წვრილსერიული, უნიკალური და სპეციფიკური პროდუქციის მიწოდებას ცალკეულ საბაზრო სეგმენტებზე. მცირე ბიზნესს აქვს მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური როლი, რაც ძირითადად გამოიხატება საზოგადოების საშუალო ფენის ფორმირების დაჩქარებაში, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხვის ზრდაში, უნარიან მეწარმეთა წარმოჩენაში. მათთვის მცირე ბიზნესი ხდება თვითრეალიზაციის პირველი საფეხური, შედარებით დაბალი დანახარჯებით იქმნება ახალი სამუშაო ადგილები, უზრუნველიყოფა პროფესიათა შეთავსებადობა და ა.შ.

მცირე ბიზნესის როლისა და ადგილის შეფასებისათვის მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მცირე ბიზნესიდან მიღებული შემოსავლების წილის დადგენა ოჯახის ბიუჯეტში. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ მცირე ბიზნესით დაკავებული მეწარმეების 28,8%-ის ოჯახების რჩენის ერთადერთი გზა (100%) მცირე ბიზნესში დასაქმებით მიღებული შემოსავლებია, მეწარმეთა 21,1% საოჯახო ბიუჯეტის 75%-ს ავსებს ასევე საკუთარი მცირე ბიზნეს-საქმიანობიდან მიღებული ფინანსური სახსრებით, 19,2 %-ისათვის მცირე ბიზნესი უზრუნველყოფს საოჯახო ბიუჯეტის 50%-ს, ხოლო 23,3%-ისათვის 30%-ს. აღნიშნული კიდევ ერთხელ მიუთითებს მცირე ბიზნესის დიდ სოციალურ მნიშვნელობაზე, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთი ბიზნეს-სუბიექტი ან ამ სფეროში დასაქმებული თითოეული პიროვნება არჩენს ოჯახის 4-6 წევრს.

მცირე საწარმოები ხელს უწყობენ მსხვილი საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას და ამით ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საერთაშორისო ბაზარზე. საინტერესოა მსხვილ კომპანიათა მცირე საწარმოებად დანაწევრებისადმი შიგასაფირმო მიდგომები. ამის მაგალითად ხშირად მოჰყავთ გერმანიის საავტომობილო მრეწველობა, მსხვილი იაპონური კონცერნები, რომელთაც ჰყავთ სუბმონარდეების განვითარებული ქსელი, რომელშიც შედიან ათასობით მცირე და უწვრილესი საწარმოები. ასე მაგალითად, იაპონიის დამამუშავებელ მრეწველობაში 750 ათასი ქარხანაა, მათგან 70% - მცირე საწარმოებია, რომლებშიც 1-დან 9 კაცამდე მუშაობს, ხოლო 10%-ში კი 10-დან 20-მდე თანამშრომელია. უნდა აღინიშნოს. რომ მსხვილი და მცირე წარმოება თუნდაც ერთი ტერიტორიის ან

დარგის ფარგლებში, როგორც წესი, არ არის ურთიერთშემცვლელი. რომელიმე მათგანის გარეშე არსებობა ნიშნავს ეკონომიკის გარკვეული უჯრედის სიცარიელეს, რაც აისახება წარმოების ეფექტიანობის დაქვეითებაზე. მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოები ავსებენ ერთმანეთს და ქმნიან ეკონომიკის ერთ მთლიან ორგანიზმს.

ეკონომიკური რეფორმების პირობებში ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირების ერთ-ერთი ფუნდამენტური საკითხია თითოეული ბიზნეს-სუბიექტის საბაზრო ურთიერთობების ადეკვატური სტრატეგიული მიზნების ფორმირება და მისი ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე მართვის სრულყოფა. მიზნის მიღწევის შემეცნებითი საშუალებაა ბიზნესსისტემის ფუნქციონირების კანონზომიერებათა გამოკვლევა, რაც ბიზნეს გარემოსა და მისი მართვის შესაძლებლობების შესწავლით იწყება. მნიშვნელოვანია გარემოს სირთულისა და ფაქტორთა ურთიერთკავშირის განსაზღვრა, მათი ზემოქმედების შეფასება. ყოველმა სუბიექტმა, ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად უნდა გამოძებნოს თავისი განვითარების მიმართულება, რისთვისაც აუცილებელია კაპიტალის გამოყენების ახალი ფორმების, წარმოების ეკონომიკურად ეფექტური ტექნოლოგიების, პროდუქციით ბაზრის უზრუნველყოფის ახალი ფორმების დანერგვა, რაც მოითხოვს ბაზრის კონიუნქტურის კარგად ცოდნას და ორგანიზაციის მიერ თავისი განვითარების ადეკვატური ეკონომიკური სტრატეგიის ჩამოყალიბებას.

პოტენციური ბიზნეს-სუბიექტის მიერ კონკრეტული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის არჩევისას გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორ-გარემოება, კერძოდ:

ა) ეკონომიკის რომელ დარგში და სფეროში უნდა მოახდინოს საქმიანობის კონცენტრაცია;

ბ) ეკონომიკის რომელ სექტორში აქვს გადაწყვეტილი საქმიანობის წამოწყება;

გ) როგორი იქნება ბიზნესის განთავსების არეალი და ფუნქციონირების მასშტაბები;

დ) ვინ იქნებიან ბიზნესის დამფუძნებელი პარტნიორები სამეწარმეო-სამართლებრივი სტატუსის მიხედვით;

ე) როგორია პოტენციურ მეწარმეთა ბიზნეს გამოცდილება;

ვ) თუ არსებობს შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმები ან საინვესტიციო მექანიზმები ბიზნესის ცალკეული ორგანიზაციული ფორმების მიმართ და სხვა.

გარემოსადმი ადაპტირებისათვის ბიზნესსუბიექტმა თავად უნდა განსაზღვროს რომელი ფაქტორები და რა ზომით იმოქმედებენ მისი საქმიანობის შედეგებზე ამჟამად და პერსპექტივაში და რა ზომებია მისაღები ბიზნესის წარმატებისათვის. საინტერესო განსხვავებები არსებობს საზღვარგარეთის ქვეყნებსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს შორის, მცირე მეწარმეობის არჩევის მოტივებში. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში უმუშევრობა არ არის ინდივიდუალური ბიზნესის სფეროსაკენ ადამიანების ლტოლვის ძირითადი ფაქტორი. ეს უფრო ნაკარნახევია გრძელვადიანი, მყარი მოტივებით, შრომითი ფასეულობების უფრო ახლებურად გააზრებით. განვითარებულ ქვეყნებში სულ უფრო იზრდება წვრილ, არაკორპორირებულ ფირმათა რიცხვი, რომლებშიც შრომის ანაზღაურების გარეშე მომუშავე ოჯახის წევრებთან, ან დაქირავებულ მუშაკთა გვერდით თვითონ მესაკუთრეებიც მუშაობენ, რომელთა მიერ მიღებული შემოსავალი ამ საწარმოებში დაბანდებული კაპიტალის მეშვეობით, ზოგჯერ კი მხოლოდ საკუთარი შრომისა და მეწარმეობრივი ნიჭის უკუგებით მიიღება. თუ განვითარებულ ქვეყნებში შრომის მოტივაცია ძირითადად „მიმზიდველი“ ფაქტორებით განისაზღვრება, განვითარებად ქვეყნებში გადამწყვეტია „იძულებითი“ ფაქტორები, რომელთა მიხედვითაც მცირე ბიზნესით თავის დასაქმების მოტივია სამუშაოს ვერ პოვნა, ან კიდევ ოჯახის რჩენის მიზნით მეტი შემოსავლის მიღება. ზემოთ აღნიშნული დასტურდება ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებითაც. მეწარმეთა 19,9%-ს უნდოდა, რომ მეტი შემოსავალი ჰქონოდა, 35,7%-მა სამუშაო ვერ იშოვა, 32,5%-ს სურდა თავისი საქმისა და საკუთარი იდეების განხორციელება, ხოლო 11,9% თვლის, რომ მისი წინანდელი საქმიანობა უპერსპექტივო იყო. ამასთან მეწარმეების ძირითადი ნაწილი საქმიანობის იმ სახეს ირჩევს, რომელშიც აქვს გამოცდილება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მნიშვნელოვანი წარმატებებია ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებით და ხელისუფლებაც ეტაპობრივად შეიმუშავებს მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის მექანიზმებს, მეწარმეები კვლავ სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესების მოლოდინში არიან. მეწარმეთა უმრავლესობა - 80,2% არ ფიქრობს საქმიანობის გაფართოებაზე, თუმცა 19,8%-ს მოპოვებული აქვს რესურსები კიდევ უფრო მასშტაბური საქმიანობისათვის. მეწარმეებისათვის დღესაც აქტუალურია ისეთი ხელისშემშლელი ფაქტორები, როგორიცაა: ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, კრედიტის მაღალი საპროცენტო განაკვეთი, მაღალი საგადასახადო განაკვეთები. მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს ასევე ფალსიფიცირებული პროდუქციისაგან ბაზრისა და საკუთრების უფლების დაუცველობა. მეწარმეები

თვლიან, რომ მათი ბიზნესის წარმატებული განვითარებისათვის ზემოთ აღნიშნულ პრობლემებთან ერთად არანაკლები მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობას. აქედან გამომდინარე, ზოგადად ბიზნესისათვის მნიშვნელოვანია მოსახლეობის კეთილდღეობა, რომელზეც ჯაჭვურად არის მიბმული ბიზნესის გაფართოების შესაძლებლობები.

ქვეყნისა და ბიზნესის კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვანწილად სამთავრობო პოლიტიკასა და საბაზრო ძალების შედეგს წარმოადგენს. ახალმა ინდუსტრიულმა ქვეყნებმა, განსაკუთრებით სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში, აჩვენა რომ კონკურენტუნარიანობა შეიძლება მიღწეულ იქნას შეზღუდული რეგულირების გზით, საინვესტიციო სტიმულებით, ვაჭრობის განვითარებით, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გამარტივებით, საგანმანათლებლო ვალდებულებების აღებისა და ადამიანური რესურსების განვითარებით. სახელმწიფოს მიერ შესაბამისი პოლიტიკის განვითარებამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ბიზნესის განვითარებაზე. ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიღწეული შედეგები, რომელიც ფაქტიურად ბიზნესის დაწყების სიმარტივეს და არა ბიზნესის შემდგომი გაფართოების შესაძლებლობებს ასახავს, ქვეყნის წინსვლის საქმეში გასატარებელ ღონისძიებათა მხოლოდ ნაწილია და ის აზრი, რომ ბიზნესის წარმოების საკითხი მოგვარებულია გადაჭარბებულად შეიძლება ჩაითვალოს. მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ზემოთ აღნიშნული ბიზნესგარემოს გაუმჯობესების ტენდენციებისა, საქართველოს ბიზნესკლიმატი კვლავაც მრავალი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას. მაგალითად, „გლობალური კონკურენტუნარიანობის“ 2011 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს 139 ქვეყანას შორის 88-ე ადგილი უკავია, ხოლო მისი სარეიტინგო ქულა შეადგენს 3,95 (ზომიერი მაჩვენებელი), აზერბაიჯანი 55-ე პოზიციაზეა, რუსეთი – 66-ე, უკრაინა – 82-ე, თურქეთი 59-ე, ხოლო სომხეთი საქართველოს ჩამორჩა ოთხი პოზიციით და 92-ე ადგილზეა.

ვთვლით, რომ საქართველომ უნდა დააჩქაროს კონკურენტუნარიანობის ეროვნული მოდელების დამუშავება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმისა და მსოფლიო ბანკის რეიტინგების, რეკომენდაციებისა და დასკვნების გათვალისწინებით (გლობალური კონკურენტუნარიანობისა და ბიზნესის კონკურენტუნარიანობის მოდელების ანალოგიური ეროვნული მოდელები), რომელთა გაუმჯობესებისაკენ სწრაფვაც გამოიწვევს ქვეყანაში არსებული ბიზნეს კლიმატის გაუმჯობესებას, სრულყოფასა და შესაბამისად ბიზნეს-სუბიექტებისათვის ხელსაყრელი საქმიანი პირობების შექმნას.

სახელმწიფომ, პირველ რიგში, უნდა განახორციელოს აუცილებელი სტრუქტურული ადაპტაციები და გამოიყენოს სტაბილიზაციის პოლიტიკა, რათა თავიდან აიცილოს ინფლაცია, მოახდინოს ვაჭრობის ლიბერალიზაცია და ეკონომიკის დარეგულირება. ამასთან ერთად აუცილებელია შეიქმნას საბაზრო ოპერაციათა გატარების უზრუნველმყოფი ინსტიტუტების მთელი ქსელი, რომელშიც მოიაზრება საფინანსო და იურიდიული ორგანიზაციები, განათლების სისტემა, ეფექტურად მოქმედი შრომის ბაზრები, კერძო საკუთრების ინსტიტუტი და სხვა. ზოგადად ქვეყნის ეკონომიკაში მცირე ბიზნესის როლის განსაზღვრისას უნდა გამოვიყენოთ ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა: მცირე ბიზნესში დასაქმებულთა წილი, მშპ-ში მცირე ბიზნესის წილი, პროდუქციის წარმოებისა და ბრუნვის მაჩვენებლები მცირე ბიზნესში, მცირე საწარმოთა რაოდენობა 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით, მცირე ბიზნესის წილი ექსპორტში და ა.შ.

მცირე ბიზნესისა და კონკურენტული გარემოს შენარჩუნებისადმი სუსტი მხარდაჭერა, მსხვილი ბიზნესის ხელში მონოპოლიური უფლებების თავმოყრა, ასევე ინვესტიციების დიდი ნაკადების მსხვილი ბიზნესისაკენ წარმართვა წარმოადგენს იმ ფაქტორებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს მცირე ბიზნესის წილზე მთლიან შიდა პროდუქტში. მიუხედავად მსხვილ და საშუალო საწარმოებთან შედარებით რაოდენობრივად მაღალი რიცხოვნობისა, მცირე ბიზნესის მიერ შეტანილი წვლილი მთლიან შიდა პროდუქტში 10%-საც არ აჭარბებს, მაშინ როცა გერმანიაში, საფრანგეთში, კორეაში და სხვა ქვეყნებში ეს მაჩვენებელი მერყეობს 45-60%-ის ფარგლებში. მშპ-ში მცირე ბიზნესის დაბალ ხვედრით წილს ჩვენ ვუკავშირებთ საქართველოში მცირე საწარმოების განსაზღვრის კრიტერიუმებს. მაშინ, როცა საქართველოში მცირე საწარმოთა ბრუნვის რაოდენობა შეადგენს 100 ათას ლარს, ევროკომისიის მიერ მიღებული კლასიფიკაციით მიკრო საწარმოთა ბრუნვა 2 მლნ ევროს უნდა შეადგენდეს, ხოლო მცირე საწარმოსათვის კი 10 მლნ ევროს.

მცირე ბიზნესის ოპტიმალური სისტემური სტრუქტურის ფორმირებაზეა დამოკიდებული არა მარტო ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარება, არამედ სოციალური პრობლემების გადაჭრაც. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მცირე ბიზნესს ადგილობრივი რესურსების გამოყენებაში. ამასთან მცირე ბიზნესის განვითარება რეგიონებში უნდა დავუკავშიროთ აქტიურ სტრუქტურულ პოლიტიკას. ეს უმჯობესია განხორციელდეს მიზანმიმართულად, იმ პრიორიტეტების შესაბამისად, რომლებიც რეალურად უზრუნველყოფენ ეფექტიანობას. დღევანდელ პირობებში პერსპექტიულად

მიგვაჩნია შემდეგი მიმართულებები: ფერმერული მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავება, სამშენებლო მასალების წარმოება, ტურიზმი და საკურორტო მეურნეობა, მომსახურების სფერო, საექსპორტო პროდუქციის, იმპორტშემცვლელი პროდუქციის წარმოების ზრდა, ინოვაციების სფერო, ხალხური რეწვა, მაღალტექნოლოგიური წარმოება. სახელმწიფომ უნდა შექმნას ხელსაყრელი მაკროეკონომიკური და ბიზნესგარემო იმ პროდუქციის საწარმოებლად, რომელიც დღეისათვის უცხოეთიდან შემოდის და მის ადგილზე წარმოებისათვის საჭირო ბუნებრივი პირობები და სათანადო ადგილობრივი იაფი რესურსები არსებობს.

თანამედროვე პირობებში მცირე ბიზნესის განვითარების და ბაზარზე პოზიციების გამყარებისათვის მნიშვნელოვან შიდა ფაქტორს წარმოადგენს მართვის სისტემის სრულყოფა. მან უნდა მოიცვას პროგნოზირების, დაგეგმვის, აღრიცხვის, ანალიზისა და კონტროლის პროცესები. შიდა გარემოს მონიტორინგის მაჩვენებლებმა უნდა მისცეს საწარმოს ხელმძღვანელობას საშუალება მიიღოს სტრატეგიული გადაწყვეტილებები. ამიტომაც მცირე საწარმოებში მსგავსი სისტემის შემუშავება და დანერგვა წარმოადგენს საკმაოდ აქტუალურ საკითხს. მცირე ბიზნესის მხარდაჭერის გაძლიერება სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილი უნდა იყოს, რისი განხორციელებაც მცირე ბიზნესის განვითარების სახელმწიფო რეგულირებითაა შესაძლებელი, განსაკუთრებით კი მაკროეკონომიკური რეგულირებით. სისტემატური, მიზანმიმართული მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს საკანონმდებლო ბაზის მუდმივი სრულყოფის მიმართულებით, მცირე ეკონომიკის პრიორიტეტულ, საზოგადოებრივი და სოციალური თვალსაზრისით ეფექტიან მიმართულებათა განვითარების ყოველმხრივი სტიმულირებისათვის. მიზანშეწონილი იქნებოდა მუშაკთა რიცხოვნობისა და საწარმოს წლიური ბრუნვის ნორმატივები მისადაგებულიყო დარგების სპეციფიკას. მაგალითად მატერიალური წარმოების დარგებისათვის მუშაკთა რიცხოვნობა გაგვეზარდა 50 კაცამდე, ხოლო წლიური ბრუნვა 1 მლნ ლარამდე; ვაჭრობაში კი შესაძლებელია მცირე ბიზნესის წარმოდგენა 10-მდე დასაქმებულითა და 500 ათას ლარამდე ბრუნვით. ვფიქრობთ დღეისათვის არსებული პარამეტრები არ შეესაბამება განვითარებული ქვეყნების სტანდარტებს.

მცირე ბიზნესის განვითარების სტრატეგიის შემუშავებისას განსაკუთრებული უპირატესობა უნდა მიენიჭოს მცირე ბიზნესის ინოვაციურ ხელშეწყობას, რაც მოითხოვს მეცნიერულ ტექნიკური ინფრასტრუქტურის განვითარებას, ისეთი ბიზნეს-სუბიექტების მხარდაჭერას, რომლებიც ორიენტირებული არიან ინოვაციებზე და მაღალ ტექნოლოგიებზე. ინოვაციური სტრატეგიის შემუშავება უნდა აისახოს ინოვაციური განვითარების სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებში. ასეთი პროგრამები ამა თუ იმ ფორმით არსებობენ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში, რომელთა გამოყენების ეფექტიანობას წარმოადგენს იაპონიის, სინგაპურის, ისრაელის და სხვათა გამოცდილება.

თანამედროვე ტურიზმი მიჩნეულია სიღარიბის დაძლევის მნიშვნელოვან ფაქტორად. ამ სფეროში შექმნილი ერთი სამუშაო ადგილი ქმნის სულ მცირე ორ ახალ სამუშაო ადგილს მომიჯნავე დარგებში, როგორებიცაა ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, კულტურა, განათლება, ჯანდაცვა და სხვა. ტურისტის მიერ შეძენილი პროდუქცია ექსპორტირებულია იმ განსხვავებით, რომ ნაცვლად მისი გაგზავნისა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, თვით მომხმარებელი ჩამოდის მის შესასყიდად. ეს კი ქვეყნის შემოსავალს ზრდის. ტურიზმიდან მიღებული მოგების ნაკადი ერთვება ეკონომიკურ ბრუნვაში და იძლევა ეფექტს. განსაკუთრებით ხელსაყრელია მცირე ბიზნესი მთიანი რეგიონების ტურისტულ განვითარებაში. საქართველო მთიანი ქვეყანაა რომელზეც მოდის მთელი ტერიტორიის 54,4%. მთიანეთი დღემდე წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის საგანძურს, ეს იქნება არქიტექტურის ძეგლები თუ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენები, ხალხური რეწვა თუ ფოლკლორის უნიკალური ნიმუშები. ამიტომაცაა, რომ ჩვენი ქვეყნის მთიანეთი გვევლინება შიდა და საერთაშორისო ტურიზმის განვითარების პოტენციურ რესურსად.

რეგიონებში მცირე ბიზნესის სტიმულირებისათვის მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯია ბიზნესიდან მიღებული გადასახადების ადგილობრივ ბიუჯეტებში გამოყენება. ასეთ შემთხვევაში თვით ადგილობრივი ხელისუფლება იქნებოდა დაინტერესებული ბიზნეს-სუბიექტების რიცხვის ზრდითა და მათი საქმიანობის მხარდამჭერი ღონისძიებების შემუშავებით, შესაბამისად კი ადგილობრივ ბიუჯეტებში შენატანების გაზრდით. სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა აისახოს და გატარდეს მცირე ბიზნესის ფინანსურ მხარდაჭერასთან დაკავშირებული შემდეგი ღონისძიებები:

- მცირე ბიზნესის სასტარტო კაპიტალით ფინანსირების პროგრამების შემუშავება, რომლებიც მიმართული იქნება მცირე საწარმოთა დაბალი საპროცენტო განაკვეთით დაკრედიტებაზე;
- მცირე ბიზნესის დახმარების ფონდის ჩამოყალიბება, რომლებიც იკისრებს თავდებობას ბანკებთან კრედიტის მიღებისას;

- მცირე ბიზნესის საწარმოებისათვის შეღავათიანი დაბეგვრის სისტემის შემოღება და ა.შ.

ამგვარად, ასეთი მიდგომები ცალკეულ ბიზნესსისტემებში ეკონომიკური, ინოვაციური მეთოდების გამოყენებასთან ერთად ხელს შეუწყობს მის მასშტაბურ გავრცელებას და ბიზნესკულტურის ამაღლებას ქვეყანაში, მის ცალკეულ რეგიონში.

ლიტერატურა:

1. აბრალავა ა., „ინოვაციები თანამედროვე ბიზნესში“, თბილისი, 2010.
2. ასათიანი რ., ასათიანი ს., „ბიზნეს-მენეჯმენტი და გლობალური კონკურენცია“. თბილისი, 2009.
3. ბარათაშვილი ე., ქოქიაური ლ., „მენეჯმენტის პრინციპები“, თბილისი, 2010.
4. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., გრძელიშვილი ნ., „ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება“, თბილისი, 2010.
5. ბოლქვაძე ბ., „ბიზნესის ფინანსური ანალიზი: თეორია და პრაქტიკა“, თბ., 2007.
6. ეთერია ე., „გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკა“, თეორია და პრაქტიკა. თბ., 2009.
7. ვაშაკიძე თ., „ინოვაციური მცირე საწარმოების მხარდაჭერა ევროკავშირში“, თბ., 2009.
8. როსტიაშვილი თ., „მცირე და საშუალო ბიზნესის მართვის სტრატეგია“, თბ., 2010.
9. Ларичева З. М., Стрелкова Л. В., «Малый Бизнес: проблеми и перспективы его развития», Ж. «Менеджмент в росии и за рубежом», №5, 2006.
10. Small business in transition economies. Editid Jacob Levitsk. 1996.
11. Rachman D.J., Mescon C.L. Bovee. Business Tudey. Ten edition. McGraw-hill. Inc. N.Y. 2006.

რეზიუმე

საქართველოში ეკონომიკური რეფორმების უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარება. სწორედ ამ სექტორის ეფექტიან ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული საბაზრო კონკურენცია, სამომხმარებლო ბაზრის გაჯერების ხარისხი, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის დაჩქარებული განვითარების აუცილებლობას ის გარემოებაც განაპირობებს, რომ მცირე ბიზნესი ავლენს მოქნილობას, სიცოცხლისუნარიანობას, რადგანაც ხასიათდება რა ბაზრის მოთხოვნაზე სწრაფი რეაგირების უნარით, სპეციალიზაციის მაღალი ხარისხით, რესურსების მობილიზაციის მეტი შესაძლებლობებით. ის წარმოადგენს საგადასახადო შემოსავალთა მნიშვნელოვან წყაროს, ასევე განსაკუთრებული როლი აკისრია ინოვაციური განვითარების თვალსაზრისით.

მცირე ბიზნესის ეფექტიანობის ღონისძიებათა შემუშავება და რეალიზაცია არის ეროვნული და რეგიონული ეკონომიკის განვითარების, სოციალური გარემოს გაუმჯობესების, პოლიტიკური ხასიათის პრობლემების გადაჭრის ინსტრუმენტი. სამეურნეო სუბიექტების ხელმძღვანელებს, ბიზნესის „მკეთებლებს“ ესაჭიროებათ განვითარების პერსპექტივის ხედვისა და სტრატეგიული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმებზე ხელმისაწვდომობა. ეს მექანიზმები პირველ რიგში უნდა ეფუძნებოდეს კომპლექსურ და სისტემურ მიდგომებს, შიდა და გარე გარემოს ფაქტორთა ანალიზს, მისწრაფებას იმისკენ, რომ მიღწეულ იქნას „მცირე მეწარმეობის”, როგორც ერთიანი ეკონომიკური სისტემის შემადგენლისა და კონკურენტუნარიანი ეკონომიკის უზრუნველმყოფის განვითარება.

OPPORTUNITIES AND TRENDS OF DEVELOPMENT OF SMALL BUSINESS IN GEORGIA

Khatuna Bebnadze, Associate Professor

RESUME

The most important direction of economic reforms in Georgia represents the development of small and medium sized enterprises. Exactly effective function of this sector is what is depended on market competition, consumer market saturation degree, creation of new work places. The necessity of accelerated development of small and medium sized business in Georgia is conditioned by this circumstance that small sized business reveals flexibility, viability, because it is characterized with the ability of fast react toward market require, high quality of specialization, more opportunities of mobilization of resources. It represents an important source for tax income; it has a special role for the purpose of innovative development as well.

Elaboration and realization of the measures of small sized business effectiveness is an instrument of the development of national and regional economics, the improvement of social environment, the solution of political problems. The heads of economic subjects, business "makers" need accessibility on mechanisms of vision of perspectives of development and making strategic management decisions. These mechanisms should be based first of all on the complex and systemic approaches, the analysis of internal and external environmental factors, the aspiration to this that it should be achieved the development of "small business" as a component of the united economic system and guarantee for competitive economics.

ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სტრატეგიული როლი გლობალურ ბიზნესში

ლია ბიბილაშვილი, ასოცირებული პროფესორი

„ადამიანებთან ურთიერთობის უნარი - ეს საქონელია, და
ასეთ უნარში მე გადავიხდი მეტს, ვიდრე სხვა რამეში ამ ქვეყანაზე".
ჯ. როკფელერი

ადამიანური რესურსების მართვა დიდ როლს თამაშობს ფირმის სტრატეგიული მიზნების მიღწევაში. მასში იგულისხმება ფირმის მოგების ზრდა მისი დანახარჯების შემცირებისა და უკეთესი მომსახურების პირობების შეთავაზების საფუძველზე.

ფირმის დონეზე ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სტრატეგიული როლი რთულია, მაგრამ ამ მხრივ საქმიანობა უფრო რთულია გლობალურ ბიზნესში, სადაც პერსონალის შერჩევის, მისი მენეჯმენტის განვითარების, სამუშაოს შეფასებისა და ანაზღაურების თვალსაზრისით გაწეული საქმიანობა დიდ ძალისხმევას მოითხოვს, რადგან, ქვეყნების მიხედვით, ამ სფეროში საქმიანობა არსებითად განსხვავდება შრომის ბაზრების, კულტურის, სამართლებრივი და ეკონომიკური სისტემების მიხედვით. ეს არსებითი განსხვავებანი განპირობებულია რიგი ფაქტორებით:

- საზღვარგარეთ არსებული განსხვავებული შრომის ანაზღაურების სისტემებით, რაც დამოკიდებულია ცალკეულ ქვეყანაში დამკვიდრებული მენეჯმენტის წესებზე;
- შრომის კანონმდებლობის სპეციფიკით;
- პროფკავშირების როლითა და განსხვავებული ფუნქციებით ცალკეული ქვეყნების მიხედვით და სხვა.

კომპანიებისათვის მნიშვნელოვანია ისეთი მენეჯერების შერჩევა, რომელთაც შეუძლიათ მათი რესურსების ეფექტიანი მართვა. ადამიანური რესურსების მენეჯმენტმა უნდა გადაწყვიტოს ამ რესურსების მართვასთან დაკავშირებული ისეთი პრობლემები, როგორიცაა: ხელმძღვანელი თანამდებობების მენეჯერების კომპანიაში განაწილება, მათი შემდგომი სწავლების გზით კვალიფიკაციის ამაღლება, სხვადასხვა ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური წარმომავლობების მქონე მუშაკების შრომის ანაზღაურების პირობების დადგენა და სხვა.

ადამიანური რესურსების მენეჯმენტისათვის ძალზე მნიშვნელოვანია იმ პრობლემების გადაწყვეტა, რომლებიც დაკავშირებულია ექსპატრიანტ მენეჯერებთან (იგულისხმება კომპანიის თანამშრომელი, რომელიც საზღვარგარეთ არსებულ ფილიალშია სამუშაოდ მივლინებული). მნიშვნელოვანია დადგინდეს, თუ ვინ უნდა გაიგზავნოს საზღვარგარეთ სამუშაოდ, გაირკვეს შრომის ანაზღაურების, რეპატრიაციისა და ადაპტაციის პირობები, აუცილებელია დარწმუნება იმაში, რომ ისინი ორიენტირებულნი არიან სამშობლოში დაბრუნებაზე.

გამოკვლევები ადასტურებს, იმისათვის რომ მივაღწიოთ ფირმის მაღალ სარგებლიანობას, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი და მისი სტრატეგია ერთმანეთზე კარგად უნდა იყოს მორგებული. საუკეთესო ადამიანური რესურსები შესაძლოა იყოს დამხმარე წყარო მაღალმწარმოებლურობასა და გლობალურ ეკონომიკაში შედარებითი უპირატესობის მოპოვებისათვის. ამავე დროს კვლევები მეტყველებს იმაზე, რომ საერთაშორისო კორპორაციები ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სრულყოფისათვის სპეციალურ განყოფილებას ქმნიან. კომპანიებში ჩატარებული კვლევის ავტორებმა დაადგინეს, რომ ადამიანური რესურსები მათთვის სუსტი წერტილი იყო. მათი აზრით, საერთაშორისო

ადამიანური რესურსების ეფექტიანობის გაუმჯობესებამ შესაძლოა გაზარდოს კომპანიების საერთო ეფექტიანობა.

საერთაშორისო კომპანიები მისდევენ ოთხ სტრატეგიას: მულტისაშინაოს, გლობალურს, საერთაშორისოსა და ტრანსნაციონალურს. მულტისაშინაო სტრატეგიის მიმდევარი ფირმები ცდილობენ, შექმნან პროდუქტი ადგილობრივი მოთხოვნების გათვალისწინებით. საერთაშორისო ფირმები - ძირითადი კომპეტენციების საზღვარგარეთ გადაცემით; გლობალური ფირმები მსოფლიოს აღიქვამენ, როგორც ერთიან ბაზარს, რომლისთვისაც აწარმოებენ სტანდარტიზირებულ პროდუქციას, ხოლო ტრანსნაციონალურები ამ ყველაფრის ერთდროული გამოყენებით.

წარმატების მიღწევა შესაძლებელია ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ფუნქციების ფირმის სტრატეგიასთან შესაბამისობაში მოყვანით. მაგ.: ,,მოლექსი", რომელიც მისდევს ტრანსნაციონალურ სტრატეგიას, მულტისაშინაო სტრატეგიისაგან განსხვავებით, პერსონალის შერჩევის, მენეჯმენტის განვითარებისა და ანაზღაურების საკითხებში აწესებს განსხვავებულ მოთხოვნებს. ,,მოლექსი" ცდილობს, რომ დანახარჯები შეამციროს ქარხნების იმ ქვეყნებში განთავსებით, სადაც მისთვის დანახარჯები მისაღებია, მაგრამ ამავე დროს ის დიდ ყურადღებას აქცევს ,,ნოუ-ჰაუს" გადაცემას სხვადასხვა ქვეყნების ფილიალებისათვის, იყენებს ექსპატრიანტ მენეჯერებს და მენეჯმენტის განვითარების პროგრამებს, რათა შეამციროს ეს დანახარჯები.

ფირმებს, რომლებიც მისდევენ ტრანსეროვნულ სტრატეგიას, სჭირდებათ ძლიერი კორპორაციული კულტურა და არაფორმალური მენეჯმენტის ქსელი - მუშაკების შერჩევის, მენეჯმენტის განვითარების, სამუშაოს შეფასებისა და ანაზღაურების სწორი პოლიტიკის რეალიზაცია. ადამიანური რესურსების მენეჯმენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფირმის ამ მახასიათებლების მიღწევაში.

მენეჯმენტის განვითარების პროგრამებს შეუძლია შექმნას ისეთი კორპორაციული კულტურა, რომელიც უზრუნველყოფს ფირმის სტრატეგიული მიზნების რეალიზაციას. ადამიანური რესურსების მენეჯმენტს აქვს გადამწყვეტი როლი ფირმის სტრატეგიის რეალიზაციაში.

ლიტერატურა:

1. შენგელია თ., გლობალური ბიზნესი, თბილისი, 2008.
2. შენგელია თ., ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, თბილისი, 2008.
3. გლობალიზაციის თანამედროვე ასპექტები, ბსუ, შრომები, 2007.
4. ბერიძე რ., ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, 2011.

რეზიუმე

იმისათვის, რომ მივაღწიოთ ფირმის მაღალ სარგებლიანობას, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი და მისი სტრატეგია ერთმანეთზე კარგად უნდა იყოს მორგებული. საუკეთესო ადამიანური რესურსები შესაძლოა იყოს დამხმარე წყარო მაღალმწარმოებლურობასა და გლობალურ ეკონომიკაში შედარებითი უპირატესობის მოპოვებისათვის.

STRATEGIC ROLE OF HUMAN RESOURCE MANAGEMENT IN GLOBAL BUSINESS

Lia Bibilashvili, Associate Professor

RESUME

In order to achieve the highest benefit of the company, the human resources management and its strategy should be tailored to each other. Auxiliary source may be the best human resources in the highest manufacturing and also predominant in the global economy.

ლარის კურსის გრძელვადიანი სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით კონკრეტული ღონისძიებებია გასატარებელი

დავით ბიძინაშვილი, პროფესორი

ლარი აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურებას განაგრძობს. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარის ახალი ოფიციალური გაცვლითი კურსი დაადგინა. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის თანახმად, 1 დოლარის შეძენა 2,0144 ლარად იქნება შესაძლებელი.

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ეროვნული ვალუტის გაუფასურების ეს უკვე მეორე ტალღაა. პირველად ლარმა დოლართან მიმართებაში ვარდნა გასული წლის ნოემბერში დაიწყო...

სპეციალისტები ხელს ეროვნული ბანკისკენ იშვერენ და აღნიშნავენ, რომ ქვეყნის მთავარ ბანკირს ეროვნული ვალუტის დაჭერა თუ არ შეუძლია, პანიკის თავიდან ასაცილებლად განცხადება მაინც უნდა გააკეთოს. ზოგადად კი სებ-ის უუნარობა, სავალუტო ბაზარს უკვე აშკარად ეტყობა. ბოლოს ლარის ასეთი დაბალი კურსი 2004 წლის 30 აპრილს დაფიქსირდა. ქვეყანაში, სადაც ექსპორტ-იმპორტს შორის დისბალანსი 50%-ზე მეტია, კურსის ვარდნა სამომხმარებლო პროდუქტს მყისიერად აძვირებს, რაც საზოგადოებისთვის პანიკის საფუძველი ხდება. ლარის გაუფასურების გამო მედიკამენტები და სასურსათო პროდუქტი ერთხელ უკვე გაძვირდა. ცვლილება, პირველ რიგში, იმპორტულ ნაწარმს შეეხება. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ბაზარზე ხორბლის უხვი მოსავლის გამო ამ პროდუქტზე დაბალი ფასი შენარჩუნდა, საქართველოში 1 ტომარა ფქვილის ღირებულებამ უკვე 40ლარს მიაღწია. სუპერმარკეტებშიც ვარაუდობენ, რომ გარკვეული პროდუქტის გაძვირება მოუწევთ.

ლარის გაუფასურების პროცესში საკმაო წვლილი ეროვნულ ბანკს მიუძღვის, ვინაიდან სებმა უკანასკნელ 2 წელიწადში ეკონომიკიდან 235 მილიონი დოლარი ამოიღო. ამან კი ლარი-დოლარის ბალანსი დაარღვია. თუ ეკონომიკიდან დოლარს ამოვიღებთ და ლარს გავუშვებთ, ეს, ბუნებრივია, ლარის კურსზე უარყოფითად იმოქმედებს. მთავარი აქცენტი სწორედ ამ პროცესზე უნდა გავამახვილოთ. ამასთანავე მნიშვნელოვანია ისიც, რომ იანვარში, როგორც წესი, იმპორტი იკლებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნის მიხედვით, სავალუტო რეზერვები სამჯერ უნდა აღემატებოდეს იმპორტის მოცულობას, რაც უკვე შესრულებულია. შესაბამისად, ეროვნულ ბანკს თავისუფლად შეუძლია მინიმუმ 100 მილიონი დოლარი გამოიტანოს და ლარის გაუფასურებას ხელი შეუშალოს. ეს ფინანსური სისტემის მდგრადობის კუთხით არანაირ პრობლემას არ შექმნის.

ბუნებრივია, ლარის გაუფასურების სხვა ფაქტორებიც არსებობს. კერძოდ ის, რომ მსოფლიოში დოლარი მყარდება, თუმცა, კონკრეტულად, საქართველოში მიმდინარე პროცესში გადამწყვეტი როლი მაინც ეროვნულ ბანკს აკისრია. ბაზარზე განმსაზღვრელი ფაქტორი ეროვნული ბანკის მოქმედებაა. დავაკვირდეთ იმასაც, რომ ბოლო პერიოდში მთავრობამ მიიღო 145 მილიონი დოლარის სესხი და ეროვნულმა ბანკმა ეს ფული დაარეზერვა და ეკონომიკაში არ გაუშვა. შესაბამისად, თუ ჩვენ ყველა მიღებულ სესხს საერთაშორისო სავალუტო რეზერვად ვაქცევთ და მიმოქცევაში მხოლოდ ლარს გავუშვებთ, ეს ნებისმიერ შემთხვევაში კურსზე უარყოფითად აისახება.

ლარის გაუფასურების რამდენიმე მიზეზი არსებობს. სავალუტო ბაზრის კონიუნქტურას მოთხოვნა-მიწოდება განსაზღვრავს. ამიტომ ეს პრობლემა ორ კონტექსტში უნდა განვიხილოთ: 1. მიწოდების მხრიდან ლარის კურსზე, პირველ რიგში, საგარეო ვაჭრობა მოქმედებს (2014 წლის ბოლო კვარტალში, ექსპორტის შემცირების გამო, საგარეო ვაჭრობის დეფიციტი მნიშვნელოვნად გაუარესდა). 2. შემცირდა ფულადი გზავნილები, განსაკუთრებით რუსეთიდან. 2014 წლის მე-4 კვარტალში უცხოური ინვესტიციებიც შემცირდა. შესაბამისად, ქვეყანაში უცხოური ფულის დეფიციტი შეიქმნა.

სებ-ის პრეზიდენტს ძალიან მოქნილი კომუნიკაცია უნდა ჰქონდეს საზოგადოებასთან. ხალხმა უნდა იცოდეს, რასთან გვაქვს საქმე, რა პროცესები ვითარდება. როდესაც შარშან, დეკემბერში ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გამოვიდა, მისმა განცხადებამ სავალუტო ბაზარზე პოზიტიური როლი შეასრულა.

ლარმა გაუფასურების ახალი ეტაპი დაიწყო. მთავრობა ამის ერთ-ერთ მიზეზად უცხოეთიდან ფულადი გზავნილების შემცირებას ასახელებს. როდესაც, პირველ რიგში, ვახსენებთ საგარეო ფაქტორებს, ეს არის ან პირდაპირი, ან შენიღბული მცდელობა მთავრობის არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის გამართლების. საგარეო ფაქტორები, რა თქმა უნდა, ზემოქმედებენ ქვეყნის ეკონომიკაზე, მაგრამ ეს არის დამატებითი და არა ძირითადი. 2008 წლის ომმა და მსოფლიოს ფინანსურმა კრიზისმა ვერ მოახდინა ზემოქმედება ლარზე. ახლა ჩვენი ეკონომიკა იმუნიტეტგამოცლილი ადამიანივითაა. ყოველი გაცივების "ფაქტორი" აგონიაში აგდებს. ეკონომიკური სისუსტეები, საინვესტიციო გარემოს გაუარესება,

შიდაპოლიტიკური დაძაბულობა, უიმედობა და არაეფექტური რეაგირება არის პრობლემების თავი და თავი.

ლარის ზედიზედ, ერთსა და იმავე პერიოდში ორი წლის განმავლობაში ორჯერ გაუფასურების მიზეზი არის ცვლილებები ეკონომიკურ პოლიტიკაში. მოხდა საბაზროდ ორიენტირებული ეკონომიკის ტრანსფორმაცია სოციალურად ორიენტირებულში. ლამაზად ჟღერს, მაგრამ, როგორც წესი, საბოლოო შედეგები მახინჯი გამოდის. ამისი კონცენტრირებული გამოხატულებაა ბიუჯეტი. იგი უკვე აბსოლუტურად სხვა სახისაა. სხვადასხვაა ე.წ. წამახალისებელი ხარჯები: სუბსიდიები, ბიზნესპროგრამები, ხვნა-თესვის დაფინანსება, მოსავლის დაზღვევაც კი. მეორეს მხრივ, ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევა, უფასო წიგნები, სოციალური შემწეობების მიმღებთა წრის გაფართოება, საყოველთაო ვაუჩერები (მაგ. ელექტროენერგიის), განურჩევლად მდიდრისა და ღარიბისა. ასევე სახელმწიფო აპარატის მუდმივი ზრდა, როგორც ადგილობრივ დონეზე, ასევე ცენტრალურ სამთავრობო დაწესებულებებში, უამრავი მარეგულირებელი ნორმების აღდგენა. აგერ, კიდევ ერთი უაზრო კანონის მიღებას აპირებენ - უცხოელი სპეციალისტები არ შემოვუშვათ, თუ ამ საქმის გაკეთებას ქართველი შეძლებსო. ესეც ლამაზად ჟღერს. არა და, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობისას "სვარშიკები" ვერ მოიძებნა ადგილზე. მერე ვიღაცამ ნებართვები უნდა აძლიოს, ვიღაცამ უნდა ამტკიცოს, რომ ამის შემსრულებლები გვყავს თუ არა გვყავს ადგილზე და ასე შემდეგ. მოკლედ, ბიუროკრატიზაცია. ცალ-ცალკე ეს ყველაფერი კარგია მოსასმენად და ენა არ მოგიბრუნდება, რომელიმეზე უარი თქვა. რაც ამერიკამ ვერ შეძლო ორასი წლის განმავლობაში ჯანდაცვის სფეროში, ჩვენ მოვასწარით ორ წელიწადში ნასესხები ფულით და არა მარტო ამით. ის ფული, რაც ადამიანებმა და კერძო ფირმებმა დაკარგეს ლარის გაუფასურებით და ფასების ზრდით, ეს არის საზღაური იმ სიკეთისა, რასაც ბიუჯეტი გვპირდება. რასაც მთავრობა გვაძლევს ერთი ხელით, გვართმევს მეორეთი. როგორც წესი, პირველ რიგში და ყველაზე მეტს ართმევს დაბალშემოსავლიან ფენას - ინფლაციით. ანუ იმას, ვისზე ზრუნვითაც ნაკარნახევია ბევრი სოციალური პროექტი. სადაა მომატებული 10 ლარი პენსია? აორთქლდა მიღებამდე! ასეთმა პოლიტიკამ რა უყო მაგალითად, საბერძნეთს და კვიპროსს, დავინახეთ ამ რამდენიმე წლის წინ. რიგში ესპანეთი და პორტუგალიაა. და სად? ევროკავშირში, სადაც უზარმაზარი ფინანსური მხარდაჭერა აქვთ მსგავს ვითარებაში ჩავარდნილებს. 50 მილიარდზე მეტი მისცეს საბერძნეთს სხვადასხვა წყაროებიდან და დღეს ისევ აქტუალურია მისი ევროზონიდან გაძევების საკითხი. როცა ბიუჯეტს ვახსენებთ, ეს უკვე პორტრეტია, რომელიც დორიან გრეის სურათივით განიცდის ტრანსფორმაციას. მეორეს მხრივ, 2013 და 2014 წლებში სწორედ ბიუჯეტის არათანაბარზომიერმა შესრულებამ განაპირობა ლარის ვარდნა. დეკემბრის ბოლო დღეებში თითქმის ნახევარი მილიარდი ლარის გაშვებამ მიმოქცევაში. ამან მისცა ბიძგი, შემდეგ კი ცოტა აჟიოტაჟიც დაემატა, ცოტაც იგივე, ასე სათუთად მოსახსენიებელი საგარეოც და მივიღეთ დევალვაციის მეორე ტალღა.

უკვე გაიწოვა ეს ფული სავალუტო ბაზარმა. კვლავ დაუბრუნდა ფულის მასა ნორმას. წესით, დღეს-ხვალ უნდა გაჩერდეს შემდგომი გაუფასურების პროცესი და მერე უნდა ველოდოთ შემდგომ "გარღვევას" თუ "გაცივებას". ისევ უნდა ველოდოთ, როგორ მოხდება ბიუჯეტის შესრულება და აღმოიფხვრება თუ არა ვალუტის შემოდინებაში ახლადგაჩენილი უარყოფითი ფაქტორები: ექსპორტის კლება, ტურიზმიდან შემოსავლების კლება, სარკინიგზო და სხვა სახის გადაზიდვებში კლება, ინვესტიციებში კლება, ტრანსფერტებში კლება, უცხოეთში ფულის გადინების მატება და ასე შემდეგ. რაც შეეხება სწრაფი ფულადი გზავნილების მეშვეობით გადმორიცხვებს, ესეც მოქმედებს ლარის კურსზე, მაგრამ გაზვიადებულია, რადგან ეს პრობლემა მხოლოდ ბოლო სამი თვეა გაჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ გასული წლის ბოლო თვეებში იკლო უცხოეთიდან გადმორიცხვების მოცულობამ, 2013 წლის ანალოგიურ თვეებთან შედარებით, ფაქტობრივად, იგი უმნიშვნელოდ შემცირდა წლის განმავლობაში. 2014 წელს სწრაფი ფულადი გზავნილების არხებით გადმოირიცხა 1, 441 მილიარდი დოლარი, ხოლო 2013 წელს - 1,477 მილიარდი. ეს ორივე მაჩვენებელი საკმაოდ აღემატება 2012 წლის (1, 334 მილიარდი) და 2011 წლის (1,268 მილიარდი) მონაცემებს. როგორც ვხედავთ, აქ არა იმდენად კლებაზეა საუბარი, არამედ ბოლო წლებში გაჩენილი ზრდის ტენდენციის შეფერხებაზე. უფრო მეტი ოდენობით კლების თავიდან აცილება იმითაა გამოწვეული, რომ განსხვავებით, იგივე შუა აზიის ქვეყნებისგან, ან სომხეთისგან, სადაც გადარიცხვების უმეტესი ნაწილი რუსეთიდან ხდება, საქართველოში იგი დივერსიფიცირებულია. კი, რუსეთზე მოდის ტრანსფერტების ნახევარი, მაგრამ მეორე ნახევარი მსოფლიოს ოცამდე ქვეყნიდან ხორციელდება. ზოგიერთიდან ზრდაც კი შეიმჩნევა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ალბათობით რუსეთიდან გადმორიცხული ფულის მოცულობა შემცირდება, მთლიანი ტრანსფერტების ოდენობა 2015 წელს არ უნდა იყოს 2013 წლის მაჩვენებელზე დაბალი.

თუ გავიხსენებთ 2008 წლის აგვისტოს ომის წინა და შემდგომ პერიოდს, დავინახავთ, რომ ფულადი გადმორიცხვები რუსეთიდან მაშინ 10 პროცენტით შემცირდა. ამას მსოფლიო საფინანსო კრიზისის ფაქტორიც განაპირობებდა. ალბათ, წელსაც დაახლოებით ამ ფარგლებში, ან შეიძლება უფრო მეტითაც (15 პროცენტით) იკლოს, 100 მილიონი დოლარის ფარგლებში. თუ რამდენ ხანს გაგრძელდება რუსეთში კრიზისი, ამის პროგნოზირება ძნელია. სულ მცირე ორი წელი რომ ვარდნა იქნება, ამას ყველა საერთაშორისო საფინანსო და სარეიტინგო ორგანიზაციები პროგნოზირებენ. რუსეთში მდგომარეობა დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, მათ შორის უკრაინაში რუსეთის აგრესიის შეწყვეტაზე და სანქციების შერბილებაზე, ისევე როგორც მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის სიდიდეზე. მაგრამ, როცა უარყოფითი საგარეო ფაქტორი მოჰყავთ თავის გამართლების მიზნით, რატომ დადებითზე არაფერს ამბობენ? ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე და სავაჭრო ბალანსზე დადებითი ზემოქმედების მომხდენი იქნება ნავთობზე მსოფლიო ბაზარზე ფასების კლება. იგი ქვეყნიდან უცხოური ვალუტის ნაკლებ გადინებასაც შეუწყობს ხელს. ეკონომია ორჯერ გადაფარავს გადმორიცხვებით მიღებულ დანაკლისს. მთავარია, სხვა ფაქტორები, ტრადიციულად ჩვენი დადებითი "კოზირები" ამოქმედდეს. ეს კი ვერ მოხდება, თუ ისევ რაღაც "წახალისების" თეორიით ვიმოქმედეთ. აგერ, ექსპორტის წახალისების სამსახური უნდა შევქმნათო. ისევ ახალი შტატები, მანქანები და ასე შემდეგ. წახალისება კი არა, ხელის არშეშლაა საჭირო. ასეულობით მილიონობით ლარით წავახალისეთ სოფლის მეურნეობა რუსეთის ბაზრისთვის. იქ ისედაც უნდა მოგვეკიდებინა ფეხი ყოველგვარი სუბსიდირების გარეშე. თუ წახალისებაა, ეს სექტორალური უნდა იყოს, ახალი ბაზრებისკენ (ევროპა, ჩინეთი, ინდოეთი, ამერიკა). - არის ფუნდამენტური მიზეზები, რომლის გადაჭრა მთავრობას გაუჭირდება, რადგან მისი "ახალი ეკონომიკური პოლიტიკა"- ნეპი (NEP) არის სირთულეების მუდმივი გენერატორი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მთავრობას და ეროვნულ ბანკს შეუძლია ვითარების დასტაბილურება ფულის მასის კონტროლის გზით. მაგრამ სანამდე? მოხდება ეკონომიკის ე.წ. დემონეტიზაცია. რა ვუყოთ იმას, რომ ვალუტის დეფიციტი გაჩნდა? როგორ უნდა დავარწმუნოთ ინვესტორი, რომ ფულის აქ დაბანდება სჯობია, ვიდრე მსოფლიოს ნებისმიერ სხვა ქვეყანაში? რითი ვართ სხვებზე მიმზიდველები? ესაა მთავარი პრობლემა. დაკარგა საქართველომ მიმზიდველობა. ფორმაში უნდა მოვიდეს!

28 იანვარს ლარის ოფიციალური კურსი 2,0144 იყო. ეს განსხვავება კომერციული ბანკებისა და ვალუტის გადამცვლელი ჯიხურებისა და ეროვნული ბანკის კურსის რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული. პირველი ის, რომ ბოლო ვაჭრობა იყო პარასკევს, შაბათ-კვირას, როგორც წესი, ვაჭრობა არ არის და ეს ყოველთვის ნეგატიურად აისახება კურსზე. ვნახოთ, როგორი კურსი დაიდება დღევანდელ ვაჭრობაზე და აქედან გამომდინარე შეიძლება გარკვეული დაკორექტირება. მეორე ფაქტორი არის ნეგატიური მოლოდინი. ბოლო პერიოდში ლარის კურსს მკვეთრად ნეგატიური ტენდენცია აქვს. აქედან გამომდინარე, ბიზნესისთვის, მათ შორის, საბანკო სექტორისთვის მოლოდინებიც საკმაოდ ნეგატიურია, მით უმეტეს, როდესაც ის ფაქტორები (ექსპორტი, ფულადი გზავნილები), რამაც ლარი კურსი უნდა დააბალანსოს, ჯერჯერობით ძალიან მყიფეა და დაიმედების საფუძველს არ იძლევა. გრძელვადიან პერსპექტივაში მოლოდინი ნეგატიურია, რაც გარკვეულწილად აისახება კურსის სპეკულაციურ კომპონენტზე. ეს დიდი სხვაობა სწორედ სპეკულაციური კომპონენტით არის გამოწვეული. რაც შეეხება ხელისუფლების გადასადგმელ ნაბიჯებს, რათა ლარის კურსი დარეგულირდეს, აუცილებლად უნდა დაიძრას ის საინვესტიციო პროექტები, რომლებიც დაანონსებული, მაგრამ შეფერხებულია, მანამდე კი ხარჯვითი კომპონენტის ოპტიმიზაცია და გრანტების და კრედიტების პირველი ტრანშების მაქსიმალურად დაჩქარებულ რეჟიმში მოზიდვა უნდა მოხდეს. ხელისუფლების ქმედებები ორ ნაწილად უნდა გაიყოს - გრძელვადიან პერსპექტივაზე და მოკლევადიან ეფექტებზე გათვლილი. პირველს რაც შეეხება, მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად მოხდეს პირველი კვარტლის ბოლოსთვის პირველი შედეგების დადება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაზრდის თვალსაზრისით. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ის საინვესტიციო პროექტები, რომლებიც, გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ქვეყნის შიგნით, დაანონსებულია, მაგრამ შეფერხებულია, აუცილებლად უნდა დაიძრას. მხედველობაში მაქვს ანაკლიის პორტი, ნენსკრას პროექტი, ხუდონჰესის პროექტი, რომელთა დაძვრაც ძალიან მნიშვნელოვანი თვალსაზრისით გააუმჯობესებს საგადამხდელო ბალანსს ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით და ამავდროულად იქნება სიგნალი ინვესტორებისთვის, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოში ინვესტიციების განხორციელება პრობლემებთან არ არის დაკავშირებული. რაც შეეხება მოკლევადიან ეფექტებს, აუცილებელია დეფიციტური ხარჯვის შეწყვეტა.

უნდა ვხარჯოთ მხოლოდ იმდენი, რამდენიც შემოსავლების სახით გაქვს. მე მესმის, რომ ეს ძალიან რთულია, მაგრამ ახლა ლარის კურსის დასტაბილურებისა და აქედან გამომდინარე, მომავალში

ნეგატიური ტენდენციების გაღრმავების აღსაკვეთად, ჩვენ ცოტა უნდა გავიჭირვოთ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ 2015 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული გრანტების და კრედიტების ნაწილში პირველი ტრანშები მაქსიმალურად ფორსირებულ რეჟიმში იქნას მოზიდული, რათა სავალუტო წყაროები და გარკვეული დამაბალანსებელი ფაქტორი გაჩნდეს. უკრაინის, რუსეთისა და თურქეთის ეროვნული ვალუტების გაუფასურება, პირდაპირი ფულადი გზავნილების შემცირებული ნაკადი კი, ჩვენგან დამოუკიდებელი ფაქტორებია, რომლებზეც, სამწუხაროდ, გავლენას ვერ მოვახდენთ. ჩვენ აქცენტი უნდა გავაკეთოთ იმაზე, რაც შეგვიძლია. ეს არის ხარჯვითი პოლიტიკის ოპტიმიზაცია, გრანტების და კრედიტების მოზიდვა და გრძელვადიან პერსპექტივაში ზრუნვა იმაზე, რომ ის მაბალანსებელი ფაქტორები, რაც ზოგადად განაპირობებს ლარის მსყიდველობითი უნარის სტაბილურობას და კურსის მდგრადობას, უზრუნველყოფილი იქნას.

ამავე დროს მთავრობამ ექსპორტის, ტურიზმისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წახალისების მიზნით აქტიურად უნდა იმუშაოს.

ხაზგასმით გვინდა ვთქვათ, რომ ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანაა, ლარის კურსის გაუფასურება დოლართან მიმართებაში არ გადაიზარდოს საყოველთაო ფასების ზრდაში.

ლიტერატურა:

1. http://economy.ge
2. http://geostat.ge
3. http://mof.ge
4. http://nbg.gov.ge
5. http://found.ge
6. http://cge.ge

რეზიუმე

ლარი აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურებას განაგრძობს. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარის ახალი ოფიციალური გაცვლითი კურსი დაადგინა. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის თანახმად, 1 დოლარის შეძენა 2,0144 ლარად იქნება შესაძლებელი.

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ეროვნული ვალუტის გაუფასურების ეს უკვე მეორე ტალღაა. პირველად ლარმა დოლართან მიმართებაში ვარდნა გასული წლის ნოემბერში დაიწყო...

ლარის გაუფასურების რამდენიმე მიზეზი არსებობს, რომ სავალუტო ბაზრის კონიუნქტურას მოთხოვნა-მიწოდება განსაზღვრავს. ამიტომ ეს პრობლემა ორ კონტექსტში უნდა განვიხილოთ: 1. მიწოდების მხრიდან ლარის კურსზე, პირველ რიგში, საგარეო ვაჭრობა მოქმედებს (2014 წლის ბოლო კვარტალში, ექსპორტის შემცირების გამო, საგარეო ვაჭრობის დეფიციტი მნიშვნელოვნად გაუარესდა). 2. შემცირდა ფულადი გზავნილები, განსაკუთრებით რუსეთიდან. 2014 წლის მე-4 კვარტალში უცხოური ინვესტიციებიც შემცირდა. შესაბამისად, ქვეყანაში უცხოური ფულის დეფიციტი შეიქმნა.

ბუნებრივია ლარის გაუფასურების სხვა ფაქტორებიც არსებობს. კერძოდ ის, რომ მსოფლიოში დოლარი მყარდება, თუმცა კონკრეტულად საქართველოში მიმდინარე პროცესში გადამწყვეტი როლი მაინც ეროვნულ ბანკს აკისრია. ბაზარზე განმსაზღვრელი ფაქტორი ეროვნული ბანკის მოქმედებაა. დავაკვირდეთ იმასაც, რომ ბოლო პერიოდში მთავრობამ მიიღო 145 მილიონი დოლარის სესხი და ეროვნულმა ბანკმა ეს ფული დაარეზერვა და ეკონომიკაში არ გაუშვა. შესაბამისად, თუ ჩვენ ყველა მიღებულ სესხს საერთაშორისო სავალუტო რეზერვად ვაქცევთ და მიმოქცევაში მხოლოდ ლარს გავუშვებთ, ეს ნებისმიერ შემთხვევაში კურსზე უარყოფითად აისახება.

SPECIFIC MEASURES SHALL BE TAKEN IN ORDER TO MAINTAIN LONG-TERM STABILITY IN THE EXCHANGE RATE

Davit Bidzinashvili, Professor

RESUME

Larry continued depreciation of the US dollar. The National Bank set the official exchange rate of GEL years. National Bank's official exchange rate of 1 dollar 2.0144 lari will be available for purchase.

In the last few months it has been the second wave of the national currency depreciation. In turn triggered the first time in November last year began to decline against the dollar ...

There are several reasons for the depreciation of the currency market conjuncture determined by supply and demand. Therefore, this problem should be considered in two contexts: 1. The delivery of the course from the gel, first of all, the foreign trade (in the last quarter of 2014, due to the reduction in exports, the trade deficit has deteriorated). 2. reduced remittances, especially from Russia. 4th quarter of 2014, foreign investment flows have decreased. Consequently, the country has created a shortage of foreign currency.

Naturally there are other factors of a depreciation. Namely, that the dollar is being established, although they still play a vital role in the process of Georgia's National Bank has. Defining factor in the market action of the National Bank. Observe that the government has received 145 million dollars from the recent central bank and reserve it for the money and not about the economy. Consequently, if we all received a loan from the International Monetary reserve and pay only GEL circulation launch, it will negatively affect the course of any event.

ელექტრონული ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

***გიული გიგუაშვილი**, პროფესორი*
***მანანა ჯაფიაშვილი**, მასწავლებელი*
***მალხაზ ელიაური**, მოწვეული სპეციალისტი*

ციფრული ეკონომიკის განვითარებასთან ერთად სულ უფრო ფართოვდება და ვითარდება ელექტრონული ბიზნესი. დანარჩენი მსოფლიოს მსგავსად, ელექტრონული ბიზნესის განვითარება საქართველოში წარმოადგენს უმთავრეს პირობას საზოგადოებაში ინოვაციების ხელშეწყობისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით გამოწვეული საზოგადოებრივი ცვლილებების, ელექტრონული კომერციისა და ელექტრონული მმართველობის ჩვენს ქვეყანაში დანერგვისა და განვითარების მიზნით შეიქმნა დოკუმენტი „ციფრული საქართველო: ელექტრონული საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2018“ სადაც დეტალურადაა გაწერილია ის ფუნდამენტური საკითხები, რომლებიც უნდა შემუშავდეს, რათა საჯარო სექტორმა უზრუნველყოს უსაფრთხო და მაღალი ხარისხის ელექტრონული სერვისების უფრო ეფექტური და ეფექტიანი შეთავაზება ბიზნეს სექტორისათვის. რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ მდგრად ეკონომიკურ განვითარებას. აღსანიშნავია, რომ სტრატეგია ითვალისწინებს ევროკავშირის საშუალო და გრძელვადიან გამოწვევებს ელექტრონულ მმართველობასთან მიმართებაში და მაქსიმალურად არის შესაბამისობაში მოყვანილი „ელექტრონული ევროპა 2020“ სრატეგიულ დოკუმენტთან. [1]

ზემოაღნიშნული ელექტრონული საქართველოს სტრატეგიის თანახმად: „საქართველოში შეიქმნება უფრო ეფექტური და ეფექტიანი საჯარო სექტორი, რომელიც მომხმარებელს შესთავაზებს ინტეგრირებულ, უსაფრთხო და მაღალი ხარისხის ელექტრონულ სერვისებს, მათ გაუმჯობესებულ გამოყენებას და მონაწილეობას ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ მდგრად ეკონომიკურ ზრდაში“.

სტრატეგიის თემატური პრიორიტეტები დაჯგუფებულია შემდეგ სფეროებად: მომსახურების ზონა, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში მაღალი კომპეტენციისა და რეპუტაციის მოპოვება, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების ხელშემწყობი საშუალებები, ასევე ხელშემწყობი სტრუქტურები, მმართველობა და ცნობიერების ამაღლება.

უკანასკნელ წლებში საქართველოში საკმაოდ გაიზარდა ელექტრონული ბიზნესით კომპანიების დაინტერესება. ელექტრონული ტექნოლოგიების ათვისებით კომპანიები იღებენ პირდაპირ თუ არაპირდაპირ მოგებას. კომპანიები ელექტრონულ ბაზრებს იყენებენ თავიანთი საქონლის თუ მომსახურების შეთავაზებისათვის, მარკეტინგული კვლევებისათვის, მომარაგებისათვის და ა.შ. მყიდველები კი ელექტრონული ბაზრებით სარგებლობენ ინფორმაციის ძიების, საქონლის თუ მომსახურების არჩევის, შეკვეთების მიცემის, საკრედიტო ბარათით გადახდის ან ელექტრონული ანგარიშსწორების გამოყენებისათვის. ელექტრონული ბიზნესს აქვს მრავალი უპირატესობა როგორც მყიდველის, ისე გამყიდველისათვის. მასში მოიაზრება ინტერნეტ-ტექნოლოგია, რომელიც სხვადასხვა

სახის პროდუქციის ინტერნეტ რეალიზაციის საშუალებას იძლევა. მსოფლიო ქსელის ერთ-ერთ შეზღუდვას წარმოადგენს დედამიწის სფეროს საზღვრები. ელექტრონული გამყიდველები არ არიან შეზღუდულნი სავაჭრო მოედანზე საქონლის ფიზიკური ასორტიმენტით. მათ შეუძლიათ კლიენტებს წარმოუდგინონ პრაქტიკულად განუსაზღვრელი ასორტიმენტი. ქსელის მეშვეობით ყიდვა ხორციელდება ინტერაქტიულად და უეცრად. მყიდველს შეუძლია ელექტრონულ გამყიდველთან ურთიერთობის გზით მიიღოს აუცილებელი ინფორმაცია, შეუკვეთოს და გადმოტვირთოს იგი ქსელიდან. უფრო მეტიც, ინტერნეტი სიტუაციის კონტროლის ფართო შესაძლებლობას აძლევს მომხმარებელს. კარგი ელექტრონული გვერდები ხშირად წარმოუდგენენ მომხმარებლებს იმაზე მეტ ინფორმაციას, ვიდრე კარგი საქმის მცოდნე კონსულტანტები.

დღესდღეობით, ელექტრონული კომერცია ბიზნესის ის მიმართულებაა, რომელსაც მსოფლიოს წამყვანი ბრენდები საკმაოდ შედეგიანად იყენებენ. ნებისმიერ ბრენდს გააჩნია ვებ-გვერდი, სადაც მომხმარებელს საკუთარი პროდუქციის კატალოგს სთავაზობს. ინტერნეტ-მაღაზიის წარმატებისთვის მნიშვნელოვანი დეტალია საგადასახადო სისტემა, რომელიც ონლაინ კლიენტისთვის მაქსიმალურად კომფორტული გამოსაყენებელი უნდა იყოს. ელექტრონული კომერციის და ონლაინ ბიზნესის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია ასევე სარეკლამო სტრატეგია, საინფორმაციო განცხადებები, პროდუქციის მაღალი ხარისხი. პუბლიკაციების სტილი, რომელიც ამ პროდუქციას თან ახლავს, მუდმივად განახლებადი უნდა იყოს. ინტერნეტ მარკეტინგის სწორი სტრატეგიის შემუშავება ონლაინ ბიზნესის წარმატების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია.

ელექტრონული ბიზნესის ტიპებიდან ძირითადად გავრცელებულია ბიზნეს-ვაჭრობის სფერო (B2B) და საცალო ვაჭრობის (B2C) სფერო. ბოლო პერიოდში განსაკუთრებული აქტივობაა ელექტრონული საცალო ვაჭრობის (B2C) სფეროში. მომხმარებლის მიერ საქონლის თუ მომსახურების შეძენა ინტერნეტ-გარემოში მკვეთრად იზრდება. მსოფლიოში ელექტრონული კომერციის B2B სექტორის წილი ელექტრონული ბაზრის მთლიან მოცულობაში 85 %-მდეა, B2C

სექტორის წილი 13 %-მდე, ხოლო დანარჩენი სექტორების წილი უმნიშვნელოა.

ელექტრონული კომერციის განვითარების ძირითადი პრობლემა არის ინტერნეტით შესრულებული ოპერაციისადმი უნდობლობა. მომხმარებელთა 43 % თვლის, რომ ონლაინ-შესყიდვა რისკიანია და მეტ შემთხვევაში საქონელზე ანგარიშსწორებას ახორციელებს ნაღდი ფულით. ინტერნეტ-მაღაზიაში ან ინტერნეტ-აუქციონზე ყიდვაზე უარის თქმის ძირითადი მიზეზია ყიდვის პროცედურის სირთულე (მომხმარებელთა 31 %-სათვის), საქონლის აღწერის და ნახვის შესაძლებლობის არარსებობა (მომხმარებელთა 27 %-სათვის) და ინტერნეტით ანგარიშსწორების არაუსაფრთხოება (მომხმარებელთა 23 %-სათვის). [2]

ონლაინ ვაჭრობაში ნდობის ამაღლებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ელექტრონული კომერციის რეგულაციებს, რომლის მეშვეობითაც მოხდება იდენტიფიკაცია, ციფრული კონტრაქტებისა და ციფრული ანგარიშ-ფაქტურების ვალიდურობა და ა.შ. ელექტრონული კომერციის რეგულაციები უნდა ემსახურებოდეს საჯარო ინფორმირებულობის დონის ამაღლებას, ხელს უნდა უწყობდეს იმ სფეროების განვითარებას, სადაც ციფრული ტექნოლოგიები საჭიროებს ელექტრონული სერვისების შესრულების უკეთეს სტანდარტებს. მათ უნდა გააუმჯობესონ ციფრული ინტერაქცია ბიზნესპარტნიორებს შორის. ასეთ მაგალითს შეიძლება წარმოადგენდეს, მაგალითად, აღრიცხვის პრაქტიკის გაუმჯობესება და სტანდარტების დახვეწა.

ელექტრონული კომერციის პოპულარიზაცია, უკვე არსებული ინტერნეტ-მაღაზიების სტრატეგიის შეცვლა; ქართველი ონლაინ მომხმარებლების ნდობის მოპოვება და ამაღლება; უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავება, საბანკო სექტორის ჩართვა მიმდინარე პროცესებში, ახალი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის შექმნა, კიბერუსაფრთხოება, ლოჯისტიკა და შეკვეთილი ნაწარმის ადგილზე მიტანა და მომხმარებლების უფლებების დაცვა საქართველოში ელექტრონული კომერციის განვითარებისთვის უმთავრეს ფაქტორებს წარმოადგენს. [3]

საქართველოში ელექტრონული ბიზნესის ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაძლიერება შესაძლებელია ბიზნესისთვის ელექტრონული სერვისების ოპტიმიზაციის გზით, მონაცემთა მიწოდების გამარტივებით, მთავრობისთვის სანებართვო განცხადებებით მიმართვის, საჯარო ტენდერისა და საჯარო შესყიდვების გაუმჯობესებით. ონლაინ ვაჭრობის ფუნქციონირების დასაწყებად საჭიროა შეიქმნას სამართლებრივი ჩარჩოები და სტანდარტები კომუნიკაციისა და მონაცემთა გაცვლისთვის. აუცილებელია საჯარო-კერძო პარტნიორობის მოდელების შესწავლა, რომლებიც უზრუნველყოფენ უნივერსალურ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სერვისებს. ასევე, საჭიროა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარების კოორდინაცია პროფესიული სექტორის საჭიროებებთან. [1]

კერძო სექტორისთვის ელექტრონული ბიზნეს-საქმიანობის უზრუნველყოფა, ინოვაციასა და საზოგადოების ეკონომიკურ ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვანი საყრდენია. ზოგადად, ბიზნესსა და არასამთავრობო სექტორებში მოღვაწე სუბიექტებს სამთავრობო სააგენტოებთან უფრო ხშირი კონტაქტი აქვთ ყოველწლიურად, ვიდრე მოქალაქეებს, და ისინი უფრო ხშირად იყენებენ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს ყოველდღიურ ბიზნეს–სავაჭრო საქმიანობებში. გარდა ბიზნესსა და მთავრობას შორის ინტერაქციისა, კერძო სექტორი დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ ელექტრონული ბიზნესის წარმოების გამარტივებაზე, იმ კომპანიებსა და საწარმოებს შორის, რომლებიც სამოქალაქო სექტორში საქმიანობენ. ეს მოიცავს, მაგალითად, ინვესტიციების გაზრდას ქვეყნის მასშტაბით ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, სტაბილური, სანდო და უსაფრთხო ონლაინ ქსელის უზრუნველყოფას სათანადო სამართლებრივი, ფასთან და მოხმარებასთან დაკავშირებული რეგულაციების მეშვეობით, ან მოშორებით მდებარე ადგილებში მოწყობილ კერძო პუნქტებში ონლაინ სერვისების შეთავაზების მხარდაჭერას.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს ისეთი ძირითადი სერვისების უზრუნველყოფა, როგორიცაა ელექტრონული საიდენტიფიკაციო ბარათი, ელექტრონული ხელმოწერა, ონლაინ გადახდა, ან სერვისები ისეთი კიბერდანაშაულისგან დაცვის მიზნით, როგორიცაა თაღლითობა, მანიპულაცია, „ფიშინგი“ (საიდენტიფიკაციო ინფორმაციის მითვისება), ჯაშუშობა, ჰაკერობა და ა.შ. (მაგ.: სანდო პორტალების ან ონლაინ სერვისების სერტიფიცირების, დაშიფრვის მექანიზმების მითვისება და ა.შ.).

ციფრული ეკონომიკის განვითარება საჭიროებს ასევე ნათლად ჩამოყალიბებულ რეგულაციებს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების შესახებ. ინტელექტუალური საკუთრების შესახებ რეგულაციები განმარტავს საკუთრების უფლებას და ციფრული პროდუქტების გამოყენების, ასეთი პროდუქტების ასლის გადაღებისა და გავრცელების წესებს და ა.შ. ამასთან, რეგულაცია კარგია იმდენად, რამდენადაც ხდება მისი აღსრულება. ეს ნიშნავს, რომ საჭიროა რეგულაციების სათანადოდ შესრულება.

გარდა კონკრეტული ელექტრონული კომერციის რეგულაციებისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლების რეგულაციისა, რომელიც ციფრული ვაჭრობის საშუალებას იძლევა, იქმნება სხვა შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოები და მათი მეშვეობით რეგულირდება ძირითადი ინფრასტრუქტურული ასპექტები. ამის ნიმუშია ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მონაცემთა დაცვა; ან ონლაინ ვაჭრობის სხვა მთავარი ასპექტების რეგულაციები სხვადასხვა ბიზნესს შორის, მოქალაქეებთან თუ მთავრობასთან მიმართებაში ონლაინ სერვისების განხორციელებისას. ასეთი სამართლებრივი ჩარჩოების მაგალითს წარმოადგენს, მაგ.: ელექტრონული მთავრობის აქტი, ელექტრონული ხელმოწერის აქტი, ინფორმაციის უსაფრთხოების აქტი და ა.შ.

ინოვაციური ტექნოლოგიების პოტენციალის ეფექტურად გამოყენებისთვის უნდა შემუშავდეს ძირითადი სტანდარტები, ურთიერთთავსებადობის უზრუნველსაყოფად და ორგანიზაციებს შორის უპრობლემო ინტერაქციისთვის. ვინაიდან ბიზნეს-სექტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნისთვის, შესაბამისმა პოლიტიკურმა და სამთავრობო სააგენტოებმა უნდა ითანამშრომლონ ბიზნეს-სექტორთან, რათა მოახდინონ საქმიანობების საყოველთაო სტანდარტებთან მიახლოება და ხელი შეუწყონ შეუფერხებელ ონლაინ ვაჭრობას. მსგავს სტანდარტებს მხოლოდ მთავრობა ვერ შეიმუშავებს. ძალზე მნიშვნელოვანია ფართო თანამშრომლობა ბიზნესის სფეროში მოქმედ სუბიექტებს შორის. საჯარო სექტორის მხრიდან დახმარების აღმოჩენა ხელს შეუწყობს ინოვაციების გამოვლენას. მიუხედავად ამისა, გადამწყვეტი ფუნქცია მაინც ბიზნეს-სექტორში მოქმედ სუბიექტებს აკისრიათ.

ელექტრონული ბიზნესის გააქტიურებისთვის საჭიროა რიგი ძირითადი ინფრასტრუქტურული სერვისები, ისეთი ციფრული ინტერაქციის ხელშესაწყობად, როგორიცაა ელექტრონული იდენტიფიკაცია, ციფრული ხელმოწერა, ონლაინ გადახდა, უსაფრთხო და სანდო ქსელური ინფრასტრუქტურა, უსაფრთხო ონლაინ მიწოდების სერვისები, ისევე, როგორც ინტერნეტის ხელმისაწვდომობა ყველასთვის და ყველგან, მათ შორის ცენტრიდან მოშორებით მდებარე არაურბანულ დასახლებებში (სახლის ტელეფონები ან მობილური) და ა.შ. აღნიშნულ ძირითად ინფრასტრუქტურას საჭიროებენ როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში მოქმედი სუბიექტები.

დღეისათვის საქართველოში ხელმისაწვდომია PayPal, ონლაინ ბანკინგი ზოგიერთ ბანკში, თუმცა აღნიშნული სერვისები ხელმისაწვდომი არ არის ყველასთვის და ყველგან. საკრედიტო ბარათებით გადახდები ამჟამად ხორციელდება მხოლოდ საქართველოში მოქმედი საკრედიტო ბარათებით ადგილობრივი სერვისებისთვის. გადახდების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში. ლოჯისტიკა და პროდუქტისა და საქონლის მიწოდება საქართველოს ფოსტის მიერ (როგორც

საზოგადოებრივი სიკეთე) არ არის გამჭვირვალე და დაბალი ხარისხისაა. შედეგად, საფოსტო სერვისები არ არის სანდო და არ გამოიყენება ინტენსიურად.

საიმედო და უსაფრთხო ინფრასტრუქტურული სერვისების გავრცელების მეშვეობით (მათ შორის ქლაუდ-სერვისების მეშვეობით) დაიწყო ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და სერვისების განვითარება. ეს სერვისები გაჩნდა სოფლებშიც. შესაბამისად, ამან ხელი შეუწყო მეტი სამუშაო ადგილის შექმნას და ეკონომიკურ ზრდას. აქტიური ინფორმაციულ-საკომუნიკაციო უნარ–ჩვევების განვითარების კამპანიამ, თავის მხრივ, წვლილი შეიტანა იმაში, რომ საქართველო მიმზიდველი გახდა უცხოური კომპანიებისთვის ინვესტირების თვალსაზრისით. საპროგნოზო მაჩვენებლებით, 2016 წლისთვის:

- საწარმოების ბრუნვის 15% ელექტრონულ ბიზნესზე იქნება დამოკიდებული, ხოლო საწარმოთა 20% აწარმოებს ონლაინ შესყიდვებს (სულ მცირე 1%);
- დამკვიდრებული იქნება საყოველთაო ელექტრონული გადახდის სტანდარტი, რომელიც მორგებული იქნება საერთაშორისო გადახდის სტანდარტებზე;
- საქართველოს ექნება ქლაუდ-სტრატეგია;
- საწარმოთა 90% უზრუნველყოფილი იქნება ელექტრონული არხების ფართო ხელმისაწვდომობით.

2018 წლისთვის:

- საწარმოთა 15% მიიღებს ონლაინ შეკვეთებს (სულ მცირე 1%);
- საწარმოთა 30% გამოიყენებს მონაცემთა გაცვლის ავტომატიზებულ სისტემას მომხმარებლებთან ან მომწოდებლებთან;
- საწარმოთა 30% გააგზავნის და/ან მიიღებს ელექტრონულ ანგარიშფაქტურებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ელექტრონული სერვისების განვითარებას ღია მმართველობის მონაცემების მეშვეობით. საჯარო სექტორი ფლობს მონაცემთა დიდ ოდენობას. ღია მმართველობის პრინციპების განხორციელების მოთხოვნით ქვეყნები წარმოადგენენ საჯარო მონაცემებს, უფრო და უფრო ხშირად - დაუმუშავებელი მონაცემების სახით. ეს იძლევა ახალ შესაძლებლობებს ბიზნეს-სექტორისთვის დამატებითი ღირებულების მქონე სერვისების აპლიკაციების შემუშავების, კონკრეტული ცოდნის ვიზუალიზაციის ან მონაცემების ერთმანეთთან შეჯერების გზით. ამისთვის ბიზნეს-სექტორი იყენებს ღია მონაცემთა კონცეფციას, რათა ასეთ მონაცემთა ბაზაზე მოახდინოს ახალი ცოდნის შეძენა და წარმოდგენა. არსებული აპლიკაციები გამოიყენება, როგორც ვებისთვის, ასევე სმარტფონებისთვის.

დღეისათვის არსებობს პორტალი Data.gov.ge, თუმცა იგი ამჟამად მოიცავს მხოლოდ ვებგვერდების ბმულებს. მრავალჯერ გამოყენებადი მონაცემები ჯერ არ არის მოწოდებული. მაშასადამე, ბიზნესს არ შეუძლია მონაცემთა გამოყენება და ელექტრონული სერვისებისა და აპლიკაციების შექმნა. არ არსებობს აპლიკაციები (კომპიუტერული თუ მობილური მოწყობილობებისთვის) და მონაცემთა ვიზუალიზაცია ამ დრომდე არ მომხდარა. სტრატეგიით გათვალისწინებული სამოქმედო გეგმის თანახმად 2016 წლისთვის ბიზნესი შეიმუშავებს 70 აპლიკაციას ღია მმართველობის მონაცემების ვიზუალიზაციისა და დამატებითი ღირებულების წარმოქმნის შესახებ.

ტექნოლოგიების ახალმა მიღწევებმა და მის საფუძველზე წარმოქმნილმა ელექტრონულმა ბაზარმა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ხელი შეუწყო ინფორმაციული, ანუ ქსელური ეკონომიკის ჩამოყალიბებას, შექმნა ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების საუკეთესო პირობები. მართალია, საქართველოში ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვის დონე არც ისე მაღალია, მაგრამ მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა და მის საფუძველზე ქსელური ეკონომიკის განვითარება, „ციფრული საქართველო: ელექტრონული საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2018“-ით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება უზრუნველყოფს ჩვენს ქვეყანაში ელექტრონული ბიზნესის განვითარებასა და მდგრად ეკონომიკურ ზრდას.

ლიტერატურა:

1. ბერნარდ კრაბინა, პო-უენ ლიუ, მორტენ მეიერჰოფ-ნილსენი,ჯერემი მილარდი, პიტერ რეიხსტედტერი, მარია ა. ვიმერი „ციფრული საქართველო: ელექტრონული საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2018“

2. აბულაძე რატი, ელექტრონული მარკეტინგის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში. http://www.nplg.gov.ge/dlibrary/coll/0002/000628/

3. http://www.navigator.ge/ArticleView.aspx?Id=242

რეზიუმე

უკანასკნელ წლებში საქართველოში საკმაოდ გაიზარდა ელექტრონული ბიზნესით კომპანიების დაინტერესება. ელექტრონული ბიზნესის ტიპებიდან ძირითადად გავრცელებულია ბიზნეს-ვაჭრობის სფერო (B2B) და საცალო ვაჭრობის (B2C) სფერო. საქართველოში ელექტრონული ბიზნესის ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაძლიერება შესაძლებელია ბიზნესისთვის ელექტრონული სერვისების ოპტიმიზაციის გზით, მონაცემთა მიწოდების გამარტივებით, მთავრობისთვის სანებართვო განცხადებებით მიმართვის, საჯარო ტენდერისა და საჯარო შესყიდვების გაუმჯობესებით.

PROSPECTS OF ELECTRONIC BUSINESS DEVELOPMENT IN GEORGIA

Giuli Giguashvili, Professor
Manana Japiashvili, Teacher
Malkhaz Eliauri, Specialist by Contract

RESUME

In recent years, Georgia has increased the interest in e-business companies. Types of e-business mainly in the field of trade-business (B2B) and retail (B2C) area. Georgia to strengthen the effectiveness and efficiency of e-business to business e-services through optimization of data delivery easing, government statements to permit the application, with the improvement of the public tender and public procurement.

ბიზნესის ეთიკა და წარმატების საიდუმლო ბიზნესში

ლალი ოსაძე, ასოცირებული პროფესორი
მაკა სოსანიძე, ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე გლობალიზაცია განადგურებითა და წაშლით ემუქრება პატარა ქვეყნების ეროვნულ კულტურებს. ადამიანთა უფლებები და დემოკრატიზაცია კი ალიბია მხოლოდ ამ პოლიტიკის გასამართლებლად. გლობალიზაცია არღვევს ტრადიციულ სისტემებს და სიმბოლოებს და ამკვიდრებს ახალს - დროსა და სივრცეში შეუმოწმებელს. დღეს, კაცობრიობას თითქოს შეუნელდა სამყაროსთან ჰარმონიული ურთიერთობის განცდა. თანამედროვეობის რჩეული მოაზროვნეები ერთხმად აღიარებენ, რომ მესამე ათასწლეულში ადამიანს აუცილებლად ესაჭიროება - ზნეობა, სინდისი და სამართლიანობა.

ადამიანები ცდილობენ მოძებნონ თავისი სულის შესაბამისი საქმე, აამოქმედონ თავისი შინაგანი მონაცემები და შესაძლებლობები. ბიზნესი ყველაზე მეტად აძლევს ადამიანებს ამის საშუალებას, რადგან, ბიზნესი - ეს არის სამყარო საზღვრების გარეშე, სამყარო თავისი შეუვალი წესებითა და კანონებით. ის შემოქმედებითია და შესაცნობად რთული. ამიტომ ბიზნესში ზოგჯერ ჭკუა, ტალანტი, ენერგია მხოლოდ შესასვლელი კარებია. ფსიქოლოგები ადასტურებენ, რომ ფორტუნა თავის მადლს ჩუქნის იმას, ვინც ფლობს განსაზღვრულ, კონკრეტულ თვისებებს: ჰქონდეს უნარი, შეეგუოს სხვადასხვა სიტუაციას, იყოს აუცილებელ ადგილზე - შესაბამის დროს, შეეძლოს გავლენისა და უნარის კომბინირება. მაგრამ, მაინც, ბიზნესი ეს არის - მიიღო სწორი გადაწყვეტილება გაურკვევლობის შემთხვევაშიც კი. ჯერ კიდევ სოკრატემ „დიალოგებში“ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ეთიკა საკუთარი არსით პარადოქსულია. ეთიკის ფილოსოფიური საფუძველი ესაა კეთილისა და ბოროტის გაყოფა. მისი იდეის სიღრმე იმაში მდგომარეობს, რომ ეთიკის სწავლება არ შეიძლება. ასევე არ შეიძლება მისით, როგორც რაღაც აბსტრაქტული სისტემით ხელმძღვანელობა. შესაძლებელია მისი მხოლოდ განცდა. ეთიკა მხოლოდ იმის კოლექტიური „გამოსახულებაა“, რაც ჩვენ განვიცადეთ. შესაბამისად, საკუთარი მორალური პრინციპები რომ შეიმუშაოს, საზოგადოებამ ბევრი ცუდი და კარგი სიტუაცია უნდა გადალახოს. ცხადია, ეს მტკიცება ეხება ბიზნესსაც, როგორც საზოგადოების ნაწილს.

ის, რაც გუშინ ეთიკური იყო, ხვალ შესაძლოა უკვე აღარ იყოს ეთიკური. ნორმებზე დაფუძნებული ეთიკის შექმნის მცდელობები ახლაც მიმდინარეობს, მაგრამ კაცობრიობის მთელი გამოცდილება ადასტურებს, რომ ასეთი რაციონალური კონსტრუქცია ამუხრუჭებს საზოგადოების განვითარებას და ახლის დაბადებას უშლის ხელს. დღევანდელ გლობალიზებულ მსოფლიოში კომპანიები სულ უფრო და უფრო დიდ გავლენას ახდენენ ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ პროცესებზე. შესაბამისად, სულ უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს ბიზნესის პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე, ანუ კორპორატიული საზოგადოებრივი (სოციალური) პასუხისმგებლობა. თანამედროვე მსოფლიოში საზოგადოებას აინტერესებს არა მხოლოდ კომპანიის ბიზნეს-საქმიანობის საბოლოო შედეგები, არამედ ისიც, თუ როგორ ახორციელებს კომპანია თავის საქმიანობას: როგორ იხარჯება ბუნებრივი რესურსები, როგორია დამოკიდებულება დაქირავებული თანამშრომლების მიმართ, როგორ ზეგავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობა რეგიონისა და ადგილობრივი თემის/საზოგადოების განვითარებაზე და ა. შ. საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიღწევის საქმეში ბიზნესის გადამწყვეტი როლის გათვალისწინებით, საზოგადოება სულ უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს კომპანიებს, რათა მათ თავიანთი საქმიანობა აწარმოონ ეთიკურად, საზოგადოების სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ინტერესების გათვალისწინებით. ეთიკისა და სოციალური პასუხისმგებლობის მიხედვით, კორპორაცია ნებაყოფლობით და შეგნებულად სცდება მოგების მიღების თავდაპირველ ფუნქციას და დადებით ზეგავლენას ახდენს მის სამუშაო, სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე. არსებითად, ეს არის კომპანიის ახალი მნიშვნელობისა და როლის აღიარება, რომელსაც ის იძენს გლობალურ საზოგადოებაში საზოგადოების წინაშე.

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ცნება სიახლეა საქართველოსთვის, თუმცა ნელ-ნელა ის თავის ადგილს იმკვიდრებს საზოგადოების სხვადასხვა სექტორის ცნობიერებასა და ბიზნეს პრაქტიკაში. დღესდღეობით საქართველოში ბევრი ბიზნეს კომპანია, თავის შესაძლებლობებთან შეფარდებით, საკმაოდ დიდ ფულს ხარჯავს ქველმოქმედებასა და სხვადასხვა საზოგადოებრივად სასიკეთო საქმიანობებზე. თუმცა, ამგვარი ინიციატივები ხშირად უსისტემო, სპონტანურ ხასიათს ატარებს. ბოლო წლებში შეინიშნება უფრო სისტემურ, სტრატეგიულ მიდგომებზე და გრძელვადიანი, მდგრადი შედეგების მქონე დაგეგმილ საქმიანობაზე გადასვლის ტენდენცია. კომპანიები, რომლებსაც ქართული ბიზნესის ლიდერთა როლზე აქვთ პრეტენზია, აცნობიერებენ, რომ წარმატების მისაღწევად და კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად მათ უნდა იხელმძღვანელონ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტებით და აწარმოონ ანგარიშგება საზოგადოების წინაშე.

კომპანიათა უმრავლესობა, უმეტესწილად სწორად აფასებს კარგი კორპორატიული მოქალაქეობის მნიშვნელობას. ქართველი ბიზნესმენები საზოგადოებაში საკუთარ როლს საკმაოდ ფართოდ ხედავენ და ბიზნესის მასშტაბებთან შედარებით საკმაოდ მაღალ პასუხისმგებლობას აკისრებენ საკუთარ თავს საზოგადოების წინაშე. თუმცა, საჭიროა შემდგომი მუშაობის ჩატარება, რათა გაიზარდოს კომპანიების ინფორმირებულობა სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების ფორმებისა და მიმართულებების შესახებ, მათი შესაძლებლობები სოციალური პროექტების და საზოგადოებრივად სასიკეთო ინიციატივების უკეთესი დაგეგმვის, მართვის, შედეგების შეფასებისა და ანგარიშგების თვალსაზრისით. ბიზნესს ყოველთვის აქვს მიდრეკილება ცვლილებებისადმი, ამიტომ საჭიროა თვალყური ვადევნოთ სიახლეებს და გავითვალისწინოთ ბიზნეს-საქმიანობაში. XXI საუკუნეში იქმნება ბიზნესის ახალი კულტურა, რომლის საშუალებითაც, ადვილდება ურთიერთობები

ყველა კომპანიას უჩნდება საქმიანობის დასაწყისში კითხვა: განვითარდება თუ არა ეს ბიზნესი და მოუტანს თუ არა იგი შემოსავალს? ყველა ბიზნეს კომპანიას საქმიანობის დასაწყებად სჭირდება სოლიდური ბიზნეს-გეგმა. უმნიშვნელოვანესია ასევე ხარისხიანი პროდუქტი და მაღალი დონის მომსახურება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია თვითონ მეწარმის დამოკიდებულება საქმისადმი. გამოცდილი ადამიანები გვირჩევენ:

- **აუცილებლად იქონიეთ ლავირების უნარი.** ეს მოიცავს როგორც როგორც ბიზნესში ლავირების უნარს, ასევე პიროვნულ მოქნილობას, რომელიც ყველა მეწარმეს არ გააჩნია. დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენად შეგიძლიათ თქვენი ოცნება, რომელიც ამ შემთხვევაში თქვენს საქმიანობას უკავშირდება, რეალობას მოარგოთ, რომელიც თქვენს ოცნებებს არ ემთხვევა?

გახსოვდეთ, რომ ძალიან ხშირად ბიზნეს-იდეები მარცხს განიცდიან ხოლმე. წარმატებული კომპანიები კი უამრავჯერ ამუშავებენ იდეებს, რათა მივიდნენ საბოლოო, ყველაზე რაციონალურ ვერსიამდე.

- **დაიქირავეთ თანამშრომელი სამუშაო ეთიკის და არა ინტელექტის გამო.** აიყვანოთ თქვენზე ჭკვიანი თანამშრომელი, ეს რასაკვირველია, კარგი გადაწყვეტილებაა, მაგრამ ხშირად ეს ასე არ ხდება

ხოლმე, რადგან, როგორც წესი, უფროსები უმეტესად თავისზე შრომისმოყვარე თანამშრომლებს დაიქირავებენ ხოლმე. კომპანიის ლიდერი პირველი უნდა მიდიოდეს სამსახურში და ბოლო ტოვებდეს ოფისს. ამიტომაც, ასეთივე ადამიანების დაქირავება თქვენ და თქვენს კომპანიას დიდ წარმატებას მოგიტანთ.

- იცნობდეთ საკუთარ თავს. წარმატების მისაღწევად ასევე ძალზე მნიშვნელოვანია, რომ თავად მეწარმე იცნობდეს საკუთარ თავს ძალიან კარგად. სწორედ საკუთარ სისუსტეებსა და ძლიერ მხარეებზე დაყრდნობით უნდა შემოიკრიბოს მან ისეთი გუნდი, რომელიც მის დანაკლისს შეავსებს.

- სამუშაო გუნდის გადახალისების სურვილი. რაც უნდა ძლიერი გუნდი გყავდეთ, ცვლილებები კომპანიაში ძალიან სასარგებლოა, ის კომპანიას ზრდის. ასევე გააჩნია, რამხელა შემოსავლიან კომპანიაზეა საუბარი. იქნება ეს 1 მილიონიანი, 10 თუ 100 მილიონიანი კომპანია. ამის შესაბამისად, ბიზნესს სხვადასხვა უნარ-ჩვევების მქონე კადრები სჭირდება. როცა ლიდერი კარგად აწყობილ კომპანიაში კონკრეტულ მომენტში მძიმე და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებსაც იღებს, ეს ძალიან კარგად აისახება მომავალში კომპანიის საქმიანობასა და განვითარებაზე.

- ენდეთ მომხმარებელს. კარგი კომპანია ყოველთვის უსმენს თავის მომხმარებელს, ითვალისწინებს მის აზრს. მომხმარებლის ყველაზე ნეგატიური გამოხმაურებაც კი უნდა იქნეს გათვალისწინებული.

- ნუ გახდით ფულს ყველაზე მნიშვნელოვანს. ნამდვილი მეწარმისთვის ფული არაა ყველაზე მნიშვნელოვანი. ის უნდა იყოს ძალიან პასუხისმგებლიანი, ადამაინი, რომელიც არ მიატოვებს კომპანიას გასაჭირში და პირველ რიგში შექმნისა და მუშაობის პროცესით მიიღებს სიამოვნებას. რასაკვირველია, ასეთი ბიზნეს ლიდერები იშვიათია, რადგან ეს ყველაფერი მართლაც დიდ შრომას, ენერგიას და ბალანსის უნარს საჭიროებს.

ადამიანებს ახასიათებთ მიზიდულობის ტენდენცია იმათკენ, ვისაც უყვარს თავისი საქმე. ხალხს იზიდავს მათი ენთუზიაზმი, თავისებური ქარიზმა, ხარისხიანი შედეგებისკენ მდგრადი სწრაფვა... თვალის ერთი შევლებით ჩანს, რომ ადამიანი უბრალოდ კი არ ასრულებს თავის სამუშაოს, არამედ მასში სულს დებს და გულწრფელად სურს, რომ მათ, ვინც ყიდულობს იმას, რასაც იგი ქმნის, საუკეთესო ხარისხის საქონელი მიიღონ, რადგან ეს საქონელი თავად მის ნაწილს წარმოადგენს... დიდად სამწუხაროა, რომ დღეს ბაზარი გაჯერებულია ისეთი მეწარმეებით, რომლებიც რასაც აკეთებენ, იმიტომ კი არ აკეთებენ, რომ მოსწონთ, არამედ სრულიად სხვა მიზეზით. ფულის გულისათვის. ასეთი მეწარმეებისთვის საქონელი ფულის ნაკადის გენერაციის წყაროა და მეტი არაფერი. ის მათი ნაწილი არაა, ისინი არ განიცდიან საჭიროებას, სული შთაბერონ თავის საქმიანობას. იმდენად არიან მოგებაზე მიმართულები, რომ სიამოვნების მიღების საშუალებას კარგავენ. შედეგად, მათი მუშაობა კატორღად იქცევა, რომლის მიმართაც ინტერესი ეკარგებათ და ასრულებენ მხოლოდ იმიტომ, რომ აუცილებელია. არადა, ჯერ კიდევ კონფუცი ამბობდა, 500 წლით ადრე ჩვენს წელთაღრიცხვამდე: „აკეთეთ ის, რაც გინდათ, აკეთოთ და თქვენს ცხოვრებაში არასოდეს მოგიწევთ მუშაობა“. თავს ნებას მივცემ, დიდი მოაზროვნის ამ გამონათქვამის პერიფრაზი გავაკეთო: **„აკეთეთ ის, რისი კეთებაც გიყვართ და წარმატება თვითონ მოვა.“** აკეთო ის, რისგანაც სიამოვნებას იღებ, ნებისმიერი ბიზნესის წარმატების საიდუმლოა.

ადამიანები, რომლებიც სიამოვნებას იღებენ იმისაგან, რასაც აკეთებენ, თავისდა შეუმჩნევლად, უზარმაზარ რეკლამას უწევენ საკუთარ კომერციულ წინადადებას. როცა ადამიანს მოსწონს თავისი სამუშაო და სპეციალისტია იმისა, რითაც ფულს გამოიმუშავებს, დარწმუნებული იყავით, რომ თქვენი პრობლემების გადაჭრა მისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია და გაცილებით ძვირი უღირს, ვიდრე თქვენი ფული. თუ რაიმე არ გამოვა, ის ნემსის ყუნწში გაძვრება, რომ საქმე ბოლომდე მიიყვანოს. სავსებით გასაგებია, რომ ასეთ მეწარმეს კლიენტებთან და აუდიტორიასთან ბევრად უფრო მყარი და ნდობით გამსჭვალული ურთიერთობა ჩამოუყალიბდება, ვიდრე მათ, ვინც ბიზნესში ფულის გარდა ვერაფერს ხედავს. ისევე, როგორც საძულველი სამუშაო, ბიზნესიც, თუ მისგან სიამოვნებას არ იღებს, მეწარმეს ცხოვრების აზრს ართმევს. ბიზნესმენები, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობისგან სიამოვნებას ვერ ღებულობენ, როგორც წესი, მეტი ფულის გამომუშავებას ცდილობენ, რომ, როცა შესაფერი დრო დადგება, მთელი სისავსით დატკბნენ ცხოვრებით. ალბათ ზედმეტი იქნება იმაზე ლაპარაკი, რომ ადამიანები, რომლებიც სიამოვნებას იღებენ იმით, რასაც აკეთებენ, არა მარტო ადვილად და ძალდაუტანებლად შოულობენ ფულს... არამედ უზარმაზარ კმაყოფილებასაც განიცდიან საკუთარი საქმიანობის დადებითი შედეგების და კლიენტთა კმაყოფილი გამოხმაურებების მიღებით.

რეალური „უოლ სთრითის მგელი“, ჯორდან ბოლფორტი ნიუ-იორკში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ბიზნესმენად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ მის სახელს უამრავი სკანდალი უკავშირდება, დამწყებ ბიზნესმენს მისი პერსონისგან უამრავი რამის სწავლა შეუძლია.

1. არასოდეს მიიღოთ „არა" როგორც პასუხი.

2. დააპროგრამეთ საკუთარი თავი წარმატებაზე.
3. გაყიდეთ სარგებელი.
4. ყოველი წარმატების შემდეგ თქვენს თანამშრომლებს „გიჟური დასვენება" მოუწყეთ.
5. დამუხტეთ თანამშრომლები წარმატებაზე.

კარიერული წარმატებისა და ბიზნეს-საქმიანობაში განვითარებისთვის ყველა სიკეთესთან ერთად ძალიან დიდი ძალისხმევა, მოთმინება და შრომაა საჭირო.

ლიტერატურა:

1. ლ. დოლიკაშვილი, ლ. დანელაშვილი, გ. ჯოლია, და სხვ., ეტიკეტი და კორესპონდენცია, სახელმძღვანელო, თბ., 2012.
2. მ. ქირთბაია, ბიზნესის ეთიკა, თბ., 2008.
http://www.successdoctor.com
http://www.infobiz.ge/prezent.

რეზიუმე

მესამე ათასწლეულში ადამიანს აუცილებლად ესაჭიროება - ზნეობა, სინდისი და სამართლიანობა. საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიღწევის საქმეში ბიზნესის გადამწყვეტი როლის გათვალისწინებით, საზოგადოება სულ უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს კომპანიებს, რათა მათ თავიანთი საქმიანობა აწარმოონ ეთიკურად, საზოგადოების სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ინტერესების გათვალისწინებით. ქართველი ბიზნესმენები საზოგადოებაში საკუთარ როლს საკმაოდ ფართოდ ხედავენ და ბიზნესის მასშტაბებთან შედარებით საკმაოდ მაღალ პასუხისმგებლობას აკისრებენ საკუთარ თავს საზოგადოების წინაშე. თუმცა, საჭიროა შემდგომი მუშაობის ჩატარება, რათა გაიზარდოს კომპანიების ინფორმირებულობა სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების ფორმებისა და მიმართულებების შესახებ, მათი შესაძლებლობები სოციალური პროექტების და საზოგადოებრივად სასიკეთო ინიციატივების უკეთესი დაგეგმვის, მართვის, შედეგების შეფასებისა და ანგარიშგების თვალსაზრისით. XXI საუკუნეში იქმნება ბიზნესის ახალი კულტურა, რომლის საშუალებითაც, ადვილდება ურთიერთობები.

კონფუცი ამბობდა: „აკეთეთ ის, რაც გინდათ, აკეთოთ და თქვენს ცხოვრებაში არასოდეს მოგიწევთ მუშაობა“. სამწუხაროა, რომ დღეს ბაზარი გაჯერებულია ისეთი მეწარმეებით, რომლებიც რასაც აკეთებენ, იმიტომ კი არ აკეთებენ, რომ მოსწონთ, არამედ სრულიად სხვა მიზეზით, ფულის გულისათვის. აკეთო ის, რისგანაც სიამოვნებას იღებ, ნებისმიერი ბიზნესის წარმატების საიდუმლოა.

BUSINESS ETHICS AND BUSINESS SUCCESS

Lali Osadze, Associate Professor
Maka Sosanidze, Associate Professor

RESUME

In the third millennium, people will need - morality, conscience and justice. Taking into consideration the business decisive role in achieving the public welfare, the society has great demands on the companies to carry out their activities ethically, socially, economically and environmentally-friendly. Georgian businessmen see their role in the society and compared to business scope they have rather high responsibility before the society. However, further work must be carried out in order to increase the companies' awareness of the forms and directions of social responsibility, their opportunities for better planning of social projects and socially beneficial initiatives from the point of view of management, evaluation, and reporting. A new form of business culture is being created in the XXIcentury, which makes the relations easier.

ინტერნეტ-მარკეტინგი საქართველოში

***სოფიო ცეცხლაძე**, მოწვეული სპეციალისტი*
***ლალი ოსაძე**, ასოცირებული პროფესორი*

თანამედროვე ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა გააერთიანა და დააკავშირა მთელი პლანეტა, ხელი შეუწყო ადამიანების გაცნობა-დამეგობრებას, საქმიანი კავშირების განვითარებას, სამეცნიერო პოტენციალის რეალიზებას და ერებს შორის პოლიტიკური ურთიერთობების მოგვარებას. მისი მეშვეობით შესაძლებელი გახდა ფინანსური კაპიტალის, საწარმოო და შრომითი რესურსების, აგრეთვე ინფორმაციის მიმოქცევა მსოფლიო მასშტაბით დროის უმცირეს მონაკვეთში. სწორედ ელექტრონული ტექნოლოგიები, უწინარეს ყოვლისა, კი ინტერნეტი, როგორც გლობალური ქსელი და ურთიერთდაკავშირებული კომპიუტერების ერთიანობა, გახდა კაცობრიობის განვითარების საფუძველი, რომელმაც შეცვალა მსოფლიოს ხალხთა ცხოვრება, ურთიერთობა და, შესაბამისად, ბიზნესიც. საზოგადოების კომპიუტერიზაცია და ინტერნეტიზაცია იქცა სტრატეგიულ რესურსად, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნების განვითარებას. ინფორმაციის გარეშე შეუძლებელი გახდა ცოცხალი მატერიის არსებობა და განვითარება. კაცობრიობაზე ელექტრონული ტექნოლოგიების გავლენამ შეცვალა წარმოების და მომსახურების პროცესი, ადამიანთა ცხოვრების წესი, აზროვნება.

თანამედროვე ეტაპზე ინფორმაცია გვევლინება როგორც ძალა, ხოლო ინფორმაციული ტექნოლოგიის განვითარება ქვეყნის განვითარების ინდიკატორად მიიჩნევა. ინტერნეტი განაპირობებს მსოფლიო სამეურნეო პროცესებში მჭიდრო ინტეგრაციას, აგრეთვე ქსელური ეკონომიკის, ელექტრონული ბაზრის, კონკურენტული და გამჭვირვალე ბიზნეს-გარემოს, საინვესტიციო წყაროების გავრცელებას და დამკვიდრებას. იგი არის აბსოლუტურად თავისუფალი, არაკონტროლირებადი, უპრინციპო და ანონიმური, ცენზურის და რედაქტირების გარეშე არსებული სივრცე. მისი ინფრასტრუქტურის მართვაზე ზრუნავენ მსოფლიო-სახელმწიფოები: მთავრობის, კერძო სექტორის და საზოგადოებრივ გაერთიანებათა სწავლული ექსპერტები. ინტერნეტ-სივრცეში ხდება ბიზნეს-საქმიანობის პოტენციალის გამოვლენა, ახალი სახის ეკონომიკური პროდუქტების მიმოქცევა, წარმოების პროცესების რეალიზება, მარკეტინგი, ვაჭრობა, ანგარიშსწორება, მონაცემთა გაცვლა, კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენება და კომუნიკაციური კულტურის შექმნა, ჩვეულებრივი თუ საერთაშორისო მეცნიერული კომუნიკაციების, ასევე ინტერნეტ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების ჩამოყალიბება. ინტერნეტმა მოახდინა მარკეტინგის ტრანსფორმირება, რომელმაც მოიტანა ახალი თავისებურებანი, მახასიათებლები და უპირატესობანი. ყოველივე ამან კი მიგვიყვანა მარკეტინგის განვითარების ახალ ეტაპზე.

ელექტრონული მარკეტინგი, როგორც მეცნიერება, წარმოიშვა ინტერნეტის ქსელის განვითარებასთან ერთად. ინტერნეტ-ქსელისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გავრცელებამ ხელი შეუწყო ამ ახალი მიმართულების წარმოქმნას. ინტერნეტი და ინფორმაციული ტექნოლოგიები გახდა ძირითადი სფერო მარკეტინგული ცოდნის გამოყენებისათვის, რომლის განვითარებასთან ერთად ვითარდება ელექტრონული მარკეტინგის მეცნიერებაც. ელექტრონული მარკეტინგის, როგორც საქმიანი აქტივობის გამოყენების თავისებურებას წარმოადგენს „ნდობის სინდრომის“ შექმნა, კონკურენციული ბრძოლის სისწრაფე და პრაგმატული გათვლა, მომხმარებელთა მოპოვების მაქსიმალიზაცია, მოთხოვნილების ბუნების ცვალებადობის მართვა, მოთხოვნის შესახებ ინფორმაციის მუდმივი მოპოვება და ანალიზი, აგრეთვე კომპანიის ადაპტაცია მომხმარებელთა მოთხოვნებზე. ელექტრონულმა მარკეტინგმა მოახდინა ახალი ეკონომიკური სივრცის ფორმირება. ამ ახალ ეკონომიკურ სივრცეში წარმოიშვა ისეთი ეკონომიკური საქმიანობა, როგორიცაა, ელექტრონული კომერცია და ელექტრონული ვაჭრობა. ელექტრონულ ვაჭრობას აქვს მრავალი უპირატესობა როგორც მყიდველის, ისე გამყიდველისათვის. ელექტრონული კომერციის საერთო მოცულობის მნიშვნელოვანი წილი უჭირავს სამრეწველო ვაჭრობას და საცალო ვაჭრობას ხოლო ბიზნესის სხვა კატეგორიები ნაკლებად განვითარებულია და შესაბამისად მათი ბრუნვის მასშტაბები მცირეა. კომპიუტერმა შეცვალა მსოფლიო ეკონომიკური პროცესები, ინფრასტრუქტურა, საქმიანი გარემო, ურთიერთდამოკიდებულება მსოფლიო მასშტაბით, დააჩქარა გლობალიზაციის პროცესები და გახდა კულტურის და პროგრესის ძრავა.

ინტერნეტ-მარკეტინგი არის ძალიან ინოვაციური და მსოფლიოში ცნობილი სფერო, რომელიც საქართველოში უკვე ინერგება. ევროპასა და ამერიკაში ყოველ წელს ინტერნეტის მეშვეობით იყიდება

ათობით მილიარდი დოლარის ღირებულების პროდუქტი და მომსახურება. ამასთან, გაყიდვები ყოველ წელს უდიდესი ტემპებით მატულობს, რაც მიანიშნებს ამ სფეროს ინოვაციურობასა და წარმატებულობაზე.

თანამედროვე კომპიუტერულმა საშუალებებმა რადიკალურად შეცვალა მსოფლიოს სურათი საზოგადოების საქმიანობის ყველა სფეროში - სახელმწიფო მართვა, თავდაცვა, ეკონომიკა, კულტურა, განათლება და სხვა. საზოგადოების კომპიუტერიზაცია იქცა ქვეყნის რესურსად, მსოფლიოს მასშტაბით იზრდება ინფორმაციულ სფეროში დასაქმების წილი. თანამედროვე მყიდველის პროფილი და ქცევა სხვადასხვა ქვეყანაში განისაზღვრება საკომუნიკაციო ქსელების განვითარებითა და პერსონალური კომპიუტერების გავრცელებით. საინფორმაციო სისტემების ეფექტიანობის თვალსაზრისით, კომპანია მაშინაა განვითარებული, რაც ნაკლებია სხვაობა თანამშრომელთა და კომპიუტერის რაოდენობას შორის.

კომპიუტერული ინდუსტრია ჩამოყალიბდა და განვითარდა სწრაფად, დღეისათვის კომპიუტერული პარკი ითვლის 1 მლრდ კომპიუტერს, პერსონალური კომპიუტერის მსოფლიო მიწოდება შეადგენს 239,4 მლნ ერთეულს. კომპიუტერის ბაზარი, სეგმენტი და აუდიტორია, კომპიუტერის საათობრივი, დღიური და ყოველთვიური მოხმარება ერთობლიობაში წარმოადგენს სექტორის დედაარსს, რაც მთლიანობაში მეტყველებს პერსონალური კომპიუტერების უმნიშვნელოვანეს როლზე და საზოგადოების კომპიუტერიზაციაზე. მსოფლიო ინტერნეტ-ინფრასტრუქტურა და მისი რესურსები სულ უფრო იზრდება. კომპიუტერებისა და ქსელური ტექნოლოგიების შეუწყვეტელ ევოლუციასთან ერთად გამუდმებით იზრდება ინტერნეტ-მომხმარებელთა რაოდენობაც. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ საერთაშორისო ინტერნეტ-აუდიტორიის ზრდა პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოების განვითარებასთან.

ქართული ელექტრონული კომუნიკაციების სეგმენტი გამოირჩევა ეკონომიკური მიმზიდველობით, საკომუნიკაციო დარგის და ინტერნეტ-პროვაიდერების შემოსავლები, ბაზარზე მოქმედი კომპანიები, მომხმარებლები, 2001 წლიდან მოყოლებული, ხასიათდება ყოველწლიურად ზრდის ტენდენციით. ქართული ინტერნეტ-ბაზრის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ინტერნეტის აქტიური აუდიტორია შედგება 15-დან 45 წლამდე ასაკობრივი ჯგუფისაგან, რომლებიც შეადგენენ მთლიანი ინტერნეტ-აუდიტორიის 95 %-ს. ხოლო ინტერნეტ-მომხმარებელთა ბირთვის 77 % არის სტუდენტი და უმაღლესი განათლების მქონე. საქართველოში ინტერნეტით და კომპიუტერით სარგებლობა ძირითადად წარმოდგენილია სამსახურის და სახლის ინტერნეტ-არხებით, შედარებით ნაკლებია სასწავლო დაწესებულებების, ინტერნეტ-კაფეს, ბიბლიოთეკით და სხვა გზების მეშვეობით ინტერნეტის და კომპიუტერის მოხმარება გარკვეული საქმიანობისათვის. ქართველი ინტერნეტ-მომხმარებლები უპირატესობას ანიჭებენ ციფრულ სააბონენტო ხაზს DSL-ს, ხოლო ინტერნეტ-კავშირის მუშაობის ხარისხზე, ინტერნეტ-მომხმარებელთა დაკმაყოფილების და ლოიალობის დონე, მთლიანობაში დადებითია.

საქართველოს ინტერნეტ-მომხმარებელთა ბაზრის ჩამოყალიბების პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ, ბოლო 10-15 წელი, თუმცა ძირითადი სეგმენტის შექმნას უფრო ნაკლები ისტორია აქვს. მომხმარებლების ძირითადი ნაწილი (83 %) ინტერნეტით სარგებლობს „ყოველდღე“ და „ხშირად“, დღე-ღამეში საშუალოდ 1-4 საათი, ხოლო კომპიუტერის მოხმარების ინტენსივობის კვლევამ აჩვენა, მას ყოველდღიურად იყენებს 1-8 საათის განმავლობაში. ინტერესის სფეროებია ელექტრონული ფოსტის გაგზავნა/მიღება, ინფორმაციის ძიება/დათვალიერება, გასართობი და ვიდეო-აუდიო ფილმებით სარგებლობა და სხვა. საქართველოში ელექტრონული ბიზნესის პერსპექტივები განისაზღვრება ელექტრონული საგადასახადო სისტემების განვითარების დონით, რომელიც მოიცავს პლასტიკური ბარათების ბაზარს და მასთან დაკავშირებულ ყოველგვარ გაანგარიშების ფორმებს. ეს პერსონიფიცირებული საგადასახადო ინსტრუმენტი - პლასტიკური ბარათები საქართველოსათვის წარმოადგენს განვითარების ძირითად მამოძრავებელ ძალას გლობალური ელექტრონული ბაზრის სახით. ქართველი ინტერნეტ-მომხმარებლების აქტივობა ელექტრონულ ბაზარზე გვიჩვენებს, რომ ძირითადი ინტერესის სფეროს წარმოადგენს ინტერნეტ-მაღაზია, ინტერნეტ-ბანკი, გადასახადების გადახდა, აუქციონი, ბილეთების დაჯავშნა.

საქართველოში ელექტრონული ბაზრის განვითარების შესწავლაში საინტერესო სეგმენტია ქართული ვებ-გვერდების ბაზარი, რომელიც საკმაოდ სწრაფად ვითარდება და იხვეწება, ხდება ინფორმაციული და პოპულარული. აღსანიშნავია, კონკრეტული უარყოფითი მხარეები და პრობლემები, რომლებიც დამახასიათებელია ქართული ვებ-გვერდების ბაზრისთვის, მაგრამ, უნდა

აღინიშნოს, რომ საქართველოს ინტერნეტ-ბაზრის განვითარების ტენდენციები საკმაოდ მაღალია და მისი განვითარება ხელს შეუწყობს მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში ქვეყნის ჩართვას.

ონლაინ-მარკეტინგი განსაკუთრებით მიმზიდველია მცირე ბიზნესის ორგანიზაციებისთვის, რომლებსაც დიდი ბიუჯეტი არ გააჩნიათ მარკეტინგული ხარჯებისთვის. სწორედ ონლაინ მარკეტინგით შეძლეს უცხოურ ბაზარზე მცირე კომპანიებმა, კონკურენცია გაეწიათ მათზე დიდი კომპანიებისთვის. თუმცა, დიდი კომპანიებისთვისაც ძალზე მოსახერხებელია ონლაინ მარკეტინგი, ვინაიდან, ბიზნეს-პრაქტიკიდან გამომდინარე, კომუნიკაციის ელექტრონული ფორმების გამოყენება საგრძნობლად ამცირებს ორგანიზაციულ, დროით და ბიზნესის მთლიანი ინფრასტრუქტურის (რეკლამა, პიარი, შეკვეთების გაფორმება და ა.შ.) ხარჯებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ მიმზიდველი სფეროა ინფომარკეტინგი, თუმცა, საქართველოში ეს ნიშა სრულებით თავისუფალია. ინფოპროდუქტების შექმნა და რეალიზება უცხოურ ბაზარზე საკმაოდ აქტუალურია და ამ სფერომ საკმაოდ დიდი წარმატებით მოიკიდა ფეხი განვითარებულ ქვეყნებში, შესაბამისად, შექმნილია სპეციალური ვებ-გვერდები, სადაც ინფოპროდუქტის შემქმნელებს შეუძლიათ განათავსონ საკუთარი პროდუქტები, ხოლო მსურველები კი, გარკვეული პროცენტის სანაცვლოდ, ხდებიან ამ პროდუქტის დისტრიბუტორები (მაგალითი: საიტი www.clickbank.com), ასეთი ხელშეწყობით კი ინფომარკეტინგი საკმაოდ აქტუალურ და მომგებიან სფეროდ ჩამოყალიბდა.

საქართველოში, ჯერჯერობით, რაც ყველაზე კარგად მუშაობს, ეს გახლავთ საბანერო რეკლამა, ასევე Facebook მარკეტინგი და ვფიქრობ, ინფოპროდუქტებიც კარგად იმუშავებს. ინფომარკეტოლოგი ეძებს მიზნობრივ აუდიტორიას, იქნება ეს სოციალური ქსელები, ფორუმები, იმეილი თუ, ონლაინში ყველა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი და სხვადასხვა საშუალებები, მაგრამ საძიებო სისტემებში საიტის ოპტიმიზაცია (SEO) , ყველაზე უმთავრესია.

Search Engine Optimization, (SEO), ეს გახლავთ საძიებო სისტემებში კონკრეტულ ფრაზებზე საიტის ოპტიმიზაცია, რაც პირდაპირ მიზნობრივ აუდიტორიაზე გასვლას ნიშნავს, შემდეგ უპირატესობას Facebook მარკეტინგს ანიჭებენ, თუმცა არანაკლებ ეფექტურია იმეილ მარკეტინგი, ფორუმ მარკეტინგი, არტიკლ მარკეტინგი (იგულისხმება საკუთარ ბლოგზე სამოტივაციო სტატიები) და სხვადასხვა აქტივობები.

ინტერნეტ-რეკლამაში უპირატესობა ენიჭება PPC (Pay-Per-Click) სისტემას. (PPC სახეობებია google AdWords, facebook ads, adspay), რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია გეოგრაფიულად, სქესის, ასაკის და სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით განვსაზღვროთ მიზნობრივი აუდიტორია.

კარგ ინტერნეტ-მარკეტოლოგს ზოგადად უნდა უყვარდეს ინტერნეტი, სიახლეების კითხვა, იყოს ყოველთვის ახლის ძიებაში, აკვირდებოდეს სხვების აქტივობებს, შეეძლოს ონლაინ იმიჯის შექმნა, რაც გულისხმობს მომხმარებლებთან კეთილგანწყობილი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, უნდა ერკვეოდეს ტექნიკურ საკითხებში, როგორიცაა: ბლოგის შექმნა, ვიდეო/აუდიო/ფოტო მასალის დამუშავება და სხვა.

ინტერნეტ-მარკეტინგში გადმოტანილია რეალური მარკეტინგული კომუნიკაციები, რომლებიც დამუშავებულია მულტიფუნქციურ სისტემის ფარგლებში, რომლის ფუნქციაცაა, ისევე როგორც კომპანიაში მომუშავე მარკეტოლოგის მოვალეობაა, შექმნას, შეარჩიოს ბაზარი და შესთავაზოს მომხმარებელს არსებული პროდუქცია/მომსახურება. ანუ ნებისმიერ შემთხვევაში გვიწევს მომხმარებლებთან ურთიერთობა. ამიტომ უნდა ვიცოდეთ საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები, რა სურს საზოგადოებას, როგორ შევთავაზოთ არსებული პროდუქტი, როგორ მოვიწვიოთ ჩვენ საიტზე, როგორ გავხადოთ მომხმარებლები მყიდველუნარიანები, როგორ დავამყაროთ ემოციური კავშირი მომხმარებლებთან, როგორ დავაფიქროთ და როგორ დავრჩეთ მათ მეხსიერებაში დიდი დროით და ა.შ. ანუ ჩვენს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში (სტატიები, პროდუქციის შეთავაზება, Review და სხვა.) მომხმარებლებში უნდა აღვძრათ შემდეგი: ყურადღება – ინტერესი–სურვილი – მოქმედება. კომპონენტთა ურთიერთგადაჯაჭვულობაში პროდუქტი იქცევს შემსყიდველის ყურადღებას, ჩნდება ინტერესი, შემდგომ სურვილი და სრულდება მოქმედებით, რაც ითვალისწინებს პროდუქტის ყიდვას.

ამრიგად, ინტერნეტ-მარკეტინგში წარმატების მიღწევისათვის მნიშვნელოვანია ვერკვეოდეთ ტრადიციული მარკეტინგის, პიარის და რეკლამის თეორიებში. რის შემდეგაც შეძლებთ მოვახდინოთ პროდუქციის/მომსახურების წარმატებული რეალიზება, ანუ უნდა მოვახდინოთ ერთგვარი შეფუთვა არსებული მომსახურების/პროდუქციის. უკიდურეს შემთხვევაში კი უნდა დავაკვირდეთ სხვებს თუ როგორ ახერხებენ ამ ყოველივეს და მივყვეთ მათ კვალდაკვალ. თუმცა სხვის მიერ გაკვალულ გზაზე სიარული დროებითი წარმატებაა, ჩვენ უნდა ვიყოთ ინოვაციურები, კრეატიულები და მომხმარებლებს

უნდა წარვუდგეთ განსხვავებული სახით, რაც საგრძნობლად გაზრდის გაყიდვებს ნებისმიერი ტიპის ბიზნესისათვის.

ლიტერატურა:

1. გ. არმსტრონგი, ფ. კოტლერი, მარკეტინგის საფუძვლები, თბ., 2006.
2. გ. შუბლაძე., ბ. მღებრიშვილი., მ. ნანიტაშვილი, მარკეტინგის საფუძვლები, თბ., 2009.
3. ნ. თოდუა., ბ. მღებრიშვილი, მარკეტინგის საფუძვლები, თბ., 2009.
4. Котлер Ф., Армстронг Г., Основы маркетинга, 12 е изд. Пер с англ., М., 2009.
http://www.statistics.ge/
http://www.internetworldstates.com
www.marketingpower.com
www.social-marketing.com

რეზიუმე

ელექტრონული ტექნოლოგიები, უწინარეს ყოვლისა, კი ინტერნეტი, როგორც გლობალური ქსელი და ურთიერთდაკავშირებული კომპიუტერების ერთიანობა, გახდა კაცობრიობის განვითარების საფუძველი, რომელმაც შეცვალა მსოფლიოს ხალხთა ცხოვრება, ურთიერთობა და, შესაბამისად, ბიზნესიც.

ინტერნეტ-მარკეტინგი არის ძალიან ინოვაციური და მსოფლიოში ცნობილი სფერო, რომელიც საქართველოში ინერგება. ევროპასა და ამერიკაში ყოველ წელს ინტერნეტის მეშვეობით იყიდება ათობით მილიარდი დოლარის ღირებულების პროდუქტი და მომსახურება.

საქართველოს ინტერნეტ-მომხმარებელთა ბაზრის ჩამოყალიბების პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ, ბოლო 10-15 წელი და ხასიათდება ყოველწლიურად ზრდის ტენდენციით.

ინტერნეტ-მარკეტინგში გადმოტანილია რეალური მარკეტინგული კომუნიკაციები, რომლებიც დამუშავებულია მულტიფუნქციურ სისტემის ფარგლებში, რომლის ფუნქციაცაა, ისევე როგორც კომპანიაში მომუშავე მარკეტოლოგის მოვალეობაა, შექმნას, შეარჩიოს ბაზარი და შესთავაზოს მომხმარებელს არსებული პროდუქცია/მომსახურება.

INTERNET MARKETING IN GEORGIA

Sophio Tsetskhladze, Specialist by contract
Lali Osadze, Associate professor

RESUME

Electronic technologies, and mainly the Internet, as a global network and unity of connected computers, became the basis of development of humanity changing people’s lives, relations and business in the world.

Internet marketing is very innovative and worldwide famous area, and it is establishing in Georgia as well. Every year production and services are sold of Tens of billions of dollars in cost in Europe and the US.

The period of establishing the internet-user market in Georgia is considered the last 10-15 years. It is constantly increasing.

Real marketing communications are transferred to internet marketing, that are processed in the frames of multifunction system, and its function, as well as the function of marketers working in the companies, is to establish select market and offer the customers production/service.

დანახარჯთა მენეჯმენტის კონცეფცია ბუღალტრულ აღრიცხვაში

თინა ჯოლბორდი, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

ბიზნესის წარმატება დამოკიდებულია საწარმოში მოგების ზრდაზე. ფირმების ძირითადი მიზანია მოგების მიღება, რომელიც გამოითვლება, როგორც სხვაობა შემოსავლებსა და დანახარჯებს შორის. შესაბამისად, დანახარჯების შემცირების სტრატეგია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია საწარმოთა ფინანსურ მენეჯმენტში.

ფირმის დანახარჯების შესახებ მრავალი კონცეფცია არსებობს. შესაბამისად, ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია დანახარჯების სხვადასხვა კონცეფცია. ეკონომიკურ თეორიაში ეკონომისტები განასხვავებენ ეკონომიკურ და საბუღალტრო მოგებას. გრეგორი მენქიუს განმარტებით, ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, რომ ნივთის დანახარჯი არის ის, რასაც ვთმობთ ამ ნივთის ფლობის სანაცვლოდ.[1] ამდენად, როცა ეკონომისტები საუბრობენ ფირმის წარმოების დანახარჯების შესახებ, გულისხმობენ ფირმის მიერ საქონლის და მომსახურების წარმოების ყველა ალტერნატიულ დანახარჯს. წარმოების ალტერნატიული დანახარჯები შეიძლება იყოს ცხადი და არაცხადი. შესაბამისად ეკონომისტების შესწავლის საგანია, თუ როგორ იღებენ ფირმები გადაწყვეტილებებს წარმოების და ფასდადების შესახებ, ამიტომ დანახარჯების დათვლისას ითვალისწინებენ ყველა ალტერნატიულ დანახარჯს. ბუღალტრები კი ითვლიან მხოლოდ ფულის შემოსავლის და გასავლის ცხად დანახარჯებს და ხშირად უგულებელყოფენ არაცხად დანახარჯებს. ეკონომისტები ითვალისწინებენ როგორც ცხად, ისე არაცხად ალტერნატიულ დანახარჯებს. ვინაიდან ეკონომისტები და ბუღალტრები დანახარჯებს სხვადასხვანაირად ითვლიან, ისინი მოგებასაც სხვადასხვანაირად ანგარიშობენ. ეკონომისტები ფირმის ეკონომიკურ მოგებას განსაზღვრავენ, როგორც სხვაობას ფირმის მთლიან შემოსავალსა და გასაყიდი საქონლის ან მომსახურების ყველა ალტერნატიულ (ცხად და არაცხად) დანახარჯს შორის. ბუღალტერი ფირმის ეკონომიკურ მოგებას განსაზღვრავს, როგორც სხვაობას შემოსავლებსა და ცხად დანახარჯებს შორის, ამიტომ ეკონომიკური და საბუღალტრო მოგების სიდიდეები ერთმანეთისგან განსხვავდება.

ეკონომიკურ ლიტერატურაში მიიჩნევენ, რომ არ არსებობს დანახარჯების გამოთვლის უნივერსალური გზა და „სხვადასხვა დანახარჯი განკუთვნილია სხვადასხვა მიზნისთვის“.[2]

ეკონომიკურ ლიტერატურაში ასევე განასხვავებენ დანახარჯების სახეებს მათი ქცევის მიხედვით. დანახარჯების ქცევა ნიშნავს, თუ როგორ რეაგირებენ დანახარჯები წარმოების მოცულობის ცვლილებაზე. ბუღალტრები დანახარჯების ქცევის კონცეფციას იყენებენ პროდუქციის თვითღირებულების გამოსათვლელად, ხოლო გადაწყვეტილების მიმღები პირები, მენეჯერები – სასურველი მოგების მისაღებად საჭირო დანახარჯების დაგეგმვისათვის.

დანახარჯები ქცევის მიხედვით კლასიფიცირდება მუდმივ და ცვალებად ხარჯებად. მუდმივია ხარჯები, რომლებიც არ იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებასთან ერთად. ცვალებადია ხარჯები, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებასთან ერთად.

ზოგიერთი ავტორი (ი. ჭილაძე) დანახარჯებს დამატებით ყოფს ნახევარცვლად და საფეხურებრივად ცვლად დანახარჯებად.[3]

ცვლადია დანახარჯი, რომლებიც მთლიანობაში წარმოების მოცულობის ცვლილების პროპორციულად იცვლებიან, ესენია: პირდაპირი (ძირითადი) მასალის ხარჯი და პირდაპირი (ძირითადი) შრომის ხარჯი.

ნახევრადცვლადია (შერეული) დანახარჯი, რომლებიც მუდმივ და ცვალებად ხარჯებს შეიცავენ.

საფეხურებრივად ცვლადია დანახარჯები, რომლებიც მუდმივი რჩება წარმოების ერთ დიაპაზონში, შემდეგ ნახტომისებურად იცვლება წარმოების ახალ დიაპაზონში და მუდმივი რჩებიან მანამ, სანამ წარმოების მოცულობა კვლავ მნიშვნელოვნად არ შეიცვლება.

თანამედროვე სამმართველო ბუღალტერიაში მნიშვნელოვანია დანახარჯების კონცეფცია პროდუქციის დანახარჯთა ფორმისა და ფოკუსირების თვალსაზრისით, ეს თემა ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ნაკლებადაა განხილული და მეტ გაანალიზებას საჭიროებს. სამმართველო აღრიცხვის

---

[1] გ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომც. „დიოგენე“, 2000, გვ. 6

[2] ე. ა. ატკინსონი, რ. ს.კაპლანი, ე. მ. მათსუმარა, ს. მარკ იანგი, მმართველობითი აღრიცხვა, თბ., გამომც. „საქართველოს მაცნე“, 2009, გვ. 3

[3] ი. ჭილაძე, მმართველობითი აღრიცხვა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2012, გვ. 37.

ცნობილი მეცნიერები ენტონი ა. ატკინსონი, რობერტ ს. კაპლანი, ელა მეა მათსუმარა, ს. მარკ იანგი დანახარჯებს განიხილავენ პროდუქციის დანახარჯთა ფორმისა და ფოკუსირების ასპექტით და თვლიან, რომ ფინანსური და სამმართველო აღრიცხვის სპეციალისტებმა განსხვავებულად უნდა განიხილონ პროდუქციის თვითღირებულება, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ ფინანსურ და სამმართველო აღრიცხვას გააჩნიათ სხვადასხვა მიზნები. პროდუქციის თვითღირებულების დანახარჯების განხილვა ფინანსური აღრიცხვის თვალსაზრისით გამომდინარეობს ინფორმაციის მომხმარებელთა მიზნიდან. კომპანიები ამზადებენ ფინანსურ ანგარიშგებას დაინტერესებული მხარეების: თანამშრომლების, კრედიტორებისა და მთავრობისათვის. ფინანსური ანგარიშგების მიზანია გარეშე პირებს მიაწოდონ სწორი და სათანადო მეთოდით დამუშავებული ინფორმაცია, რომლის საშუალებითაც ხდება კომპანიის საქმიანობისა და მისი მართვის შეფასება. ინფორმაციის გარე მომხმარებლის ძირითადი მოთხოვნაა სააღრიცხვო მონაცემების შესაბამისობა (დროში) და შესადარისობა (ორგანიზაციებს შორის). ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საწარმოს მიმდინარე საქმიანობა (მოგება-ზარალის ანგარიშგება – ანგარიშგება შემოსავლების და ხარჯების შესახებ), ინფორმაცია აქტივების და ვალდებულებების შესახებ (ბალანსი), ფინანსური ოპერაციები (ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში). კონკრეტულად არავინ იცის ზუსტად, თუ როგორ იყენებენ ამ ციფრებს ინვესტორები, კრედიტორები და სხვა პირები, მაგრამ არსებობს საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები, რომელიც განსაზღვრავენ ფინანსური ანაგარიშგების ფორმებს, სტრუქტურას და ძირითად მიმართულებებს და ამას ითვალისწინებენ ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას.

ფინანსურ ანგარიშგებაში აქცენტი ძირითადად კეთდება ხარჯების გამოთვლაზე, შესაბამისობის და შესადარისობის პრინციპებზე და ნაკლები ყურადღება ეთმობა იმას, თუ როგორ შეიძლება გამოითვალოს დანახარჯები უკეთესი მეთოდით მენეჯერების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან მიმართებაში. GAAP-ის შედეგს წარმოადგენს დანახარჯების შესაბამისი კალკულაცია დროის ფაქტორისა და სხვადასხვა ორგანიზაციების მონაცემების შესადარისობასთან მიმართებაში. იგი არ ასახავს დანახარჯებს, რომელიც უფრო მისაღები იქნებოდა გადაწყვეტილების მიზნიდან გამომდინარე. ამრიგად, ინფორმაციის გარე მომხმარებლისთვის გამოთვლილი დანახარჯები წარმოადგენს საწყის ღირებულებას და გამოითვლება სტანდარტული გზით სპეციალური წესების დაცვის საფუძველზე, რომელიც დადგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით. მაგალითად, ფინანსური აღრიცხვის სპეციალისტები იყენებენ აქტივის საწყის ღირებულებას ანუ თვითღირებულებას, რათა დაადგინონ თუ როგორ იქნა დახარჯული საწარმოს ფინანსური სახსრები. სამმართველო აღრიცხვის სპეციალისტები დაადგენენ და გამოთვლიან პოტენციურ ალტერნატიულ დანახარჯებს, რომლებიც ასახავენ მენეჯმენტის გადაწყვეტილებებს.

ფირმის მენეჯმენტში არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება ფინანსური და სამმართველო აღრიცხვის სპეციალისტების მიერ პროდუქციის თვითღირებულების საკითხთან მიმართებაში. პროდუქციის თვითღირებულების მნიშვნელობის შესადარებლად უნდა გავიგოთ, რას წარმოადგენს მარაგები ფინანსურ აღრიცხვაში – ესაა მზა პროდუქცია ან საქონელი, რომელიც განკუთვნილია გასაყიდად. ფინანსურ აღრიცხვაში მწარმოებელი საწარმოებისათვის მზა პროდუქციის მარაგების თვითღირებულებაში შეაქვთ მხოლოდ მისი წარმოების თვითღირებულება, სავაჭრო საწარმოებისათვის – საქონლის შესყიდვის ღირებულება. მზა პროდუქციის საწარმოებლად საჭიროა წარმოების დანახარჯები, რომელიც მოიცავს დანახარჯთა სამ კატეგორიას: ნედლეულის, მასალების, მუშახელის პირდაპირ ხარჯებს და საწარმოო ზედნადებ ხარჯებს. ფინანსურ აღრიცხვაში სპეციალისტმა უნდა აღრიცხოს აქტივები, რომელმაც უნდა მოიტანოს მომავალში ეკონომიკური სარგებელი, პროდუქციის თვითღირებულებაში აღირიცხება მხოლოდ მარაგების წარმოების ღირებულება, მასში არ აღირიცხება კვლევის და განვითარების, დიზაინის, მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები, ეს ხარჯები აღირიცხება პერიოდის ხარჯებში. ფინანსურ აღრიცხვაში აქცენტი გადატანილია მარაგების მთლიანი ღირებულების განსაზღვრაზე, სამმართველო აღრიცხვაში კი მნიშვნელოვანია მარაგების ცალკეული ერთეულის ღირებულება, რადგან ფინანსური აღრიცხვის სპეციალისტებისათვის საინტერესოა მარაგების მთლიანი ღირებულება, რომელიც ეხმარება შეაფასოს, თუ რამდენად კარგად იყენებს მენეჯმენტი ორგანიზაციის რესურსებს. მმართველობითი აღრიცხვაში პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს პროდუქციასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, კვლევის და განვითარების, მარკეტინგის, რეკლამირების და გაყიდვის ჩათვლით. მთავარი პრინციპი ფინანსურ აღრიცხვაში არის კონსერვატიზმის პრინციპი. იგი გულისხმობს, რომ ისეთი ხარჯები, როგორიცაა კვლევის და განვითარების, მარკეტინგის, რეკლამირების ხარჯები შესაფასებლად რთულია და არ შედის პროდუქციის თვითღირებულებაში.

სამმართველო აღრიცხვის სპეციალისტები უფრო ხშირად კონცენტრირებული არიან მიაწოდონ ინფორმაცია გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს პროდუქციის თვითღირებულების შესახებ, რათა მათ შეძლონ გადაწყვეტილებების მიღება იმის თაობაზე, აწარმოონ თუ არა კონკრეტული პროდუქცია, როგორი უნდა იყოს პროდუქციის დიზაინი, პროდუქციის ან პროდუქტის გაუმჯობესებისა და განსაკუთრებულ შემთხვევაში, სად შეუძლია კომპანიას დააწესოს პროდუქციის ფასი, ფასწარმოქმნის პროცესში დანახარჯების შესახებ ინფორმაციის მიწოდების საფუძველზე. მმართველობითი აღრიცხვის სპეციალისტებს აქვთ ინფორმაცია არსებული და მომავალი პროდუქტის შესახებ, ასევე პროდუქტის შემუშავების, შექმნისა და ბაზარზე მისი გატანის შესახებ, რის საფუძველზეც გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შეუძლიათ შეაფასონ პროდუქტის მომგებიანობა. აღნიშნული მიზეზების გამო, ღირებულების განსაზღვრა მმართველობით აღრიცხვაში უფრო კომპლექსურია და მოქნილი, ვიდრე ფინანსურ აღრიცხვაში.

მიგვაჩნია, რომ ბუღალტრულ აღრიცხვაში უნდა დაზუსტდეს გასავლის, დანახარჯის და ხარჯის ცნებები. მენეჯერულ აღრიცხვაში განსხვავებულად განიხილავენ გასავლის, დანახარჯის და ხარჯის ცნებებს. ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ წარმოების დანახარჯები და ხარჯები იდენტური ცნებებია[1].

ე.ა. ატკინსონი, რ. ს. კაპლანი, ე. მ. მათსუმარა, ს. მარკ იანგი კი აღნიშნავენ, რომ გასავალი არის აქტივების (მაგალითად ნაღდი ფული) ან აქტივის ვალდებულებებზე (ვალი) გაცვლა. ფინანსისტები მიიჩნევენ, რომ გასავალი არის აქტივი, რომელიც იქნა გამოყენებული საქონლის ან მომსახურების გაყიდვის დროს. ციკლი მდგომარეობს იმაში, რომ გასავალი ქმნის აქტივს, რომელიც მაშინ ხდება ხარჯი, როცა აქტივი იყიდება. მმართველობით აღრიცხვაში ყურადღება გამახვილებულია აქტივების შეფასებაზე, რომელიც ასახავს ბალანსში დაფიქსირებულ ღირებულებას. დანახარჯი ხდება ხარჯი, როცა აქტივი იყიდება ან გამოიყენება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ქართულ ბუღალტრული აღრიცხვის ლიტერატურაში უნდა გაგრძელდეს კვლევები ამ მიმართულებით, კერძოდ:

– შესწავლილ უნდა იქნეს დანახარჯების კონცეფცია პროდუქციის დანახარჯთა ფორმისა და ფოკუსირების მიხედვით, სადაც ფინანსური და სამმართველო აღრიცხვის სპეციალისტებმა განსხვავებულად უნდა განიხილონ პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურა, გამომდინარე ინფორმაციის მომხმარებელთა მიზნებიდან.

– უნდა დაზუსტდეს გასავლის, დანახარჯის და ხარჯის ცნებები. ამ საკითხთან დაკავშირებით გაგვაჩნია შემდეგი მოსაზრება:

ჯერ ერთი, ფინანსური აღრიცხვის თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროდუქციის თვითღირებულების დანახარჯები განვიხილოთ სამეურნეო პროცესებთან კავშირში. კერძოდ, გასავალი წარმოიშობა მომარაგება-დამზადების პროცესის დროს, როცა შეიძინება ძირითადი საშუალებები, საქონელი, ნედლეული და მასალები, რაც დაკავშირებულია ფირმიდან ფულის გასვლასთან ან ვალდებულებების წარმოქმნასთან. სააღრიცხვო ლიტერატურაში დანახარჯი დაკავშირებულია წარმოების პროცესთან, კერძოდ, შეძენილი აქტივების, ნედლეულის და მასალების ხარჯვასთან, ძირითადი საშუალებების ცვეთასთან, მუშახელის ხელფასის დარიცხვასთან და ა. შ. წარმოებაში ეს დანახარჯები დაკავშირებულია კონვერსიის ხარჯებთან, რომლის მიხედვით გამოითვლება პროდუქციის თვითღირებულება. მიგვაჩნია, რომ გასავლის ცნება დანახარჯის იდენტურია, რამდენადაც აქტივების შეძენა დაკავშირებულია დანახარჯის გაწევასთან. ბიზნესმენი, რომელიც შეიძენს ძირითად საშუალებებს, საქონელს, ნედლეულს და მასალებს, ამბობს, რომ მან გაწია დანახარჯი. მისთვის მომარაგება-დამზადების და წარმოების დანახარჯები გამიჯნული არ არის, ამიტომ გასავლის და დანახარჯების ცნებების გამიჯვნა ართულებს დანახარჯების კლასიფიკაციას და, შესაბამისად, აღრიცხვის პროცესს. თუ გასავლის და დანახარჯების ცნებებს განვიხილავთ როგორც იდენტურს, აქტივების შეძენა განიხილება როგორც დანახარჯი და არა როგორც გასავალი. ამის შემდეგ მოდის პროდუქციის რეალიზაციის პროცესი, შემდგომი დანახარჯი დაკავშირებულია პროდუქციის ან საქონლის რეალიზაციასთან, რის შემდეგაც დანახარჯი გადაიქცევა ხარჯად. აქ კი უნდა გაიმიჯნოს ხარჯის და დანახარჯის ცნებები, რადგან შესაბამისობის პრინციპიდან გამომდინარე, დანახარჯმა უნდა მოიტანოს შემოსავალი და იქცეს ხარჯად, ანუ დანახარჯმა თვისობრივად უნდა შეიცვალოს შინაარსი. შემდეგ კი საჭიროა დანახარჯების კლასიფიკაცია პერიოდის მიხედვით, საჭიროა გაიმიჯნოს პროდუქტის (თვითღირებულების) და პერიოდის ხარჯები.

[1] ი. ჭილაძე, მმართველობითი აღრიცხვა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2012, გვ. 31

ამრიგად, საჭიროა რომ ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში დამუშავდეს დანახარჯთა მენეჯმენტის კონცეფცია სააღრიცხვო თვალსაზრისით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ თანამედროვე სამმართველო ბუღალტერიაში მნიშვნელოვანია დანახარჯების კონცეფცია პროდუქციის დანახარჯთა ფორმისა და ფოკუსირების თვალსაზრისით, ამ ასპექტით კვლევის გაგრძელება გაამდიდრებს ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურას და დადებითად წაადგება აღრიცხვის თეორიას და პრაქტიკას საქართველოში.

ლიტერატურა:

1. ე. ა. ატკინსონი, რ. ს. კაპლანი, ე. მ. მათსუმარა, ს. მარკ იანგი, მმართველობითი აღრიცხვა, თბ., გამომც. „საქართველოს მაცნე“, 2009.
2. გ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომც. „დიოგენე“, 2000.
3. ი. ჭილაძე, მმართველობითი აღრიცხვა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2012.

რეზიუმე

სტატიაში „დანახარჯთა მენეჯმენტის კონცეფცია ბუღალტრულ აღრიცხვაში“ ასახულია დანახარჯების აღრიცხვის კონცეფცია ფინანსური და სამმართველო აღრიცხვაში.

თანამედროვე სამმართველო ბუღალტერიაში მნიშვნელოვანია დანახარჯების კონცეფცია პროდუქციის დანახარჯთა ფორმისა და ფოკუსირების თვალსაზრისით, რომელიც ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ნაკლებადაა განხილული და მეტ გაანალიზებას საჭიროებს. იგი ითვალისწინებს ფირმის მენეჯმენტში არსებულ განსხვავებას ფინანსურ და სამმართველო აღრიცხვაში პროდუქციის თვითღირებულების საკითხთან მიმართებაში.

ფინანსურ აღრიცხვაში პროდუქციის თვითღირებულებაში აღირიცხება მხოლოდ მარაგების წარმოების ღირებულება, მასში არ აღირიცხება კვლევის და განვითარების, დიზაინის, მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები, ისინი აღირიცხება პერიოდის ხარჯებში. ფინანსური აღრიცხვის სპეციალისტებისათვის საინტერესოა მარაგების მთლიანი ღირებულება, რომელიც ეხმარება შეაფასოს, თუ რამდენად კარგად იყენებს მენეჯმენტი ორგანიზაციის რესურსებს.

სამმართველო აღრიცხვაში მნიშვნელოვანია მარაგების ცალკეული ერთეულის ღირებულება პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს პროდუქციასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, კვლევის და განვითარების, მარკეტინგის, რეკლამირების და გაყიდვის ჩათვლით. სამმართველო აღრიცხვის სპეციალისტები უფრო ხშირად კონცენტრირებული არიან მიაწოდონ ინფორმაცია გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს პროდუქციის თვითღირებულების შესახებ, რათა მათ შეძლონ გადაწყვეტილებების მიღება იმის თაობაზე, აწარმოონ თუ არა კონკრეტული პროდუქცია, როგორი უნდა იყოს პროდუქციის დიზაინი.

ბუღალტრულ აღრიცხვაში დასაზუსტებელია გასავლის, დანახარჯის და ხარჯის ცნებები. გასავლის და დანახარჯების ცნებების გამიჯვნა ართულებს დანახარჯების კლასიფიკაციას და, შესაბამისად, აღრიცხვის პროცესს. თუ გასავლის და დანახარჯების ცნებებს განვიხილავთ როგორც იდენტურს, აქტივების (ნედლეულის, მასალის, საქონლის) შეძენა განიხილება როგორც დანახარჯი და არა როგორც გასავალი. მზა პროდუქციის დამზადება ასევე დაკავშირებულია დანახარჯების გაწევასთან. მზა პროდუქციის ან საქონლის რეალიზაციის შემდეგ დანახარჯი გადაიქცევა ხარჯად, რადგან შესაბამისობის პრინციპიდან გამომდინარე, დანახარჯმა უნდა მოიტანოს შემოსავალი და იქცეს ხარჯად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვთვლით რომ ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში უნდა დამუშავდეს დანახარჯთა მენეჯმენტის კონცეფცია სააღრიცხვო თვალსაზრისით, ასევე დაზუსტდეს გასავლის, დანახარჯის და ხარჯის ცნებები. ამ ასპექტით კვლევის გაგრძელება გაამდიდრებს ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურას და დადებითად წაადგება ბუღალტრული აღრიცხვის თეორიასა და პრაქტიკას.

CONCEPT OF EXPENDITURE MANAGEMENT IN ACCOUNTING

Tina Jolbordi, Specialist by Contract, Doctor

RESUME

The Article "the Concept of Spendings management in Accounting Deals" with concept of spending management in financial and managing accounting.

The concept of spending management in the modern managing accounting is important with the forms and focus of production spending which almost has not discussed in the Georgian economic literature and need more analysis. It contains the differences between financial and managing accounting with the accounting of the production cost in the firm management .

The financial accounting deals with the production cost considers only the cost of reserves production and does not consider the spendings of research and development, design, marketing and selling. They are counted in the period spendings. The specialist of the financial accounting are interested in the total cost of reserves which helps them to mark how the management uses the resources of the organization.

The separate units cost of reserves are important in the managing accounting, the cost of production consists of every spending of researching and development, marketing, advertising and **selling.** Managing accounting specialists are concentrated to inform the people who make decisions about the cost of production to make them able to decide if they want to produce the concrete production and what kind of design this production must have.

The concept of spending, costs and expenses must become defined more exactly in Managing accounting. The distinction between the concept of cost and expenses complicates the classification of expenses deals with the process of accounting. If we take the concepts of expenditures and expenses as a identical, the purchase of assets (raw materials, materials, goods) are treated as expenditure and not as an expense. The finished products are also associated with spending. After the realization of production expenditure change into an expense, so the total costs must bring income and become an expense.

From the above mentioned facts we consider that the conception of spendings management must be studied in the Georgian economic literature according to the accounting. The search will enrich Georgian economic literature and will serve the theory and practice of accounting in Georgia positively.

სოციალური მეცნიერებანი და სამართალი
Social Sciences and Law

მემკვიდრეობის გადასვლა ანდერძით

ივანე ბალახაშვილი, უფროსი მასწავლებელი

მემკვიდრეობის უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციამ 21-ე მუხლში პირდაპირ მიუთითა, რომ საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შემენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. აქედან გამომდინარე, ახალმა სამოქალაქო კოდექსმა სხვაგვარად წარმართა მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება.

მემკვიდრეობა კერძო საკუთრების ნაყოფია. ამიტომ, თუ არ იარსებებს კერძო საკუთრება და კაპიტალი, არც მემკვიდრეობის შენარჩუნება იქნება აუცილებელი. აღნიშნული მარქსს მიეწერება. მარქსისტებს მიმდევრები ამ სფეროში საკმაოდ გამოუჩნდათ. მათი იდეების პრაქტიკულ განხორციელებას წარმოადგენდა საბჭოთა რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის დეკრეტი მემკვიდრეობის უფლების გაუქმების შესახებ[1]. მართალია, ამ დეკრეტით მემკვიდრეობა სრულად არ გაუქმებულა, მაგრამ იგი მნიშვნელოვნად შეიზღუდა და სოციალურ-უზრუნველმყოფადი ფუნქცია შეიძინა. შემდგომ პერიოდში საბჭოთა ხელისუფლებამ თანდათან აღადგინა საზოგადოების

[1] რ. დავიდი, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, თბილისი, 1993.

განვითარების ობიექტური კანონზომიერებით შექმნილი მემკვიდრეობის უფლება. აღნიშნული დეკრეტი რუსეთში მემკვიდრეობის უფლების საკანონმდებლო წესით გაუქმების პირველი და უკანასკნელი ცდა აღმოჩნდა მემკვიდრეობის მთელ ისტორიაში.

გვაროვნულ წყობილებაში, მატრიარქატის პერიოდში და არც საზოგადოების განვითარების შემდგომ ეტაპზე არ არსებობდა ანდერძით მემკვიდრეობა. სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობამ მემკვიდრეობის ახალ ეტაპს ჩაუყარა საფუძველი. იმდროინდელი კანონმდებლობა უკვე იცნობს კანონისმიერ და ანდერძისმიერ მემკვიდრეობას, მათ შორის ანდერძის ზეპირ ფორმასაც. ხამურაბის მეფობის პერიოდში შეიქმნა ბაბილონის კანონთა კრებული, სადაც ანდერძზე მითითება არ არის, მაგრამ 165-ე მუხლის თანახმად, მამას შეეძლო ჩუქების მეშვეობით გაეზარდა ერთი ვაჟის წილი სხვების ხარჯზე, ხოლო 168-169-ე მუხლებით მამას შეეძლო უარი ეთქვა რომელიმე ვაჟისათვის ქონების მიღებაში და ჩამოერთმია მისთვის მემკვიდრეობა[1].

ძველი რომის მემკვიდრეობის სამართალი იყო იმ იურიდიული ნორმების სისტემური ერთობლიობა, რომელიც ქონებრივი უფლებებისა და ვალდებულებების გადასვლის რიგს აწესრიგებდა გარდაცვლილი პირიდან მის უფლებამონაცვლეზე. ძველი ცივილური სამართლისათვის დამახასიათებელი მემკვიდრეობის სამართალი აისახა თორმეტი ტაბულის კანონში, რომელიც იცნობდა როგორც კანონით, ისე ანდერძით მემკვიდრეობასაც. ამ კანონში მემკვიდრეობის ის საფეხური აისახა, როდესაც ანდერძის თავისუფლების პრინციპს საოჯახო საკუთრების გადმონაშთებთან ბრძოლა ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამთავრებული.

თუ მამკვიდრებელი ანდერძს არ დატოვებდა, კანონით მემკვიდრეები დაეუფლებოდნენ მემკვიდრეობას. მემკვიდრეობის თავდაპირველი რიგი იქნებოდა კანონისმიერი მემკვიდრეობა, რომელსაც რომაელები მოიხსენიებდნენ, როგორც „ჰერედიტას ლეგიტიმა“-ს[2]. რომის სამართლის XII ტაბულის კანონით, მამკვიდრებელს თავისი სურვილით, ანდერძით შეეძლო ქონებისა და ყმების საკითხი. ანდერძის არარსებობის შემთხვევაში ქონება გადადიოდა უახლოესი აგნატის საკუთრებაში. თუ არც აგნატი ჰყავდა, ქონებას იღებდნენ მისი მოგვარეები, ვალები კი ნაწილდებოდა მათ შორის თითოეულის წილის შესაბამისად.

რომის სამართალი ცნობდა წერილობით ისეთ ანდერძს, რომელიც დამოწმებული იყო შვიდი მოწმის მიერ და ასევე ზეპირ ანდერძს, რომელიც წარმოთქმული იქნებოდა სასამართლოში და დაფიქსირდებოდა ოქმში. ანდერძში აღნიშნული უნდა ყოფილიყო მემკვიდრე. თუ მოანდერძე დაღმავალი ხაზის მემკვიდრეებს ართმევდა სამკვიდრო ქონების მიღების უფლებას, მას უნდა ჩამოეთვალა ყველა ასეთი მემკვიდრე. წინააღმდეგ შემთხვევაში ანდერძი ბათილად იქნებოდა ცნობილი. თუ მამკვიდრებელი არ ტოვებდა ანდერძს, მაშინ სამკვიდრო ქონებას იღებდნენ კანონით მემკვიდრეები. კანონით მემკვიდრეობა დაიშვებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც ანდერძი ბათილად იყო ცნობილი, ან თუ ანდერძით მემკვიდრე უარს იტყოდა ქონებაზე ან მოანდერძეზე ადრე გარდაიცვლებოდა[3].

მეფე ვახტანგ VI-ის სამართალში ვკითხულობთ: ,,თუ კაცმა მოკუვდავმა თავისი ალალი საქონელი თავის სულს დააკლო და ვისაც უანდერძა, მიეცემის მამული და ნასყიდი აქუს. ისიც მიეცემის სხვა მამული მის პატრონზედ ჰკიდია”. მეფე ვახტანგის სამართლის წიგნში ძირითადად განხილულია კანონით მემკვიდრეობა, მაგრამ ზემო ციტატიდან ჩანს, რომ იგი არც ანდერძით მემკვიდრეობას უარყოფდა. მიღებული იყო ასევე ანდერძის ზეპირი ფორმა, რასაც მიუთითებდა კრებულის 94-ე მუხლი, როდესაც დასაშვები იყო ნების დაფიქსირება მომხდარიყო მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ[4].

მეფე დავით აღმაშენებლის დროსაც ძირითადად მიმართავდნენ კანონიერ მემკვიდრეობას, მაგრამ ადგილი ჰქონდა ანდერძისმიერ მემკვიდრეებსაც. ანდერძში გადმოიცემოდა მოანდერძის მთელი ბიოგრაფია და გამოკვეთილი იყო მისი ინტერესები[5].

ანდერძი გარიგებაა, და ბუნებრივია, იგი მამკვიდრებლის ნებას გამოხატავს. ეს ნება უნდა იყოს უდეფექტო და უპირველეს ყოვლისა, ქმედუნარიანი პირის მიერ გამოვლენილი. ანდერძის ნამდვილობის ერთ-ერთი პირობაა მისი შედგენა ქმედუნარიანი პირის მიერ. აქედან გამომდინარე, ანდერძით მემკვიდრეობის დროს მამკვიდრებელი უნდა იყოს ქმედუნარიანი პირი. მამკვიდრებლად შეიძლება მიჩნეული იქნენ აგრეთვე არასრულწლოვანი დაქორწინებული ან ემანსიპირებული პირები. ისინი, ასაკის

[1] გ. ნადარეიშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, ბონა კაუზა, 2006.
[2] რ. მეტრეველი, რომის სამართალი, თბილისი, 2005.
[3] რ. მეტრეველი, რომის სამართალი, თბილისი, 2005.
[4] ქართული სამართლის ძეგლები ტ. I. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. /ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. – თბ.: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა. 1963.
[5] ბ.ზოიძე, ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი. – თბ.: „უფლება“, 2000.

მიუხედავად, სრულ ქმედუნარიანად ითვლებიან და მათ მსგავსად შეუძლიათ ანდერძის შედგენა. ქმედუუნაროებსა და შეზღუდულ ქმედუნარიანებს ანდერძის შედგენის უფლება არ გააჩნიათ. მათ მიერ შედგენილი ანდერძი ყოველთვის შეიძლება სადავო გახდეს. უფრო მეტიც, ქმედუნარიანი პირის მიერ მძიმე ავადმყოფობის პერიოდში შედგენილი ანდერძიც, შეიძლება გაბათილდეს სასამართლოს მიერ, თუ ავადმყოფს არ შეეძლო თავისი მოქმედების გაკონტროლება ანდერძის შედგენის მომენტში. აქედან გამომდინარე, მამკვიდრებლის ანდერძისუნარიანობის გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს[1].

ანდერძის შემთხვევაში პირის ნების გამოვლენა ნამდვილია მაშინვე, მთავარია ეს ნების გამოვლენა შესაბამისი ფორმით იყოს განხორციელებული. ანდერძში მხოლოდ მოანდერძის ნებაა გამოხატული. ანდერძის შესადგენად საჭირო არ არის მემკვიდრის თანხმობა, უფრო მეტიც, მემკვიდრემ ხშირად არ იცის ანდერძის შინაარსი. ანდერძის ცალმხრივი ხასიათი მოანდერძეს თავისი ქონების განკარგვის შესაძლებლობას აძლევს ანდერძის შედგენის შემდეგ. მას შეუძლია შეცვალოს ან გააუქმოს ანდერძი თავისი სურვილისამებრ.

მოქმედი კანონმდებლობა განამტკიცებს ანდერძის თავისუფლების პრინციპს. კანონი მამკვიდრებლის მემკვიდრეთა ამორჩევის უფლებას აძლევს. ფიზიკურ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1344-ე მუხლის თანახმად, ფიზიკურ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც.

მოანდერძე შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი. არ შეიძლება იურიდიული პირი ან სხვა რომელიმე სახის გაერთიანება მივიჩნიოთ მოანდერძედ[2]. ამასთან, მოანდერძე სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი უნდა იყოს, რომელსაც ანდერძის შედგენის მომენტში შეუძლია გონივრულად განსაჯოს საკუთარი მოქმედება და ნათლად გამოხატოს თავისი ნება. აღნიშნულ საკითხს იურიდიულ ლიტერატურაში დიდ ყურადღებას უთმობენ. ამის ნათელი მაგალითია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოცემული ნორმები, რომლებიც მოანდერძის ნების გამოვლენაში ჩარევის წინააღმდეგ გამოდიან. მაგალითად, უღირს მემკვიდრედ ცნობის დროს, მოანდერძის ნების გამოვლენაში აშკარა და პირდაპირი ჩარევა ხომ აკარგვინებს მემკვიდრეს მემკვიდრეობის მიღების უფლებას. ქმედუნარიანობის დაკარგვა ანდერძის შედგენის შემდეგ, ანდერძის ნამდვილებაზე გავლენას არ ახდენს. პირს, რომელსაც შეზღუდული აქვს ქმედუნარიანობა, არ უნდა მიეცეს ანდერძის შედგენის უფლება. კანონი ასეთ პირს შესაძლებლობას აძლევს დაიბრუნოს ეს უფლება.

ანდერძით მემკვიდრეობისას მემკვიდრეები არიან პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, აგრეთვე ისინი, რომლებიც ჩაისახნენ მის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, მისი შვილები არიან ისინი თუ არა, ასევე იურიდიული პირები. ბავშვები მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე ჩასახულად ითვლება, თუ მისი გარდაცვალების დღიდან ბავშვის დაბადებამდე გავიდა არა უმეტეს 10 თვისა.

ანდერძი უნდა შეადგინოს პირადად მოანდერძემ. ანდერძის შედგენა წარმომადგენლის მეშვეობით არ დაიშვება. ანდერძი უნდა შეიცავდეს ერთი მამკვიდრებლის განკარგულებას. ორი ან მეტი პირის მიერ ერთობლივად ანდერძის შედგენა არ დაიშვება. ამ საერთო წესიდან არსებობს ერთი გამონაკლისი: ანუ მხოლოდ მეუღლეებს შეუძლიათ შეადგინონ ერთობლივი ანდერძი ურთიერთმემკვიდრეობის შესახებ, რომელიც შეიძლება გაუქმდეს ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნით, მაგრამ - ჯერ კიდევ ორივე მეუღლის სიცოცხლეში. აქ განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმ მანკიერ პრაქტიკას, რომელსაც ადგილი აქვს. კერძოდ, ხშირ შემთხვევაში ფიქრობენ, რომ მეუღლეებს ერთობლივად შეუძლიათ დაწერონ ანდერძი და ამ აქტით თავიაანთი ქონება დაუტოვონ რომელიმე სხვა ანუ მესამე პირს. ეს გამორიცხულია, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ აპელირებს იმაზე, რომ მეუღლეებს ერთობლივი ანდერძი შეუძლიათ დაწერონ მხოლოდ და მხოლოდ ურთიერთმემკვიდრეობის შესახებ.

ე.წ. ,,ერთობლივ ანდერძს“ პირდაპირ კრძალავს საფრანგეთის კანონი. რაც შეეხება შვეიცარიის კანონმდებლობას, იგი არ შეიცავს არავითარ ცნობას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა სასამართლო პრაქტიკა ამგვარ ანდერძს ბათილად აღიარებს[3].

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მიუთითებს ზოგიერთი სახის საკითხებს, რომელიც მნიშვნელოვანია ანდერძით ქონების გადანაწილებისათვის, ესენია: ა) თუ ანდერძით დანიშნულ

[1] რ. და ე. შენგელიები, მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2009.
[2] ზ. ახვლედიანი, მემკვიდრეობის სამართალი საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, თბ.: 1997.
[3] შალვა ჩიკვაშვილი, მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2000.

მემკვიდრეთა წილი მთლიანად არ მოიცავს მთელ სამკვიდროს, მაშინ ანდერძის გარეთ დარჩენილ ქონებაზე განხორციელდება კანონით მემკვიდრეობა, რომელიც შეეხება იმ კანონით მემკვიდრეებსაც, რომლებსაც ეანდერძათ ქონების ნაწილი, თუკი ანდერძით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული; ბ) თუ არიან მხოლოდ ანდერძით დანიშნული მემკვიდრეები, მაშინ მათი წილი თანაზომიერად გაიზრდება, თუკი თითოეულ მემკვიდრეს ანდერძით განსაზღვრული აქვს თავთავიანთი წილი, მაგრამ ყველას წილი არ ამოწურავს სამკვიდროს მთლიანად; გ) თუ მამკვიდრებელმა მემკვიდრის პიროვნება განსაზღვრა ისეთი ნიშნებით, რომლებიც რამდენიმე პირს შეიძლება მიუდგეს, და შეუძლებელია დადგენა, თუ რომელი ჰყავდა მხედველობაში მამკვიდრებელს, მაშინ ისინი ყველანი ჩაითვლებიან მემკვიდრეებად თანაბარი წილის უფლებით.

ანდერძი უნდა შედგეს წერილობითი ფორმით. ამის დასადასტურებლად საკმარისია მოვუხმოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსს, რომლის თანახმად, ანდერძი არის კანონის მიერ დადგენილი ფორმით შედგენილი მამკვიდრებლის (მოანდერძის) განკარგულება გარდაცვალების შემთხვევაში, მისი ქონების ბედის შესახებ.

ანდერძის განმარტების დროს სხვა წესებია გამოსაყენებელი ვიდრე იმ გარიგებების მიმართ, რომელთა ნამდვილობა მეორე მხარის მიერ ნების გამოვლენის მიღებაზეა დამოკიდებული. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ის რაც საერთოა ყველა გარიგებებისათვის ანდერძის შემთხვევაშიც უცვლელი რჩება. კერძოდ, ანდერძი აუცილებლად უნდა იქნეს შესრულებული საამისოდ გათვალისწინებული ფორმის დაცვით. ამასთან, დასაშვებია წერილობითი ანდერძი სანოტარო ფორმით ან მის გარეშე. აღნიშნული ნორმა წერილობითი ანდერძის ორ სახეს ითვალისწინებს: სანოტარო წესით დადასტურებულ ანდერძს და ანდერძს სანოტარო წესით დადასტურების გარეშე.

სანოტარო ანდერძი შეიძლება შედგენილ იქნეს ორი განსაკუთრებული წესით: ა) ანდერძს ადგენს და ხელს აწერს მოანდერძე და ადასტურებს ნოტარიუსი, ხოლო, იქ სადაც ნოტარიუსი არ არის - თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანო; ბ) ანდერძს მოანდერძის სიტყვებით ჩაიწერს ნოტარიუსი ორი მოწმის თანდასწრებით. ანდერძის ჩაწერის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს საერთოდ მიღებული ტექნიკური საშუალებები. მოანდერძის სიტყვების ნოტარიუსის მიერ ჩაწერილი ანდერძი უნდა წაიკითხოს მოანდერძემ და ნოტარიუსისა და მოწმეების თანდასწრებით მოაწეროს ხელი.

ანდერძის განმარტების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის უნდა განხორციელდეს ტექსტთან მჭიდრო კავშირში. ეს ნიშნავს, რომ განმარტების საგნად არ შეიძლება იქცეს ისეთი ფაქტები ან საგნები, რომელთაც უშუალო კავშირი ანდერძთან არა აქვთ, ე.ი. მასში არ არიან მოხსენიებული. ანდერძის განმარტება შეიძლება იმასთან დაკავშირებით გახდეს აუცილებელი, რომ მოანდერძემ მემკვიდრის სახელი შეცდომით ჩაწერა. ანდერძის ბუნდოვანობის შემთხვევაში მისი განმარტების ზოგ საშუალებას კანონი გვთავაზობს. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1348-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ანდერძით რამდენიმე მემკვიდრეა დანიშნული, მაგრამ მასში ერთის წილია განსაზღვრული, სხვების კი - არა, მაშინ ეს უკანასკნელნი თანაბრად მიიღებენ დანარჩენ ქონებას.[1]

სამოქალაქო სამართალში ნების გამოვლენა შეიძლება სრულიად სხვადასხვა საშუალებით გამოიხატოს - ზეპირად ან წერილობით, როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით, დუმილით ან კონკლიუდენტური მოქმედებებით. ყოველივე აღნიშნული გარიგების ფორმებს წარმოადგენს. გარიგების ფორმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არის განსაზღვრული: ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით - ნათქვამია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველ ნაწილში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ეს მუხლი არ გულისხმობს იმას, რომ გარიგება აუცილებლად წერილობითი ფორმით უნდა იყოს დადებული, აღნიშნული ნორმა ასევე მხარეებს საშუალებას აძლევს თვითონ განსაზღვრონ გარიგების ფორმა, თუმცა ეს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

გარიგება საერთოდ არსებობს ფორმის მეშვეობით. ფორმის დაცვის გარეშე არც გარიგებით აქტი არ არსებობს. გარიგების ფორმა გარიგების, ნების გამოვლენის, არარსებობის გარეგნული გამოხატვაა, რომელსაც კანონი სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს. გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუ ასეთი ფორმა არ არის დაწესებული, მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი. გარიგების ფორმა შეიძლება დადგენილი იყოს კანონით ან თვით მხარეების მიერ. ხოლო გარიგების ფორმის თავისუფლების პრინციპი განმტკიცებულია საქართველოს სამოქალაქო

[1] ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1997.

კოდექსის მიერ. მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრული შემთხვევების გარდა დანარჩენ შემთხვევაში მხარეებს დამოუკიდებლად შეუძლიათ შეთანხმდნენ მის ფორმაზე.

ანდერძი უნდა შედგეს წერილობითი ფორმით. ამასთან, როგორც აღვნიშნეთ დასაშვებია წერილობითი ანდერძი სანოტარო ფორმით ან ამის გარეშე. სანოტარო ფორმა მოითხოვს, რომ ანდერძი შედგენილი და ხელმოწერილ იქნეს მოანდერძის მიერ და დადასტურებული ნოტარიუსის მიერ, ხოლო იქ, სადაც ნოტარიუსი არ არის, - თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ. დასაშვებია, რომ ანდერძი მოანდერძის სიტყვებით ჩაიწეროს ნოტარიუსმა ორი მოწმის თანდასწრებით. ანდერძის ჩაწერისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს საერთოდ მიღებული ტექნიკური საშუალებები. მოანდერძის სიტყვებით ნოტარიუსის მიერ ჩაწერილი ანდერძი უნდა წაიკითხოს მოანდერძემ და ნოტარიუსისა და მოწმის თანდასწრებით მოაწეროს ხელი.

როდესაც ლაპარაკია ნებისმიერი სახის მოწმეზე, რომელიც ანდერძის დროს გვაქვს სახეზე უნდა გვახსოვდეს, რომ ანდერძის მოწმეები არ შეიძლება იყვნენ: არასრულწლოვანები, ქმედუუნაროდ აღიარებული პირები, ანდერძით მემკვიდრე და მისი ნათესავები დამავალი და აღმავალი ხაზით, დები, ძმები, მეუღლე და საანდერძო დანაკისრის მიმღები (ლეგატარი).

ანდერძს როგორც წესი ადასტურებს ნოტარიუსი, თუმცა ანდერძის დადასტურებისას ნოტარიუსთან გათანაბრებულნი არიან: ა) საავადმყოფოს, ჰოსპიტლისა და სხვა სამკურნალო დაწესებულების, სანატორიუმის მთავარი ექიმი, უფროსი, მათი მოადგილე სამედიცინო ნაწილში, მორიგე ექიმი, მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლის დირექტორი ან მთავარი ექიმი, თუ მოანდერძე ამ დაწესებულებაში მკურნალობს ან ცხოვრობს; ბ) საძიებო, გეოგრაფიული და სხვა მსგავსი ექსპედიციის უფროსი, თუ მოანდერძე ასეთ ექსპედიციაში იმყოფება; გ) გემის კაპიტანი ან საჰაერო ხომალდის მეთაური, თუ მოანდერძე გემზე ან საჰაერო ხომალდზე იმყოფება; დ) სამხედრო ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სასწავლებლის მეთაური (უფროსი), თუ სამხედრო ნაწილების დისლოკაციის პუნქტში ნოტარიუსი არ არის და თუ მოანდერძე სამხედრო მოსამსახურე ან სამხედრო ნაწილში მომსახურე სამოქალაქო პირი ან მათი ოჯახის წევრია; ე) თავისუფლების აღკვეთის ადგილის უფროსი, თუ მოანდერძე თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იმყოფება.

თუ მოანდერძე რაიმე მიზეზით თვითონ ვერ მოაწერს ხელს ანდერძს, შეიძლება მისი თხოვნით ხელი მოაწეროს სხვა პირმა. ამასთან, უნდა აღინიშნოს მიზეზი, რის გამოც მოანდერძემ ვერ შეძლო ანდერძზე ხელის მოწერა. თუ მოანდერძე ყრუ-მუნჯია ან ყრუ-მუნჯი წერა-კითხვის უცოდინარია, საანდერძო განკარგულება მან უნდა გააკეთოს ნოტარიუსთან ორი მოწმისა და ისეთი პირის თანდასწრებით, რომელსაც შეუძლია გააგებინოს მას საქმის არსი და დაადასტუროს თავისი ხელმოწერით, რომ ანდერძის შინაარსი შეესაბამება მოანდერძის ნებას. მოანდერძემ, რომელიც ბრმაა ან არ შეუძლია წერა-კითხვა, საანდერძო განკარგულება უნდა გააკეთოს ნოტარიუსთან სამი მოწმის თანადასწრებით, რის შესახებაც უნდა გაკეთდეს სათანადო ჩანაწერი, რომელიც მას უნდა წაეკითხოს. ჩამწერი და წამკითხველი შეიძლება იყვნენ მოწმეებიც, მაგრამ ჩამწერი არ უნდა იყოს წამკითხველი. ჩანაწერში მითითებულ უნდა იქნეს, თუ ვინ გააკეთა ჩანაწერი და ვინ წაუკითხა მოანდერძეს. ჩანაწერს ხელი უნდა მოაწერონ მოწმეებმა და დაადასტუროს ნოტარიუსმა.

მოანდერძეს შეუძლია თავისი ხელით დაწეროს ანდერძი და ხელი მოაწეროს მას. მოანდერძეს შეუძლია თავისი ხელით დაწერილი და ხელმოწერილი ანდერძი დალუქული კონვერტით გადასცეს ნოტარიუსს (ან სხვა შესაბამის თანამდებობის პირს) სამი მოწმის თანდასწრებით, რაც დასტურდება კონვერტზე ხელის მოწერით. აღნიშნული სახის ანდერძის შენახვა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მისი ოფიციალური დეპონირებით ნოტარიუსთან (ან სხვა შესაბამის თანამდებობის პირთან).

მოანდერძის სურვილით მოწმეებმა ანდერძი უნდა დაადასტურონ ისე, რომ არ გაეცნონ მის შინაარსს (დახურული ანდერძი). ამ შემთხვევაში მოწმეები უნდა ესწრებოდნენ ანდერძის შედგენას. დახურული ანდერძის დადასტურებისას მოწმეებმა უნდა მიუთითონ, რომ ანდერძი შედგენილ იქნა პირადად მოანდერძის მიერ მათი თანდასწრებით, მაგრამ ისინი არ გასცნობიან მის შინაარსს.

ანდერძში მითითებული უნდა იყოს მისი შედგენის თარიღი. თარიღის არარსებობა იწვევს ანდერძის ბათილობას მხოლოდ მაშინ, თუ ვერ გაქარწყლდება ანდერძის შედგენის, შეცვლის ან გაუქმებისას, ასევე რამდენიმე ანდერძის არსებობისას მოანდერძის ქმედუნარიანობასთან დაკავშირებული ეჭვი.

რეზიუმე

ანდერძი გარიგებაა, და ბუნებრივია, იგი მამკვიდრებლის ნებას გამოხატავს. ეს ნება უნდა იყოს უდეფექტო და უპირველეს ყოვლისა, ქმედუნარიანი პირის მიერ გამოვლენილი. მოქმედი კანონმდებლობა განამტკიცებს ანდერძის თავისუფლების პრინციპს. კანონი მამკვიდრებლის მემკვიდრეთა ამორჩევის უფლებას აძლევს. ფიზიკურ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც. ანდერძი უნდა შედგეს წერილობითი ფორმით.

TESTAMENTARY SUCCESSION

Ivane Balakhashvili, Senior Teacher

RESUME

A will is a consent, and therefore, it expresses the volition of a testator. That volition shall be non-defective, and first of all, it shall be declared by a capable person. The applicable legislation strengthens the princilpes of freedom of the will. The law entitles testates to elect heirs. Natural persons are able to distribute their property or a part of it to one or more persons not only from a hereditary line, but also from outsiders. The will shall be drafted in written form.

გაუპატიურების ობიექტი

***იოსებ გაბარაევი**, მოწვეული სპეციალისტი*

ქართული სისხლის სამართლის დოქტრინაში, განსხვავებით ძველი კანონმდებლობისაგან, როცა დანაშაულის ობიექტად იგულისხმებოდა სისხლის სამართლის კოდექსით დაცული საზოგადოებრივი ურთიერთობები, დანაშაულის ობიექტია სისხლის სამართლის კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთე ან პირის ინტერესი, რომელსაც დანაშაულებრივი ხელყოფის შედეგად მიადგა ან შეიძლება მიადგეს ზიანი.

დანაშაულის ობიექტად ჩაითვლება სამართლებრივი სიკეთე, იმისდა მიუხედავად, მიადგა თუ არა მას ზიანი, მთავარია, რომ მის მიმართ განხორციელდეს დანაშაულებრივი ხელყოფა.

დანაშაულის ობიექტს უდიდეს მნიშვნელობა აქვს ქმედების დანაშაულად სწორი კვალიფიკაციისთვის, რათა ერთი დანაშაული გავმიჯნოთ მეორისაგან და სწორად გადავწყვიტოთ პასუხისმგებლობის საკითხი.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში განასხვავებენ დანაშაულის ობიექტის შემდეგ სახეებს: ზოგადი, გვარეობითი, სახეობითი და უშუალო ობიექტი. დანაშაულის ზოგადი ობიექტი არის ის სიკეთე, რომლის ნაწილობრივი ხელყოფა მაინც ხორციელდება ნებისმიერი დანაშაულის ჩადენის დროს, გვარეობითი ობიექტი არის ზოგადი ობიექტის ნაწილი, ერთგვაროვან სიკეთეთა (ინტერესთა) ერთობლიობა, რომელსაც ხელყოფს ერთგვაროვან დანაშაულთა ჯგუფი; დანაშაულის სახეობითი ობიექტი - არის ერთგვაროვანი და ურთიერთდაკავშირებული სიკეთის ცალკეული მხარეების ერთობლიობა, რომელსაც ხელყოფს დამნაშავე დანაშაულის ჩადენის დროს; უშუალო ობიექტი - ის სიკეთე, რასაც ხელყოფს კონკრეტული დანაშაული; სისხლის სამართლის თეორიაში განასხვავებენ ასევე დამატებით ობიექტს, რაც შეიძლება იყოს ხელყოფის დამატებითი სიკეთე, მაგ.: გაუპატიურების ჩადენისას, ადამიანის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა.

მოქმედი (ახალი) სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი დაჯგუფებულია კარებად დანაშაულებრივი ხელყოფის გვარეობითი ობიექტის, ხოლო თავებად კი, სახეობითი ობიექტის მიხედვით.

სისხლის სამართლის კოდექსის მეშვიდე კარში მოქცეულია ისეთი დანაშაულები, რომლის გვარეობითი ობიექტია ადამიანის პიროვნება, მისი ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის დაცვა და უზრუნველყოფა.

ოცდამეორე თავში კი აერთიანებს სახეობითი ობიექტის მიხედვით დაჯგუფებულ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ ისეთ ერთგვაროვან დანაშაულებს, რომელთა სახეობით ობიექტს წარმოადგენს ადამიანის სქესობრივი თავისუფლება ან/და სქესობრივი ხელშეუხებლობა. ასეთი სახის დანაშაულს სისხლის სამართლის თეორიაში სქესობრივ დანაშაულებს უწოდებენ. ,,სქესობრივი თავისუფლება" და ,,სქესობრივი ხელშეუხებლობა" არის პირის სოციალური ნიშანი, ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთე, რომელიც მის სულიერ სამყაროს ახასიათებს. ეს სიკეთე ადამიანის ყოფა-ცხოვრების სოციალურ საფუძველს წარმოადგენს, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებში არსებულ მორალურ ურთიერთობებთან, ექვემდებარება დაცვას, მათ შორის – სისხლისსამართლებრივი საშუალებებით.

,,სქესობრივი თავისუფლება", როგორც, საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულად დაცული ადამიანის თავისუფლების ერთ-ერთი სახე და როგორც გაუპატიურების სახეობითი ობიექტი, აქვს როგორც სრულწლოვანს, ისე 16 წელს მიღწეულ არასრულწლოვან დაზარალებულს, თუმცა შეზღუდულად; რაც ნიშნავს, რომ სრულწლოვანს, სურვილის შემთხვევაში თავისუფლად შეუძლია აირჩიოს სქესობრივი პარტნიორი, რისი უფლებაც 16 წელს მიუღწეველ არასრულწლოვანს არ აქვს და სქესობრივი კავშირი თექვსმეტ წელს მიუღწეველ პირთან (ქალთან), მისი თანხმობის შემთხვევაშიც კი აკრძალულია და ისჯება სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით. სქესობრივი თავისუფლების უფლებით შეუზღუდავად სარგებლობის უფლებას, კანონმდებელი, არასრულწლოვანს მხოლოდ 16 წლის ასაკიდან აძლევს. ამ აკრძალვის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ,,ადრეულ ასაკში ქორწინება უარყოფითად მოქმედებს როგორც ქალზე, ისე მამაკაცზე, რადგან მათ ჯერ კიდევ არ მიუღწევიათ ფიზიკური განვითარების განსაზღვრული დონისთვის. ასეთ ასაკში სქესობრივი ცხოვრება ცუდად მოქმედებს ჯანმრთელობაზე, ფსიქიკასა და, საერთოდ, ადამიანის განვითარებაზე. ძალზე ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ვერ იძლევა ჯანმრთელ თაობას".[1] 16 წელს მიღწეული პირი, თვითონ განსაზღვრავს, როგორ დაგეგმოს, მოაწყოს და განახორციელოს თავის სქესობრივი ურთიერთობა სასურველ პირთან, რა დროსაც ასეთი პირის მიერ შერჩეული სქესობრივი პარტნიორი არ დაექვემდებარება სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

იმის გათვალისწინებით, რომ გაუპატიურება, თავისი ბუნებით ძალადობრივ სქესობრივ დანაშაულია და დაზარალებულის ნების წინააღმდეგაა მიმართული, ამგვარი დანაშაულის ობიექტად მიჩნეულია დაზარალებულის სქესობრივი თავისუფლება; თუმცა ვიდრე უშუალოდ გაუპატიურების ობიექტის რაობაზე გავაგრძელებთ მსჯელობას, მართებულია კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, თუ რა იგულისხმება სქესობრივ კავშირში. ს.ს.კ.-ის 137-ე მუხლის პირველი ნაწილი, გაუპატიურებად თვლის სქესობრივ კავშირს ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით". იმის გასარკვევად, თუ რას გულისხმობს კანონმდებელი სქესობრივ კავშირში, უნდა გავარკვიოთ თუ რას ნიშნავს თვითონ სქესობრივი კავშირი. სქესობრივი კავშირი კი, ესაა სამედიცინო და არა იურიდიული ტერმინი, შესაბამისად მისი შინაარსი უნდა გავიგოთ ისე, როგორც ამას სექსოლოგია განმარტავს; სამედიცინო ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, სქესობრივი კავშირი ესაა - სქესობრივი ურთიერთობის სახე, რომლის განხორციელების დროს მამაკაცის ერეგირებული სასქესო ორგანო თავსდება ქალის სასქესო ორგანოში სქესობრივი სიამოვნების ან განაყოფიერების მიზნით;[2] აღნიშნული განმარტების და გაუპატიურების საკანონმდებლო დეფინიციის საფუძვლიანი ანალიზი, არ გამორიცხავს მამაკაცის სქესობრივი თავისუფლების გაუპატიურების ობიექტად მიჩნევის შესაძლებლობას, და, რომ სრულიად შესაძლებელია გაუპატიურება ასევე მიმართული იყოს მამაკაცის თავისუფალი ნების წინააღმდეგ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, იურიდიულ ლიტერატურაში ერთმნიშვნელოვნად არაა განსაზღვრული გაუპატიურების ობიექტის რაობა. ავტორთა ნაწილის აზრით, მაგ.: ო. გამყრელიძეს აზრით, გაუპატიურების ობიექტად მიჩნეულია მხოლოდ ქალის სქესობრივი თავისუფლება და არასრულწლოვანი ქალის სქესობრივი ხელშეუხებლობა; ნ. თოდუას აზრით კი გაუპატიურების დროს

[1] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, 28-29-ე გვ.

[2] გოგიჩაძე, გ. სამედიცინო ტერმინოლოგიის ქართულ-ინგლისურ-რუსულ-ლათინური განმარტებითი ლექსიკონი / გ. გოგიჩაძე, ა. გედენიძე, ჯ. ჭუმბურიძე ; [რედ.: ნოდარ ჭიჭინაძე, ალექსანდრე ქორელი]. - თბ., მერიდიანი, 2009. - 496გვ. ; 20სმ.. - ბიბლიოგრ.: გვ. 394-395. - ISBN: 978-9941-10-174-8[MFN: 138888] http://www.nplg.gov.ge

დაზარალებული შეიძლება იყოს მამაკაციც და შესაბამისად მამაკაცის სქესობრივი თავისუფლება, როგორც გაუპატიურების ობიექტი.[1]

მხოლოდ ის ფაქტი, რომ ისტორიულად მამაკაცი, დედაკაცთან შედარებით, სქესობრივი აქტიურობით გამოირჩეოდა და ამიტომ ქალს აუცილებლად სჭირდება დაცვა, რათა მამაკაცმა ეს სქესობრივი აქტიურობა ბოროტად არ გამოიყენოს, არაა წონადი არგუმენტი გაუპატიურების ობიექტად, მხოლოდ დაზარალებული ქალის სქესობრივი თავისუფლების მიჩნევისათვის. ავტორთა ნაწილის მიერ, საკითხისადმი ასეთი განსხვავებული მიდგომა განაპირობებს მამაკაცის და ქალის სქესობრივი თავისუფლების უფლების დაცვის განსხვავებული სტანდარტების არსებობის (უკვე დამკვიდრებული) აღიარებას/დაცვას, რაც გარკვეულწილად დისკრიმინაციულ კონტექსტში წარმოაჩენს მამაკაცის, როგორც ადამიანის, სქესობრივი თავისუფლების უფლებას, რაც პირველ რიგში წინააღმდეგობაში მოდის როგორც საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით დაცულ უფლებებთან და თავისუფლებებთან, ისე ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციის დებულებებთან და ,,დისკრიმინიციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებთან.

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის დაცვა დემოკრატიული საზოგადოების უმნიშვნელოვანესი საზრუნავია და იმ ავტორების მოსაზრებებს, რომელთაც გაუპატიურების ობიექტად მხოლოდ ქალის სქესობრივი თავისუფლება მიაჩნათ[2], უნდა გააჩნდეს ,,ძალზედ წონადი გამართლება“,[3] რათა მხოლოდ ქალის და არა მამაკაცის სქესობრივ თავისუფლების გაუპატიურების ობიექტად მიჩნევისათვის განსხვავებული მიდგომა ობიექტურად გამართლებულად ჩაითვალოს და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან შესაბამისად იქნეს მიჩნეული. ზემოაღნიშნული საკითხისადმი განსხვავებული მიდგომა შესაძლოა გამართლებულად ჩაითვალოს მხოლოდ იმისდა მიხედვით, თუ რამდენად სისხლხორცეულ ინტერესებს ხელყოფს განსხვავებული მოპყრობა ან რა მიზანს ემსახურება იგი.[4]

ანტიდისკრიმინაციული სამართალი ადგენს, რომ პირებს, რომლებიც სხვაგვარ სიტუაციაში იმყოფებიან, სხვაგვარად უნდა მოეპყრონ იმ ფარგლებში, რომ მათ შეძლონ - სხვათა თანასწორად - გარკვეული შესაძლებლობებით სარგებლობა.[5] ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო, თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საუბრობს არაპირდაპირ დისკრიმინაციაზე, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთ სახეზე და განმარტავს, რომ ,,მოპყრობებს შორის განსხვავებამ შესაძლოა ზოგადი პოლიტიკის ან ღონისძიებების არაპროპორციულად მიკერძოებული ეფექტის ფორმა მიიღოს, რაც რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციაა“.[6] ამდენად, მხოლოდ ქალის ნების ან ქალის სქესობრივი თავისუფლების მიჩნევა გაუპატიურების, როგორც დანაშაულებრივი შემადგენლობის ობიექტად, ქალს აქცევს ,,არაპირდაპირი“ დისკრიმინაციის ობიექტად და ხელყოფს დემოკრატიული საზოგადოების მონაპოვარს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ.

თუ თვალს გადავავლებთ, სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის დისპოზიციაში აღწერილი ქმედების - გაუპატიურების, როგორც დანაშაულის დღეს მოქმედ საკანონმდებლო რედაქციას, ნათლად დავინახავთ სახელმწიფოს ნეიტრალურ პოზიციას ამ საკითხთან მიმართებაში. სახელმწიფო არ ახდენს ამ განსხვავების დაკანონებას და, ამდენად, გაუპატიურების ობიექტი შესაძლოა იყოს მამაკაცის სქესობრივი თავისუფლებაც, ვინაიდან ასეთი ქმედება არანაკლებ შეურაცხმყოფელია მამაკაცისთვისაც. იმ ფაქტის დამატებით არგუმენტად მოშველიება, რომ ასეთი საკითხი დღემდე არ ახსოვს სასამართლო პრაქტიკას და ამიტომ ეს საკითხი საზოგადოებას დღემდე არ აწუხებს,[7] არ წარმოადგენს წონად არგუმენტებს ასეთი განსხვავებული მოპყრობის გამართლებისთვის.

შესაბამისად, ავტორთა იმ ნაწილის მოსაზრება, რომლებიც აცხადებენ, რომ ,,გაუპატიურება ყოველთვის მიმართულია ქალის ნების, ე.ი. მისი სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ, მიუხედავად

---

[1] სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2006, გვ. 146

[2] იხ. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, (სსსკ-ის თავი XXII-XXIV), თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2008, გვ. 14-15

[3] **and Balkandali v UK A 94 (1985), 7 EHRR 163 para 78 PC**. მაგალითად, ევროპულმა სასამართლომ სქესის საფუძველზე დისკრიმინაციულად მიიჩნია თურქული კანონი, რომლიც ქალს უკრძალავდა ქორწინების შემდეგ თავისი გვარი შეენარჩუნებინა და ავალდებულებდა მეუღლის გვარზე გადასვლას, **Unal Tekeli v Turkey, hudoc (2004); 42 EHRR 1185 para 61;**

[4] საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, 2013, გვ. 67-68

[5] სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ, ევროსაბჭო 2013, გვ. 25-33

[6] ECtHR, **D.H. and others v. the Czech Republic** [GC] (#57325), 13 ნოემბერი, 2007, § 187 ECtHR, **Opuz v.Tirkey** (#33401/02), 9 ივნისი, 2009, § 183. ECtHR, **Zarb adami v. malta** (#17209/02), 20 ივნისი, 2006 წელი, § 80.

[7] იხ. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, (სსსკ-ის თავი XXII-XXIV), თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2008, გვ. 8-9

იმისა, რა ასაკისაა იგი", ყოველგვარ იურიდიულ საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან აღნიშნული არ გამომდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის 137-ე მუხლის დისპოზიციაში აღწერილი ქმედების შინაარსიდან და არ ასახავს კანონმდებლის ნებას. ქალის ნება-სურვილის არსებობა ყოველთვის არ გულისხმობს სქესობრივი თავისუფლების უფლების არსებობას, ვინაიდან არასრულწლოვანი სარგებლობს სქესობრივი ხელშეუხებლობის უფლებით, რაც ნიშნავს იმას, რომ 16 წელს მიუღწეველ არასრულწლოვანთან, მისი ნებასურვილის შემთხვევაშიც კი აკრძალულია სქესობრივი კავშირი.

ამდენად, გაუპატიურება ყოველთვის მიმართულია როგორც სრულწლოვანი, ისე 16 წელს მიღწეული ადამიანის ნებელობითი მომენტის - როგორც მისი სქესობრივი თავისუფლების შინაგანი გამოხატულების წინააღმდეგ, ვინაიდან ნებელობითი მომენტი ახასიათებს გაუპატიურების დროს კანონით დაცულ ორივე სიკეთეს, როგორც სქესობრივ თავისუფლებას, ისე სქესობრივ ხელშეუხებლობას (თუმცა შეზღუდულად). სქესობრივი თავისუფლება 16 წელს მიღწეული არასრულწლოვანისათვის არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას, ვინაიდან სქესობრივი თავისუფლების უფლებით სარგებლობისას, 16 წელს მიუღწეველ არასრულწლოვანს ეზღუდება ნებელობითი მომენტი და მისი ნება ფაქტიურად იგნორირებულია კანონის საფუძველზე, მისი სქესობრივად (როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქიკურად) მოუმწიფებლობის გამო, რაც ნამდვილად წონადი არგუმენტია იმ მიზნისა, რისი მიღწევაც კანონმდებელს სურს ამ შეზღუდვით. სწორედ ამიტომ 16 წელს მიუღწეველ არასრულწლოვანს არ აქვს სქესობრივი თავისუფლება და სარგებლობს სქესობრივი ხელშეუხებლობის უფლებით.

სქესობრივი ხელშეუხებლობა, როგორც სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე თავში მოცემული სქესობრივი დანაშაულების სახეობითი ობიექტი, შეიძლება დაექვემდებაროს დანაშაულებრივ ხელყოფას არა მხოლოდ 16 წელს მიუღწეველი დაზარალებულის გაუპატიურების შემთხვევაში, არამედ მაშინაც, როცა სქესობრივი კავშირის ჩადენა ხდება დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად, გაუპატიურების ჩადენის ერთ-ერთ საშუალებას/ხერხს წარმოადგენს.

უმწეო მდგომარეობა, წარმოადგენს იურიდიულ ტერმინს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ კონკრეტულ საქმეზე სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, ცალკეული ფაქტობრივი გარემოებების დადგენის გზით, იმყოფებოდა თუ არა დაზარალებული ასეთ მდგომარეობაში გაუპატიურების ჩადენის დროს.

გაუპატიურების ჩადენის დროს, სქესობრივი ხელშეუხებლობის უფლებით სარგებლობენ და კანონის განსაკუთრებული დაცვის ობიექტად, ამ მუხლით გათვალისწინებული მიზნებისთვის მოიაზრებიან ის ადამიანები, რომლებიც ვერ აცნობიერებენ მომხდარი გაუპატიურების არა მარტო ფაქტიურ, არამედ, სოციალურ და მორალურ მნიშვნელობას თავისი სულიერი ავადმყოფობის ან მცირეწლოვნობის გამო, ან არ შეუძლიათ უხელმძღვანელონ თავიანთ ქმედებას და, შესაბამისად, მოკლებული არიან შესაძლებლობას შეგნებულად და საკუთარი ნებასურვილით წარმართონ თავისი სქესობრივი ცხოვრება.[1]

ასეთ ადამიანებთან საერთოდ დაუშვებელია ყოველგვარი სქესობრივი ურთიერთობა. ისინი ითვლებიან ხელშეუხებლად სქესობრივ ურთიერთობებში. მსგავს გარემოებებში ჩადენილი სქესობრივი ურთიერთობა მათი თანხმობის შემთხვევაშიც კი ერთმნიშვნელოვნად უნდა შეფასდეს გაუპატიურებად.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, გაუპატიურების ობიექტის რაობის შესწავლაზე და სწორედ დადგენაზე დიდწილადაა დამოკიდებული ჩადენილი ქმედების დანაშაულად სწორად კვალიფიკაცია და კვალიფიკაციისას შეცდომების დაშვების შესაძლებლობის მინიმუმამდე დაყვანა, რათა ქმედების დანაშაულად არასწორ კვალიფიკაციას შედეგად არ მოჰყვეს ადამიანის ფუნდამენტალური უფლებების და თავისუფლებების ხელყოფა ან არასათანადოდ დაცვა.

ლიტერატურა:

1. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2006.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი, 2000.
3. გოგიჩაძე გ., სამედიცინო ტერმინოლოგიის ქართულ-ინგლისურ-რუსულ-ლათინური განმარტებითი ლექსიკონი / გ. გოგიჩაძე, ა. გედენიძე, ჯ. ჭუმბურიძე ; [რედ.: ნოდარ ჭიჭინაძე, ალექსანდრე ქორელი]. - თბ.: მერიდიანი, 2009. – 496 გვ.; 20სმ.. - ბიბლიოგრ.: გვ. 394-395. - ISBN: 978-9941-10-174-8[MFN: 138888] http://www.nplg.gov.ge

[1] Комментарий к статье 131Уголовному Кодексу РФ, 2-е изд. / Под ред. Ю.И. Скуратова, В.М. Лебедева, 2006 г, ст 293.

4. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, (სსსკ-ის თავი XXII-XXIV), თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2008.
5. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, 2013.
6. სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ, ევროსაბჭო, 2013.
7. ECtHR, D.H. and others v. the Czech Republic [GC] (#57325), 13 ნოემბერი, 2007, §187 ECtHR, Opuz v.Tirkey (#33401/02), 9 ივნისი, 2009, § 183. ECtHR, Zarb adami v. malta (#17209/02), 20 ივნისი, 2006 წელი, § 80.
8. Комментарий к статье 131 Уголовному Кодексу РФ, 2-е изд. / Под ред. Ю.И. Скуратова, В.М. Лебедева, 2006.

რეზიუმე

იურისპრუდენცია ამბობს, რომ ადამიანს დაბადებიდან ენიჭება პიროვნების სტატუსი თავისი უფლებებით და თავისუფლებებით. ადამიანის ცნებაში კი იგულისხმება როგორც ქალი, ისე მამაკაცი. შესაბამისად, მოცემულ ნაშრომში გადმოცემულია ის თეზისები, მოსაზრებები, რომლებიც ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ მხოლოდ ქალის ნების მიჩნევა გაუპატიურების ობიექტად, ქალს არაპირდაპირი დისკრიმინაციის ობიექტად აქცევს და ამასთან ლახავს მამაკაცის სქესობრივი თავისუფლების უფლებას, ვინაიდან, გაუპატიურების საკანონმდებლო დეფინიციიდან გამომდინარე, გაუპატიურების ობიექტი შესაძლებელია იყოს მამაკაცის ნებაც, მისი სქესობრივი თავისუფლება.

სწორედ ამ და პრაქტიკისთვის მეტად მნიშვნელოვან საკითხებს ეხება მოცემული სტატია, რაც, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება პრაქტიკოსი იურისტებისთვის და მეტ სიცხადეს შეიტანს მათ შემდგომ პრაქტიკულ საქმიანობაში განსახილველი საკითხის ირგვლივ, საინტერესო იქნება ასევე ამ თემით დაინტერესებული სამართალმცოდნეობის სტუდენტებისთვის.

RAPE OBJECT

Ioseb Gabaraevi, Specialist by Contract

RESUME

Jurisprudence says that a person's status is granted to the birth of his rights and freedoms. Human notion include both women and men. Accordingly, this work introduces theses, opinions, which shows the fact that, only the woman's rape as an object, a woman will make the object of indirect discrimination and it violates the right to sexual freedom of men; As the legal definition of rape, the object of a rape may be the will of man, his sexual freedom.

That's the most important issues for practices of the article. it should be interesting to practicing lawyers and clarification of the issues to be discussed further in practice. It will be interesting also for students interested in law.

ქურდობის კვალიფიკაციური შემადგენლობა

მალხაზ ლომსაძე, პროფესორი

ქურდობის კვალიფიკაციური შემადგენლობები ჩამოყალიბებულია კოდექსის 177-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებში.

კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტით ქურდობისათვის იზრდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხარისხი თუ იგი გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს. კოდექსის 177-ე მუხლის შენიშვნის თანახმად ქურდობის მნიშვნელოვან ზიანად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 150 ლარის ზევით. სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როცა ქურდმა წინასწარ არ იცის, რა ღირებულების ნივთს იპარავს. ქ. თბილისის სასამართლოს 2002 წლის 3 სექტემბრის განაჩენით მ. მიხანაშვილს კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაედო მსჯავრი.

მ. მიხანაშვილმა გ. ირემაშვილის ავტომანქანიდან მოიპარა ქურთუკი, რომელშიც აღმოჩნდა 115 ლარი. ქურთუკი შეფასდა 50 ლარად. მ. მიხანაშვილმა წინასწარ არ იცოდა, რომ ქურთუკში იყო 115 ლარი. მიუხედავად ამისა, ამ თანხის მოპარვა ქურდს ბრალად შეერაცხა და საკითხის ასეთი გადაწყვეტა სწორია.

სასამართლოს 2002 წლის 4 მარტის განაჩენით დ. პაპავას მსჯავრი დაედო კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტით და მე-2 ნაწილით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

დ. პაპავამ მ. კიკნაძეს ავტობუსში ჯიბიდან ამოაცალა საფულე, რომელშიც 200 ამერიკული დოლარი და 185 ლარი აღმოჩნდა. სასამართლომ თანხა მნიშვნელოვან ზიანად შეაფასა. დ. პაპავას დამცველმა ეს განაჩენი სააპელაციო სასამართლოში იმ მოტივით გაასაჩივრა, რომ დ. პაპავამ არ იცოდა რა რაოდენობის თანხა იყო საფულეში და ამიტომ მისი განზრახვა არ მოიცავდა 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტს. რომელიც გაძლიერებულ პასუხისმგებლობას აწესებს დაზარალებულის მნიშვნელოვანი დაზიანების გამო.

სააპელაციო სასამართლომ 2002 წლის 16 მაისის განაჩენით დამცველის ამ შუამდგომლობას სავსებით სწორად უარით უპასუხა. თუმცა განაჩენით ეს უარი სათანადოდ არ იყო დასაბუთებული.

დამნაშავისათვის არ არის სავალდებულო წინასწარ იმის ცოდნა, რა რაოდენობის თანხა შეიძლება აღმოჩნდეს მოპარულ საფულეში, დამნაშავის განზრახვა წინასწარ მოიცავს ყველაფერს, ის წინასწარვე თანახმაა, მიითვისოს ნებისმიერი ოდენობის თანხა, რაც საფულეში აღმოჩნდება.[1]

კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ბ" ქვეპუნქტით იზრდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხარისხი თუ ქურდობა ჩადენილია სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით.

სადგომს წარმოადგენს დროებითი ან მუდმივი სარგებლობისათვის განკუთვნილი სტაციონალური ან მოძრავი მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია ადამიანთა მოსათავსებლად ან მატერიალურ ღირებულებათა შესანახად.

სხვა საცავში იგულისხმება სპეციალურად დაცული ტერიტორიული მონაკვეთი, რომელიც განკუთვნილია მატერიალურ ღირებულებათა მუდმივი ან დროებითი შენახვისათვის. ასევე კონტეინერები, სეიფები, და სხვა მსგავსი საცავები.

საცავს არ წარმოადგენს ის ტერიტორია, რომელიც სპეციალურად არ არის დაცული და გამოიყენება მატერიალურ ფასეულობათა მოსათავსებლად, ასევე ავტომანქანები და სხვა გადახურული საწყობები, რომლებიც იმყოფება არადაცულ მდგომარეობაში, რადგან ისინი არ ქმნიან წინააღმდეგობას იქ არსებული ნივთების დასაუფლებლად.

უკანონო შეღწევა სადგომში ან საცავში ქურდობის დროს შეიძლება მოხდეს ფარულად. შეღწევა შეიძლება განხორციელდეს როგორც წინააღმდეგობის დაძლევით, ასევე მის გარეშე.

ქურდობის კვალიფიციური ნიშანი - შეღწევა არ გვაქვს მაშინ, როცა ქურდობის განზრახვა პირს წარმოეშობა მას შემდეგ, რაც იგი სხვის სადგომში ან სხვა საცავში აღმოჩნდება სხვა მიზნით.

ქურდობა არ შეიძლება ჩაითვალოს შეღწევით ჩადენილად, თუ პირს აქვს სადგომსი ან სხვა საცავში შესვლის უფლება თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარე ან შესასრულებელი სამუშაოს ძალით, ასევე იმის მიერ, ვისაც აქვს ერთჯერადი საშვით შესვლის უფლება და ამ უფლების გამოყენების დროს ჩაიდინა ფარული დაუფლება.

ავტომანქანის სალონიდან ნივთის ფარული წაღება არ შეიძლება ჩაითვალოს როგორც ქურდობა საცავში შეღწევით. ასეთი ქმედების ჩადენა სასამართლო პრაქტიკაში, მართალია, ძირითადად ხდება ფარულად.

სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებულებს წარდგენილი ჰქონდათ ,,სადგომში შეღწევით" ცხვრის მოპარვა. უზენაესი სასამართლოს საკასაციო განჩინებას დადგენილად მიაჩნია, რომ ,, შემთხვევის ადგილი, სადაც ცხვარი იმყოფებოდა, არის ეზოში, ღია ცის ქვეშ, მართულით შემოღობილ ადგილას", რომელიც , „არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სადგომად".

კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტით იზრდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხარისხი, თუ ქურდობა ჩადენილია „წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ". კოდექსის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მასში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. ქურდობის შემადგენლობის ეს მაკვალიფიცირებელი ნიშანი მაშინ გვაქვს, როცა მის ჩადენაში მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი. თუ ქურდობის შემადგენლობა განახორციელა ორმა ან მეტმა პირმა, რომელთაგან ერთი ამსრულებელია, ხოლო სხვები - თანამონაწილენი, მაშინ არ გვექნება ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითი დანაშაული.

[1]სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, (ეკონომიკური დანაშაული), თბილისი, 2004, გვ. 25

მაგალითად, სააპელაციო სასამართლოს განაჩენით შეიცვალა 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდება. კან-ს და თან-ს ბრალად ედებოდათ ან-ის საცხოვრებელი სახლიდან ცხვრის მოპარვა. მსჯავრდებულთა ჩვენებებზე დაყრდნობით სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ ,, ცხვრის მოპარვის განზრახვა " მათ გაუჩნდათ მას შემდეგ, რაც შევარდნენ ან-ის საცხოვრებელი სახლის ეზოში და დაინახეს ცხვარი.

ეს დასაბუთება ეჭვს იწვევს. ჯერ ერთი, არ ჩანს, რა მიზნით შევიდნენ მსჯავრდებულები დაზარალებულის ეზოში, მეორეც, რატომ არ შეიძლებოდა მსჯავრდებულები დანაშაულის ჩადენაზე წინასწარ შეთანხმებულიყვნენ (ცხვრის დანახვისთანავე). კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად, ,,წინასწარი შეთანხმება" გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როცა ,,მონაწილენი წინასწარ შეკავშირდებიან დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად". ამის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ,,შეკავშირება" თუ ,,შეთანხმება" უნდა მოხდეს დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის დაწყებამდე. ამის მიხედვით, თუ მსჯავრდებულებს „ცხვრის მოპარვის განზრახვა გაუჩნდათ" ცხვრის დანახვის შემდეგ, არ შეიძლება გამოირიცხოს წინასწარი შეთანხმების მომენტი.

კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ბ" ქვეპუნქტით იზრდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხარისხი, თუ ქურდობა ჩადენილია ,,არაერთგზის". არაერთგზისი დანაშაულის ზოგადი ცნება მოცემულია კოდექსისი მე-15 მუხლში. არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს წინათ ნასამართლევი პირის მიერ ამ კოდექსისი იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

ამ კოდექსის სხვადასხვა მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზის დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში. სწორედ ქურდობის შემადგენლობისათვის მნიშვნელოვანი ასეთი მითითება მოცემულია კოდექსის 177-ე მუხლის შენიშვნაში. ამ შენიშვნის ძალით, ქურდობა არაერთგზის ჩადენილად ითვლება, თუ მას წინ უსწრებდა არა მარტო ქურდობის, არამედ კოდექსის 177-186-ე მუხლებითა და 224-ე, 231-ე, 237-ე და 264-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა.

არაერთგზისობა, როცა წინა დანაშაული არ არის დამთავრებული (მომზადება ან მცდელობა), ან, პირიქით, იწვევს შემდეგ კვალიფიკაციას: ქურდობის არაერთგზის ჩადენის მცდელობას (სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ბ" ქვეპუნქტი).

არაერთგზისობა გვაქვს მაშინ, როცა პირი ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის იყო ნასამართლევი.

არაერთგზისობა არ გვექნება, თუ სუბიექტი კანონით დადგენილი წესით წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის გათავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ანდა თუ მას წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა.

არაერთგზისობისათვის არა აქვს მნიშვნელობა სუბიექტი ამსრულებელია თუ თანამონაწილე.

კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტით იზრდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ ქურდობა ჩადენილია ,,ბინაში უკანონო შეღწევით".

ბინა - ეს არის საცხოვრებელი სახლი ან ოთახი მრავალბინიან სახლში, რომელიც განკუთვნილია ადამიანთა მუდმივ ან დროებით საცხოვრებლად. მასვე ეკუთვნის მისი შემადგენელი ნაწილები, რომლებიც გამოიყენება დასასვენებლად, ნივთების შესანახად ან გამოყენება ადამიანის სხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად (მაგალითად, სათავსო, სამზარეულო, აბაზანა, აივანი და ა.შ).

იმისათვის, რომ სუბიექტის მოქმედება დაკვალიფიცირდეს ბინაში უკანონო შეღწევით ქურდობისათვის, აუცილებელია გაირკვეს, თუ რა მიზნით აღმოჩნდა პირი სხვის ბინაში და როდის წარმოიშვა ქურდობის განზრახვა.

ბინაში უკანონო შეღწევით ქურდობის ჩადენისას ვრცელდება ყველა ის მოთხოვნა და დებულება, რომელიც განვიხილეთ ,,სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით" ჩადენილი ქურდობისას.

კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,დ" ქვეპუნქტით იზრდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხარისხი, თუ ქურდობა ჩადენილია „სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ". დაუფლება გულისხმობს სატრანსპორტო საშუალების ამოღებას მესაკუთრის ან კანონიერი მფლობელის ფონდებიდან და დროებით გადასვლას სუბიექტის მფლობელობაში.

მაგალითად, სასამართლომ მსჯავრი დასდო ჯან-ს სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ ქურდობისათვის. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ჯან-ი ცხოვრობდა მშობლებთან და დასთან ერთად. მათი სახლის გვერდით ცხოვრობდა მისი ბიძა ან-ი, რომელსაც საკუთრებაში ჰყავდა ავტომანქანა ვაზ 2101. 2002 წლის 19 ივლისს, დილის საათებში ჯან-მა გადაწყვიტა ესარგებლა ბიძის სახლში არ ყოფნით და გამოეყენებინა ამ უკანასკნელის ავტომანქანა პირადი საქმეების მოსაგვარებლად. სადენების გადაერთებით აამუშავა მანქანა და წავიდა მეგობრის ლას-ის სანახავად, რომელიც ცხოვრობდა მუხიანის

დასახლებაში, ჩაისვა მანქანაში ლას-ი და გაემართა ბენზინგასამართი სადგურისაკენ, რა დროსაც პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს.

სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გაბატონებული თვალსაზრისის თანახმად, ოჯახის რომელიმე წევრის მიერ მესაკუთრის ნებართვის გარეშე ავტომობილის თვითნებური სარგებლობა მართლსაწინააღმდეგო დაუფლებად არ უნდა ჩაითვალოს, ამიტომ ასეთი ქმედება განსახილველი დანაშაულის შემადგენლობას არ ქმნის. ასეთ შემთხვევაში ოჯახის წევრი უმეტესად მოქმედებს ავტომანქანის სავარაუდო თანხმობის საფუძველზე. მაშინაც კი, როცა მესაკუთრე უკრძალავდა მისი ოჯახის წევრს მანქანით სარგებლობას, ჩვენი აზრით, ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობა მაინც არ უნდა დადგეს.

კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტით იზრდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი თუ ქურდობა ჩადენილი იქნება ,,ორგანიზებული ჯგუფის მიერ". ამასთან დაკავშირებით მეტად საყურადღებოა ცომაიას ქმედების კვალიფიკაცია. ცომაიამ ძმებ გასვიანებთან ერთად, ქურდობის მთელი სერია ჩაიდინა, სასამართლოს 2002 წლის 29 მაისის განჩინებით ცომაიას ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი ქურდობისათვის დაედო მსჯავრი.

ერთი შეხედვით, ეს კვალიფიკაცია სწორია, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ცომაიამ, ძმებ გასვიანებთან ერთად, ქურდობების მთელი სერია ჩაიდინა, ამიტომ წინასწარმა გამოძიებამ და სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ დამნაშავეებმა ჩაიდინეს არა ქურდობა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, არამედ ,,ორგანიზებული ჯგუფის მიერ".

მაგრამ ამ სწორ კვალიფიკაციას, ჩვენი აზრით, ერთმნიშვნელოვანი გარემოება უშლის ხელს. საქმე ის არის, რომ ჯგუფი, წინასწარ შეთანხმებული იყო, თუ ორგანიზებული, სულ ერთია, სასამართლოს არ უნახავს ძმები გასვიანები, რომლებთანაც ერთად ცომაია დანაშაულებს სჩადიოდა, გაქცეულები ყოფილან და სასამართლო პროცესს არ დასწრებიან.

ძმები გასვიანები, რომლებიც სასამართლოს თვალითაც არ უნახავს, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებად ცხადდებიან. შესამოწმებელია მათი ასაკი, ფსიქიკური მდგომარეობა, არ ვიცით რას იტყვიან ისინი ამ საქმის ირგვლივ და სხვა, რაც მათი დაკითხვისა და უშუალო გაუსამართლებლად არ შეიძლება სწორად დადგინდეს, ამიტომ მათი ჯგუფის წევრებად ყოფნა ეჭვქვეშ დგება, რაც უარყოფით ზეგავლენა ახდენს ცომაიას ქმედების კვალიფიკაციაზე.

კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით იზრდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხარისხი, თუ ქურდობა ჩადენილია „დიდი ოდენობით" კოდექსის 177-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, დიდი ოდენობად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 10 000 ლარის ზევით. არ შეიძლება ამ პუნქტით კვალიფიკაცია თუ პირს რამოდენიმეჯერ აქვს ჩადენილი ქურდობა და ერთიანობაში ნაქურდალი ნივთების რაოდენობა აღემატება 10 000 ლარს.

კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტით იზრდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, თუ ქურდობა ჩაიდინა იმ პირმა, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის. ეს მაკვალიფიცირებელი ნიშანი პერსონალური ხასიათისაა და არსებობს მაშინ, როცა პირი ადრე ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი არა ნებისმიერი დანაშაულისათვის, არამედ კონკრეტულად სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ან გამოძალვისათვის. აქვე საყურადღებოა ის გარემოება, რომ წარსულში ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობები მოხსნილი ან გაქარწყლებული არ უნდა იყოს.

ლიტერატურა:

1) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წლის 22 ივლისს;
2) Якушин В., Ошибка и ее уголовно-правовое значение, Казань, 1988;
3) Уголовное право, обшая часть, учебник, Москва, 1994;
4) Куринов Б., Научные основа квалификации преступлений, Москва, 1976;
5) სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარები, (ეკონომიკური დანაშაული), თბილისი, 2004;
6) Комментарий к уголовному кодексу Российской Федераций, Москва, 2000.

რეზიუმე

ნაშრომში გადმოცემულია ქურდობის კვალიფიციური შემადგენლობის ცალკეული სახეები, კვალიფიკაციის პრობლემები, ჩამოყალიბებულია მთელი რიგი დებულებები, რომელიც დაკავშირებულია ქურდობის კვალიფიციური შემადგენლობის ანალიზთან და დასმულია საკანონმდებლო წინადადება. აგრეთვე დასმულია მთელი რიგი წინადადებებისა, რომლებიც დასამკვიდრებელია საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში.

QUALIFIED COMPOSITION OF THEFT

Malkhaz Lomsadze, Professor

RESUME

The paper deals with the separate types of composition of qualified theft, qualification problems, provides number of statements that are connected with the analysis of the composition of qualified theft. Legislative solutions are offered. Besides, the article provides the number of other statements that are to be introduced in investigation and court practices.

ჟურნალისტიკის საინფორმაციო ბუნება

ალექსანდრე მღებრიშვილი, პროფესორი

ჟურნალისტური საქმიანობის არსს მისი საინფორმაციო ბუნება განსაზღვრავს, ინფორმაციულობის ნაყოფიერებას კი ჟურნალისტის მიერ საკუთარი აუდიტორიის ახლოს ცოდნა განაპირობებს.

ჭეშმარიტი ჟურნალისტის მოვალეობა საზოგადოების დროული და ობიექტური ინფორმირება გახლავთ. თავის მხრივ, „მედიის მიერ საზოგადოების წინაშე ნებაყოფლობით აღებული პასუხისმგებლობაა სამოქალაქო საზოგადოების სიმწიფის გამოვლინება“ [1].

ვ. ცვიკის აზრით, ჟურნალისტია ის, ვინც „გვაწვდის ინფორმაციას „ცხელი წერტილებიდან“, მოგვითხრობს ექსტრემალურ სიტუაციებზე, ვის წინაშეც განიხვნება ამა ქვეყნის ძლიერთა კაბინეტების, დიდი თავყრილობების, სათეატრო თუ საკონცერტო დარბაზების, მხატვართა სახელოსნოებისა თუ მწერალთა სტუდიების კარი“ [2].

ცნობილი მწერლის ჩარლზ დიკენსის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, ქუჩაში სიარული, ადამიანების ყოფითი პრობლემების საკუთარი თვალით ხილვა, მათთან საუბარი, ხოლო შემდეგ ნანახისა და განცდილის პირუთვნელი ასახვა ჟურნალისტისათვის სტაბილურად მზარდი და კეთილგანწყობილი აუდიტორიის ჩამოყალიბების საუკეთესო წინაპირობაა.

ჟურნალისტებმა იციან: დემოკრატია მაშინაა ჯანსაღი, როცა საზოგადოება ინფორმირებულია მრეწველობის კაპიტნებისა და საჯარო სამსახურის თავკაცების საქმიანობის შესახებ. მხოლოდ ადეკვატური ინფორმაციით შეიარაღებულ ხალხს შეუძლია, აკონტროლოს ძლიერნი ამა ქვეყნისანი. ჯეკ ფულერმა „ჩიკაგო ტრიბუნიდან“ ეს მარტივად გამოხატა: „ჩემთვის ჟურნალისტიკის მთავარი დანიშნულებაა, სიმართლის თქმა და ხალხისათვის ისეთი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც სახალხო ხელისუფლების უზენაესობას უზრუნველყოფდა“ [3].

ინფორმაციის თავისუფლების ძირითადი მახასიათებლებია:

- საჯარო დაწესებულებაში არსებულ ინფორმაციაზე წვდომა თავისუფალია;
- თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს მიიღოს და გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში არსებულ ოფიციალურ ინფორმაციას (გარდა სახელმწიფო, პროფესიული ან კომერციული საიდუმლოების შემცველი დოკუმენტაციისა);
- ყოველი განცხადება, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ, დაწესებულების მიერ გონივრულ ვადაში უნდა იქნეს განხილული;

- გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციაზე უარის თქმის შესახებ ექვემდებარება გასაჩივრებას და დასაბუთებული უნდა იყოს უარის მთქმელი დაწესებულების მხრიდან (შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების მითითებით);
- ინფორმაციის გაცემა არ ითვალისწინებს რაიმე საფასურის გადახდას (გარდა ასლის გადაღების საფასურისა);
- საჯარო დაწესებულება ვალდებულია, დაუბრკოლებლად განიხილოს და დაუყოვნებლივ გასცეს წერილობითი განაცხადით მოთხოვნილი ინფორმაცია მიუხედავად იმისა, განცხადებაში მითითებულია თუ არა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი (განსაკუთრებულ შემთხვევებში საჯარო დაწესებულება ინფორმაციას გასცემს არა უგვიანეს ათი დღის ვადაში).

შეიძლება ითქვას, რომ ჟურნალისტიკა ახალი ამბების მოპოვების მიზნით შექმნილი საზოგადოებრივი სისტემაა. იგი მხოლოდ იმ შემთხვევაშია ქმედითი, როდესაც ობიექტური, დამოუკიდებელი, საიმედო, საჭირო და ზუსტი ინფორმაციით უზრუნველყოფს აუდიტორიას.

სხვა განმარტებით, „ჟურნალისტიკა - ეს არის შემოქმედებითი მოღვაწეობის სახეობა, სადაც პროფესიის საფუძველია ცხოვრების წვდომა, სინამდვილის ნებისმიერი მხარის ობიექტური გაშუქება, ადამიანური ყოფის მრავალფეროვნების გააზრება... ჟურნალისტიკა კიდეც ასახავს და კიდეც აყალიბებს საზოგადოებრივ ცნობიერებას, ემსახურება საზოგადოებას და, იმავდროულად, სოციალური მართვის ინსტრუმენტადაც გვევლინება. სწორედ ამიტომ უწოდებენ მას მეოთხე ხელისუფლებას (წარმომადგენლობითი ანუ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების შემდეგ)... ჟურნალისტიკა საზოგადოებრივი პროგრესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იარაღია. მისი ყოველმხრივი განვითარების გარეშე შეუძლებელია საზოგადოებისა და ცივილიზაციის წინსვლა“ [4].

ბილ კოვაჩისა და ტომ როზენსტილის მიხედვით, კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რამდენიმე პრინციპი, რომლებზეც ჟურნალისტები შეთანხმდნენ და რომელთა დაცვასაც მოქალაქეები მოითხოვენ. ეს პრინციპები დროთა განმავლობაში ზუსტდებოდა. ეს ჟურნალისტიკის ძირითადი პრინციპებია.

უმთავრესი პრინციპი ისაა, რომ ჟურნალისტიკამ ადამიანები უნდა უზრუნველყოს ინფორმაციით, რომელიც მათ სჭირდებათ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

იმისათვის, რომ ეს ამოცანა შესრულდეს:

1. ჟურნალისტიკა, უპირველეს ყოვლისა, სიმართლეს უნდა ემსახურებოდეს.
2. ჟურნალისტიკა, პირველ რიგში, მოქალაქეების ერთგული უნდა იყოს.
3. ჟურნალისტიკის არსი ინფორმაციის მუდმივი გადამოწმებაა.
4. ჟურნალისტმა უნდა შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა მათგან, ვისაც აშუქებს.
5. ჟურნალისტი უნდა მოქმედებდეს, როგორც ხელისუფლების დამოუკიდებელი მაკონტროლებელი.
6. ჟურნალისტიკა ხალხს საჯარო კრიტიკისა და მსჯელობის საშუალებას უნდა აძლევდეს.
7. ის, რაც მნიშვნელოვანია, ჟურნალისტმა საინტერესოდ და ადეკვატურად უნდა წარმოადგინოს.
8. ჟურნალისტმა უნდა შეინარჩუნოს ინფორმაციის პროპორციულობა და ეს ინფორმაცია ყოველმხრივი უნდა გახადოს.
9. ჟურნალისტი პასუხს აგებს სინდისის წინაშე [5].

სიტყვის თავისუფლების მაღალი სტანდარტის დასამკვიდრებლად მედიასაშუალება თავისუფალი უნდა იყოს და დამოუკიდებლად ახორციელებდეს პროფესიულ მოვალეობას. როდესაც ამ ღირებულებებზე ვსაუბრობთ, პირველყოვლისა, მიგვაჩნია, რომ იგი გულისხმობს მედიასაშუალების გათავისუფლებას, როგორც პოლიტიკური, ხელისუფლების წარმომადგენელთა და კომერციული ინტერესებისაგან, ასევე ჟურნალისტის ნაცნობ-მეგობრების და პირადი სიმპათია-ანტიპთიის გავლენისაგან.

1954 წელს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მსოფლიო კონგრესის მიერ მიღებულ ჟურნალისტთა ქცევის პრინციპების დეკლარაციაში 1986 წელს განხორციელდა გარკვეული ცვლილებების და დამატებების შეტანა. იგი ჟურნალისტთა საერთაშორისო საზოგადოების მიერ სახელმძღვანელო დოკუმენტად იქნა აღიარებული. დეკლარაციის ნორმები ასეთია:

- ჟურნალისტი, უპირველეს ყოვლისა, მოვალეა, პატივი სცეს სიმართლეს და ადამიანის უფლებას - გაიგოს სიმართლე;
- თავისი მოვალეობებიდან გამომდინარე, სამართლიანი ინფორმაციისა და ახალი ამბების შეგროვების, ასევე სამართლიანი კომენტარისა და კრიტიკის დროს, ჟურნალისტი თავისუფლების პრინციპებს უნდა იცავდეს;

❖ ჟურნალისტი მხოლოდ იმ ფაქტებს უნდა ეყრდნობოდეს, რომლის წყაროც აქვს. ჟურნალისტმა არ უნდა მიჩქმალოს, უგულებელყოს მთავარი ინფორმაცია ან გააყალბოს დოკუმენტები;

❖ ჟურნალისტმა ინფორმაციის, ფოტოებისა და დოკუმენტების მოსაპოვებლად მხოლოდ დასაშვები (სამართლიანი) მეთოდები უნდა გამოიყენოს;

❖ ჟურნალისტი მოვალეა თავის მიერ გამოქვეყნებულ მასალაში დაშვებული ნებისმიერი უხეში შეცდომა გაასწოროს;

❖ კონფიდენციალურად მოპოვებული ინფორმაციის მიმართ ჟურნალისტი წყაროს დაუსახელებლობის პროფესიულ უფლებას უნდა იცავდეს;

❖ ჟურნალისტი ფხიზლად უნდა ადევნებდეს თვალს იმას, რომ მედია დისკრიმინაციის საშუალებად არ გამოიყენონ და იმთავითვე წინ აღუდგეს რასობრივი, ენობრივი, რელიგიური, სქესობრივი, პოლიტიკური ან სხვა მოსაზრებების, სექსუალური ორიენტაციის, ნაციონალობისა და სოციალური მდგომარეობის გამო დისკრიმინაციის ნებისმიერ გამოვლინებას;

❖ პროფესიონალი ჟურნალისტისათვის სრულიად მიუღებელი უნდა იყოს პლაგიატობა, წყაროს შეგნებულად არასწორი ციტირება, ლანძღვა-გინება, იარლიყების მიკერება, ბილწსიტყვაობა, დაუსაბუთებელი ბრალდება, ნებისმიერი ფორმით ქრთამის აღება პუბლიკაციის გამოქვეყნების ან ზემოქმედების მოხდენის მიზნით;

❖ საკუთარი ავტორიტეტის პატივისმცემელი ჟურნალისტი ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების შესრულებას ვალდებულებად უნდა მიიჩნევდეს. ნებისმიერი ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში ჟურნალისტმა მხოლოდ მისი კოლეგების პროფესიული უფლებამოსილება უნდა აღიაროს და არ დაუშვას მასზე მთავრობების ან სხვათა ზემოქმედება [6].

ჟურნალისტიკა ვალდებულია არსებული რეალობა განუწყვეტელ საზრდოდ აძლიოს საზოგადოებას. ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი აზრის შექმნას, გამოარკვიოს მეტისმეტად თვითდაჯერებული და თვითკმაყოფილებას მიცემულნი და საზოგადოებას მიაწვდინოს იმ ადამიანთა ხმა, რომელთაც ეს ესაჭიროება და დამოუკიდებლად ამის ძალა არ შესწევთ. მოახდინოს საზოგადოების დადებით და უარყოფით წევრთა იდენტიფიცირება.

რაც შეეხება პუბლიცისტიკას, აღიარებული შეხედულების მიხედვით, იგი თანამედროვე აქტუალურ საკითხებზე შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურაა. მაშასადამე, ჟურნალისტური საქმიანობა წარმოადგენს სპეციალური ცოდნით აღჭურვილ ადამიანთა, ჟურნალისტთა, საქმიანობის სფეროს, ხოლო პუბლიცისტიკა - ჟურნალისტთა შემოქმედებითი საქმიანობის პროდუქტს.

„ჟურნალისტიკის შესავლის საკითხებში“ პროფ. ი. ჭუმბურიძე წერს: „პიროვნება შეიძლება ითვლებოდეს ჟურნალისტად, მთელი ცხოვრება ამ პროფესიას ემსახურებოდეს - ხელმძღვანელობდეს გაზეთის, ჟურნალისა თუ არხის საქმიანობას, განსაზღვრავდეს და წარმართავდეს სარედაქციო პოლიტიკას, მის მენეჯმენტს, მაგრამ ის ვერ ჩაითვლება პუბლიცისტად, თუ არ ქმნის შემოქმედებით პროდუქტს - საგაზეთო ან საჟურნალო სტატიას, რადიო თუ სატელევიზიო გადაცემას...“ [7]

ჟურნალისტური საქმიანობის საინფორმაციო ბუნება თემის სწორად შერჩევის აქტუალურობას განაპირობებს. თემის შერჩევა ჟურნალისტზე, მის პროფესიულ ალღოზეა დამოკიდებული. თემა, რომლისკენაც საზოგადოების ყურადღების მიპყრობას ვაპირებთ, მიმდინარე მოვლენათაგან შეირჩევა და მასობრივი აუდიტორიის გარკვეული ჯგუფისათვის მაინც უნდა წარმოადგენდეს ინტერესის ობიექტს.

დამწყებ ჟურნალისტთა შორის ხშირად შეინიშნება თემის სწორად შერჩევასთან დაკავშირებული პრობლემური სიტუაციები. ამ ტიპის თავდაპირველი უხერხულობების თავიდან აცილების მიზნით, ვფიქრობთ, საინტერესო იქნებოდა იმ ზოგიერთი ფაქტორის გამოკვეთა, რომლებიც განაპირობებენ კარგ ახალ ამბავს:

1. ოპერატიული - ჟურნალისტური საქმიანობის ამოსავალი წერტილი ოპერატიულობაა. ფაქტის დროული გაშუქება ჟურნალისტის უმთავრესი საზრუნავია. საუკეთესო შემთხვევაში, გაშუქება უნდა ხდებოდეს ფაქტის მიმდინარეობის პერიოდშივე, მისი დასრულებიდან უახლოეს წუთებში. ჟურნალისტები იმყოფებიან შემთხვევის ადგილზე, აკვირდებიან არსებულ რეალობას, ესაუბრებიან თვითმხილველებს, სვამენ კითხვებს, იღებენ ინტერვიუებს.

ბუნებრივია, ფაქტის მიმდინარეობის პროცესში გაშუქება ძალზედ რთულია ნაბეჭდი ჟურნალისტიკისათვის, ვინაიდან პერიოდული გამოცემის მომზადება და აუდიტორიამდე მიტანა გარკვეულ დროს თხოულობს, თუმცა ონლაინ ჟურნალისტიკა, ტელევიზია და რადიოტექნიკა სრულად იძლევა აღნიშნულის განხორციელების შესაძლებლობას. ასეთ დროს ყოველი წუთი მნიშვნელოვანია.

2. აქტუალური - ინფორმაციის აქტუალურობას მისი საზოგადოებრივი ინტერესი განაპირობებს. რაც უფრო აქტუალურია პრობლემა, ან რაც უფრო აქტუალურად წარმოაჩენს მას ჟურნალისტი, მასობრივი აუდიტორიის მით უფრო დიდი ნაწილი გახდება მისი რეალური მომხმარებელი.

3. გავლენის მქონე - ხშირად საზოგადოებრივ ცხოვრებაზე გავლენას ახდენს გარკვეული მნიშვნელობის მქონე ფაქტი და მოვლენა. ასეთი ტიპის მასალებს განეკუთვნება: არჩევნების თემატიკა, ცნობილ ადამიანებთან დაკავშირებული პრობლემები, სპორტული სიახლეები, სახანძრო უსაფრთხოება, განსაკუთრებული სიმძაფრის კრიმინალისტიკა და ა. შ.

4. კონფლიქტები - თემის ძიებისას ჟურნალისტთა შემოქმედებითი საქმიანობის ობიექტს წარმოადგენს სხვადასხვა ხასიათის და თემატიკის კონფლიქტური სიტუაციების გაშუქება. ვგულისხმობთ, როგორც საომარი მოქმედებების ეპიცენტრებს და მსოფლიოს ცხელ წერტილებში მუშაობას, ასევე კონფლიქტებს პოლიტიკურ სარბიელზე, პოლიციასა და კრიმინალურ სამყაროს შორის, პერიპეტიებს ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებაში, სამართლებრივ საკითხებში და ა.შ.

5. აუცილებელი - ჟურნალისტური მოღვაწეობისას არსებობენ თემები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას და ფრთხილ მოპყრობას მოითხოვს. ძირითადად ეს პრობლემური სიტუაციები საჭიროებს მხილებას, გამოაშკარავებას, გამოსწორებას. ჟურნალისტის ხელში აღმოჩენილი (შეტყობინება) ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც საფრთხე ემუქრება რომელიმე ინდივიდს, ადამიანთა ჯგუფს, თვალსაჩინო ხდება კანონსაწინააღმდეგო ქმედებანი სხვადასხვა სოციალურ ინსტიტუტთა შრეებში და ა.შ. საჭიროებს გარკვეული ტიპის გადაუდებელ რეაგირებას. მსგავსი თემატიკა ჟურნალისტისაგან სპეციფიკურ ცოდნას და მომზადებას მოითხოვს. ძირითადად ეს საგამოძიებო ჟურნალისტიკაა.

6. უცნაური - უნდა ითქვას, რომ ჟურნალისტები ყოველთვის სიამოვნებით კიდებენ ხელს ყოფითი ცხოვრების თანამდევი უცნაური და უჩვეულო ამბების გაშუქებას. ასეთი ტიპის მასალები იზიდავენ მასობრივი აუდიტორიის ნაწილს და ხშირად გარკვეული პოპულარობითაც სარგებლობენ.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში ჟურნალისტთა აუდიტორია უზარმაზარ ციფრებს აღწევს. თუ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა მომხმარებლის ერთი ნაწილისთვის მასმედია მხოლოდ გართობის წყაროს წარმოადგენს, მეორე მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ცხადზე უცხადესია მედიის როლის მნიშვნელობა და თანამედროვე ცხოვრებაზე მისი გავლენის სიღრმე.

„კრიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ მედია შინაარსობრივად მრავალფეროვანი უნდა იყოს. ისინი მედიისაგან მოითხოვენ საინფორმაციო, საგანმანათლებლო და გასართობ გადაცემებს, სიღრმისეულ ინფორმაციას, რომელიც მაყურებელს ინფორმირებული პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების საშუალებას მისცემს, ესთეტიკურ ტკბობას მიანიჭებს და ზნეობრივად აამაღლებს. ასეთ კეთილშობილურ მიზნებს წინ არც ერთი ჭკუათმყოფელი არ გადაეღობება, მაგრამ იმ გარემოში, რომელშიც ჩვენი მედია მოქმედებს, მათი მთლიანად განხორციელება არარეალურია იმის გამო კი არა, რომ გავლენიანი ადამიანები ყოველთვის გააკონტროლებენ მედიას, არამედ იმიტომ, რომ ჩვენს საზოგადოებაში მედია დამკვიდრებულია, როგორც კერძო ბიზნესის სისტემა“ [8].

თანამედროვე დახვეწილი ტექნოლოგიების წყალობით შესაძლებელი ხდება ინფორმაციის გაცილებით მასშტაბური და სწრაფი მოძიება, შესაბამისად, მისი უსწრაფესად გავრცელების მიზნით. ამ მიმართულებით განსაკუთრებით შთამბეჭდავია ე.წ. ახალი ამბები, რომლებიც ათასგვარ მნიშვნელოვან მოვლენასა და ყოველდღიური ყოფიერების ცვლილებებს ასახავს.

ასეთ დროს ჟურნალისტის უმთავრესი მახასიათებელი მისი ცნობისმოყვარეობაა. თავიდანვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჟურნალისტის უპირველეს წყურვილს უნდა წარმოადგენდეს, პირადად გაერკვეს მოვლენის არსში.

„ჟურნალისტები კარიერის დასაწყისშივე სწავლობენ, რომ საკუთარი თვალით ნანახი და ყურით გაგონილი სჯობია მეორეულ ინფორმაციას. პირველწყაროსგან - თავად ჟურნალისტისგან მიღებული ინფორმაცია უფრო დამაჯერებელია“ [9].

მ. მენჩერის მიხედვით, რეპორტიორის უპირველესი მახასიათებლებია: დაჟინებული, სამართლიანი, მცოდნე, მრავალმხრივ ნიჭიერი, საზრიანი, მამაცი, თანამგრძნობი.

1. დაჟინებული - რესპონდენტისათვის კითხვების დასმა გრძელდება, ვიდრე აუდიტორია დასმულ საკითხში არ გაერკვევა. ჟურნალისტიკა კარგად წერის გარდა, კარგი კითხვების დასმის ხელოვნებასაც მოითხოვს.

2. სამართლიანი - ჟურნალისტური საქმიანობის უმთავრესი პრინციპია მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის დაცვა. მიუხედავად იმისა, თუ როგორ აქტუალურ ან სკანდალურ ისტორიასთან გვაქვს

საქმე. ფაქტის შემოწმება და სამართლიანობის დაცვა ჟურნალისტის პროფესიონალიზმის ხარისხის მაღალ მაჩვენებელზე მიუთითებს.

3. მცოდნე - მიგვაჩნია, რომ კარგი ჟურნალისტი ყველაფერში უნდა ერკვეოდეს. რა თქმა უნდა, წარმოუდგენელი იქნებოდა ჟურნალისტისათვის მოგვეთხოვა ფუნდამენტური ცოდნა ყველა მიმართულებით, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ორი გარემოება: პირველი, მას აუცილებლად დასჭირდება ფართო ზოგადი ხასიათის განათლება და, მეორე, უნდა გამოიმუშაოს თვისება, საბოლოო დასკვნების გამოტანამდე სიღრმისეულად გაერკვეს ყოველი კონკრეტული სიტუაციის არსში.

4. მრავალმხრივ ნიჭიერი - ჟურნალისტისთვის ერთგვარ აუცილებლობას წარმოადგენს პროფესიული უნარ-ჩვევების ფართო სპექტრის დაუფლება. სხვადასხვა პრობლემურ სიტუაციაში ფოტო, ვიდეო და აუდიომასალის მომზადება, ასევე თანამედროვე მულტიმედიურ საინფორმაციო გარემოსთან ადეკვატურობა ჟურნალისტთა დამატებით პროფესიულ ღირსებებზე მიუთითებს.

5. საზრიანი - ზოგიერთ რთულ ვითარებაში, როდესაც სიტუაცია ნაკლებად ხელმისაწვდომი, ხოლო ინფორმაცია რთული მოსაპოვებელი ხდება, ჟურნალისტისთვის ჰაერივით აუცილებელია პროფესიული ტაქტის, ალღოს გამოჩენა და, საზრიანობის წყალობით, დასახული მიზნის მიღწევა.

6. მამაცი - არცთუ იშვიათად, ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელება გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული. არსებობს უამრავი შემთხვევა, როდესაც ჟურნალისტები დაღუპულან კიდეც სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას. ვგულისხმობთ ფატალურ შემთხვევებს სტიქიური უბედურებებისა თუ მსოფლიოს ცხელი წერტილების გაშუქებისას.

7. თანამგრძნობი - ჟურნალისტის ერთ-ერთი მოვალეობათაგანია, მხარში ამოუდგეს და დაიცვას იმ ადამიანთა (ძირითადად სოციალურად დაუცველთა) უფლებები, რომლებიც ამას დამოუკიდებლად ვერ ახერხებენ. დააფიქროს ადამიანები სხვადასხვა მგრძნობიარე ფაქტების წამოწევით და სხვ.

ახალი ამბები ჟურნალისტური საქმიანობის ის მნიშვნელოვანი სეგმენტია, რომელიც საზოგადოებას უზრუნველყოფს ინფორმაციით მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვან საკითხთა შესახებ. ახალი ამბებისადმი აუდიტორიის განსაკუთრებულ ინტერესს განაპირობებს ცნობისმოყვარეობის ინსტინქტი, გარკვეული დაცულობის შეგრძნება, ვინაიდან მეტი ინფორმაციულობა და გარკვეული ცოდნა ბადებს საშუალებას უფრო დაბალანსებული და სტაბილური საცხოვრებელი გარემოს შესაქმნელად.

ახალი ამბები უნდა ასრულებდეს ერთგვარი სინათლის ფუნქციას, რომლის შუქზეც ადამიანები თავად იპოვიან გზას.

თანამედროვე ეპოქაში, როდესაც ინფორმაცია განსაკუთრებულად ხელმისაწვდომია „ახალი ჟურნალისტი უკვე აღარ წყვეტს, თუ რა უნდა იცოდეს საზოგადოებამ. ის ეხმარება აუდიტორიას, რომ მან თვითონ ამოირჩიოს. ეს მარტო იმას არ ნიშნავს, რომ ახალი ამბების რეპორტაჟს ინტერპრეტაცია და ანალიზი დაემატოს. ახალი ტიპის ჟურნალისტის პირველი ამოცანაა შეაფასოს, რომელი ინფორმაციაა სანდო და შემდეგ ისე მიიტანოს მკითხველამდე, რომ მკითხველი ეფექტურად ჩასწვდეს მას“ [10].

მიუხედავად ტექნოლოგიური პროგრესისა ჟურნალისტიკის ძირითადი პრინციპები უცვლელია. ინფორმაციულობა ამ პრინციპთა ფუნდამენტია. გასათვალისწინებელია, რომ აუდიტორიის უდიდესი ნაწილი გარემოს აღიქვამს არა უშუალოდ, არამედ მედიის საშუალებით მიღებული წარმოსახვითი სურათებით, შესაბამისად სიზუსტის, აქტუალურობის და სხვა პრინციპთა განუხრელი დაცვა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

ჟურნალისტიკა თავის საქმიანობას ორი მიმართულებით ავითარებს: ერთის მხრივ, იგი ქმნის საზოგადოებრივ აზრს და, მეორეს მხრივ, საზოგადოებრივი აზრის გამომხატველია.

ნიკო ნიკოლაძის აზრით, პრესის ძალა აუცილებლად უნდა ემყარებოდეს არა ექსცენტრიულობისა და ფანტაზიის არამყარ საფუძველს, არა ბანალურ ბრძოლათა წარმართულ ვნებებს, არამედ, მყარ საფუძველს იმ მოთხოვნილებისა, რომელსაც საზოგადოება უყენებს პრესას: ეროვნული ცნობიერების ყველა სფეროს კეთილსინდისიერი ინფორმაცია და ფართოდ გაშუქება [11].

„პრესის თავისუფლების“ ცნება დაკავშირებულია დემოკრატიასთან. მხოლოდ სამთავრობო ცენზურისგან თავისუფალ პრესას შეუძლია სიმართლის თქმა. თანამედროვე კონტექსტში „თავისუფლების“ ცნება გაფართოვდა და ნიშნავს დამოუკიდებლობას სხვა ინსტიტუტებისგან: პარტიებისგან, რეკლამის შემკვეთებისგან, ბიზნესისგან და ა.შ. ახალი ამბების ბიზნესის კონგლომერაცია პრესის, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტის არსებობას, საფრთხეს უქმნის, რადგან ჟურნალისტიკა ფართო კორპორაციების შიგნით სუბსიდირდება სრულიად სხვა ბიზნესში საფუძვლიანად ფეხმოკიდებული კომპანიების მიერ“ [12].

დეფლორისა და დენისის მიხედვით, ახალი ამბების მთავარი აზრი ისაა, რომ „პრესა საზოგადოების მეთვალყურეა“, ანუ პრესა და ზოგადად ახალი ამბების მედია გამუდმებით თვალს ადევნებს მოქალაქეთა ცხოვრებას და, ახალი ამბების მეშვეობით, მათ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტებს ატყობინებს. ამრიგად, მოქალაქეებს სანდო ინფორმაცია აქვთ იმ მოვლენებისა და საკითხების შესახებ, რომელთა ცოდნა მათთვის და ზოგადად საზოგადოებისთვის აუცილებელია. პრესის ფუნქციის ასეთი იდეალიზებული ინტერპრეტაცია კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თუ რატომ ენიჭება დემოკრატიის პირობებში ახალი ამბების მედიას სპეციალური დაცვითი და სხვა პრივილეგიები, რომლებიც არც ერთ სხვა სახის მომგებიან ბიზნესზე არ ვრცელდება [13].

ახალი ამბების სრულყოფილი, ზუსტი და დროული მიწოდება უზრუნველყოფს საზოგადოების ოპერატიულ ინფორმირებას რეალურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

„კვლევების შედეგები აჩვენებს, რომ მედიის ზემოქმედება შესაძლოა იყოს ან კოგნიტური, ან ქცევითი, ან ემოციური; ასევე - ან პირდაპირი, ან არაპირდაპირი, ან ხანმოკლე, ან ხანგრძლივი. ინდივიდუალური თავისებურებები, ფსიქოლოგიური და გარემო ფაქტორები, სოციალური ჯგუფების მახასიათებლები გავლენას ახდენს აუდიტორიის მიერ მედიის პროდუქციის აღქმასა და შესაბამის რეაქციაზე.

მედიის ზემოქმედების ახსნისათვის მნიშვნელოვანია იმ ფაქტორის გააზრებაც, რომ აუდიტორიაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ მედიაპროდუქციის შინაარსი და მიწოდების ფორმა, არამედ - საკუთრივ მედიასაშუალებაც“ [14].

იმისათვის, რომ ახალი ამბები მასობრივი აუდიტორიის (ინდივიდუალურ მიმღებთა ერთობლიობის) წინაშე აღმოჩნდეს, რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპი უნდა გაიაროს.

ინფორმაციული მუხტის მქონე საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ფაქტის შერჩევის და ამ ფაქტის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის დროული მოძიების შემდეგ ჟურნალისტი იწყებს მოპოვებული ცნობების გადამუშავებას. ინფორმაციისათვის სათანადო ჟანრული ფორმის მოძიება და მედიაფორმატის სწორად შერჩევა მნიშვნელოვანი ეტაპია. ასევე საპასუხისმგებლო ეტაპს წარმოადგენს გადამუშავებული ფაქტის გავრცელება მასობრივ აუდიტორიაში, ვინაიდან ჟურნალისტის ოსტატობის ხარისხს განსაზღვრავს ამ აუდიტორიის ის პროცენტული ნაწილი, რომელმაც ახალი ამბავი მიიღო და მისი რეალური მომხმარებელი გახდა.

იმისათვის, რომ ახალი ამბების გზავნილმა დასახულ მიზანს მიაღწიოს, ანუ შექმნას საზოგადოებრივი აზრი, დაარწმუნოს აუდიტორია, პირველყოვლისა მიმღებმა უნდა მიიღოს ინფორმაცია, მოახერხოს მისი საფუძვლიანი აღქმა და დაეთანხმოს ტექსტში მოცემულ თეზისს.

„ახალი ამბები არის თანადროული ან ახლად მიღებული ინფორმაცია მოვლენის ან საგნის შესახებ, რომელსაც მოიპოვებენ, გადაამუშავებენ და დაინტერესებულ ადამიანებს მედიის მეშვეობით მიაწვდიან“ [15].

აქვე დავძენთ, რომ ახალი ამბების რაობის საკითხზე ჩვენი სახელმძღვანელოს მომდევნო ნაწილში უფრო დეტალურად გავამახვილებთ ყურადღებას.

ლიტერატურა:

1. მედიის თვითრეგულირების ქრესტომათია (თ. კინწურაშვილის რედ.), თბილისი, 2004, გვ. 3;
2. В. Л. Цвик, Введение в журналистику, Москва, 2000, стр. 5;
3. მელვინ მენჩერი, ახალი ამბების გაშუქება და წერა, თბილისი, 2013, გვ. XI;
4. В. Л. Цвик, Введение в журналистику, Москва, 2000, стр. 12;
5. ბილ კოვაჩი, ტომ როზენსტილი, ჟურნალისტიკის ელემენტები (პირველი ქართული გამოცემა), თბილისი, 2006, გვ. 13;
6. მ. დუმბაძე, თ. გუნაშვილი, ინფორმაციის ეპოქაში ვცხოვრობთ (საქართველოში თავისუფალი პრესის განვითარების ზოგიერთი ასპექტი), თბილისი, 2003, გვ. 24;
7. იოსებ ჭუმბურიძე, ჟურნალისტიკის შესავლის საკითხები, თბილისი, 2012, გვ. 19;
8. მელვინ დეფლორი, ევერეტ დენისი, მასობრივი კომუნიკაციის გაგებისათვის, თბილისი 2009, გვ. 23;
9. მელვინ მენჩერი, ახალი ამბების გაშუქება და წერა, თბილისი, 2013, გვ. 23;
10. ბილ კოვაჩი, ტომ როზენსტილი, ჟურნალისტიკის ელემენტები (პირველი ქართული გამოცემა), თბილისი, 2006, გვ. 27;
11. ქართული პუბლიცისტიკა, ქრესტომათია, XIX ს. (რედ. დ. ჩიკვილაძე), თბილისი, 2007, გვ. 225;
12. ბილ კოვაჩი, ტომ როზენსტილი, ჟურნალისტიკის ელემენტები (პირველი ქართული გამოცემა), თბილისი, 2006, გვ. 37;

13. მელვინ დეფლორი, ევერეტ დენისი, მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისათვის, თბილისი, 2009, გვ. 189;
14. მარინე ვეკუა, ჟილ რუე (იდეის ავტორები), ჟურნალისტიკა, თბილისი, 2013, გვ. 115;
15. მელვინ დეფლორი, ევერეტ დენისი, მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისათვის, თბილისი, 2009, გვ. 189.

რეზიუმე

ჟურნალისტური საქმიანობის არსს მისი საინფორმაციო ბუნება განსაზღვრავს. იგი ახალი ამბების მოპოვების მიზნით შექმნილი საზოგადოებრივი სისტემაა და მხოლოდ იმ შემთხვევაშია ქმედითი, როდესაც ობიექტური, დამოუკიდებელი, საჭირო და ზუსტი ინფორმაციით უზრუნველყოფს აუდიტორიას.

სიტყვის თავისუფლების მაღალი სტანდარტის დასამკვიდრებლად მედიასაშუალება თავისუფალი უნდა იყოს და დამოუკიდებლად ახორციელებდეს პროფესიულ მოვალეობას. როდესაც ამ ღირებულებებზე ვსაუბრობთ, პირველყოვლისა, მიგვაჩნია, რომ იგი გულისხმობს მედიასაშუალების გათავისუფლებას, როგორც პოლიტიკური, ხელისუფლების წარმომადგენელთა და კომერციული ინტერესებისაგან, ასევე ჟურნალისტის ნაცნობ-მეგობრების და პირადი სიმპათია-ანტიპთიის გავლენისაგან.

ჟურნალისტიკა ვალდებულია არსებული რეალობა განუწყვეტელ საზრდოდ აძლიოს საზოგადოებას. ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი აზრის შექმნას, გამოარკვიოს მეტისმეტად თვითდაჯერებული და თვითკმაყოფილებას მიცემულნი და საზოგადოებას მიაწვდინოს იმ ადამიანთა ხმა, რომელთაც ეს ესაჭიროება და დამოუკიდებლად ამის ძალა არ შესწევთ. მოახდინოს საზოგადოების დადებით და უარყოფით წევრთა იდენტიფიცირება.

ჟურნალისტური საქმიანობის საინფორმაციო ბუნება თემის სწორად შერჩევის აქტუალურობას განაპირობებს. თემის შერჩევა ჟურნალისტზე, მის პროფესიულ ალღოზეა დამოკიდებული. თემა, რომლისკენაც საზოგადოების ყურადღების მიპყრობას ვაპირებთ, მიმდინარე მოვლენათაგან შეირჩევა და მასობრივი აუდიტორიის გარკვეული ჯგუფისათვის მაინც უნდა წარმოადგენდეს ინტერესის ობიექტს.

ახალი ამბები ჟურნალისტური საქმიანობის ის მნიშვნელოვანი სეგმენტია, რომელიც საზოგადოებას უზრუნველყოფს ინფორმაციით მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვან საკითხთა შესახებ. ახალი ამბებისადმი აუდიტორიის განსაკუთრებულ ინტერესს განაპირობებს ცნობისმოყვარეობის ინსტინქტი, გარკვეული დაცულობის შეგრძნება, ვინაიდან მეტი ინფორმაციულობა და გარკვეული ცოდნა ბადებს საშუალებას უფრო დაბალანსებული და სტაბილური საცხოვრებელი გარემოს შესაქმნელად.

THE NATURE OF INFORMATION IN JOURNALISM

Aleksandre Mghebrishvili, Professor

RESUME

The essence of journalistic activity is its information characteristics. It is a public system created for gaining the news and is effective only if it provides the audience with objective, independent, necessary and accurate information.

For high standards of freedom of speech, the media should carry out its professional duties independently and be free. While speaking about these values, first of all we think it means such kind of media which should be free both from political, representatives of authorities and commercial interests and be free from the influence of journalists' friends or one's private likes and dislikes.

The duties of journalism are to provide the society with reality, promote the creation of public opinion, find out too self-confident and self-satisfied people and highlight the problems of those who really need it but are not able to do it by themselves.

The information nature of journalistic activity is just the right selection of the topic. The selection of the topic depends on journalist's professionalism and flair. The topic should be chosen from the current events and should be interesting at least for certain group of audience.

The news is one of those important segments of journalistic activities, which provides the society with current issues of the world. The great interest toward the news is due to the instinct of curiosity and the feeling of protection as more awareness and knowledge are the opportunities for making more balanced and stabilized living environment.

სამართლებრივი მართლწერის პრინციპები

მარიკა შერაზადიშვილი, პროფესორი
იოსებ გაბარაევი, მოწვეული სპეციალისტი

იურისტის მაღალი პროფესიონალიზმის ძირითად საზომს, ორატორულ ნიჭთან ერთად, იურიდიული მართლწერის უნარ-ჩვევები წარმოადგენს. იურიდიული მართლწერა არაა მარტო ენის ორთოგრაფიისა და გრამატიკის წესების სრულყოფილი ცოდნა, იგი მოითხოვს ღრმა სამართლებრივ ცოდნა-განათლებასაც. იურიდიული მართლწერის აუცილებელი პირობაა, რომ სამართლებრივი ტექსტი ლიტერატურულად და გრამატიკულად კარგად იყოს ჩამოყალიბებული. მხოლოდ ენობრივად გამართული ტექსტი იძლევა შესაძლებლობას, რომ ავტორის პოზიცია დამაჯერებელი და გასაგები იყოს. ეს არის იურიდიული მართლწერის მხოლოდ ერთი პირობა.

ცნობილია გამართული სამართლებრივი მართლწერის ხუთი პრინციპი:

- ორგანიზებულობა;
- დამაჯერებლობა;
- მართებული ტონი;
- ენის სიმარტივე;
- გადასინჯვა.

ორგანიზებულობა. კარგად ორგანიზებული დოკუმენტი ნიშნავს ავტორის მიერ ტექსტის გარკვეული სტრუქტურული თანმიმდევრობით ჩამოყალიბებას, რომლის შინაარსი ასევე წინასწარ კარგად არის მოფიქრებული და ჩამოყალიბებული. სამართლებრივი მართლწერის ამ პრინციპის დაცვით ტექსტის შედგენის მიზანი არ არის მხოლოდ მოსამართლეზე კარგი შთაბეჭდილების მოხდენა. თვით ტექსტის ავტორისთვისაც, რომელმაც წინასწარ კარგად მოიფიქრა ტექსტის სტრუქტურა და შინაარსი, უფრო ადვილია მისი ჩამოყალიბება და გადამუშავების დროს მასში ცვლილებების შეტანა.

გავრცელებული შეხედულებით, წერილობითი საპროცესო დოკუმენტის, მათ შორის, დაცვის მხარის შუამდგომლობებისა და საჩივრების ტექსტის თხრობითი ნაწილი უნდა შეიცავდეს შემდეგ კომპონენტებს: (1) საკითხი; (2) კანონი; (3) ანალიზი და (4) დასკვნა. მას ქართულად მოკლედ შეიძლება ვუწოდოთ: „სკად“ – „საკითხი-კანონი-ანალიზი-დასკვნა“.

პირველი კომპონენტი: (სადავო) საკითხის წარმოჩენა.

ეს არის საპროცესო დოკუმენტის მთავარი თემა, ანუ რას ეხება საქმე ან საქმის გარემოებათა ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია საპროცესო დოკუმენტის არსთან. ეს შესაძლებელია იყოს დანაშაულის კვალიფიკაციის ასახვა შედარებით მარტივ ენაზე და გასაგები ფორმატით. მაგალითად, როცა დაცვის მხარეს შეაქვს საჩივარი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით - გირაოთი შეცვლის თაობაზე, სადავოა არა პირის უდანაშაულობა, არამედ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის შეფარდების კანონიერება. ეს საკითხი არის ამ საპროცესო დოკუმენტის მთავარი თემა, რომელსაც ეხება საჩივარი. სადავო საკითხის სწორად დასმას დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი შესაძლებლობას აძლევს მოწინააღმდეგე მხარეს, რათა წარმოადგინოს სათანადო არგუმენტები, ხოლო მოსამართლეს უადვილებს პრობლემის გარკვევას და ეხმარება საჩივარში დასმული სადავო საკითხის კანონიერად გადაწყვეტაში.

მეორე კომპონენტი: (კანონის) ნორმის მითითება.

დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა და საჩივარი, სადავო საკითხის დაყენებასთან ერთად, უთითებს მოქმედი კანონმდებლობის ამა თუ იმ ნორმაზე (თუ ნორმებზე), რომელიც ეხება საპროცესო დოკუმენტში დაყენებულ სადავო საკითხს. ძირითადად მიეთითება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები, თუმცა შეიძლება ასევე სხვა კანონების მითითებაც. ასევე შეიძლება მოთხოვნის დასაბუთება საქართველოს კონსტიტუციის ან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ნორმებზე მითითებით. მაგალითად, თუ საკითხი ეხება მკვლელობის ფაქტს, მაშინ კანონის ნაწილში უნდა იქნეს მითითებული, რომ ,,ამგვარი ქმედების დასჯადობა გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით (მუხლის ნომერი, ნაწილი, ქვეპუნქტი და მუხლის სათაური სრული მოცულობით)”, სხვა კანონის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში ,,პირმა, კონკრეტული ქმედების ჩადენის გზით, დაარღვია კანონის მოთხოვნები” (კანონის დასახელება სრული მოცულობით, მუხლის, ნაწილის, ქვეპუნქტის ნომერი და მუხლის სათაური).

ჩვეულებრივი მოვლენაა სამართლებრივ ტექსტში (შუამდგომლობაში, საჩივარში) სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლის მითითება, რომლითაც პირს წაეყენა ბრალი ან დაედო მსჯავრი. მაგალითად, აღკვეთის ღონისძიების შეცვლის თაობაზე ადვოკატის შუამდგომლობაში მითითებულია: ,,ბრალდებულ N-ს ბრალი ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტით, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტითა და სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისათვის~. სააპელაციო საჩივარში მითითებულია: ,,N ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით და სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის".

მესამე კომპონენტი: ანალიზი.

ეს არის დოკუმენტის ან დოკუმენტის ნაწილის ყველაზე მოცულობითი და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელშიც თავი უნდა მოიყაროს არა მხოლოდ კონკრეტულ მტკიცებულებაზე მითითებამ ანდა საქმის გარემოებათა აღწერამ, არამედ მხარის მოსაზრებებმა და დასკვნებმა ყველა იმ კონკრეტულ საკითხზე, რომელიც რელევანტურია საპროცესო დოკუმენტის ან მისი კონკრეტული ნაწილის ფარგლებში. შუამდგომლობასა და საჩივარში მოცემული ანალიზი წარმოადგენს მოთხოვნის არგუმენტაციას. დოკუმენტის ავტორი ცდილობს, ისე დაასაბუთოს თავისი მოთხოვნის კანონიერება, სამართლიანობა და არგუმენტირებულობა, რომ მოსამართლემ დააკმაყოფილოს იგი.

მეოთხე კომპონენტი: დასკვნა.

შუამდგომლობასა და საჩივარში მოცემული დასკვნა წარმოადგენს მის ერთგვარ სარეზოლუციო ნაწილს. იგი არის მოთხოვნის არგუმენტაციის შეჯამება, რომელიც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, თუ რას და რატომ ითხოვს ავტორი სასამართლოსგან. იგი უნდა იყოს მოკლედ და გასაგებად ჩამოყალიბებული.

დამაჯერებლობა. ადვოკატის მიერ შედგენილი ნებისმიერი შუამდგომლობა თუ საჩივარი ჩამოყალიბებულ უნდა იქნეს ისე, რომ მასში მოცემული მოთხოვნის არგუმენტები სასამართლოსთვის დამაჯერებელი იყოს. დამაჯერებლობა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე. კონკრეტული საქმის მასალებიდან გამომდინარე, ერთ შემთხვევაში ადვოკატისთვის შედარებით ადვილია თავისი მოთხოვნის დასაბუთება, ხოლო მეორე შემთხვევაში – უფრო ძნელი. შესაბამისად, ზოგიერთი წერილობითი ტექსტის დამაჯერებლად ჩამოყალიბება ადვოკატისთვის ნაკლებ სიძნელეებთან არის დაკავშირებული და მისგან ნაკლებ დროს მოითხოვს, ზოგიერთი კი შედარებით შრომატევადია და მეტ დროს მოითხოვს.

ზოგადად, ტექსტის დამაჯერებლობასთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე მარტივი წესი:

(1) წარმოდგენილ არგუმენტთა დამაჯერებლობა - ადვოკატის მიერ ჩამოყალიბებული ტექსტი უნდა ხასიათდებოდეს სამართლებრივი არგუმენტების მაღალი ხარისხით;

(2) კონკრეტული ფაქტებისა და სამართლებრივი ნორმების მითითებისას შეცდომის დაუშვებლობა - ადვოკატის მიერ ფაქტობრივი ან სამართლებრივი შეცდომის დაშვებამ შესაძლოა, სავალალო ზეგავლენა მოახდინოს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე;

(3) სრულყოფილი გამოკვლევის ვალდებულება - ადვოკატმა ბრალდებულის ინტერესებისათვის მის მიერ შედგენილ წერილობით ტექსტში სრულყოფილად უნდა ასახოს საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გამოკვლევის შედეგები, რომელსაც უშუალო შემხებლობა აქვს მის მიერ დაყენებულ მოთხოვნასთან.

ადვოკატის მიერ შედგენილი დოკუმენტის დამაჯერებლობას დიდი ყურადღება ექცევა. ამ საკითხზე დიდად არის დამოკიდებული მისი დაცვის ქვეშ მყოფი ბრალდებულის (მსჯავრდებულის) ბედი.

(4) დამაჯერებლობის სტილისტური საკითხები – პროკურორის/ადვოკატის სარწმუნოობის პრობლემები, შესაძლებელია, სულაც არ იყოს დაკავშირებული მის მიერ მოყვანილი არგუმენტების სიძლიერესთან, სრულყოფილ კვლევასთან ანდა მეორე მხარის მოსაზრებათა პატივისცემასთან. ხშირად ამგვარი პრობლემები მკითხველის ცნობიერი ან არაცნობიერი შეფასებით, დაკავშირებულია იმ სტილისტურ ნაკლოვანებებთან, რომელიც პროკურორის/ადვოკატის ნაშრომს გააჩნია. მათგან ყველაზე ხშირი, განსაკუთრებით საპროცესო დოკუმენტების კონტექსტში, არის გადაფასების ე.წ. ,,გაზვიადების" პრობლემა. არგუმენტების ზედმეტი ძალითა და ,,სიტყვათა ქუხილით" წარმოდგენა, როგორც წესი, გათვლილია სასამართლოს უფრო ეფექტურ დარწმუნებაზე მხარის პოზიციის სისწორეში, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ის მკითხველზე სრულიად საპირისპირო გავლენას ახდენს. კერძოდ, მკითხველს ბუნებრივად კითხვის ნიშანი უჩნდება ამგვარად წარმოდგენილი ყოველი არგუმენტის მიმართ. შესაბამისად, პროკურორმა/ ადვოკატმა თავი უნდა მოარიდოს მართლწერის არასწორ, ზედმეტად აგრესიულ სტილს. ეფექტური სამართლებრივი წერა უზრუნველყოფს მკითხველის ნდობის

შენარჩუნებას. იგი საშუალებას აძლევს მკითხველს, თავი კომფორტულად იგრძნოს და მზად იყოს იმისათვის, რომ დაიჯეროს.

მართებული ტონი. ადვოკატის მიერ ამა თუ იმ წერილობითი ტექსტის შედგენისას ყოველთვის წინა პლანზე დგას მის მიერ წერის მართებული ტონის შერჩევა. ასევე მოეთხოვება ადვოკატს სწორი ტონის შერჩევა სასამართლო პროცესზე ზეპირი გამოსვლის დროსაც. მხარეთა შორის ურთიერთობებს და მათ ურთიერთობას სასამართლოსთან აქვს თავისი გამოხატვის სპეციალური ფორმები, რომლებიც სხვადასხვა ენასა და ხალხში ყოველთვის არ არის იდენტური, მაგრამ კულტურული ერებისთვის არსებობს ასეთი ურთიერთობის საერთო წესები.

ადვოკატის მიერ ჩამოყალიბებული წერილობითი ტექსტის ტონი ყოველვის უნდა იყოს ზომიერი, არ უნდა გამოხატავდეს აგრესიას, ზიზღს, სიძულვილს ადამიანის მიმართ, არ უნდა იყოს პატივისა და ღირსების შემლახველი, არ უნდა იწვევდეს სასამართლოსა და მოწინააღმდეგე მხარის გაღიზიანებას.

ენის სიმარტივე. სამართლის პროფესიონალებს შორის, განსაკუთრებით სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროს მუშაკებს შორის, საკმაოდ გავრცელებულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მარტივი, საყოველთაოდ გასაგები ენით დაწერილი სამართლებრივი დოკუმენტი არ არის სანდო, რომ ამგვარ დოკუმენტს სასამართლო სერიოზულად ვერ მიიღებს, რომ მისი შემდგენი იურისტი დაცინვის საგანი გახდება, ხოლო ფორმალური წერის სტილი, რომელიც გადატვირთულია სამართლებრივი ტერმინოლოგიით, დაუსრულებელი წინადადებებით, უამრავი ზედსართავის გამოყენებით – აღიქმება, როგორც პროფესიონალური, აკადემიური, მისაღები წერის სტილი, რომლის დაცვის შემთხვევაში ბრალდების/დაცვის პოზიცია განსაკუთრებით დამაჯერებლად წარდგება სასამართლოს წინაშე. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა მცდარია. სამართლებრივი დოკუმენტის სიმარტივე არ არის მისი ნაკლის გამოხატულება, არამედ უფრო მის ღირსებაზე მიუთითებს. შუამდგომლობა ან საჩივარი არ არის ფილოსოფიური ნაშრომი ან აკადემიური დისერტაცია, სადაც რთული კონსტრუქციები აქსიომად არის აღიარებული. თუ მკითხველს მოუწევს გონების მაქსიმალური დაძაბვა და პროკურორის/ადვოკატის რთულად აგებული პოსტულატებიდან არგუმენტების საკუთარი ძალებით გამოყვანა და გააზრება, ნებისმიერი მკითხველი უარს განაცხადებს ამგვარი ნაშრომის წაკითხვაზე პირველივე გვერდის გადალახვის შემდეგ.

არ არსებობს საპროცესო ტექსტის შედგენისას აკადემიური წერის საყოველთაოდ აღიარებული სტილი, მაგრამ არსებობს რამდენიმე წესი, რომლებიც უნდა იქნეს დაცული:

ა) ტექსტის შედგენისას გამოყენებულ უნდა იქნეს რაც შეიძლება მარტივი და მოკლე წინადადებები;

ბ) სიტყვები შერჩეულ უნდა იქნეს სწორად, არ უნდა იქნეს გამოყენებული უცხოური სიტყვა, სამეცნიერო ტერმინი ან ჟარგონი, თუ არსებობს ქართული შესატყვისი, ასევე - არასალიტერატურო და უწმაწური სიტყვები და გამოთქმები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხდება ვინმეს სიტყვების ციტირება დაცვის პოზიციის უკეთ დასაბუთების მიზნით;

გ) თუ ტექსტი დიდია, სასურველია, მისი დაყოფა პუნქტებად და ქვეპუნქტებად. ეს და სხვა სწორი სტილისტური მიდგომა ტექსტის წაკითხვას უფრო საინტერესოს და გასაგებს ხდის.

გადასინჯვა. ნებისმიერი სერიოზული იურისტი, მათ შორის, ადვოკატი, წერილობითი ტექსტის ჩამოყალიბების შემდეგ, სანამ მას ხელი მოეწერება და ადრესატს გაეგზავნება, კიდევ ერთხელ გულდასმით კითხულობს და ამოწმებს მას შინაარსობრივად, სამართლებრივად, სტილისტურად, გრამატიკულად. თუ ეს შესაძლებელია, სასურველია, რომ დოკუმენტის პროექტის შედგენის შემდეგ, მისი საბოლოო რედაქტირება მოხდეს დროის გარკვეული მონაკვეთის (რამდენიმე საათის ან დღის) შემდეგ. საბოლოო რედაქტირების დროს კიდევ ერთხელ უნდა გადამოწმდეს, ხომ არ არის დაშვებული შეცდომა კონკრეტულ ფაქტებთან ან სამართლებრივი ნორმის მითითებასთან დაკავშირებით, არის თუ არა სრულყოფილად ჩამოყალიბებული მოთხოვნის არგუმენტაცია, ხომ არ არის დაშვებული სტილისტურ-გრამატიკული შეცდომები და ა.შ. დასვენებული თვალი და გონება უკეთესად ამჩნევს დოკუმენტის ნებისმიერ ხარვეზს. ამა თუ იმ დაწერილ ტექსტში, რომელიც არ არის საბოლოოდ რედაქტირებული, ყოველთვის რჩება გარკვეული ხარვეზი, რომელიც შეძლებისდაგვარად უნდა იქნეს აღმოფხვრილი, რომ ამით უზრუნველყოფილ იქნეს დოკუმენტის წერის მაღალი აკადემიური ხარისხი.

ამრიგად, სამართლებრივი მართლწერის საფუძვლები მოითხოვს, რომ დაცვის მხარის მიერ კარგად დაწერილი შუამდგომლობა და საჩივარი არ უნდა იყოს ბუნდოვანი ან ორაზროვანი, არამედ მასში დაყენებული მოთხოვნა და მოთხოვნის არგუმენტაცია ადვილად გასაგები უნდა იყოს სასამართლოსა და მეორე მხარისათვის. ყველა არგუმენტი და მოსაზრება უნდა იყოს ლოგიკური და მოიცავდეს სამართლებრივი მოთხოვნისთვის მნიშვნელოვან ყველა საკითხს. საჩივრის ავტორმა არაერთხელ უნდა გადაამოწმოს საქმის ყველა ფაქტობრივი გარემოება და სამართლებრივი ნორმა, რომელსაც იყენებს ამა თუ

იმ შუამდგომლობასა თუ საჩივარში. მოყვანილი ფაქტები და გამოყენებული ნორმები ლოგიკურად უნდა იყოს ერთმანეთთან კავშირში. ტექსტი არ უნდა შეიცავდეს ჟარგონებს და არ უნდა იყოს გადატვირთული ზედმეტი დეტალებით. იგი უნდა გამოხატავდეს კეთილგანწყობილებას და მკითხველი უნდა განაწყოს თანაგრძნობით. მას უნდა ჰქონდეს კარგი სტრუქტურული აგებულება. წერის დროს დაცული უნდა იყოს სტილი და გრამატიკული წესები.

რეზიუმე

იურისტის მაღალი პროფესიონალიზმის ძირითად საზომს, ორატორულ ნიჭთან ერთად, იურიდიული მართლწერის უნარ-ჩვევები წარმოადგენს. იურიდიული მართლწერა არაა მარტო ენის ორთოგრაფიისა და გრამატიკის წესების სრულყოფილი ცოდნა, იგი მოითხოვს ღრმა სამართლებრივ ცოდნა-განათლებასაც.

ცნობილია გამართული სამართლებრივი მართლწერის ხუთი პრინციპი:

- ორგანიზებულობა;
- დამაჯერებლობა;
- მართებული ტონი;
- ენის სიმარტივე;
- გადასინჯვა.

კარგად ორგანიზებული დოკუმენტი ნიშნავს ავტორის მიერ ტექსტის გარკვეული სტრუქტურული თანმიმდევრობით ჩამოყალიბებას. წერილობითი საპროცესო დოკუმენტის, მათ შორის, დაცვის მხარის შუამდგომლობებისა და საჩივრების ტექსტის თხრობითი ნაწილი უნდა შეიცავდეს შემდეგ კომპონენტებს: (1) საკითხი; (2) კანონი; (3) ანალიზი და (4) დასკვნა. მას ქართულად მოკლედ შეიძლება ვუწოდოთ: ,,სკად" - ,,საკითხი-კანონი-ანალიზი-დასკვნა".

ამრიგად, სამართლებრივი მართლწერის საფუძვლები მოითხოვს, რომ დაცვის მხარის მიერ კარგად დაწერილი შუამდგომლობა და საჩივარი არ იყოს ბუნდოვანი ან ორაზროვანი; ყველა არგუმენტი და მოსაზრება უნდა იყოს ლოგიკური და მოიცავდეს სამართლებრივი მოთხოვნისთვის მნიშვნელოვან ყველა საკითხს; მოყვანილი ფაქტები და გამოყენებული ნორმები ლოგიკურად უნდა იყოს ერთმანეთთან კავშირში; ტექსტი არ უნდა შეიცავდეს ჟარგონებს, არ უნდა იყოს გადატვირთული ზედმეტი დეტალებით; უნდა ჰქონდეს კარგი სტრუქტურული აგებულება, დაცული უნდა იყოს სტილი და გრამატიკული წესები.

PRINCIPLES OF LEGAL WRITING

Marika Sherazadishvili, Professor
Ioseb Gabaraev, Specialist by Contract

RESUME

Main indicators of lawyers' high professionalism, along with powerful oratory, are legal writing skills. Legal writing is not only a complete knowledge of language orthography and grammar rules, it also requires profound knowledge of legal language and legal education.

There are five principles for effective legal writing:

- organization;
- persuasiveness;
- registry;
- plain language;
- revision.

A document is well-organized by an author when formation of a text with a certain structural sequence takes place. Writing procedural document, including litigants' motions and narrative parts of claims, shall include the following components: (1) the issue, (2) the rule, (3) the analysis, and (4) the conclusion. It is abbreviated as IRAC (issue-rule-analysis-conclusion).

In conclusion, the fundamentals of legal writing require that litigants' motions and claims should not be vague or ambiguous; all the arguments and opinions should be logical and include all the important issues on pleading; given facts and used standards should be related to each other logically; the text should not contain jargons and should not be loaded with extra information; it should have good structure, also, style and grammar rules should be followed.

პუბლიცისტიკის ჟანრობრივი კლასიფიკაციის საკითხისათვის

იოსებ ჭუმბურიძე, ასოცირებული პროფესორი

პრობლემა, ერთი შეხედვით, თითქოს, არც არსებობს: დადგენილია პუბლიცისტიკის გვარები, ჟანრები და მათი სახეები; გამოკვეთილია თითოეული მათგანის სპეციფიკა; თანამედროვეობასთანაა მისადაგებული მათი სწავლების ფორმები და მეთოდები...

თუ შესაბამის ჟურნალისტურ დისციპლინას წინათ „პუბლიცისტიკის ჟანრთა თეორია და პრაქტიკა“ ერქვა, დღეს ამ საგანს ორი სასწავლო კურსი ეთმობა - *„ახალი ამბების ჟურნალისტიკა“* და *„ანალიტიკური ჟურნალისტიკა“.*

მართალია, გვხვდება ზოგიერთი გაუგებრობა და კურიოზიც კი (რასაც გზადაგზა შევეხებით კიდეც), მაგრამ კვლევა ამისგან დაზღვეული არასოდეს ყოფილა.

და პრობლემა მაინც არსებობს. მთავარი დილემა კი თეორიისა და პრაქტიკის უკიდურესი დაშორებაა. მეტიც, ზოგიერთი ჟანრი მხოლოდ სახელმძღვანელოებში შემოგვრჩა, ზოგიც ჩვენს თვალწინ კვდება, ასევე აშკარაა ჟანრთა ტრანსფორმაციისა და დიფუზიის პროცესი...

გადახედვას მოითხოვს ჟანრთა სახელდების საკითხიც...

დავიწყოთ *ახალი ამბების ჟურნალისტიკით,* ანუ იმით, რასაც, ჩვენი აზრით, *საინფორმაციო პუბლიცისტიკა* უფრო მიესადაგება.

უპირველესი და ყველა დროში ყველაზე გავრცელებული ჟანრი აქ ინფორმაციული შენიშვნაა.

ეს ტერმინი ჟურნალისტიკის თეორიაში რუსულის გავლენით დამკვიდრდა (სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ ხსენებული დარგი რუსეთში საფუძვლიანადაა შესწავლილი): რუსული *заметка* ქართულად *შენიშვნაა,* მაგრამ ძნელი სათქმელია, რატომ დაემატა *ინფორმაციული* - მაშინ ხომ არაინფორმაციული, მაგალითად, ანალიტიკური შენიშვნაც უნდა არსებობდეს, რაც ლოგიკას სრულიად მოკლებულია.

ფაქტია, რომ აღნიშნული სახელდება დღეს უკვე მოძველებულად მოჩანს და თვითონ ჟურნალისტიკის მკვლევარებშიც გარკვეულ ირონიასაც იწვევს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საკითხი ჟანრის სახეებად დაყოფას შეეხება. ერთ-ერთი კურიოზი სწორედ ამ საკითხს უკავშირდება.

„გამოყოფენ: ა) ქრონიკას; ბ) მოკლე ინფორმაციულ შენიშვნას; გ) გაფართოებულ ინფორმაციულ შენიშვნას. ზოგიერთი მკვლევარი უმატებს მეოთხეს - დ) ნარკვევის ტიპის ინფორმაციულ კორესპონდენციას“ (1, 50).

მეოთხე ნამდვილი კურიოზია.

დავუბრუნდეთ ძირითად ტერმინს.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ *ამ ტერმინის შესატყვისად, ქართულ პრესაში გამოიყენებოდა „ახალი ამბები“* და *„დეპეშები“* (1, 44).

მეორე სრულიად უვარგისია, ჟანრის აღმნიშვნელად არც პირველი გამოდგება, რადგან საგაზეთო (საჟურნალო) რუბრიკას უფრო ჰგავს, ვიდრე სამეცნიერო ტერმინს.

ამბავი ჩინებული ქართული სიტყვაა, მაგრამ ცალკე აღებულს სახელდებად ვერ გამოვიყენებთ, რადგან მასში ვერ აისახება უმთავრესი, რითაც ჟურნალისტური ინფორმაცია ფასობს - სიახლე და ოპერატიულობა. ყოველგვარი ამბავი ჟურნალისტურ ინფორმაციად ვერ გამოდგება. ჟურნალისტური ინფორმაცია ეს არის ახალი ცოდნა. სიახლის გარეშე, ჟურნალისტიკაში, ცოდნა ინფორმაციად ვერ გადაიქცევა (2, 41).

ქართული ენის ლექსიკური სიმდიდრე საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა ტერმინად უცხოური სიტყვა უნდა ავირჩიოთ, მით უფრო, რომ ბევრი ჟანრი სწორედ ასე გვაქვს სახელდებული - ინტერვიუ, რეპორტაჟი, სტატია, რეცენზია...

ამ შემთხვევაში, უპირატესობა ინგლისურ *news* - ს („ნიუსი“) უნდა მივანიჭოთ.

სამეცნიერო ტერმინოლოგიაში უცხო სიტყვის გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენაა და ეს ფაქტი მშობლიური ენის ღირსებას ოდნავადაც ვერ შელახავს.

კიდევ უფრო მოძველებულად გამოიყურება ისეთი ინფორმაციული ჟანრის სახელწოდება, როგორიცაა *ანგარიში.* ეს სახელდებაც რუსულიდან მომდინარეობს (*отчет),* მაგრამ მთავარი ისაა, რომ აღნიშნული ჟანრი მედიაში, პრაქტიკულად, აღარც გვხვდება. ამ ჟანრის მთავარ მახასიათებლად ნებისმიერი მკვლევარი ასახელებს იმას, რომ *ანგარიშის თემა შეიძლება გახდეს მხოლოდ ერთი ფაქტი და*

ისიც მხოლოდ რომელიმე თავყრილობა (იგულისხმება: სხდომები, შეკრებები, შეხვედრები...). ანგარიშისთვის გამოსადეგი ფაქტი დროში ზუსტად განსაზღვრულ ვადებშია მოქცეული (3, 124).

აღნიშნული თვისებები წარმატებით შეითავსა რეპორტაჟმა, რომელმაც, ფაქტობრივად, გადაყლაპა ანგარიში, როგორც ჟანრი. ეს დიდი ტრაგედია არ იქნებოდა, რეპორტაჟი თავადაც სულს რომ არ ღაფავდეს, არადა, ეს ის ჟანრია, გაბრიელ გარსია მარკესს ყველაზე მეტად რომ მოსწონდა და ,,ჟანრ - ვარსკვლავს" უწოდებდა (2, 74).

ერთ დროს, რეპორტაჟს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, *ვარაუდი არ გამართლდა. ეს ცოცხალი, დინამიური ჟანრი თითქმის გაქრობის პირასაა (4, 146).*

ალბათ, დადგა დრო, როცა *ანგარიშის* როგორც ჟანრის გაქრობას უნდა შეეგუოთ, მაგრამ ყველაფერი უნდა ვიღონოთ *რეპორტაჟის* გადასარჩენად, რადგან ის *გამორჩეულია ასახვის საგნითა და ჩანაფიქრის გამჟღავნების ფორმით, იგი განსაკუთრებით ხელჩასაჭიდია, როცა პროცესის სრულად წარმოჩენას ვესწრაფვით, როცა ვცდილობთ, მკითხველი მოვლენის თანამონაწილე გავხადოთ* (1, 182).

არაერთი საკითხია ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივი ანალიტიკური ჟურნალისტიკის სფეროშიც. ჟანრების კლასიფიკაცია აქაც უაღრესად პრობლემურია. ამის თვალსაჩინო დასტურია ორიოდე წლის წინათ გამოცემული წიგნი - სახელმძღვანელო, რომლის თანაავტორიც ...ცხრა უნივერსიტეტის (ერთ-ერთი საფრანგეთისაა) ცამეტი პროფესორია.

აღნიშნულ წიგნში უამრავ კურიოზს ვხვდებით. ერთ-ერთი ისაა, რომ ინტერვიუ ინფორმაციულ ჟანრებსაც არის მიკუთვნებული და ანალიტიკურსაც(?!).

ანალიტიკური ჟურნალისტიკა, საერთოდ, აქ რვა ჟანრითაა წარმოდგენილი. ესენია: *კომენტარი, სტატია, სარედაქციო სტატია/ედიტორიალი; ოპ - ედიტორიალი/ ოპედი, საავტორო სვეტი, ესეი, პორტრეტი/პროფილი, რეცენზია, ინტერვიუ* (5, 238).

ამგვარ კლასიფიკაციაში ბევრი რამ არის სადავოც და გაუგებარიც. ინტერვიუზე უკვე ვთქვით. რაც შეეხება კომენტარს, ის, ალბათ, იმ ჟანრის ალტერნატიული სახელდებაა, რასაც, ტრადიციულად, კორესპონდენციას ვუწოდებდით. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამ ჟანრმა ნამდვილად განიცადა მკვეთრი ტრანსფორმაცია, აღნიშნულ დეფინიციას ადვილად მივემხრობით, პორტრეტი/პროფილი, ალბათ, ამავე ლოგიკით, ნარკვევის ალტერნატიულ ცნებებად უნდა განვიხილოთ, რაც შეეხება საავტორო სვეტსა და სარედაქციო სტატიას, აქ საკითხი გაცილებით რთულად დგას და მეცნიერული ლოგიკის დეფიციტზე მიგვანიშნებს. ჟანრი შეიძლება იყოს სტატია, ხოლო სარედაქციო სტატია - მისი ერთ-ერთი სახე.

ამ ნაწილში კიდევ ბევრია სადავო და გასარკვევი, მაგრამ ეს უკვე სხვა ნაშრომის თემაა, სხვა კვლევის საგანია...

ლიტერატურა:

1. ნ ტაბიძე, პუბლიცისტიკის საკითხები, თბ., 2011;
2. ი. ჭუმბურიძე, ჟურნალისტიკის შესავლის საკითხები, თბ., 2012;
3. ა. მღებრიშვილი, ახალი ამბების ჟურნალისტიკა, თბ., 2015;
4. ჟურნალისტური ძიებანი, თბ., 2009;
5. მ. ვეკუა, ჟ. რუე, ჟურნალისტიკა, თბ., 2013.

რეზიუმე

პუბლიცისტიკის ჟანრთა კლასიფიკაცია ბევრ პრობლემურ საკითხთან არის დაკავშირებული. ამ ნაშრომში განსაკუთრებით ორი პრობლემაა გამოკვეთილი: ზოგიერთი ჟანრის ფაქტობრივი გაქრობა და ჟანრების სახელდებათა გადასინჯვის აუცილებლობა. პირველის მაგალითად დასახელებულია, ავტორის აზრით, მოძველებული ჟანრი - ანგარიში, რომლის დამახასიათებელი თვისებებიც, არსებითად, უკვე შეითავსა რეპორტაჟმა, ხოლო მეორის ნიმუშად წარმოდგენილია ინფორმაციული შენიშვნა, რომლის ალტერნატიულ სახელდებად მკვლევარს ინგლისური news შემოაქვს...

ON GENRE CLASSIFICATION OF PUBLICISM

Ioseb Chumburidze, Associate Professor

RESUME

Classification of journalistic genres is connected with many problems. In the following paper, two problems stand out: actual disappearance of some genres and the necessity to check the definitions of genres. According to the author, the example of the first problem is an old genre – account, whose characteristic features are essentially substituted by a report. The example of the second problem is an informative note and its English alternative name “news’ is introduced by the researcher.